კვირის პალიტრა

გზა

N52 (446)
25/XII-3
80 თეთ

1168
2008

„ნარს ადამიანზე კარგი ხასიათი აქვს“

საახალწლო ინტერვიუ მეცნიერებთან

წლის წარმატებული ადამიანი

„გზამ“ ცნობილ ადამიანებში წლის 10 საუკეთესო ჟურნალისტი გამოავლინა

ვინ გვასახელა

ექსმინისტრის მიერ დაჩაგრული 50 კაცი და შეტევა, რომელსაც ირაკლი ღვალაძე გაუძღო

„კაცი ნაპოვნი გვყავს და უმტკივნეულოდ დაგვასმევინე თავის ადგილზე“...

წერილები თოვლის ბაბუას

ISSN 1987 - 5029

„არტისტებში მოქცეული მედია გაცილებით საშიშია, ვიდრე მტრის ავიაცია...“

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და ბათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

კვირის კალენდარი
№52 (446)
25 - 31 დეკემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

შეცდომა

„გზა“ ვნილები

ამცა ყველაფერი
გაქვს, ამაცა,
ყოფა მეცი გინდა.

ჰოროსკოპი

35

■ მინიატიურები
ვინ გვასახელა ანუ წლის წარმატებული ადამიანი... 5
■ სიმბოლო
ხარი — მგრძნობიარე და გემრიელი ანუ შრომისა და ქატლეტისთვის განწირული ხარები... 6
■ პროგნოზი
როგორ, რით და სად უნდა შეეხვდეთ ახალ წელს? 7
■ ცრურწმენები
ვალი არ დაგაბრუნოთ, ახალი სამოსი ჩაიცვით... 8
■ მეკვლე
„ვინ შეიძლება ინატრო, თუ არა პატრიარქი“ 9
■ რეპორტაჟი
„კაუჩუკის“ ჩურჩხელა, ტიმოშენკოს ნიგოზი და ომგამოვლილი ვაშლი ანუ ნამუსი არ იყიდება! 11
■ ჟურნალისტის როლში
„გზამ“ ცნობილ ადამიანებში 10 საუკეთესო ჟურნალისტი გამოავლინა 14
■ ოცნება
წერილები თოვლის ბაბუას 18
■ თოვლის ბაბუა
„ერთიან საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ — ყველაზე მთავარი ესაა! 19
■ ერუდიტი
„გზისგან“ დარტყმამიღებული და გამოცოცხლებული ადამიანები ანუ 2008 წლის ერუდიტი 22
■ მასმედია
„არტახებში მოქცეული მედია გაცილებთ საშიშია, ვიდრე მტრის ავიაცია“... 26
■ მოდა
✓„მოდაში მრავალფეროვანი სტილია“... 28
✓აგრესიული მაკიაჟი, „მოგუდული ყვითელი“ ფერი და ბდღვრიალა სადღესასწაულო სუფრა 29

2008 წლის ერუდიტი



დასმული შეკითხვებიდან ყველაზე მეტს, გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა — ირაკლი ღვალაძემ უპასუხა: 47 შეკითხვიდან 41 კითხვაზე პასუხი იცოდა და შესაბამისად, 87,2%-ით „წლის ერუდიტი“ გახდა.

22

„არტახებში მოქცეული მედია“

„მალე საქართველოში მდგარი უკუნი ნათლით შეიცვლება. მინდა, რომ ერთი სასიამოვნო ფაქტიც აღვნიშნო — სწორედ ამ წელს გაჩნდა იმის იმედი, რომ საქართველოში სიტყვა გათავისუფლდება და პლურალისტული მედიაგარემო ჩამოყალიბდება“.

26

რეზო ესაძის სულში დანთებული სანთელი

„მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ახალი წლის ღამეს, ჩემს მშობლებს რაიონიდან სოფელში უნდა ავეყვანე. ბებუაჩემმა გადაწყვიტა, განსაკუთრებულად დამხვედროდა და სახლის კარიდან ეზოს ჭიშკრამდე, ბილიკის ორივე მხარეს (ასე, 25-30 მეტრის მანძილზე) ანთებული სანთლები ჩაარჭო“.

31

96014
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

■ განწყობილება

რეზო ესაძის ქუდები, სულში დანთებული სანთელი და გენიალური ინდაურები გურიიდან 31

■ ჯანმრთელობა

✓ ახალი წელი და საკვები 33

✓ საახალწლო რჩევები 34

■ ჟურნალი ჟურნალში

✓ ცხოვრება 35

✓ გზავნილები 51

■ ემიგრანტები

31 დეკემბერს სხვადასხვა ქვეყანაში პატარა საქართველო „იკვრება" 67

■ რომანი

სვეტა კვარაცხელია. სხვისი ოცნების ქალი (გაგრძელება) 70

■ გაიმ-აუტი 74

■ საკითხავი ქალებისთვის

✓ ახალი წელი 76

✓ საახალწლო ტრაპეზის წინ... 77

■ ვარსკვლავები 78

■ ნმინდანები

მხცოვანი ბერის ნაკურთხი ხორბალი, ჯვრის ფორმით ამოსული ბალახი და ჩვილობიდან მმარხველი ღვთაებრივი ყრმა 80

■ ასპარეზი

ტემპერამენტიანმა ქართველმა მწვრთნელმა კვიპროსში საფეხბურთო ციებ-ცხელება გამოიწვია 82

■ გვიმრავლოს!

თოვლის ბაბუის სამოსში გამოწყობილი ახალშობილი და ტყუპი გოგოს დაბადებით განრისხებული ბებია 84

■ თინეიჯერული პონტები

✓ „აბეხილი" თოვლის ბაბუა და გონებადაბინდული მთვრალი „ჭუკები" 86

✓ რისი უფლება აქვს ნარკომანს 88

■ ვექილი

ახალი დიპლომი 84 წლის ასაკში 90

■ შოუბიზნესი

გომართელის კლუბი, ელიტური „არაყი-ფართი" და ჩვენში არსებული კლუბური ცხოვრების ანაბეჭდი 94

■ ავტო 95

■ სპანეორდი 96

■ ტესტი 97

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა"
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქუცია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში": 37-78-07; 38-78-70.

„ მოდაში მრავალფერადი სტილია"...

ახალი წლის ღამეს ყველა ქალის სურვილია, ლამაზად და მოხდენილად გამოიყურებოდეს. ამიტომ ეს ღამე თქვენი გარდერობისთვის სერიოზული გამოცდაა. რა უნდა ჩავიცვათ ახალწლის ღამეს და როგორია 2009 წლის მოდის ტენდენცია, დიზაინერ თამუნა ინგოროყვასგან შეიტყობთ.

28

როგორ შეიქმნათ საზეიმო განწყობილება



საამისოდ, პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, რა ცვლილებები ხდება ადამიანის ორგანიზმში, როცა ის კარგ ხასიათზეა. ამ დროს ტვინი გამოყოფს ორგანულ ნივთიერებას. ე.წ. ენდორფინს, რომლის ზემოქმედება აისახება ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე და ა.შ.

76

საახალწლო ტრაპეზის წინ...

იმისთვის, რომ ინდაურის საციცვაც შეევექცეთ და გოზინაყიც მშვიდად შევახრამუნოთ, ორგანიზმი წინასწარ უნდა მოვამზადოთ დიადი სადღესასწაულო ტრაპეზისთვის. როგორ? ახლავე მოგახსენებთ.

77



— გაგა?!

— როგორ ხარ?

— არა მიშავს. რამე მოხდა?

— არა.

— რაღაც სხვანაირი ხარ...

— ცოტა დავლიე და...

— არა, დალევა არაფერ შუაშია სხვანირად ხარ სხვანირი.

— როგორი?

— რა ვიცი... მითხარი, რა მოხდა?

— არაფერი-მეთქი, არ ვთქვი?

— მაშინ რაგომ მოხველი? ვინ გითხრა, აქ რომ ვიყავი?

— დედაშენმა.

— აპაპა... გასაგებია... მიდი, თქვი, რა გჭირს... — ოდნავ გაუცივდა ხმა.

70

ვინ გვახახელოა

ანუ წლის წარმატებული ადამიანი...

ახალი წელი ქართველების უსაყვარლესი დღესასწაულია. ვინაიდან თავიდან ბოლომდე მაგარი და წარმატებული წელი ჯერ არ გვღირსებია, ამიტომაც, ყოველთვის ერთი სული გვაქვს, როდის მოვა ახალი წელი, იქნებ, რაიმე უკეთესი მოგვიტანოს. პრინციპში, თუ არ ჩავთვლით რუსულ ინტერვენციას, დაბომბილ ქალაქებს, დევნილთა რაოდენობის მკვეთრ გაზრდას და მხოლოდ ამინდით ვიმსჯელებთ, ნამდვილად კარგი წელი იყო... სხვა წარმატებებიც მოგვიტანა ვირთხის წელიწადმა, რომელიც მთლად „კრისების" წელი არ აღმოჩნდა და თავისი გმირებიც გამოავლინა.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ იოჰანესბურგში ჩატარებულ „მის მსოფლიოზე" რუსმა გოგონამ გაიმარჯვა, მეორე და მესამე ადგილები ბრაზილიელმა და ინდოელმა გაინაწილეს; ასევე, იოჰანესბურგი დაათვალიერა „მის საქართველომ"... მოკლედ, „მის საქართველომ" აფრიკიდან გვირგვინი ვერ ჩამოიტანა და „მისტერ საქართველომ" ბრიუსელიდან — მაპ-ი, თორემ სხვა სფეროებში მთლად ქაჩალები არ ვყოფილვართ: ჯერ მარტო ის რად ღირს, ქართულმა დუეტმა „იურმალაზე" გრან-პრი რომ აიღო და 19-წლიანი პაუზის შემდეგ, ლატვიაში ჩაზელილი რუსული (და არა მარტო) ესტრადა ისევ დაჩრდილა; ქართველმა „ბზიკებმა" ხომ საერთოდ გააგიჟეს მსოფლიო და საბავშვო „ევროვიზიის" კონკურსზე ისე დაიბზუილეს, სხვა ქვეყნების ბულბულებიც კი გააჩუმეს; პეკინში კიდევ, ქართველმა მოჭიდაველებმა მეტოქეებს ცხვირით ტატამი ახვნევინეს და მექორწილეების „მაია მულატკა"-სავით აკვრევინეს ჩვენი ჰიმნი; ქართულმა ჭადრაკმაც დაიბრუნა ძველი დიდება და ქალთა ნაკრებმა სულ მეფეები წაუქცია მოწინააღმდეგეს...

ხალხი ამაგს არავის უკარგავს და ჰკითხავ თუ არა, ზეპირად ჩამოგირაკრაკებს, თუ ვინმემ რაღაც სიხარული მიანიჭა. ამიტომ, წლის წარმატებულ ადამიანთა ჩამონათვალში ბევრი საინტერესო სახე მოხვდა, იმავე პატარა „ბზიკებით" დაწყებული და იმ ექსმინისტრი ქალბატონით დამთავრებული, ორ თვეში გენერალური პროკურორის, იუსტიციის მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელები რომ გამოიცვალა. ალბათ, ხვდებით, რომ სია საკმაოდ სახალისოა და მათ მეც ხალისით გაგაცნობთ.

წარმატებულ ადამიანთა შორის, რა თქმა უნდა, დასახელდა დანარჩენების წარმატებულობის წინასწარგანმსაზღვრელი და გალაქტიკის პლანეტათა და ვარსკვლავთა განლაგების „დიზაინერი" მიხეილ ცაგარელი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი და ერთადერთი ასტროლოგი. არც არის გასაკვირი, რადგან ამ კაცმა ისიც კი იცის, რომ „სასწორის" ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის ამ თვეში ბრმა ნაწლავის ამოჭრას, თუ არ გაგისკდა, იმ თვეში ამოჭრა სჯობია (ნეტავ, ამ თვეში რა, ისევ ამოიყრის?!).

წარმატებულთა სიაში მოხვდნენ „იმედის" იუმორისტული სერიალის — „შუა ქალაქში" — მსახიობები და მისი პროდიუსერიც; ასევე, მთელი საქართველოს „პროდიუსერი" და ერთადერთი უცვლელი მინისტრიც, რომელმაც დაამსხვრია მითი იმის შესახებ, რომ შეუცვლელი არავინაა — აი, თუ არაა!.. ნომინაციაში — „წლის ყისმათი", ცხადია, გაიმარჯვა თუთიყუში მარჩელოს მომთვინიერებელმა მუსიკოსმა, რომელსაც პარლამენტში მოხვედრით იმხელა ტუზი დაეცა(!), რომ თავი ახლაც სტკივა... „წლის თამადის" ტიტული არავის დაუთმო ბატონმა გუბაზმა, რომელმაც თავისი მოადგილე და ტელეწამყვანი ისე დაათრო, რომ დღესაც პირდაპირ ეთერში სძინავს... „წლის სტუმარი" რატომღაც, ნიკოლა სარკოზი გახდა. პრინციპში, რაღა სტუმარი, იმდენჯერ იყო ჩამოსული, რომ ხალათი და ჩუსტები თბილისის აეროპორტში აქვს დატოვებული. ნომინაციის — „ფიგურა-2008" გამარჯვებული უნდა გამხდარიყო ბატონი ბენდუქიძე, მაგრამ ვერ გახდა იმიტომ, რომ ვერ გახდა...

„წლის აღმოჩენად" დამსახურებულად დაასახელეს იულონ გაგოშიძე, რომელმაც არქეოლოგიაში იმდენი რამ აღმოაჩინა, რომ ბოლოს, არქეოლოგებმა თვითონ ის აღმოაჩინეს და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრად დანიშნეს... მოკლედ, ამ სიაში კიდევ ბევრი საინტერესო სახე მოხვდა, მაგრამ მთავარი, ის მიზანია, რომლისთვისაც ეს გამოკითხვა ჩატარდა: ამ წარმატებულ ადამიანთაგან ხომ შეიძლება, ერთი სუპერწარმატებული ადამიანი მივიღოთ?! ჰოდა, შევუდგეთ აწყობას: ცხვირი იმ შეუცვლელი მინისტრის ავიღოთ, შსს-ს საქმეებს რომ ჩინებულად აგვარებს; „იურმალაზე" გამარჯვებული ბიჭის ღიმილმა გოგოები გადარია, მაგრამ ეს ახალაწყობილი ადამიანი სულ გაღიმებული რომ არ დარჩეს, ამ ღიმილს ალყა „იმედის" იუმორისტული სერიალის პროდიუსერის ბლანჟეთი შემოვარტყათ; მე მგონი, რაღაც უკვე გამოიკვეთა... მოდით, თმა და თვალები ერთის კი არა, ორის გამოვიყენოთ. ჰოდა, „მის საქართველოსა" და „იურმალელ" მაკა ზამბახიძეზე უკეთესებს ვის ვიპოვით?! კარგ ხელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მაია ჩიბურდანიძეზე იღბლიანი ხელი ვის აქვს?! ისე, იღბალთან ერთად, ხელში ძალაც უნდა იგრძნობოდეს. ჰოდა, მეორე ხელი, თავისი მედლებიან-მკლავიანად, ძიუდოისტების ავიღოთ და ეს ყველაფერი ისეთ სხარტ და მოქნილ ტან-ფეხზე დავდგათ, „ბზიკებს" რომ აქვთ. აბა, ვნახოთ, რა მივიღეთ: თითქოს, დიდი ვერაფერი, მაგრამ აგული ერისთავისა არ იყოს, „რაც მთავარია, ცხვირი ჰგავს!.."

P.S. სოფლის ბირჟაზე:

— ხედავ, როგორ ამართლებს ასტროლოგია? შარშან ვირთხის წელიწადი იყო და ხომ იცი, ჩვენს კისერზე რამდენმა ხაფანგმაც დაიტკაცუნა!..

— ახლა ხარის წელი რომ მოდის, რას უნდა ველოდოთ?

— მე რას უნდა ველოდო, არ ვიცი, მაგრამ ჩემს ძროხას უხარია ძალიან, სულ სარკეში იყურება...

პროვოკატორი

ხარი – მგრძნობიარე და გემრიელი

ანუ შრომისა და ჯატლეტისთვის გაწირული ხარები...

მალე ახალი წელი დადგება — გავაცილებთ პატივცემულ ვირთხას და შევეგებებით ყვითელ ხარს... ჩვენს დროში თურმე ხარს ფუნქცია დაუკარგავს, განსაკუთრებით — აღმოსავლეთ საქართველოში. ფუნქციების დაკარგვას ვინ ჩივის მაშინ, როცა ხარიც რთული საპოვნელია: ძირითადად, ბულები „ბატონობენ“ და თავიანთი მოდგმის გამრავლებაზე ზრუნავენ...

ეთო ყორღანაშვილი

შრომისა და კატლეტისთვის გაწირულ ხარებს სოფელ გამარჯვებაში მივაგენი. მართალია, ლამაზ-ლამაზი

ჩვენ ქალს როგორ ვაკადრებთ, რომ ნახირში წავიდეს?! მანიკიური გაუფუჭდება!

და მსუქან-მსუქანი ხარები საძოვარზე გახლდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, შინ პატარა ბიჭიკო დამხვდა. ბიჭიკო 6 დღის მამალი ხბოა, თან — საკმაოდ სიმპათიური. ხარად გაზრდიან თუ ბულად ანუ, როგორც ფერმის მოურავი, 73 წლის ბიძინა გვანჯილაშვილი ამბობს — „გოგონებთან თამაშს“ შეძლებს თუ არა, — ეს მომავლის საკითხია. ჯერჯერობით, საძოვრიდან დედის დაბრუნებამდე, მომხიბვლელი ბიჭიკო არანაკლებ მომხიბვლელ ბატკნებთან თამაშით ირთობს თავს...

— საღამოს, როცა საქონელი საძოვრიდან ბრუნდება, ბიჭიკოს მშობელი ყველა ძროხაზე წინ მორბის — იცის, რომ შვილს საჭმელი უნდა. ამ დილით ხბომ კარგად ისაუზმა. ორი ცური რძე სულ მაგისია, დანარჩენს — ვწველით. შეხედე, ჩვენი დანახვა როგორ გაუხარდა — შეხტა და შეიკუნტრუშა!.. ბიჭიკო, ბიჭიკო, შენ გაიზარდე კარგი ხარი!.. ცელქი ხბოა, ბეკეკოებთან თამაში უყვარს.

— ბიჭიკო რატომ დაარქვით?

— ლამაზი „ბიჭია“ და იმიტომ. ისე, ძირითადად, ხარებს სახელებს ფერების მიხედვით ვურჩევთ: ნიკორა, შვინდა, წაბლა...

— შემთხვევით, ყვითელაც ხომ არ გყავთ?

— (*იცინის*) არა, ყვითელი არც ერთს არ ჰქვია. ხარი ხარია, მის ფერს რა მნიშვნელობა აქვს?! ეს პირუტყვი ყველაზე მოსახერხებელი „ტრანსპორტია“: ბენზინი და გაზი მას არ სჭირდება, ღვთის მიერ ბოძებულ საკვებს მიირთმევს — ბალახს მოძოვს და მოჯანიანდება. როცა კარგად მოღონიერდება, ტვირთს დაადებ და ამუშავებ. ხარი ადამიანს ძალიან ეხმარება. მიუვალი ადგილები მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს — შეშის, საზამთროს და სხვა ტვირთის გადასაზიდად იყენებენ. მიწის მოხვნა-ფარცხვაშიც გამოიყენება. მეწველი ძროხის ასე დატანჯვა არ შეიძლება — ისიც უღელში ხომ არ შეებმება?! როგორც ოჯახში ქალი მამაკაცის სამუშაოს ვერ შეასრულებს, ასეა აქაც. საერთოდ, ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს, მამაკაცმა — მამაკაცის. რომელი კაცი იკადრებს ხელში ცული რომ დაგაჭერინოს და ტყეში შეშაზე გაგიშვას?! მეუღლე იმიტომ ჰქვია, რომ ჭაპანი შეგიმსუბუქოს. კაცმა კაცური საქმე უნდა შეასრულოს. ჩვენ ქალს როგორ ვაკადრებთ, რომ ნახირში წავიდეს?! მანიკიური გაუფუჭდება! შეიძლება, ზოგმა ძროხის მოწველაც კი ითაკილოს — სუნი ამივაო.

— ხარი ხომ სრულფასოვანი „კაცი“ არაა?

— მართალია. ხარი მუშა პირუტყვია, ბულას კი გასამრავლებლად იყენებენ. სრულწლოვანი ბულა ანუ დაახლოებით, 1 წლის უკვე თავის ტოლ „გოგონებს“ ეთამაშება. თუკი კასტრაციას ჩაუტარებენ, ის უკვე ხარად იზრდება. ტყუილი რომ არ გამომივიდეს, გეტყვი: ხარები ვის რაღად უნდა? ტექნიკა ისეა განვითარებული, რომ ტვირთის გადასაზიდად მას იშვიათად იყენებენ. ჩვენ იმიტომ ვზრდით, რომ დავკლათ და ხორცი საკვებად გამოიყენოს ხალხმა. ბულად რომ დავტოვოთ და არ დავკოდოთ, ისეთი სიმსუქნე აღარ ექნება. ხარს უფრო ცხიმიანი და გემრიელი ხორცი აქვს.

— ბუნებრივია, ხარს ძროხები არ აინტერესებს...

— „გოგონებს“ თავისივე სქესის კასტრირებული წარმომადგენელი ურჩევნიათ — იჩხუბებენ, იჭიდავებენ...

— ეი. ხარებს ერთმანეთთან შეხმატკბილებული ურთიერთობა არ აქვთ?

— მართალია, ჭიდაობენ ხოლმე, მაგრამ ძალიან მეგობრულები არიან: უღელში შებმული ერთი ხარი რომ გაჩერდება, მეორეც ანალოგიურად იქცევა. ერთი მეორეს „ეტყვის“ — მე დავიღალე და შენც დაისვენეო. გაჩერდებიან. ვიდრე პატრონი ჯოხს სამჯერ მაინც არ წამოარტყამს, ადგილიდან არ დაიძვრებიან. მერე წავლენ და ტვირთს საჭირო ადგილზე მიიტანენ, პატრონი კი გამზადებული საკვებით გაუმასპინძლდება.

— ხარის მოვლა-პატრონობა რთულია?

— საერთოდ, ყველაფერი რთულია. ხარს უამრავი საკვები სჭირდება. მთელი დღე მინდორში დადის — ჭამს და ჭამს. მერე თავის საკვებს ნაკელად აქცევს, რომელიც ჩვენ მინდორში გაგვაქვს, მოდის ხალხი და მიაქვს, რადგან მცენარეებისთვის საუკეთესო სასუქია!

— პირუტყვი თოვლიან ზამთარშიც მინდორში ხომ ვერ დანაყრდება?

— ხარი თოვლში მაღალ ბალახს ეძებს — როცა მოშივდება, ფეხით გაქექავს და იპოვის. წინასწარ რა ვიცოდით, რომ თოვლიანი ზამთარი დაგვიდგებოდა?! რომ გვცოდნოდა, ბეკრ თივას მოვიმარაგებდით. ისე, წელს გვალვიანი ზაფხული იყო და ბალახი სულ გადახმა.

— ხარს როგორი ხასიათი აქვს?



მოგ კაცს სამჯერ რომ უთხრა, ვერაფერს შეაგნებინებ, ხარს ერთხელ რომ დაპკიცლო — ბეჭ ულელში შეებმის! — გამოერდება

— ხშირ შემთხვევაში, ადამიანზე უკეთესი. ზოგ კაცს სამჯერ რომ უთხრა, ვერაფერს შეაგნებინებ, ხარს ერთხელ რომ დაჰკივლო — ჰე, უღელში შეებიო! — გაჩერდება და უღელს დაადებ. ძალიან მგრძნობიარე ცხოველია, ცუდი მოპყრობა აღიზიანებს.

— წყენის გულში ჩადება თუ იცის?

— როგორ არ იცის?! დადგება და უღელში აღარ შეგებმევინება. რამდენ ხანსაც უნდა, დაისვენებს. ურტყი და ურტყი, მაინც არ ადგება. შეიძლება, ნაწყენი არ იყოს, უბრალოდ, ისეთ ხასიათზე გახლდეს, რომ სამუშაოდ წასვლა არ სურდეს. უნდა ელოდო, ხასიათი როდის გამოუკეთდება, რომ უღელში შეებას. ცოტა არ იყოს, ჯიუტია... საერთოდ, ალერსიანი მოპყრობა ყველას სიამოვნებს. ხარსაც მოფერება უნდა! როგორც — ადამიანს, ასევე პირუტყვსაც ეწყინება ჯოხის დარტყმა: შეიძლება, ხარი აღარ შეგეპუოს, წიხლიც მოგარტყას და რქებიც დაგკრას. უკიდურეს შემთხვევაში, „ვილკითაც" ვცემთ. ბოლოს მაინც ვიმორჩილებთ. შეტრიალდება და უღელთან დადგება — შემაბითო...

— შრომისუნარიანი რა ასაკამდეა?

— ხომ გაგიგონია — ბებერი ხარისა რქანიცა ხნავენო? ზოგი ხარი ისეთია, რაც უფრო ბერდება, მით უფრო ძლიერი ხდება! შეგიძლია, 20 წელი ამუშაო. მერე ან სახორცედ ჩავაბარებთ, ან — დავიტოვებთ, თუ ვარგისია. მუშაობით თუ ძალიან დაიტვირთა, წუნდებული ხდება და შრომისთვის აღარ ვარგა... საქართველოს მინდვრებში გაზრდილი ხარის ხორცს სულ სხვა გემო აქვს — უგემრილესია! აქ სასარგებლო მცენარეები იზრდება და იმით იკვებება. შედეგად მისი ხორციც გემრიელი ხდება, კარგი კატლეტი გამოდის. ხარს ჭამა ძალიან უყვარს. საძოვრების გზასაც კარგად იმახსოვრებს. თუკი ვერ დანაყრდა, შინ დაბრუნებისას ნახირს ჩამორჩება და ძოვას გააგრძელებს. ამიტომ ყურადღებით უნდა იყო, პირუტყვი მინდორში რომ არ დაგრჩეს. ხარი ისეთი ცხოველია, სადაც მიაჩვევ, იქ ივლის, მაგრამ ხომ შეიძლება, ნადირმა შეჭამოს ან დააფრთხოს და სადმე გადაჩეხოს?! მერე, ფეხი რომ მოიტეხოს? ამიტომ, მეხრემ ყურადღება ერთი წამითაც არ უნდა მოადუნოს!..

მოკლედ, ასე თუ ისე, 2009 წელს ყველანი „მენახირეები" უნდა ვიყოთ. იმედია, ჩვენი „ყვითელი ხარი" არსად გადაიჩეხება — არც თავს დაიღუპავს და არც ჩვენ დაგვღუპავს. წარმატებულ ახალ წელიწადს გისურვებთ!

როგორ, რით და სად უნდა შეეხვდეთ ახალ წელს?

ახალი, 2009 წელი ძალიან ძლიერი შინაური ცხოველის, ხარის წელია. ამ ცხოველს ხასიათიც შესაბამისი აქვს — ის საოცრად ჯიუტია და ყოველთვის ცდილობს, თავისი გაიტანოს. ჩვენი მთავარი ამოცანა ხარის გაბრაზება კი არა, მისთვის იმის დამტკიცება უნდა იყოს, რომ მთელი 2009 წლის მანძილზე ის ძალიან მაძღარი და კმაყოფილი იქნება...

კითხვაზე — რა უნდა გვეცვას ახალი წლის შეხვედრისას? გიპასუხებთ, — ის, რაც მოგესურვებათ, ოღონდ — არაფერი წითელი! სასურველია, ახალ წელს რომელიმე ბუნებრივი ფერის, ბუნებრივი ქსოვილისგან შექმნილ, მოხერხებულ და პრაქტიკულ სამოსში შეხვდეთ. ქალებს ნებისმიერი ტონალობის ყავისფერი, ყვითელი ან მწვანე კაბის ჩაცმას, მამაკაცებს კი მოხერხებული შავი ან ყავისფერი შარვლის ან სულაც, ჩვეულებრივი ლურჯი ჯინსისა და კომფორტული, სადა პერანგის ან სვიტერის ჩაცმას ვურჩევთ. საერთოდ, ხარის წელში ტანსაცმლის შერჩევისას ჯობს, უპირატესობა იმ სამოსს მიანიჭოთ, რომლისკენაც გული მიგიწევთ...



2009 წლის სიმბოლო ხარი, ასევე — ოჯახური კერა და ბუხარია. ამიტომაც, კითხვაზე — სად შეეხვდეთ ახალ წელს? — გიპასუხებთ, — ამჯერად ყველაფერს სჯობს, ახალ წელს შინ, ოჯახში შეხვდეთ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, იქ, სადაც ისევე იგრძნობთ თავს, როგორც საკუთარ სახლში. ეს წელი ოჯახური ურთიერთობების განმტკიცებას შეუწყობს ხელს, ბევრ წყვილს მემკვიდრე შეეძინება, ბევრი ქალი და მამაკაცი კი საკუთარი ბედის ერთმანეთთან ქორწინებით, ჯვრისწერით დაკავშირებას მოინდომებს.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, 2009 წელს ყველგან, თუნდაც მთავრეზე, მარსსა ან ვენერაზე შეხვდეთ, მაგრამ ხარის წელიწადში ბედი

მხოლოდ იმათ გაუღიმებს, ვინც ახალ წელს შინ, ახლობელი და საყვარელი ადამიანების გარემოცვაში შეხვდება!

როგორ უნდა შევხვდეთ ხარის წელს? პირველ რიგში, ხელგაშლილობა უნდა გამოიჩინოთ და ალილოზე კარდაკარ მოსიარულე ბავშვებს ფული და კანფეტები გულუხვად ჩამოურიგოთ.

ყველაფერს სჯობს, სტუმრები საერთოდ არ მიიღოთ (განსაკუთრებით, უცნობი ადამიანების მოპატიჟება არ ღირს) და ამ ახალ წელს სუფრასთან მხოლოდ ოჯახის წევრები შეიკრიბოთ. სადღესასწაულო სუფრა ოთახის შუაგულში მდგარ მაგიდაზე უნდა გაიშალოს, რათა მის გარშემო ყველა მოხერხებულად მოკალათდეს.

კარგი იქნება, თუ არ დაიზარებთ და ხარის წლის შესახვედრად რაც შეიძლება მეტ კერძს (თევზისგან, ახალი ბოსტნეულისგან, ღორის ხორცისგან) მოამზადებთ. გამოაცხვეთ ნაირ-ნაირი ნამცხვარი ან ერთი დიდი, გემრიელი ტორტი. ახალ წელს



სუფრა ხილითაც დაამშვენეთ. ალბათ თავადაც ხვდებით, რომ საქონლის ხორცი სუფრაზე არ უნდა იყოს, თორემ 2009 წლის ბატონი — ხარი ძალიან გაგინაწყენდებათ.

როგორია ხარის წლის შეხვედრის საუკეთესო სცენარი? წვეულებაზე ბევრი საჭმელი, ცოტა ალკოჰოლური სასმელი, ნაკლებად ხმაურიანი და გამომწვევი გასართობი პროგრამა უნდა იყოს. ოჯახურ წრეში ახალი წლის შესახვედრად საერთოდ, არანაირი სცენარი არ არის საჭირო. მთავარია, ერთად იყოთ და მხიარულება ნამდვილად არ მოგაკლდებათ! ■

ვალი არ დაბრუნოთ, ახალი სამოსი ჩაიცვით

ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, წელიწადს როგორც შეხვდები, ისევე გაატარებ! თუმცა ამ ერთ-ერთ ყველაზე საზეიმო მოვლენასთან დაკავშირებული კიდევ არაერთი სხვა ცრურწმენაც არსებობს.

ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ახალი წლის დამდეგს სახლის დალაგება არ შეიძლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი წლიდან კეთილდღეობაზე ფიქრსაც კი უნდა შეეშვათ. ამიტომაც სახლი საგულდაგულოდ ერთი კვირით ადრედაალაგოთ, 30 დეკემბერს (და არავითარ შემთხვევაში — 31-ში!) კი მისი ოდნავ მოწესრიგებაღა დაგჭირდებათ.

31 დეკემბრისთვის, შეძლებისდაგვარად, ყველა საქმის დასრულება უნდა მოახერხოთ. ეს განსაკუთრებით ეხება უსიამოვნო საქმეებს, რომლებიც მომდევნო წელს არაფრით უნდა გადაიყოლოთ. მაგრამ ისიც უთუოდ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ახალი წლის დამდეგს არც გადამეტებული სიჩქარე და ფაციფუცი ღირს. ამიტომ სიტუაცია რეალურად შეაფასეთ და ის, რის გაკეთებასაც 31 დეკემბრის 17 საათამდე ვერ მოასწრებთ, მომდევნო წლისთვის გადადეთ.

საახალწლო სუფრა უთუოდ უხვი, საჭმელ-სასმლით დატვირთული უნდა იყოს, რაც იმის გარანტია იქნება, რომ მთელი წელი არაფერი მოგაკლდებათ. თუ ახალ წელს ახალ სამოსში შეხვდებით, მაშინ ის უთუოდ წარმატებული იქნება. მეტიც, ამ შემთხვევაში მთელი წელიც ახლებში ივლით.

თუ ახალ წელს ცარიელი ჯიბით შეხვდებით, მთელი წლის უფულოდ გატარებაც მოგიწევთ. ამიტომ, თუ საკუთარი ფული აღარ დაგრჩებათ, სხვისგან მაინც უნდა ისესხოთ. თავად კი ძველი ვალის ახალ წლამდე გასტუმრება არ იჩქაროთ, თორემ მთელი წელი ვალებიდან ვეღარ ამოხვალთ.

თუ გინდათ, ახალი წლიდან თქვენი მთავარი მეგზური ფინანსური წარმატება გახდეს, მაშინ, აღმოსავლელი ასტროლოგების რჩევით, მაცივრის ფსკერზე უნდა მოათავსოთ წითელი ტომსიკა, რომელშიც სპილენძის სამი მონეტა, თანაც, აუცილებლად სამივე — ზურგით („რეშკით") მაღლა უნდა იდოს. თურმე ნუ იტყვით და, მაცივარი ჩვენს დროში ბრინჯიანი კასრის სიმბოლო ყოფილა, ასეთი კასრი კი ძველ ჩინეთში სიმდიდრისა და აყვავების სიმბოლოდ მიიჩნეოდა.

საახალწლო მხიარულებისას რაიმე ჭურჭლის — ჭიქის, თეფშის, სირჩის გატეხა ცუდის ნიშანია. ეცადეთ, ამ ღამეს საერთოდ, არაფერი გატეხოთ. ასევე არ ღირს ფანჯრებიდან რაიმის, თუნდაც კანფეტის ქაღალდის გადაგდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი წელი სხვისი ნაგვის (თანაც — როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) ქექვა მოგიწევთ.

გაგრძელება იხ. გვ. 97

რამდენიმე ფაქტი ისტორიიდან:

- ახალი წლის დღესასწაული უძველეს ხალხებში ჩვეულებრივ, ბუნების გამოღვიძებას ემთხვეოდა და ძირითადად, მარტში აღინიშნებოდა.
- ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციას მესოპოტამიის მცხოვრებთ უნდა ვუმადლოდეთ. ყველა სამიწათმოქმედო სამუშაო მარტის ბოლოს ანუ მას შემდეგ იწყებოდა, რაც ტიგროსი და ევფრატი ადიდდებოდა. თვით ეს მოვლენა კი 12 დღის მანძილზე, საზეიმო მსვლელობებით, კარნავალებითა და მასკარადებით აღინიშნებოდა. ამ პერიოდში რაიმე სამუშაოს შესრულება, ვინმესთვის განაჩენის გამოტანა და დამნაშავის დასჯა აკრძალული იყო.
- სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ახალი წლის დადგომა 1-ელ მარტს, 25 მარტს, 1-ელ სექტემბერს, 23 სექტემბერს და 25 ოქტომბერს აღინიშნებოდა. 1564 წელს კი საფრანგეთის მეფე კარლოს IX-მ წლის 1-ელი იანვრიდან დაწყება ბრძანა, რაც მოგვიანებით დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც გადაიღეს.
- ინდოეთში ახალი წლის აღსანიშნავად, დღემდე მთელი 8 თარიღი არსებობს.
- ინდოენეზიაში ახალი წელი ოქტომბერში დგება. ამ დღეს ლამაზად გამოწყობილი ადამიანები ერთმანეთს წინა წელს მიყენებული ყველა უსიამოვნებისთვის პატიებას სთხოვენ.
- ძველ წელს მიკრონეზიელებიც 31 დეკემბერს აცილებენ. ერთ-ერთი კუნძულის მცხოვრებნი კი ყოველ ახალ წელს (ანუ 1-ელ იანვარს) ახალი სახელითაც ილვიძებენ. ამას ისინი უწმინდური ძალისთვის თავგზის ასაბნევად აკეთებენ. დილაადრიან ოჯახის წევრები თავიანთ ახალ სახელებს ერთმანეთს ჩურჩულით ატყობინებენ, ხოლო იმისთვის, რომ მათი ჩურჩული ბორიტმა სულმაც არ მოისმინოს, ნათესავთაგან ერთ-ერთი დაირაზე გამალებით უბაგუნებს.

„ვინ შეიძლება ინატრო, თუ არა პატრიარქი“

მეკვლე ახალი წლის პირველ მიმლოცველს ჰქვია. იმას, თუ ვინ იქნებოდა ოჯახის მეკვლე, საქართველოში ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ტრადიცია დღემდე გრძელდება. საამისოდ ოჯახები ფეხბედნიერ ადამიანს საკუთარი სამეგობროდან, სანათესავოდან ან სულაც, სამეზობლოდან ირჩევენ. საინტერესოა, ცნობილი ადამიანებიდან ვის აირჩევდნენ მეკვლედ თბილისელები? — ამის გასარკვევად წინასაახალწლოდ „პატარა არჩევნები“ ყოველგვარი აყალმაყალისა და მიტინგების გარეშე ჩავატარეთ.

„ვისურვებ, რომ ვლადიმირ პუტინი მესტუმროს და“...

თამუნა კვინიკაძე

დოდო ბოგვერაძე, *47 წლის:*

— ჩვენს ოჯახში მეკვლედ ყოველთვის ერთი და იგივე ადამიანი მოდიოდა, რადგან მას კარგი ფეხი ჰქონდა.

— თქვენი აზრით, კარგი და ცუდი ფეხის ადამიანები არსებობენ?

— ალბათ, არსებობენ. ეს ბავშვობიდან მაქვს ჩანერგილი. ბებიაჩემის ოჯახში მეკვლედ ყოველთვის მე და ჩემი ძმა მივდიოდით, კართან დავდგებოდით და ვჩხუბობდით — ორივეს პირველს გვინდოდა შესვლა.

— ცნობილი ადამიანებიდან მეკვლედ ვის აირჩევდით?

— ვაიმე, ამაზე არ მიფიქრია... მეკვლედ პატრიარქს ავირჩევ. მისი მჯერა და მწამს.

— პოლიტიკოსებიდან?

— სიმართლე გითხრათ, არც ერთის მეკვლეობა არ მინდა.

— რატომ?

— აღარ ვიცი, ვის ვენდო, მათ შორის რომელია პატრიოტი და რომელი — არა.

თენგო თეთრაძე, *53 წლის:*

— ცნობილი ადამიანებიდან ორი პიროვნების მეკვლეობას ვისურვებ. ესენი არიან დავით გამყრელიძე და დავით უსუფაშვილი. მოხარული ვარ, რომ „რესპუბლიკელებისა“ და „მემარჯვენეების“ გაერთიანება მოხდა.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ, პირველი ქართული ზეთი – „ქარვა“ დაბრუნდა. ზეთი „ქარვა“ პირველად 2005 წელს გამოჩნდა ქართულ ბაზარზე და მომხმარებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. 2007 წლის დეკემბერში დაიწყო საწარმოს რეორგანიზაცია, რის გამოც ზეთის წარმოება ერთი წლით შეჩერდა.

2008 წლის დეკემბრიდან „საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია – ქარვა“ მომხმარებლებს „ზეთი ქარვა“-ს სავაჭრო ნიშნით შესთავაზებს უმაღლესი ხარისხის რაფინირებულ და არარაფინირებულ ზეთს. „ზეთი ქარვა“ საქართველოშია დამზადებული, ადგილობრივი და ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის გამოყენებით. არარაფინირებული ზეთი – „სუფთა კახური“ გამორჩეულია ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებით და მზესუმზირის ბუნებრივი სურნელით.

„საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია – ქარვა“ მომხმარებლებს უახლოეს მომავალში ეროვნული წარმოების სხვა ხარისხიან პროდუქტებსაც შესთავაზებს.

იქნებ, ჩვენი იმედი მათ მაინც გაამართლონ.

გიორგი ხომასურიძე, *24 წლის:*

— პირველ რიგში, ჩემს უსაყვარლეს რეჟისორს — რობერტ სტურუას დავასახელებ, შემდეგ კი პრემიერ-მინისტრ — გეგა მგალობლიშვილს. მასზე ბევრი კარგი რამ მსმენია და მეკვლედ თუ მესტუმრება, უფრო ახლოს გავიცნობ. იმედია, ერთმანეთს გავუგებთ.

მზია ხომერიკი, *44 წლის:*

— მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. ყველას გილოცავთ ახალ წელს და წარმატებებს გისურვებთ! ცნობილი ადამიანებიდან მეკვლედ ბუბა კიკაბიძეს ავირჩევდი.

— პოლიტიკოსებიდან?

— მართალია, პოლიტიკოსი არ არის, მაგრამ ჩემი ოჯახისათვის სოზარ სუბარის მეკვლეობაც სასურველი იქნება.

გვანცა გამცემლიძე, *18 წლის:*

— ვისაც დავასახელებ, მართლა ჩემი მეკვლე იქნება?

— არა, უბრალოდ, გვაინტერესებს, თქვენი რჩეული ვინ იქნება.

— პოლიტიკოსების მეკვლეობას ნამდვილად არ ვისურვებ. არჩევანს მსახიობზე შევაჩერებ.

— მათგან ერთ-ერთი უნდა დაასახელო.

— თეატრი და პოეზია მიყვარს... მეკვლედ ნიკო გომელაურს ავირჩევ.

მეკვლედ ბუბა კიკაბიძეს ავირჩევდი

დათო ძურდაძე, *27 წლის:*

— მინდა, მეკვლედ სერიალის — „შუა ქალაქში" — მსახიობები მესტუმრონ, განსაკუთრებით, ირაკლისა და დები ღლონტების როლების შემსრულებლები. ამბობენ, ირაკლი პროფესიით ექიმიაო. მართალია?

— მართალია. ირაკლის როლს ექიმი ოთარ ტატიშვილი ასრულებს.

— მათთან ერთად მინდა, მეკვლედ კიდევ ერთი ცნობილი ადამიანი — სოზარ სუბარი მესტუმროს. რატომღაც მგონია, რომ ეს ადამიანი ყოველთვის სიმართლეს ამბობს.

ინგა რაზმაძე, *61 წლის:*

— მეკვლედ ვინ შეიძლება, ინატრო, თუ არა პატრიარქი?! მინდა, მას შობა-ახალი წელი მივულოცო და ქართველი ხალხის იმედად და ღვთის სადიდებლად, დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო!

მაკა მუსერიძე, *30 წლის:*

— მეკვლედ ბარაკ ობამას ვისურვებდი. არ გეხუმრებით, ეს ადამიანი ძალიან მომწონს. ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებშიც მას ვგულშემატკივრობდი. ქართველი პოლიტიკოსები ნაკლებად მიზიდავენ. ჩვენი პრეზიდენტი დავასახელო? (*ფიქრობს*) არა, არა, საკაშვილს, ობამა მირჩევნია.

დავით კაპანაძე, *58 წლის:*

— მეკვლედ ვის ვისურვებდი? (*ფიქრობს*) ჟურნალისტები რას აღარ მოიგონებთ ხოლმე!.. მხოლოდ პატრიარს დავასახელებ. საერთოდ, ცნობილი ადამიანები ნაკლებად მიზიდავენ.

ანი ზოდელავა, *25 წლის:*

— მინდა, ჩემი ოჯახის მეკვლე სოზარ სუბარი იყოს. მას ახლოს გავიცნობ, რა იცი, რა ხდება.

— რა უნდა მოხდეს?

— თუ ვინმე დამჩაგრავს და ჩემს უფლებებს დაარღვევს, დახმარებისთვის მას მივმართავ.

სვეტა ნათაძე, *18 წლის:*

— ცნობილი ადამიანებიდან ჟურნალისტ დავით კიკალიშვილის მეკვლეობას ვისურვებ. ეს ადამიანი ძალიან მომწონს და რა ვქნა?!

გუჯა მეგრელიშვილი, *49 წლის:*

— ვისურვებ, რომ ჩემს ოჯახში სტუმრად ვლადიმირ პუტინი მოვიდეს და თავის სახლში როგორ წავა, იმასაც ვნახავ. ეს ორივესთვის დაუვიწყარი ახალი წელი იქნება...

ირმა აბზიანიძე, *45 წლის:*

— მეკვლედ მსახიობ გია ბურჯანაძეს ავირჩევ. ეს ადამიანი ძალიან მომწონს. გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი მსახიობია, კარგი პიროვნებაა.

— პოლიტიკოსებიდან ვის დაასახელებთ?

მგონია, რომ ეს ადამიანი ყოველთვის სიმართლეს ამბობს

— ირაკლი ალასანიას. გია ბურჯანაძისგან განსხვავებით, ამ პიროვნებაზე ბევრი არაფერი ვიცი და მისი გაცნობის სურვილი მაქვს.

ნიკოლოზ ბერიძე, *72 წლის:*

— მსურს, ჩემი ოჯახის მეკვლე შალვა ნათელაშვილი იყოს. ამ ადამიანის რატომ არავის ესმის? სიმართლეს ამბობს, დაუჯერეთ!

— ხელოვნებიდან ვის აირჩევთ?

— ვახუშტი კოტეტიშვილი მიყვარდა ძალიან. ის ცოცხალი აღარ არის და... (*ფიქრობს*) სხვას ვერავის დაგისახელებთ.

ნათია დემურიშვილი:

— ვისურვებ, რომ ახალი წლის ღამეს, 12 საათის შემდეგ, კაკუნის ხმა გაისმას, კარი გამოვაღო და იქ „კომედი შოუს" მსახიობები დამხვდნენ. ბიჭებო, ყველანი ძალიან მიყვარხართ და ახალ წელს გი-ლოცავთ!!!

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური გამოკითხვა 2007 წლის ბოლოსაც ჩავატარეთ. მაშინ ჩვენი რესპონდენტების უმრავლესობამ სასურველ მეკვლეებად მსახიობი გია ბურჯანაძე და გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი — ლევან გაჩეჩილაძე დაასახელა. წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ პოლიტიკოსები საზოგადოებაში ნდობასა და სიმპათიას თანდათან კარგავენ...

„კაუჩუკის“ ჩუჩჩხელა, ტიმოშენკოს ნიმოზი და ომგამოვლილი ვაშლი

ანუ ნამუსი არ იყიდება!

მართალია, ნაომარი და ოკუპირებული ქვეყანა ვართ, თანაც გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმაც დაგვრია ხელი, მაგრამ წინასაახალწლო სამზადისი დედაქალაქში მაინც ჩვეული რიტმით მიმდინარეობს. ბიუჯეტის ხარჯზე, თბილისი ფერადფერადი ნათურებითა და სხვადასხვა ზომისა თუ დიზაინის ნაძვის ხეებით მორთეს. მართალია, წელს მერიის ხარჯზე საცივსა და ხაჭაპურს ვეღარ შევჭამთ, სამაგიეროდ, საზეიმო განწყობილებას საკონცერტო სანახაობითა და გრანდიოზული ფეიერვერკით შეგვიქმნიან. საცივი და ხაჭაპური კი სახლიდან უნდა გავიყოლოთ და კიდევ, ტკბილეული, რომ ამ მწარე ყოფაში ერთმანეთს ტკბილი სიბერე ვუსურვოთ...

ემა ტუხიაშვილი

დღეიდან ნაძვის ხე ყველა ოჯახში დაიდგმება, მისი მორთვა-მოკაზმვა კი, გემოვნებასთან ერთად, მატერიალურ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, შეიძლება, საახალწლო განწყობილება ძველი, კარადაში ან სხვენის ბნელ კუთხეში გადანახული ნაძვის ხითაც შევიქმნათ, მაგრამ ტრადიციისამებრ, რამდენიმე ახალი სათამაშო მაინც უნდა შევმატოთ. ვისაც ჯიბე „უჭრის“, შეუძლია, საახალწლო შოპინგს კომფორტულად, „ძვირიან“ მაღაზიასა თუ სავაჭრო ცენტრში მიჰყოს ხელი. მაგრამ თუ საახალწლო სუფრისთვის ფულის დაზოგვას აპირებთ, გირჩევთ, ღია ცის ქვეშ მოწყობილ საახალწლო ბაზრობაზე გაიაროთ.

თბილისის ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საახალწლო აქსესუარებით, ხელოვნური ნაძვებითა და გირლანდებით დახუნძლული დახლები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგას. მოგეხსენებათ, დამდეგი ახალი წელი, აღმოსავლური კალენდრით, ხარის წელიწადია, ამიტომ, პირველ რიგში, თვალში მოგხვდებათ სათამაშო ხარის სიმრავლე და გაოცების გარეშე არც მათი ფასი დაგტოვებთ.

— ეს ხარი მღერის, ეს კი კიდეც მღერის და კიდეც ცეკვავს; ამას ღმუილი შეუძლია, ეს კი ურემს ეწევა, — *თავისი პროდუქციის რეკლამირებას ახდენდა ახალგაზრდა გამყიდველი მამაკაცი.*

— ხარის ფასიც ალბათ ამაზეა დამოკიდებული, არა? — *ჩავეკითხე.*

— რა თქმა უნდა, გენაცვალე! აბა, ეს ნამდვილი ხარი ხომ არ არის, წონის მიხედვით რომ შევაფასოთ. თუ ნამდვილი მყიდველი ხარ, აი, ამ შავ ხარს 50 ლარად მოგართმევ. შეხედე ერთი, რა საყვარელია, ვერ გაარჩევ ნამდვილისგან. ეს თუ არ მოგწონს, წითელი ხარი წაიღე, რომ მომართავ, ენას ყოფს!.. მასე რატომ უყურებ?! ნუ გეშინია, რქენა მაგან არ იცის, არც წითელ ფერზე ღიზიანდება. სხვა რა შემოგთავაზო? ბალახის ჭამა ამათ არ იციან და არც მიწას დაგიმუშავებენ. აბა, ის სჯობდა, წელს რომ ვირთხის წელი იყო?! ვირთხები ჩამძვრალან ჩვენი მთავრობის წევრების ჯიბეებში და სულ შეუჭამიათ ხალხის ხარჯზე ნაშოვნი მილიონები!.. ნაძლევს დავდებ — შარშან სათამაშო ვირთხა იყიდე და შეიტანე სახლში, ჩემს ხარებს კი ასე ამრეზით ათვალიერებ, — *მომაძახა განაწყენებულმა გამყიდველმა და დახლთან მდგარი სხვა მყიდველის „შებმა“ დაიწყო.*

მეზობელ დახლთან კი ხელოვნური ნაძვებით ვაჭრობდნენ. ყველაზე მაღალ ნაძვს 200 ლარს აფასებდნენ, ყველაზე მცირე ზომისას კი მყიდველებს 10 ლარად სთავაზობდნენ.

— კაცო, რა არ მოგწონს?! ნაძვი ხომ არის, მწვანე ფერი აქვს, აგერ გირჩევიც გამოუსხამს ვითომ და ახლა, ლაპარაკი და ცეკვა-თამაში ამას არ შეუძლია, — *ეკამათებოდა მოვაჭრე, პრეტენზიულ მყიდველს.*

— არა, ნაძვი კარგია, მაგრამ ტოტები აქვს დაბრეცილი, — *სახე მომანჭა მყიდველმა.*

— რა ხალხი დადის ამ ბაზრობაზე, გაგიუდები! ამ ნაძვმა იცი, რა მანძილი გამოიარა, აქამდე რომ მოეღწია?! თურქეთიდან თბილისამდე, დაკეცილი, დაპრესილი იდო მანქანის საბარგულში. მიიტან სახლში, გახსნი, გაალამაზებ, მიეფერები, უმღერებ, უცეკვებ და ესეც გაიმართება წელში, ტოტებსაც გაშლის და ისე მოგეწონება, თვალს ვეღარ მოსწყვეტ, — *სიტყვა დაასრულა გამყიდველმა და მყიდველის გულის მოსაგებად, ნაძვის ხის ფასი კიდევ 5 ლარით შეამცირა.*

— ამ გაჭირვებულ ყოფაში ჩემს შვილებს ვეღარ ვეფერები და ნაძვის მოფერების თავი სად მაქვს?!. თუ კაცი ხარ, ერთი, ისეთი ნაძვის ხე მომეცი, მოფერება და თან გადაყოლა რომ არ სჭირდება. თუ არა და, ნაძვის მეტი რა არის? წავალ და სხვასთან ვიყიდი, — *უხეშად მიმართა მუშტარმა ენაწყლიან გამყიდველს.*

— ნეტავ, შენს გაძლებას!.. წადი, წადი, გაიარე და ეგებ ისეთი ნაძვიც ნახო, საახალწლო სუფრას თავად რომ გაგინყობს! — *მიაძახა გამყიდველმა უკვე დაძრულ მუშტარს და თავისთვის რაღაც ჩაიბურტყუნა.*

შპს „გისაჯუ“

დაზოგეთ დრო და ენერგია

დაგიმზადებთ მეგრულ საცივს, ყველა ოჯახისთვის სახლში მიტანით.

შეკვეთები მიიღება 29 დეკემბრამდე

იჩქარეთ!!!

54 08 78; 879 507804

ნაძვის ხეების გვერდით სხვადასხვა ზომის ჩიჩილაკები ჩაემწკრივებინათ. სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი ბიჭი კი დროდადრო წამოიძახებდა: აბა, ქართული ნაძვის ხე გავიყოლოთო! როგორც ჩანს, გამვლელებიდან ვიღაცას მისი სარეკლამო „სლოგანი“ არ მოეწონა და შეუსწორა: ეგ ქართული ნაძვის ხე კი არა, გურული ჩიჩილაკიაო.

— მაგდენ ლაპარაკს, მოდი და იყიდე, რას დავეძებ, რაც გინდა, ის დაარქვი. ყველაზე დიდ ჩიჩილაკს 10 ლარად მოგართმევ, ყველაზე „ცქნაფას“ კი — ლარად გაგატან.



— მაგ ლარიან ჩიჩილაკს ცოტა კიდევ დააკელი და ორს ვიყიდი, — შევაჭრება სცადა მყიდველმა.

— ეჰე! მეც ხომ არ გამოვყვე თან?.. შე კაი კაცო, 20 თეთრის გულისთვის ვკანკალებ ამ ყინვაში, ქველმოქმედებას კი არ ვეწევი, — აშკარად განაწყენებული ჩანდა გამყიდველი ბიჭი.

ამასობაში შორიახლოდან ჩხუბისა და აყალმაყალის ხმა შემომესმა და მეც იქით გავეშურე. გარე მოვაჭრეებსა და საპატრულო პოლიციას შორის შელაპარაკება მომხდარა. ერთ-ერთ ქალბატონს შვილი გამოჰქომაგებია: სხვა გარე მოვაჭრეებს თუ არაფერს ერჩით, აქ დგომას არ უკრძალავთ, დედაჩემმა რა დაგიშავათო?!. ამის გამო, ახალგაზრდა კაცისთვის პატრულს ხელბორკილი დაუდვია და პოლიციის განყოფილებაში წაუყვანია. დაკავებულის დედა გულწასული მისვენებულიყო სახელდახელოდ მონყობილ დახლზე და ქალები ყურის ბიბილოებს უსრესდნენ. მოვაჭრე ქალები ცხარობდნენ: ისე გვიჭირს, რომ აგვისტოს ომის დროსაც აქ, ქუჩაში ვიდექით, მუშტრის მოლოდინში, რომ სახლში პურის ფული მაინც შეგვეტანა და პატრულის რამდენი თანამშრომელი ვიცით, ცოლ-შვილი, უსაფრთხოების მიზნით, საქართველოდან რომ გაჰყავდაო!..

ნაძვის ხის „მორთვა-მოკაზმვის“ შემდეგ, საახალწლო სუფრის „სამზადისს“ შევუდექი. ყოფილი დეზერტირების ბაზრის შენობა ისე გაუსწორებიათ მიწასთან, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. ბაზრის მოვაჭრეების ნაწილს, დახლები ყოფილი „კოლმეურნის“ შენობაში მოუწყვია; თბილისელებს კარგად ახსოვთ, რომ ამ კინოთეატრში ძირითადად, ინდური ფილმების ჩვენება ენყობოდა. მოკლედ, იქ, სადაც წლების წინ, „ბატონი 420“-ის გაბმული სიმღერის ხმა ისმოდა, ახლა ქათმების კრიახისა და გოჭების ჭყვიტინი დაგატყობთ. ვინც ყოფილი კინოთეატრის შენობაში ვერ დაეტია, დახლები პირდაპირ ქუჩაში გაშალა და ზამთრის სიცივეს ალმოდებული საბურავებით, მამაპაპური ჭაჭითა და მოსწრებული სიტყვა-პასუხით უმკლავდება.

— დაილოცოს ამის მომგონი, გამითბა ძვლები! — არყით სავსე ჭიქა გამოცალა კაცმა და ქურთუკის სახელოთი ტუჩები შეიმშრალა. — მოდი, გენეცვალე, საუკეთესო ნიგოზს გაგატან, 20 ლარს ვაფასებ, შენ კი — 18-ად გაგატან.

— რა ამბავია, მგლობაა?! არ მითხრა ახლა, ნიგოზიც დოლარის კურსმა გააძვირაო!

— ამაზე კარგ ფასად ქართულ ნიგოზს ვერსად იყიდი. ბაზარზე უკრაინული ნიგოზი შემოყარეს, ხუმრობით, ტიმოშენკოს ნიგოზსაც ეძახიან. თეთრი კი არის, იულიასავით, მაგრამ ჩალის გემო აქვს. უკრაინულ ნიგოზს კილოგრამს 8 ლარადაც იყიდი, მაგრამ მაგით გოზინაყიც უგემური გამოგივა და საცივიც.

— მუხრანის ქათამი, კილოგრამი 5 ლარად!

— კუჭი, გული და ფილტვი ადგილზე აქვს?

— კაცო, შენ ამ ქათმის ჭამას აპირებ თუ საექსპერტიზოდ მის გაკვეთას?!.

— ინდაური რა ღირს?

— ამ პატარა ინდაურს 50 ლარად მოგართმევთ, ცოტა უფრო მოზრდილს — 70 ლარად, ყველაზე დიდი კი 90 ღირს და „კაპიკი“ არ დააკლდება.

— რა ამბავია?! ინდაურს კი არა, მაგ ფასად, ხბოს იყიდის კაცი.

— როგორ გეკადრება, ქალბატონო, ახლა ხბოს კი არა, მის კუდსაც ვეღარ შეიძენ 90 ლარად. ერთი მითხარი, ეგ სატაბაკე გოჭი რა ფასად იყიდე?

— 6 კილოგრამზე მეტს იწონის და 120 ლარი გადავიხადე.

— თავს დავდებ, რომ ეგ შენი გოჭი 2 თვეზე მეტი ხნის არ იქნება და ძუძუზეა გაზრდილი, ჩემს ინდაურებს კი ორი წლის განმავლობაში სიმინდი აქვთ ნაჭამი! ახლა მითხარი, რომელი უფრო გემრიელი იქნება?

— ჩურჩხელა რა ღირს?

— კახურს 2 ლარად მოგართმევთ, იმერულს კი — ლარად. სხვაგან ამ ფასად „კაუჩუკის“ ჩურჩხელას შემოგაპარებენ, სიდედრის ენასავით მწარე ნიგვზისგან დამზადებულს და იმის ჭამით კბილები დაგცვივდება; ჩემი ჩურჩხელები კი ბამბის ქულასავით რბილი და ლამაზი ქალივით ტკბილია. შეჭამ, არ ინანებ!..

— მეგრული სულუგუნი 12 ლარი ღირს, იმერული ყველი — 7 ლარი, ახალდადებული, თბილ-თბილი სოფლის კვერცხი კი — 40 თეთრი. მოასწარით ყიდვა, თორემ ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ყველაფერი ერთიორად გაძვირდება.

— რატომ, კაცო, ახლა, ამ მოკლე ხანში, საწყალი ხალხის ხარჯზე გინდათ, ხელი მოითბოთ?

— ჩვენ რა, ხალხი არ ვართ?! ჩემს შვილებს მხოლოდ კვერცხს ხომ ვერ ვაჭმევ, კაკანს დაიწყებენ. საახალწლოდ თითო კილოგრამი ტკბილეული მეც ხომ უნდა შევიტანო სახლში!

— აბა, ომგამოვლილი ვაშლი იაფად: სტარტი, ბროცკი, კეხურა!

— თევზი სუპერი — „ტალსტალობიკს“ 3 ლარად მოგართმევთ, კალმახს კი კილოს — 8 ლარად! ვისაც ჯიბე არ სწვდება, ფოთის ხამსა ინებეთ, ჩააბასტურმებ, შეწვავ და ღორის მწვადს გვერდზე გადადებ!..

— ხიზილალა რა ღირს?

— წითელი ხიზილალა 150-გრამიან შეფუთვაში — 25 ლარი, შავ, ხელოვნურ ხიზილალას კი 8 ლარად მოგართმევ. საახალწლო სუფრას კი დაამშვენებს, მტერსაც დაუბრმავებ თვალს, მაგრამ მის ჭამას მაინც არ გირჩევ.

— ღორის ხორცი — მყარი გარანტიით! კილო — 12 ლარიდან.

— დედა, რა სიძვირეა აქ! ისევ, ნავთლულში, „გედების ბაზარზე“ წავიდე ჯობია.

— ერთი ამას დამიხედე! აქ რა, ყვავები კი არ ვსხედვართ. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ აქ სულ გედებივით ქალები ვაჭრობენ.

— სომხური სტაფილო და ჭარხალი გავიყოლოთ! თურქული კიტრი და პომიდორი შევიძინოთ! აფრიკული ბანანი და ანანასი! ბერძნული ლიმონი და ფორთოხალი! ქართული მხოლოდ სინდისი შეგვრჩა და თუ ძალით არ აგვხადეს, არ იყიდება!

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ
ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲨᲝᲑᲐ-ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ
ᲓᲐ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ "ᲐᲕᲔᲠᲡᲘ"-Ს
ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲔᲑᲨᲘ 20%-ᲘᲐᲜᲘ
ᲤᲐᲡᲓᲐᲙᲚᲔᲑᲘᲗ
ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ "ᲓᲝᲚᲘᲕᲐ"-Ს,
ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠ "ᲡᲐᲣᲒᲔᲚᲐ"-ᲡᲐ ᲓᲐ
ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲖᲚᲕᲘᲡ
ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ
ᲨᲔᲛᲡᲕᲔᲚ "ᲐᲰᲐᲕᲐ"-Ს
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲙᲝᲡᲛᲔᲢᲘᲙᲐᲡ.
ᲐᲕᲔᲠᲡᲘ
VERSI
SAUGELLA
D'Oliva
AHAVA
ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲧᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ!

„გზამ“ ცნობილ ადამიანებში 10 საუკეთესო ჟურნალისტი გამოავლინა

ლალი ფაცია

ბოლო დროს, ჟურნალისტების მისამართით რესპონდენტების მხრიდან არაერთი შენიშვნა გამოთქმულა: რომ ამ პროფესიის ადამიანები ხშირად სცოდავენ, რესპონდენტების მიერ გამოთქმულ აზრს ამახინჯებენ, სტატიებს მყვირალა სათაურებს უკეთებენ და საერთოდ არ ინდობენ თანამოსაუბრეებს... მოკლედ, ჩვენი დამცველი ცოტა თუ შეგვხვედრია (ვისაც არ ეზარება, ყველა ჟურნალისტს აძაგებს).

ამ რუბრიკის შექმნისკენაც სწორედ იმან გვიბიძგა, რომ ცნობილ ადამიანებს, რომლებსაც პრეტენზიები აქვთ ხოლმე ბეჭდური მედიის წარმომადგენლების მისამართით, ჟურნალისტის როლში თავი ერთხელ მაინც გამოეცადათ... ასე რომ, ამ რუბრიკის შექმნიდან უკვე რამდენიმე წელი გავიდა და შესაბამისად, მასში არაერთმა ადამიანმა მოსინჯა საკუთარი ძალები და პირადად დარწმუნდა, რომ ჟურნალისტობა არცთუ ისე იოლი საქმეა და ამ როლში ყოფნას თითოეული მათგანი მაინცდამაინც არ ისურვებდა.

ამჯერად, ჩვენი რუბრიკა ოდნავ უჩვეულოდ გამოიყურება — ის ერთგვარი შეჯამება გახლავთ, რადგანაც ვისურვეთ, წლის საუკეთესო ჟურნალისტები გამოგვევლინა. გეტყვით, რომ წლეულს ჟურნალისტის როლში სულ 95-მა ცნობილმა ადამიანმა (ზოგმა ორჯერაც) მიიღო მონაწილეობა. თითოეული მათგანი ცდილობდა, პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდა მიცემულ დავალებას და შესაბამისად, ჟურნალისტის როლი გაეთავისებინა. ჩაწერილი ინტერვიუები თავისებურად საინტერესო იყო, მაგრამ ვეცადეთ, მათგან მაინც რამდენიმე გამოგვეყო და საუკეთესო ჟურნალისტები გამოგვევლინა. ამ სიაში აღმოჩდნენ: ნიკა არაბიძე, ლალი მოროშკინა, ნანკა კალატოზიშვილი, ოთარ ტატიშვილი, ანრი ჯოხაძე, მარიკა თხელიძე, რატი დურგლიშვილი, ხათუნა სხირტლაძე, ვანო ჯავახიშვილი და ანი გიუნტერი. ახლა შემოგთავაზებთ ნაწყვეტებს, თავისი სათაურებით, იმ ინტერვიუებიდან, რომლებიც 2008 წელს დასახელებულმა ადამიანებმა ჟურნალისტის როლში ჩვენი ჟურნალისთვის ჩაწერეს:

საიდუმლო, რომელიც ასაგათხოვილმა თამუნა ლეკვეიშვილმა ნიკა არაბიძეს მაუწყა

ჟურნალისტი – ნიკა არაბიძე
რესპონდენტი – თამუნა ლეკვეიშვილი

— თამუნა, შენი გათხოვების შესახებ რომ შეიტყვეს, რატომლაც ყველას ეგონა, რომ ცოლად შენი ბენდის წევრს — გირშელს გაჰყევი.

— ჰო, ეს ჩემ შესახებ გავრცელებული ერთ-ერთი ჭორია. მინდა, დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ ცოლად გირშელს ნამდვილად არ გავყოლივარ.

— კარის მეზობელმა შენი გათხოვების შესახებ რომ გაიგო, თავს ირჩობდა — ეგ გოგო ძმისშვილისთვის მინდოდაო. ამის გამო, ერთი კვირა არ მელაპარაკებოდა. მეჩხუბა, თუ გათხოვებას აპირებდა, დროზე ჩაგეყენებინე საქმის კურსშიო. იმ ქალს აინტერესებდა, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გაქვს?

— შესანიშნავი ხასიათი მაქვს. ჩემი დადებითი თვისებებია ის, რომ ვარ უკონფლიქტო, კეთილი და დამთმობი. უარყოფითი თვისებების ჩამოთვლა კი ძალიან მიჭირს...

ძალიან შემიყვარდა, 5 წლის განმავლობაში ასე არ მიყვარდა. ამჯერად, ცხოვრება ისე მიყვარს, როგორც არასოდეს; მიყვარხარ შენც, ჩემი საყვარელო, კიდევ — დედიკო, მამიკო, დაიკო და ჩემი შვილები.

— გამოფხიზლების შემდეგ, შენი ცხოვრებიდან თუ „გაცხრილე“ ზოგიერთი მათგანი?

— ეს იყო სიზმარი, რომელშიც მაჯლაჯუნებს ვხედავდი. სწორედ ისინი აკეთებდნენ ცუდ საქმეს! ამ სიზმარმა ისეთი ადამიანები მაჩვენა, რომლებიც ჩემთან ახლოს არასოდეს ყოფილან და არც მომავალში იქნებიან. უბრალოდ, ის იყო, რომ ერთ სიზმარში, ერთ კოშმარში მოვხვდით. ერთმანეთს შემთხვევით გადავყარეთ. მიუხედავად ამისა, ამ ყველაფერს არ ვნანობ. რომ არა ეს კოშმარი, საკუთარ შესაძლებლობებში ასეთი დარწმუნებული, როგორიც ახლა ვარ, ვერ ვიქნებოდი. ვიგრძენი და დავინახე, რომ ჩემი პროფესიის გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს.

— ცხოვრების რამდენჯერმე თავიდან დაწყების უნარი ყველას როდი აქვს. შენ ეს შეძელი. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მეც შენსავით 5 წელი „მეძინა“; მოკლედ, მე და შენ 5-წლიან „სროკზე“ ვიყავით. მთავარია, საკუთარ თავში, ცხოვრების გაგრძელების ძალა და სტიმული იპოვო. თეატრში ნარკომანის როლს თუ ითამაშებდი?

— დიდი სიამოვნებით, თანაც სიღრმისეულად.

სუთი წელი წამალზე და ლორებისთვის ღაურილი მარგალიტები

ჟურნალისტი – ლალი მოროშკინა
რესპონდენტი – კაბუ

— რამდენიმე წლის წინ, სად იყავი? ძალიან მენატრებოდი...

— „ძილში“.

— დიდხანს გეძინა?

— საკმაოდ, 5 წელი...

— მოდი, გულახდილად მითხარი, რამ გამოგაღვიძა?

— ...ცხოვრება მომენატრა. რაც ახლა

მედიცინის პროფესორი მსასიობის სიყვარულში მამოტყდა

ჟურნალისტი – ნანკა კალატოზიშვილი
რესპონდენტი – ოთარ ტატიშვილი

— ვიცი, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობ. როცა ლექციებზე შედიხარ, სტუ-

დენტებს როგორი რეაქცია აქვთ?

— ორ... ყველაზე საინტერესოა, როცა პირველკურსელებთან პირველად შევდივარ. ჩემი დანახვისას მოგუდულ სიცილს იწყებენ. ბევრმა მათგანმა წინასწარ იცის, რომ ბატონი ოთარი ის ირაკლია, სერიალში რომ თამაშობს. სხვათა შორის, სტუდენტებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— რა საგანს უკითხავ?

— ნეიროქირურგიასა და ნეირორადიოლოგიას ვასწავლი. ლექციებზე ბევრი კურიოზული ამბავი ხდება.

— როცა თანამშრომლებმა გაიგეს, რომ სერიალში თამაშობდი, რა რეაქცია ჰქონდათ?

— როცა გოგიჩასგან შემოთავაზება მივიღე, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს, სერიოზულადაც დავფიქრდი: ეს ყველაფერი ჩემს პროფესიაზე, პაციენტებთან ურთიერთობაზე ცუდად ხომ არ აისახება-მეთქი? უფროს კოლეგებთან მივედი და რჩევა ვთხოვე. მათ მირჩიეს, რომ შემოთავაზებაზე უარი არ მეთქვა, რამაც ძალიან გამახარა.

ჟურნალისტი – ოთარ ტატიშვილი
რესპონდენტი – ნანა კალატოზიშვილი

— სანამ კითხვას დაგისვამ, მინდა მოგიყვე, პირველად როდის განახე, როცა ტელეკომპანია „ჰედი" გაიხსნა, მაშინ საქართველოში არ ვიმყოფებოდი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში წავედი, ორდინატურა და ასპირანტურა იქ დავამთავრე, დისერტაციაც იქ დავიცავი. საქართველოში 2003 წელს ჩამოვედი. შენც პირველად სწორედ მაშინ განახე გადაცემაში — „არტბულვარი". ძალიან მომეწონე. მერე მითხრეს, ვინც იყავი. იმ დღიდან შემიყვარდი. ამას ხმამაღლა ვამბობ. ქალი ისეთი უნდა იყოს, როგორიც შენ ხარ. პირველ ეფექტს ყოველთვის გარეგნობა ახდენს. მოკლედ, მიხარია, რომ ახლა შენ წინ ვზიხარ და გესაუბრები. როგორც ჩემი გმირი ირაკლი იტყოდა — დღეს დიდი დღეა, დიდი! როგორ ახერხებ იმას, რომ გოიმურ, უგემოვნო „პონტებში" არასოდეს მინახავხარ?

— ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ვილაცის ხათრით უარი ვერ მითქვამს რაღაც სამუშაოზე და შემდეგ მინანია; მაგრამ რა ვქნა, ჩემს ქველმოქმედებას საზღვარი არ აქვს. უარის თქმა ყოველთვის ძალიან მიძნელდება. ჩემთვის პოპულარობა და ხარისხი — სხვადასხვა რამ არის. ეს პატარაობიდან მქონდა გაცნობიერებული. არ მინდა, მაყურებელს თავი მოვაბეზრო. მირჩევნია, ერთი რამ გავაკეთოდა ხარისხიანად, ვიდრე ყველგან მხედავდნენ და უბრალოდ ვჩანდე.

— შენთან შესახვედრად რომ მოვდიოდი, გზაში კითხვებს ვალაგებდი — რა უნდა მეკითხა შენთვის; რა უცნაურია — ყველაფერი დამავიწყდა! მოკლედ, დამაბნე- მსახიობობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი თუ რომ წამოიზარდე, მიხვდი, მსახიობობა „ჯი პონტიაო" და მერე გადაწყვიტე?

— ბავშვობაში ვეტერინარობაზე ვოცნებობდი...

— მე ოკეანოლოგობა მინდოდა, მაგრამ მამამ დამიშალა-

„სექსუალური ქალი სარ და სწორედ შენ მჯირდები"

ჟურნალისტი – ანრი ჯოხაძე
რესპონდენტი – ნინა წკრიალაშვილი

— ამბობენ, რომ დღესდღეობით, ნინა შემოქმედებით ასპარეზზე აქტიურად არ მოღვაწეობს, მაგრამ ის მაინც სულ მოვლენების ეპიცენტრშია და პოპულარულიაო. აინტერესებთ, რა არის ამის მიზეზი. მე ვუპასუხებ: ის, რომ ნინა აქტიურად არ მოღვაწეობს, მისი სიზარმაცის ბრალია. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის პოპულარული, — ის ხომ სექსუალური იმიჯის მქონე და ამასთან, ქარიზმატული ნატურაა, ასეთი ადამიანი კი მასისთვის ყოველთვის საინტერესოა. მან 10 წელი რომც არ იმღეროს, მაინც „ცვეტში" იქნება-მეთქი. ისე, ჩემო ნინა, მგონი, დროა, რომ ერთი-ორი ახალი სიმღერა ჩაწერო.

— იცი, რამდენი სიმღერა მაქვს ჩაწერილი? უბრალოდ, რადიოში მიტანა მეზარება. ჩემს ახალ სიმღერებს აუცილებლად მოგასმენინებ. საერთოდ, არც კი ვიცი, ვარ თუ



არა პოპულარული და თუ ვარ, რატომ?..

— ნინა, არ გეჩვენება, რომ შოუბიზნესი ჩაიძირა?

— კი, ასეა, თანაც მგონია, რომ ეს დიდხანს გასტანს.

— ჩვენ რალაცით იმ ვირთხებს ხომ არ ვგავართ, გემიდან რომ გარბიან?! ჰა, რას იტყვი?

— ვირთხები აქ არაფერ შუაშია, მაგრამ საქმე მთლად კარგად რომ არ არის, ფაქტია.

რატომ დაშორდა რატი დურგლიშვილი შეუვარებულს

ჟურნალისტი – რატი დურგლიშვილი
რესპონდენტი – ხათუნა სხირტლაძე

— ხათუნა, შეყვარებული ხარ?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი.

— გულქვა ხარ?

— არა, უბრალოდ, ჯერ ის ადამიანი ვერ ვიპოვე.

— ეი. ეძებ?

— ვეძებ...

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— ჩემთვის გარეგნულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა იყოს მაღალი, სიმპათიური...

— ავანგარდული?

„როშ-დიაგნოსტიკის" და „მიკროლაიფის"
ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში
გთავაზობთ შვეიცარული წარმოების:
-სისხლში გლუკოზის რაოდენობის
მზომ აპარატებს არჩევანით.
-სისხლის წნევის მზომ აპარატებს,
არჩევანით და ორწლიანი გარანტიით.

საახალწლო ფასდაკლება
10 - 40%
გთავაზობთ აპარატებზე უფასო
ტექნიკურ მომსახურებას
შპს „მირკოსთან" არსებულ
სადიაგნოსტიკო ცენტრში.
მის: თბილისი: პეკინის 15-ის მიმდებარე ტერიტორია. აფთიაქი „მირკო": ტელ: 37-98-73 (24 სთ)

— ერთი სიტყვით, კარგი ტიპი უნდა იყოს.

— კარგი ტიპი როგორია?

— ჩაცმულობა, მანერები, ხასიათი — იმ ადამიანის ყველაფერი უნდა მომწონდეს. ქურდულ გაგებას რომ აწვებიან, ისეთები არ მაინტერესებს.

— აბა, როგორი? ჰალსტუხიანები?

— კარგი, რა, როგორ შეკითხვებს მისვამ?! შენ როგორი ტიპები მოგწონს?

— მე ტიპები არ მომწონს... დაახლოებით ისეთი გოგონები მიზიდავენ, როგორიც შენ ხარ.

ჟურნალისტი – ხათუნა სხირტლაძე
რესპონდენტი – რატი ღურგლიშვილი

— რატი, მაკა — შენი პარტნიორი როგორი მეგობარია?

— მაკა ჩემი სიმდიდრეა. მისი დამსახურებაა, რომ სიმღერა სერიოზულად დავიწყე.

— თქვენ შორის ისეთი ურთიერთობაა ჩამოყალიბებული, ალბათ, კითხვის დასმა არც შეიძლება...

— ვხვდები, რისი თქმაც გინდა...

— შენ და მაკა იურმალაში



შეყვარებულები ეგონეთ.

— მართალს ამბობ. იქ ყოფნის დროს კონკურსანტებიდან კრუტიმ მხოლოდ მე და მაკა მიგვიპატიჟა. წვეულებაზე მაღალი წრის ორი ქალბატონი მოვიდა. მე და მაკას გვთხოვეს, სიმართლე გვითხარით — შეყვარებულები ხართ თუ არა, ერთმანეთს დიდ თანხაზე დავენაძლევეთო. მე ვუპასუხე, რომ — არა, მაკამ კი დაუდასტურა.

— კიდევ უფრო დაგიბნევიათ.

— სამაგიეროდ, სიმართლეს „გზის“ მკითხველს ვეტყვი. ჩემსა და მაკას შორის არაფერი ხდება. ჩვენზე ჭორაობენ და ალბათ, მომავალშიც იჭორავებენ...

— რა იცი, რა მოხდება მომავალში?

— არ ვიცი, რა მოხდება მომავალში. თავს ვერაფერზე დავდებ. ჩვენ ტყუპისცალებივით ვართ — ნამცხვარიც კი ერთანირი გვინდება.

რატი ღურგლიშვილს ახალგორში სახლი წაართვეს

ჟურნალისტი – მარიკა თხელიძე
რესპონდენტი – რატი ღურგლიშვილი

— როგორც ვიცი, წარმოშობით ახალგორიდან ხარ. იქ მამაპაპისეული სახლიც გაქვს. რა მდგომარეობაა დღეს იქ?

— კი, სოფელი გვაქვს იქ. შუაგულ ახალგორში, ცენტრში, საუკეთესო ადგილას დგას ჩვენი სახლი. ცოტა ხნის წინ, რემონტი გავაკეთეთ, გავალამაზეთ იქაურობა. ახლა ალბათ ოსები კბილებს ილესავენ იმაზე, თუ როდის შევლენ ჩვენს სახლში... ეს არის მამაჩემის კუთხე. იქ ზაფხულობით ჩავდიოდით.

— ამჟამად მიტოვებული გაქვთ?

— კი, ასე გამოვიდა. როგორც ვიცი, 24 ოქტომბერს იქიდან დაიძრა და წამოვიდა მთელი მოსახლეობა, რადგანაც გაუსაძლისი სიტუაცია შეიქმნა. როგორც გავიგე, ახალგორში გუშინ 40 ტანკი შეუყვანიათ.

— ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველებს უნდა დაეტოვებინათ იქურობა?

— იცი, რა ხდება? თურმე იმდენი ტანკი და სამხედრო მანქანაა შესული, რომ ერთმანეთს გვერდს ვერ უქცევენ და ისინი სოფლებში გაჰყავთ.

— ფიქრობ, რომ ახალგორში ველარ ჩახვალ და სახლი დაკარგეთ?

— სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე არც ვფიქრობ. გული მწყდება, რომ ჩემი უსაყვარლესი ადგილი, სადაც ბავშვობიდან დავდიოდი, ასეთ საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა. იქ საოცარი ბუნებაა: მდინარე, ტყე, სიმწვანე, სადაც თევზაობა, ნადირობა, იდეალურად დასვენება შეიძლება.

ცნობილი იუმორისტის მუზა მამაკაცია...

ჟურნალისტი – ვანო ჯავახიშვილი
რესპონდენტი – ანი ჯიუნტერი

— ანი, როგორი მამაკაცები გიბლავენ?

— ჩემზე ძლიერი.

— ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები რაში გჭირდებიან?

— სახლში საქმე რომ აკეთოს. ჯანსაღი ადამიანი ყველანაირ ასპექტში კარგია.

— ესე იგი, კუნთიანი მამაკაცები, არა?

— რას გადაეკიდე ამ კუნთიან მამაკაცებს?!

— გენაცვალე, მე ჟურნალისტი ვარ და რასაც მინდა, იმას გკითხავ და დაგიწერ! აბა, ინტერვიუ რაღაცით საინტერესო ხომ უნდა გავხადოთ!

— ახლა მოგკლავ!.. ადამიანი რომ მომეწონოს, უნდა იყოს თავისუფალი, გონიერი, ძლიერი და...

— კარგი, გვეყოფა. რამდენი კითხვა დაგისვი, ხედავ?! რა მაგარი ვარ!

ჟურნალისტი – ანი ჯიუნტერი
რესპონდენტი – ვანო ჯავახიშვილი

— ვანო, ხშირად გიწევს ისეთი ხუმრობის თქმა, რომელიც არ გსიამოვნებს?

— არა, ჩემს საქმიანობაში დამოუკიდებელი ვარ. ხანდახან არის ხუმრობა, რომელიც არ მომწონს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა.

— ცნობილი ფაქტია, ყველა დიდი კომიკოსი თუ იუმორისტი სახლში აუტანელი ყოფილა. შენ როგორი



ხარ?

— აუტანელი არ ვარ, მაგრამ არც მთლად გადასარევი ხასიათი მაქვს. ოჯახთან ერათად სიცილ-კისკისში ნამდვილად არ ვატარებ დროს. ვარ მშვიდი და წყნარი.

— სპორტულებს რატომ აღარ იცვამ?

— ეს ადრე იყო, ახალგაზრდობაში... სპორტული ტანსაცმელი საერთოდ, არ მიყვარს. ვერ ვიტან, ადამიანები სახლიდან მაღაზიაში სპორტული სამოსით რაღაცის საყიდლად რომ ჩადიან.

ასე და ამგვარად, 10-მა ცნობილმა ადამიანმა ჟურნალ „გზის“ საუკეთესო ჟურნალისტის წოდება დაიმსახურა. ვულოცავთ გამარჯვებულებს და წარმატებებს ვუსურვებთ! იმედია, ახალი წლიდან ჩვენს რუბრიკაში კიდევ მეტი შემართებით ჩაერთვებიან საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და მათთვის უჩვეულო ამპლუაში სიამოვნებით გამოცდიან თავს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ მონდომებას არ დავიშურებთ, რომ რუბრიკა კიდევ უფრო სახალისო და საინტერესო საკითხავი გახდეს.

26014

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



წერილები თოვლის ბაბუას

„კაცი ნაპოვნი გვყავს და უმტკივნეულოდ დაგვასმევინე თავის ადგილზე“...

ბავშვობაში თითოეულ თქვენგანს ალბათ არაერთი წერილი მიუწერია თოვლის ბაბუისთვის და ყოველი ახალი წლის ღამეს ოცნებების ასრულების მოლოდინში ჩასძინებია. ღამით თოვლის ბაბუა ჩუმად მოპარულა, საჩუქრები თქვენი ბალიშის ქვეშ ან ნაძვის ხის ძირში დაუტოვებია და წასულა... ასე ბავშვობაში ხდებოდა. რომ ვიზრდებით, მერე რატომღაც, თოვლის ბაბუაც გვავიწყდება, მისი ხურჯინიც და ისიც, მთელი წლის განმავლობაში კარგად რომ უნდა მოვიქცეთ, თუ გვინდა, რომ ყველა სურვილი აგვისრულდეს. ახლა რომ თოვლის ბაბუას წერილს სწერდეთ და იცოდეთ, რომ სურვილს აუცილებლად აგისრულებთ, რას სთხოვდით? — ამ კითხვით საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს მივმართე.

თამუნა კვინიკაძე

უკვე მესამე წელია, რაც **ლევან ბერძენიშვილი** *თოვლის ბაბუას წერილებს ჩვენი ჟურნალის საშუალებით უგზავნის. 2007 წლის დამდეგს სთხოვდა: ნამდვილი საპრეზიდენტო კაცი გვაპოვნინე, ოღონდ რუსულ, ამერიკულ და ინგლისურ „ვარიანტებს“ ნუ შემოგვთავაზებო. ერთი წლის შემდეგ დაწერილი წერილი მადლიერების სიტყვებით დაიწყო: ეტყობა, თოვლის ბაბუამ ჩემი წერილი წაიკითხა და ნამდვილი საპრეზიდენტო კაცი გვაპოვნინა — ლევან გაჩეჩილაძეს გაუმარჯოსო! წელს კი თოვლის ბაბუისთვის გასაგზავნად, ასეთი წერილი შეადგინა:*

„ძვირფასო თოვლის ბაბუა! საყვედური როგორ გაკადრო, მაგრამ შენისთანა საყვარელ ადამიანს 2008 წელი არ უნდა დაგეშვა. თუმცა, როგორც ყველაზე დიდი ქართველი იტყოდა, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“.

ახლა — საქმეზე: კაცი ნაპოვნი გვყავს და ბაბუა, უმტკივნეულოდ და დავიდარაბის გარეშე დაგვასმევინე თავის ადგილზე, თან, რომ ეს „თავისი ადგილიც“ კარგად იცოდეს, რომ საყვედური კიდევ არ გაკადროს ჩემისთანა უდიერმა პირმა. შენი ძლიერების მორწმუნე და დამჯერი 1953 წლიდან — ლევან ბერძენიშვილი“.

„თოვლის ბაბუა ბავშვობიდან მიყვარს, ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, როცა საჩუქრები ჩუმად მოჰქონდა და მიტოვებდა. არ ვიცი, როგორ იგებდა, მაგრამ ყოველთვის ის ნივთი მოჰქონდა, რომელიც მინდოდა, რომ მქონოდა“, — ამბობს **ფონზო** *ის ყოველ ახალ წელს სახლში ოჯახის წევრებთან ერთად ხვდება და ამ ტრადიციას არც წელს უღალატებს. გამიგონია, ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული სურვილი ყველას უსრულდებაო, — ამბობს და თოვლის ბაბუას სწერს:* **„გამარჯობა, თოვლის ბაბუ! მე მინდა, რომ 12 საათზე ახალი წლის ღამეს მოხვიდე ჩვენს ქვეყანაში და ყველა ქართველს სანუკვარი სურვილი აგვისრულო, გაყარო რუსები ჩვენი ქვეყნიდან, თან ისე, რომ კუდით ქვა ასროლინო და აღარასოდეს დაბრუნდნენ საქართველოს მიწაზე. შენი შონზო (ზურა გაჩეჩილაძე)“.**

როცა **გუბაზ სანიკიძე** *ვუთხარი: თოვლის ბაბუას წერილი უნდა მისწეროთ-მეთქი, გულიანად იცინა: — რას ამბობთ! წერილს ბავშვობაში არ ვწერდი და ახლა რა უნდა მივწეროო?.. — მაგრამ ჩვენი ხათრით, ეს მაინც გაკეთა.*

„თოვლის ბაბუ! შენგან საჩუქრის მოტანა არ მინდა, ძალიან გთხოვ, ახალი წლის ღამეს შენი ირმებში შებმული ეტლით ჩამოიარე და ამ ქვეყნიდან მიხეილ სააკაშვილი შორეულ ლაპლანდიაში წაიყვანე. ჩვენთვის ეს ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება. გუბაზ სანიკიძე“.

მომღერალი **ეთერ კაკულია** *ჩემმა ზარმა ძალიან გაამხიარულა:*

— თოვლის ბაბუა ძალიან მიყვარს, იცოდით?

— **ვიცოდით და ამიტომ დაგირეკეთ.**

— ჩემო კარგო, როცა თბილისში პირველად თოვლის ბაბუები გამოძახებით გამოჩნდნენ, პირველმა მე გამოვიძახე. მაშინ ჩემი შვილი 5 წლის იყო. ულამაზეს სამოსში გამოწყობილი, სიმპათიური თოვლის ბაბუა გვესტუმრა, თან საჩუქრები მოგვიტანა, ხურჯინიდან იღებდა და იღებდა...

— **თოვლის ბაბუას რას მისწერთ?**

— ვაიმე! წერილი უნდა დავწერო? ყვითელი ხარის წელი მოდის, არა? წერილში რასაც დავწერ, ხომ ამისრულებს?

— **აუცილებლად.**

— მაშინ მიეწერ: **„თოვლის ბაბუ! ბედნიერი 2009 წელი მოიყვანე ჩვენს ქვეყანაში. ამ წელს ქართველები აფხაზეთში ხელიხელჩაკიდებულნი დაგვაბრუნე. ხვავი, ბარაქა, გამრავლება, სიხარული და, რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობა ყოფილიყოს! თოვლის ბაბუ! ამისრულე ეს ყველაფერი. შენ ხომ კეთილი ბაბუა ხარ. მინდა, რომ ბევრ თოვლის ბაბუასთან ერთად მოხვიდე. ხურჯინებით საჩუქრები მოგვიტანე და დაგვირიგე. დიდი სიყვარულით — ეთერ კაკულია“.**

დავით ოქიტაშვილმა *მითხრა, რომ ბავშვობაში თოვლის ბაბუას წერილებს არ სწერდა, მაგრამ დღეს ამას სიამოვნებით აკეთებს: რა იცი, რა ხდება? ეგებ სურვილები მართლა ამიხდესო?! — და იწყებს:* **„თოვლის ბაბუ! პირველ რიგში, გთხოვ, რომ დამდეგ, 2009 და შემდეგ წლებშიც საქართველოში მშვიდობა იყოს. ყველა ქართველი გაახარე და გააძლიერე. ჩემი ოჯახის წევრები და ახლობლები კარგად მიმყოფე. დათო ოქიტაშვილი“.**

წერილის წერისას ერთი ამბავი გაახსენდა: ერთხელ ჩემი შვილებისთვის თოვლის ბაბუა თავად ვიყავი. სპეციალურად შეძენილ ფორმაში გამოვეწყე, წვერი გავიკეთე და ახალი წლის ღამეს ჩემს შვილებს შინ ვესტუმრე. მათთან ერთად ვიმხიარულე, საჩუქრებიც დავურიგე, ერთი სიტყვით, ბაბუის როლი ბრწყინვალედ შევასრულე. მერე დავემშვიდობე, — ახლა სხვა ბავშვებთან მივიჩქარი-მეთქი, — ვუთხარი და წავედი... ფორმა გავიხადე და რამდენიმე წუთის შემდეგ, სახლში შევბრუნდი. ჩემმა შვილმა იცით, რა მითხრა?.. მამა, თოვლის ბაბუასაც შენნაირი ფეხსაცმელი ეცვაო (იცინის)...

დათო ოქიტაშვილის მსგავსად, თოვლის ბაბუის მისამართით წერილების წერა **გივი სიხარულიძესაც** *გვიან დაუწყია...*

„თოვლის ბაბუ! ჩვენ მცირერიცხოვანი ერის შვილები ვართ. თითოეულ ქართველს ერთმანეთის გატანა, პატივისცემა, ერთგულება ასწავლე. ერთმანეთის მოფერებით გავლიოთ წუთისოფელი. განა ეს ძნელია? თქვენი გივი სიხარულიძე“.

ბოლოს, ჩვენს ყოფილ კოლეგას, ამჟამად პარლამენტარ **გიორგი ახვლედიანს** *შევთავაზეთ, თოვლის ბაბუისთვის საკუთარი სურვილები გაენდო და მას ყველაზე ვრცელი წერილი გამოუვიდა:*

„თოვლის ბაბუ, უმორჩილესად გთხოვ, იქნებ, მოიღო მოწყალება და მომავალ წელს ჩვენს ქვეყანას მოუტანო ის საოცნებო და ნანატრი ერთობა, ურთიერთგატანის უნარი და სიყვარულის ნიჭი, რომელიც ქაოდენ გვაკლია და რომელიც ქაოდენ გადაუდებლად გვჭირდება დღეს. თუ ყოველივე ამას მიმტევებლობის უნარს და შორსმჭვრეტელობასაც დაურთავ თან, ხომ საუკუნოდ მადლიერები დაგრჩებით. ისე, ყოველივე ეს თუ ძალზე რთული შესასრულებელი იქნება, იქნებ, ქართველებს ოქროს შუალედის მოძებნის ნიჭი გამოგვიძებნო სადმე. წინასწარ გიხდი მადლობას, გიორგი ახვლედიანი“. ■

„ერთიან საქართველოში ცხოვრებას ვისურვებთ — ყველაზე მთავარი ესაა“

არ დაივიჯეროთ, თუკი გითხრეს — თოვლის ბაბუა არ არსებობსო. არსებობს კი არა, არსებობენ, ყოველ შემთხვევაში — ახალი წლის დღეებში. საინტერესოა, მანამდე სად იმყოფებიან ისინი? რას საქმიანობენ? ზრუნავენ თუ არა ჩვენი სურვილების ახდენაზე? სამწუხაროდ, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი თოვლის ბაბუებსაც შეხებია. იმედია, ეს ფაქტი ამ ახალ წელს მათ საჩუქრებზე ძალიან არ აისახება...

ეთო ყორღანაშვილი

საიმედო წყაროდან შევიტყვე, თოვლის ბაბუები ჩვენს ქვეყანას უკვე ესტუმრნენო. სად შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ, თუ არა — იქ, სადაც ყველაზე ბევრი ბავშვია? ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთ საბავშვო ბაღს მივაკითხე. შუადღე იდგა და ბავშვებს ეძინათ. დერეფანში ახალგაზრდა პუტკუნა ქალბატონი შემეჩეხა. — თოვლის ბაბუას ვეძებ-მეთქი, — ჩურჩულით ავუხსენი. — მე გახლავართ, სიხარულო! — ხალისიანად მიპასუხა.

— წინა წელს ვინ იყო?

— ჩვენი მზარეული — მარიკა!

— კი, მაგრამ საბავშვო ბაღში მამრობითი სქესის არავინ გყავთ, რომ თოვლის ბაბუის როლი შეასრულოს?

— დარაჯი გვყავს, მაგრამ უ-უ-უზარმაზარი ცხვირი აქვს და ბავშვები ცხვირით ცნობენ. ჩემი ბიჭუნა, ამის გამო, სტრესში ჩავარდა: საახალწლო ზეიმზე თოვლის ბაბუაში ბაღის დარაჯი — ფრიდონი ამოიცნო და ტირილი დაიწყო. ყველას ეგონა, რომ ფორმაში გამოწყობილი თეთრწვერა „მოხუცის“ შეეშინდა, სინამდვილეში კი იმედგაცრუების გამო ტიროდა. უამრავი სურვილი ჩაიფიქრა. დარწმუნებული იყო, რომ თოვლის ბაბუა მის სურვილებს ყურადღებით მოისმენდა და მათ ახდენაზეც იზრუნებდა, „ჩვეულებრივი“ ფრიდონი კი (*იცინის*)...

— თქვენ აუხდენთ ბავშვებს სურვილებს, თუ ფრიდონივით ტყუილ დაპირებებს გასცემთ?

— ბავშვებს საჩუქრებით — ტკბილეულით გავუმასპინძლდები და სურვილების ახდენასაც შევპირდები. არა მგონია, პირობის შესრულება შევძლო — სად მაქვს იმდენი სათამაშოს საყიდლად სამყოფი ფული? ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მატყუარა თოვლის ბაბუა ვარ! მთავარია, გულით მოინდომონ და ყველა სურვილი აუხდებათ. ბავშვები ძალიან მიყვარს და მათთან ურთიერთობა კარგადაც გამომდის.

— დარაჯის ცხვირის ამბავი გასაგებია, მაგრამ მზარეულ მარიკას რატომლა დაატოვებინეთ თოვლის ბაბუის „პოსტი“?

— მარიკა ძალიან დაკავებულია, თორემ 4 წელი „თოვლისბაბუობდა“! ამ საქმეში საკმაო „სტაჟი“ აქვს დაგროვებული. მის რჩევებს აუცილებლად გავითვალისწინებ.

— გასაგებია, ფორმას ჩაიცვამთ, წვერს მიიმაგრებთ, მაგრამ ხმას რას უპირებთ?

— რა პრობლემაა? ხმას დავიბოხებ! აი, მისმინე: (*ხმას იბოხებს*) გამარჯობა, ბავშვებო... ტყიდან მოვედი. თქვენთან მოკითხვები დამაბარეს: დათვმა, ციყვმა, მელამ...

— მაინც ნაზი ხმის ტემბრი გაქვთ!

—(*იცინის*) წვერს რომ მივიმაგრებ, ხმაც „მოიგუდება“ და უფრო „ვიბუბუნებ“...

საბავშვო ბაღის გამგემ „თოვლის ბაბუა“ მარიკასთან ცოცხალი თავით არ შემიშვა — ცომს ზელს და თავი დაანებეთო, ბოლოს, ჩემი მოწყენილი სახის ატანა მოჰბეზრდა და სამზარეულოს კარი გამიღო... გინახავთ თვალებდახატული და პომადიანი მდედრი „თოვლის ბაბუა“, რომელიც ცხელ ტაფაზე ცხიმს მონდომებით ანაწილებს, ბავშვებს რომ ბლინები გამოუცხოს?

მარიკა:

— გასულ წელს თეთრი, ფუმფულა ჩექმა და ხელთათმანები მეცვა საახალწლო ზეიმზე. მგონი, ბავშვებმა მართლა დაიჯერეს, რომ თოვლის ბაბუა ვიყავი (*იცინის*).

— რთულია, მათი დარწმუნება?

— რა თქმა უნდა, ისეთი თაობა მოდის, რომ ვერაფერს გამოაპარებ — ყველაფერს ამჩნევენ და ყველაფერი აინტერესებთ! თან, ერთხელ თუ გაგიტყდა სახელი... ზეიმზე საყურის მოხსნა დამავიწყდა! — თოვლის ბაბუა მარიკა დეიდა ყოფილაო! — მაშინვე მიხვდნენ ბავშვები. წრეში მომაქციეს და აღარ მიშვებდნენ (*იცინის*)... ყოფილა შემთხვევა, ფორმა ისე ჩამიცვამს, რომ თვალებიდან სალებავის მოშორება დამვიწყნია. ბავშვებსაც მეტი რა უნდათ? სიცილით კვდებიან, თოვლის ბაბუის არსებობის კი არ სჯერათ! არადა, უნდა დაიჯერონ. „მთავარი“ თოვლის ბაბუა მართლა არსებობს, ჩვენ კი მისი „ასისტენტები“ ვართ — აბა, ერთი ბაბუა ამდენ ბავშვს როგორ გასწვდება? საოცარი განცდაა, როცა უამრავი ბავშვი იმედით ანთებული თვალებით შემოგციცინებს. ძალიან საყვარლები არიან. ღმერთმა ყველას აუხდინოს სურვილები.

20 წლის **გაგა გულიაშვილისა** *და 21 წლის* **დავით გუჯიაშვილისთვის** *თოვლის ბაბუის როლი უცხო ნამდვილად არ გახლავთ. მათი მიზანია, ქართველ ბავშვებს ნამდვილი ქართველი — ჩოხასა და ნაბადში გამოწყობილი თოვლის ბაბუა გააცნონ და შეაყვარონ.*

გაგა

გაგა:

— თოვლისბაბუობისთვის ჯერ ძალიან ახალგაზრდები ვართ, მაგრამ რისთვის არსებობს გრიმი (*იცინის*)?

— პროფესიით, მსახიობები ხართ?

დათო:

— 4 წელი თეატრალურ ფაკულტეტზე ვსწავლობდით, კოლეჯში. პრინციპში, მსახიობები ვართ...

გაგა:

— მაგრამ ჩვენი პროფესიის ხალხი



დათო

ყოველთვის ამბობს — ჯერ არ ვარ მსახიობიო. ჩვენც ჯერ „იმ“ დონეზე არ ვართ.

— გარდა თოვლის ბაბუისა, სხვა როლი თუ შეგისრულებიათ?

— რეჟისორმა კანდიდ გურგენიძემ სპექტაკლი „დამნაშავედ არ დავბადებულვარ“ დადგა და იქ დაგვაკავა.

დათო:

— კიდევ, მე და გაგამ სიამის ტყუპის — ყარაბას-ბარაბასის როლი ვითამაშეთ. მართლაც სულ ერთად ვართ, ყველგან!.. ადრე სანტა-კლაუსები ვიყავით, მაგრამ ვინაა სანტა?

გაგა:

— ერთ მულტფილმშიც არ მინახავს, რომ სანტა-კლაუსს ბავშვებთან შეხება ჰქონდეს — ბუხრიდან ჩამოიპარება, საჩუქარს დატოვებს და მიდის.

დათო:

— ჰო, ჰო! ქურდულად იპარება და მიდის... ქართველი თოვლის ბაბუა მისაბაძი ადამიანია! ბედნიერი ვარ, რომ წელს მის როლს ვასრულებ და არა — სანტა-კლაუსისას. იმედი მაქვს, ბავშვებს მაგალითს მივცემ, რომ ქართველი თოვლის ბაბუა შეიყვარონ.

გაგა:

— დღეს ყველას ყურადღება სანტა-კლაუსზეა გადატანილი, ტელეარხებიც მას უწევენ პოპულარიზაციას, ქართველ თოვლის ბაბუას კი პატარები არ იცნობენ.

დათო:

— დრო სჭირდებათ, რომ გაიცნონ.

— როგორი განცდაა, როცა თოვლის ბაბუა ხარ?

გაგა:

— ძალიან სასიამოვნოა! საერთოდ, პატარები ძალიან მიყვარს, ახალ წელს კი, რადგან თოვლის ბაბუა ვარ, ყველა ბავშვი ჩემთან ყოფნას ცდილობს (*იცინის*)... ერთხელ, ახალი წლის დილა რომ გათენდა, ბუნებრივია, ნაქეიფარმა გავიღვიძე. სანამ თეატრში წავედი, რამდენიმე ჭიქის დალევამ კიდევ მომიწია. მოკლედ, კარგად ნასვამი კი არა და, მთვრალი ვიყავი; დღის პირველ საათზე სპექტაკლი იწყებოდა, რომელშიც თოვლის ბაბუის როლს ვთამაშობდი. ხელის განძრევის თავი არ მქონდა — ფორმა სხვებმა ჩამაცვეს. სასმელმა გამათამამა და სცენაზე ძალიან „გახსნილად“ ვიქცეოდი. მინდოდა, ალერსიანი ბაბუა ვყოფილიყავი, მაგრამ პირიქით გამომდიოდა. ბავშვებს, ცოტა არ იყოს, უხეშად ვეფერებოდი: „მოდით ააქ!..“ რაღაც მომენტში, შეეშინდათ და დაკომპლექსდნენ. ეუცხოვათ, ასეთი თამამი თოვლის ბაბუა, თან — მთვრალი (*იცინის*)!.. ახლოს აღარ მეკარებოდნენ, ტიროდნენ... მშობლები აძალებდნენ — თოვლის ბაბუასთან ერთად სურათი გადაიღეთო, მაგრამ არ მოდიოდნენ.

დათო:

— სურათებს ჩემთან ერთად იღებდნენ, ოღონდ ის თოვლის ბაბუა არ მოვიდესო (*იცინის*).

გაგა:

— დათო მთავარი თოვლის ბაბუა იყო.

— როგორ თუ — მთავარი?

— მთავარ თოვლის ბაბუას დამხმარეები ჰყავს — საახალწლო ამბებს ერთი ადამიანი ვერ აუთავდება. ბავშვებს საჩუქრები უნდა დაურიგო, უნდა გაართო და კიდევ ათასი სხვა რამ...

— ბავშვებს რით ასაჩუქრებთ?

დათო:

— ეგ ჩვენზე არაა დამოკიდებული, რაც ყველაზე ცუდია.

გაგა:

— ჩემი ნება რომ იყოს, ბავშვს ყველა სურვილს ავუხდენდი.

— იქნებ, რა სურვილები აქვთ?

— ზღაპრული, ლამაზი სურვილები აქვთ...

დათო:

— მაგალითად, ზოგს სათამაშო თოფი უნდა... თავიანთი სურვილების შესახებ, თოვლის ბაბუას წერილებს ატანენ.

— ატანენ, თუ გატანენ?

გაგა:

— (*იცინის*) ერთხელ, კულისებში მოლარემ წერილი მომაწოდა — თოვლის ბაბუასთან გამომატანეს და სხვას ვის მივუტანოო. წავიკითხე. ბავშვი დიდ სათამაშო მანქანას მთხოვდა, თანაც — პულტიანს. მის საყიდლად ფულს ჯიბიდან მე ხომ არ ამოვიღებდი, რა მექნა? ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული, ყველა ბავშვის სურვილს და აზრს მოვისმენდით, მერე კი აუცილებლად გავითვალისწინებდით.

— ბავშვობაში თოვლის ბაბუას არსებობის თუ გჯეროდათ?

დათო:

— კარზე ვიღაც დააკაკუნებდა ხოლმე. მატყუებდნენ — თოვლის ბაბუა მოვიდაო. გავიდოდი და მხოლოდ საჩუქარი მხვდებოდა.

გაგა:

— ბავშვობაში ოჯახის წევრები საჩუქრებს რომ მიძღვნიდნენ, მატყუებდნენ — თოვლის ბაბუამ მოგიტანაო. სულ მაინტერესებდა, ვინ იყო და როგორი იყო. დედამ ამიხსნა — თოვლის გუნდებისგან გაკეთებული თოვლის ბაბუა გაცოცხლდა და გადაწყვიტა, ბავშვებისთვის ახალი წელი მიელოცაო.

— ბავშვებს რას ეუბნებით — საიდან მოვედითო?

— ციდან მოვედით, თოვლის ფიფქს მოვყევით-თქო... ზოგი გვიჯერებს, ზოგი კიდევ — დაგვცინის. ძალიან განვითარებული თაობა მოდის. რასაც ეუბნები, არ სჯერათ. ისე ადვილად არ ტყუვდებიან, როგორც წინათ ტყუვდებოდნენ.

დათო:

— წვერზე გვქაჩავენ; აინტერესებთ — ნამდვილია თუ — არა (*იცინის*). ადრე კი სანტას როლს რომ ვასრულებდი, ერთი ეჭვიანი ბავშვი მომიახლოვდა და წვერში ჩამაფრინდა. კიდევ კარგი, სახეზე რეზინით მქონდა მიმაგრებული — რომ მომქაჩა, მეც წვერს გავყევი (*იცინის*). როგორც იქნა, ის ბავშვი დავაშოშმინე.

— ახალი წლის ღამეს, თქვენს ოჯახებშიც თოვლის ბაბუები ხართ?

გაგა:

— აბა, რა! უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ოჯახებში ვერთობით, ოღონდ — ფორმის გარეშე. ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, რომ თოვლის ბაბუა ვყოფილიყავი. 15-16 წლის ასაკში, ვიდრე სპექტაკლებში ჩავერთვებოდი, დედაჩემის წითელ ხალათს ვიცვამდი და თავზე ქუდს ვიხურავდი — ვითომ თოვლის ბაბუა ვიყავი. ჩემს დებს ვართობდი (*იცინის*). მერე მეზობლებმაც აიტაცეს და მათთანაც მივდიოდი. ახლა ის წითელი ხალათი მუზეუმშია წასაღები (*იცინის*).

— თოვლის ბაბუებო, ახალ წელს უბრალო მოკვდავებს რას გისურვებთ?

დათო:

— ჯანმრთელობას და ბედნიერებას! გვერდით სულ თოვლის ბაბუის მსგავსი ტკბილი ხალხი გყოლოდეთ!

გაგა:

— როგორც წესი, ახალ წელს ოჯახის წევრები შინ არიან და გახარებულები ერთმანეთს ულოცავენ... სულ ასე გახარებულები ყოფილიყვნენ და ხვალინდელი დღის საფიქრალი არ ჰქონდეთ!..

დათო:

— ...და კიდევ: ერთიან საქართველოში ცხოვრებას გისურვებთ — ყველაზე მთავარი ესაა!

ყველა სიახლე

საახალწლო ნომერში, რომელიც შეგიძლიათ შეიძინოთ მიმდინარე წლის 25 დეკემბრიდან 2009 წლის 7 იანვრამდე, უამრავ საინტერესო მასალასთან ერთად

გთავაზობთ

2009 წლის ფერად ასტროლოგიურ კალენდარს და პროგნოზს ზოდიაქოს ყველა ნიშნისთვის.

„გზისგან“ დარტყმამიღებული და გამოცოცხლებული ადამიანები ანუ 2008 წლის ერუდიტი და ანტიერუდიტი



„ერუდიტი“ მალე 2 წლის გახდება. ალბათ გახსოვთ, თავიდან უფრო მოკრძალებულად დავიწყეთ, რუბრიკას ყოველ მეორე ნომერში გთავაზობდით, მაგრამ მან მკითხველის მოწონება დაიმსახურა და თქვენივე თხოვნით, ყოველკვირეული გახდა. უკვე ალვნიშნეთ, რომ რუბრიკაში სტუმრობას არაერთი ცნობილი სახე თავს შეგნებულად არიდებს (ინტერვიუზე უარის თქმა ნებისმიერი რესპონდენტის უფლებაა, მაგრამ ჟურნალისტს რა ფორმით ან როგორ ეუბნები უარს, ამასაც ხომ აქვს მნიშვნელობა?) და ახლა სწორედ რამდენიმე ასეთ შემთხვევას გავიხსენებ.

თამუნა კვინიკაძე

მომღერალ-პოლიტიკოს **ნუგზარ ერგემლიძეს** მაშინ დავუკავშირდი, როცა საკანონმდებლო ორგანოს წევრი გახდა და „ერუდიტში“ მონაწილეობა ვთხოვე.

— კი, ბატონო, პრობლემა არ არის, ხვალ შეგხვდებით, მაგრამ რა დროს, არ ვიცი. მოგვიანებით დამიკავშირდით და ზუსტ დროს გეტყვით.

საღამოს ბატონ ნუგზარს კვლავ დავურეკე.

— **ბატონო ნუგზარ, ჟურნალ „გზიდან“ გაწუხებთ.**

— ვფიქრობ, ინტერვიუსგან თავი შევიკავო. არ მინდა, პოლიტიკურ მოვლენებს გავუსწრო და რამე ისეთი განცხადება გავაკეთო...

— **რა განცხადება, ბატონო ნუგზარ? პოლიტიკაზე არ ვილაპარაკებთ. თქვენი ჩაწერა რუბრიკა „ერუდიტში“ გვსურს.**

— ეგ რას ნიშნავს?

— **სხვადასხვა სფეროდან კითხვები წინასწარ გვაქვს შერჩეული...**

— უი! უი! უი! მით უმეტეს, არ მინდა. კარგად იყავით.

პარლამენტარმა **ეკა ხერხეულიძემ** თავიდან სულ ერთი წინადადებით მომიშორა. როგორც კი რუბრიკა „ერუდიტი“ ვუხსენე, გაბრაზებულმა იყვირა:

— კარგი, რა, რომელ კლასში ვართ?! — და ტელეფონი ისე გათიშა, არც დამემშვიდობა.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, **კოკა გუნცაძეს** რამდენჯერმე დავუკავშირდი.

— იმ კვირაში დამირეკეთ, — ბატონი გოგა ყოველ ჯერზე ამ წინადადებას მიმეორებდა. „ის კვირა“ კი არ იქნა და აღარ დადგა. ჯერ მიტინგებია და სად მცალიაო, მერე — არჩევნებისთვის ვემზადებითო... მოკლედ, მიზეზი არ დაილია. მორიგი დარეკვისა და ცნობილი ფრაზის — „იმ კვირაში“ — მოსმენის შემდეგ ვუთხარი:

— **ბატონო კოკა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ერუდიტში“ ჩაწერას თავს შეგნებულად არიდებთ.**

— ჩემო კარგო, არ მცალია. როცა ქვეყნის გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი წყდება, რა დროს „ერუდიტია“?! ერთი სიტყვით, მე ამ დიდი საქმით ვარ დაკავებული.

არანაკლებ უცნაური პასუხი მხატვარ **გია გულაძისგან** მივიღე:

— „ერუდიტში“ გსურთ ჩემი ჩაწერა? ეს უკვე სასაცილოა.

— **რა არის სასაცილო?**

— (*იცინის*) წარმოვიდგინე ულვაშებიანი, სათვალიანი ადამიანი, რომელიც ზის და ცდილობს, თქვენ მიერ დასმულ კითხვებს უპასუხოს. არ მინდა, არა! კარგად იყავით და გმადლობთ, რომ გახსოვვართ.

ახლა კი იმ რესპონდენტებს მივუბრუნდეთ, რომლებსაც საკუთარი თავის რწმენა და გამბედაობა ეყოთ და „ერუდიტში“ ჩაწერაზე უარი არ მითხრეს. წელს რუბრიკაში 50 სტუმარი გვყავდა. მათ შორის, „წლის ერუდიტის“ წოდება არაერთს ეკუთვნოდა, მაგრამ დასმული შეკითხვებიდან ყველაზე მეტს, გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა — **ირაკლი ღვალაძემ** უპასუხა: 47 შეკითხვიდან 41 კითხვაზე პასუხი იცოდა და შესაბამისად, 87,2%-ით „წლის ერუდიტი“ გახდა. შემდეგი საუკეთესო ხუთეული კი ასე გამოიყურება: მე-2, მე-3 ადგილები 83,7%-ით **თამაზ კვაჭანტირაძემ** და **არჩილ მაჭავარიანმა** გაიყვეს, **ალბა ლიკლიკაძე** — 82,3%, **ზურა ფარეზიანი** — 82% და მე-5 ადგილი 81,6%ით — **ია მეტრეველმა** და **დავით საგანელიძემ** გაიყვეს. „წლის ანტიერუდიტი“ პარტია „ქართული პოლიტიკის“ ლიდერი — **გოჩა ფიფია** (23,6%-ით) გახდა. მან დასმული 33 კითხვიდან მხოლოდ 9-ზე გასცა სწორი პასუხი. მე-2 ადგილზე **ზვიო (ზვიად ბლიაძე)** — 42,3%-ით, ხოლო მესამეზე — **ელენე თევდორაძე** 47%-ით — გავიდნენ.

ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ რუბრიკით გამოქვეყნებული 50 ინტერვიუ.

2008 წლის პირველ საახალწლო ნომერში რუბრიკა „ერუდიტი“ განსხვავებული ფორმატით წარმოგიდგენთ: კითხვების უმრავლესობა ცნობილ ადამიანთა ხუმრობებზე ავაგეთ და „კომედი შოუს“ მსახიობებს — **ნიკა არაბიძესა** და **ვასო ფხაკაძეს** დავუკავშირდით. მათ ბრალი დამდეს, — ადვილი კითხვებით მოგვიტყუეთ და არასწორი პასუხების გაცემისთვის, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ ნამდვილად არ შეურცხვენიათ თავი.

„გზის“ №2-ის სტუმარი **ზონზო (ზურა გაჩეჩილაძე)**

იყო. ინტერვიუს მისი ვაჟი, გიორგიც ესწრებოდა და მამას ყოველი არასწორად გაცემული პასუხისთვის მკაცრად ტუქსავდა, — არ გრცხვენია? ეგ როგორ არ იცი?! არადა, შონზომ კითხვარს შესანიშნავად გაართვა თავი — დასმული 61 კითხვიდან 50-ს უპასუხა.

პაატა გულიაშვილი „ერუდიტში" სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისაყვედურა, — „რა არის, რამდენ კითხვას მისვამ? გინდა, „გზის" დარტყმა მიმაღებინო"? მან „გზის დარტყმას" გაუძლო — კითხვების 69,6% უპასუხა.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, **გუბაზ სანიკიძეს** „ერუდიტში" სტუმრობა არჩევნებისწინა პერიოდში ვთხოვე. მისგან კი ასეთი უცნაური პასუხი მივიღე:

— რას ამბობთ? გამიმეორეთ, რა რუბრიკაში უნდა ჩამწეროთ?

— **რუბრიკაში „ერუდიტი".**

— უჰ!!! გადავირიე კაცი, მე „ეროტიკა" გავიგონე.

რამდენიმე დღის შემდეგ მას ხელმეორედ დავუკავშირდით. ამჯერად „გაუგებრობას" ადგილი აღარ ჰქონია. შეხვედრისას ბატონმა გუბაზმა აღიარა: „წიგნებს ბავშვობაშიც ვიპარავდი და ახლაც ვიპარავ... შეგიძლიათ, წიგნიპარია მიწოდოთ". წიგნიპარია პოლიტიკოსმა დასმული კითხვების 77,7%-ს უპასუხა.

ინტელექტუალური კლუბის — „რა? სად? როდის?" მოთამაშეებიდან, „ერუდიტის" სტუმრები, **ანდრო სოლოლაშვილი** (69,34%), ზურა ფარჯიანი (82%), ია მეტრეველი (81,6%), **ვახტანგ ელერდაშვილი** (76,9%), არჩილ მაჭავარიანი (83,7%) და **ოთარ საბაშვილი** (72,7%) იყვნენ...

მიშა მშვილდაძე კითხვების „ეშმაკურად შერჩევაში" დამადანაშაულა, თუმცა არცთუ ისე ცუდი შედეგი — 71,1% უჩვენა. განწყობილებისთვის მან საკუთარი ლექსიც წამიკითხა და ანატოლ ფრანსის სიტყვები გაიხსენა: „მე წიგნს არასდროს, არავის ვათხოვებ, იმიტომ, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა იმ წიგნებისგან შედგება, რომლებიც სხვებმა მათხოვეს".

„რესპუბლიკელებს" ხშირად, ინტელექტუალთა პარტიას უწოდებენ. მათი 4 წევრი: **დავით ბერძენიშვილი** (77%), **ივლიანე ხაინდრავა** (61,3%), **ირაკლი გათიაშვილი** (66,6%), **ვახტანგ ხმალაძე** (75%), ბატონი ივლიანეს თქმით, — „გამოცდაზე" გავიყვანეთ. დავით ბერძენიშვილმა აიჩემა, — ნამდვილად შეგეშალათ, ჩემთან კი არა, ლევანთან უნდა დაგერეკათ, მე რა ერუდიტი ვარო?! მას ყველაზე მეტად, რომანების კითხვა ჰყვარებია... **ვახტანგ ხმალაძემ** მითხრა, — 30 წლის წინ ყველა კითხვაზე უშეცდომოდ გიპასუხებდითო. აღმოჩნდა, რომ მისი სუსტი წერტილი — თარიღების დამახსოვრებაა.

— **რომელ ქალაქში და როდის შეიქმნა ინტერპოლი?**

— ოო! თარიღები ჩემი სუსტი წერტილია. ინტერპოლი კი არა, ზოგჯერ, შვილების დაბადების წლებიც კი მავიწყდება (*იცინის*). ცოლი რომელ წელს შევირთე, რომელი შვილი რამდენი წლის შემდეგ შემეძინა, ვანგარიშობ ხოლმე.

— **საინტერესოა, დაქორწინების თარიღს როგორ ითვლით?**

— მარტივად: მახსოვს, მაშინ 33 წლის ვიყავი. საკუთარი დაბადების წელი არ მავიწყდება.

წელს „ერუდიტს" 2 ლეიბორისტი სტუმარიც ჰყავდა. **ნესტან კირთაძემ** (62,3%) გვითხრა, რომ სიამოვნებას ისეთი ნაწარმოების კითხვა ანიჭებს, რომელიც კითხვებს კი არ ბადებს, არამედ პირიქით — კითხვებზე პასუხს სცემს. ივლიანე ხაინდრავას მსგავსად, „ერუდიტში" სტუმრობა **პაატა ჯიგლაძემაც** გამოცდაზე გასვლას შეადარა და მითხრა, რომ ამ რუბრიკას ხშირად კითხულობს. მან დასმული კითხვების 73,3%-ს უპასუხა.

„მემარჯვენე" **დავით საგანელიძის** საყვარელი მწერალი გურამ დოჩანაშვილია. მისი ნაწარმოებები იმდენჯერ აქვს წაკითხული, რომ ცალკეული თავების ზეპირად ციტირებაც კი შეუძლია. ბატონი დავითი 81,6%-ით, წლის „ერუდიტის" საუკეთესო ხუთეულში მოხვდა.

გიგა ნასარიძემ კითხვების უმრავლესობა (73,7%) ინტუიციის კარნახით გამოიცნო. გიგამ მითხრა, — სანამ კითხვას ვისწავლიდი, უფროსებს ვაიძულებდი, ჩემთვის ზღაპრები ხმამაღლა წაეკითხათო. ხოლო მას შემდეგ, რაც ანბანი ისწავლა, სულ კითხულობს და კითხულობს, საყვარელი მწერალი კი არ ჰყავს.

„კომედი-შოუს" მსახიობმა **გოჩა თანდარაშვილმა** (76,1%) მითხრა, რომ ბავშვობაში დარჩა — დღესაც ზღაპრებს კითხულობს.

— **ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეეწირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, 3 დღეც ველარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?**

— სიმძიმეების აწევაში.

— **ცდები, ღვინის სმაში. შენ რამდენი ლიტრი ღვინის დალევა შეგიძლია?**

— 2 ლიტრის. სამაგიეროდ, შემიძლია, 20 ლიტრი ლუდი დავლიო.

— **კარგი, ახლა, ნუ ტრაბახობ.**

— (*იცინის*) არა, 10 ლიტრ ლუდს 4-5 საათის განმავლობაში მართლა ვსვამ.

გიგი წერეთელი წიგნის ქურდს „დიდ ქურდს" უწოდებს და დასძენს: „მე რომ ვინმემ წიგნი მომპაროს, ძალიან მეწყინება და გავბრაზდები". მას წინასაარჩევნო პერიოდში შევხვდი. კაბინეტში შესვლისთანავე შევამჩნიე, რომ დაღლილი იყო, მაგრამ კითხვების დასმა დავიწყე თუ არა, ერთბაშად გამოცოცხლდა. მისთვის მომზადებული კითხვების 82%-ს უპასუხა, დამშვიდობებისას კი მითხრა, — ღამენათევი და დაღლილი რომ არ ვიყო, პასუხს ყველა კითხვაზე გაგცემდი, ამ რუბრიკაში სხვა დროსაც სიამოვნებით შეგხვდებიო.

პოლიტიკური პარტიის — „ჩვენ თვითონ" ლიდერს, **პაატა დავითაიას** (60,6%) სკოლა ხუთებზე დაუმთავრებია. მიუხედავად იმისა, რომ გეოგრაფიასაც კარგად სწავლობდა, კითხვაზე — რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი? — პასუხის გაცემა გაუჭირდა:

— უშბა არ არის, რომელია? (*ფიქრობს*) გია მაინც იყოს ჩემთან, დამეხმარებოდა. ზარი ახლობელთან შეიძლება?

— **არა, თქვენ თვითონ უნდა უპასუხოთ.**

— სამწუხაროა. ჩემი პარტიის დასახელებაზე გაკეთეთ მინიშნება?

— **გეხუმრეთ. დარეკვის უფლებას მოგცემთ, ვეჭვობ, გია თორთლაძესთან ფიქრობთ დაკავშირებას.**

— (*იცინის*) გამოიცანით (ის მობილურით გია თორთლაძეს დაუკავშირდა და ჩემ მიერ დასმული კითხვა დაუსვა. მისგან კი პასუხი იმწამსვე მიიღო და მითხრა) შხარა. ის ზღვის დონიდან 5068 მეტრზე მდებარეობს.

პაატა დავითაიასგან განსხვავებით, **პეტრე მამრაძეს** პოეზია ძალიან უყვარს. ზეპირად 1000-ზე მეტი ლექსი იცის. მან დასმული კითხვების 59,5%-ს უპასუხა.

— **რომელი ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა?**

— ეს ყველაფერი ჩემმა ქალიშვილმა, ლიზიმ შესაშურად იცის, მე — ნაკლებად. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა, თუ არ ვცდები, ტბა ტანგანიკა მდებარეობს.

— დასახელება შეგეშალათ, ტბას ტიტიკაკა ჰქვია და ანდეების მთებში, ზღვის დონიდან 3821 მეტრზე მდებარეობს.

სერიალის — „შუა ქალაქში" — მსახიობთან, პროფესიით ექიმ **ოთარ ტატიშვილთან** (64,4%) შეხვედრა ერთ-ერთ კლინიკაში შედგა. მორიგ მადლიერ პაციენტთან დამშვიდობების შემდეგ, — აბა, როგორი ერუდიტი ვარ, გამომცადეთო, — მითხრა და სავარძელში მოკალათდა. ჩემი და ექიმის ხალათში გამოწყობილი ინტელექტუალის დიალოგის მოსმენის სურვილი მისმა თანამშრომლებმაც გამოთქვეს, მაგრამ კოლეგამ ისინი დატუქსა და კაბინეტიდან გააძევა, თან დასძინა, — ჩემი

ერუდიცია თუ გაინტერესებთ, ხუთშაბათს „გზა“ იყიდეთ და წაიკითხეთო. კითხვების ნაწილზე პასუხები თავად იცოდა, ნაწილი კი მინიშნებით გამოიცნო.

— რა პროფესიის იყო პიტერ ბლადი?

— არ ვიცი.

— ის თქვენი კოლეგა იყო.

— ექიმი ყოფილა, ექიმი (*იცინის*).

— მოქეიფე კაცი ღვინოს რით უნდა ამოწმებდეს?

— „პახმელიით“, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით.

პაროდიის თეატრის მსახიობი **გელა ბერულაშვილი** „ერუდიტში“ სტუმრობაზე დამთანხმდა, მაგრამ შეხვედრის დროს დაიჩივლა, — 3-4 დღით ადრე მაინც გაგეფრთხილებინე, ენციკლოპედიებს წავიკითხავდი, რუკას გადავხედავდი და თქვენს მკითხველზე უფრო კარგ შთაბეჭდილებას დავტოვებდიო. მან დასმული კითხვების 61,2%-ს უპასუხა და მდინარე ჟინვალიც „აღმოაჩინა“:

— რომელ მდინარეზეა აგებული „ჟინვალჰესი“?

— რომელზე უნდა იყოს, ეგ რა საკითხავია?

— მიპასუხეთ.

— მდინარე ჟინვალზე.

— მდინარე ჟინვალი არსებობს? პასუხში დარწმუნებული ხართ?

— არ არსებობს? მაშინ, მდინარე არაგვზე იქნება აგებული. იქ სხვა მდინარე არ არის.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მაშინდელი მინისტრი პირველი იყო მთავრობის წარმომადგენელთაგან, ვინც მოუცლელობის მიუხედავად, „ერუდიტში“ სტუმრობაზე დამთანხმდა: შეხვედრის დროს მითხრა, — სავალდებულო საგნების გარდა, მხატვრულ ლიტერატურასაც ხშირად ვკითხულობდი, ჯერ დეტექტივებით, შემდეგ კი ისტორიული ნაწარმოებებით ვიყავი გატაცებულიო. ინტერვიუს მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ მას კარგი მეხსიერებაც ჰქონია — 47 კითხვიდან 41-ზე პასუხის გაცემა შეძლო და 50 რესპონდენტიდან საუკეთესო შედეგით — 87,2%-ით პირველ ადგილზე გავიდა.

განათლების ექსმინისტრის, **თამაზ კვაჭანტირაძის** აზრით, რუბრიკა „ერუდიტი“ მავანთა ამოსაცნობად საინტერესო ჟურნალისტური ხერხია, მაგრამ დასძინა, რომ რეალურად, ადამიანის ინტელექტი კონკრეტული ფაქტებისა და ციფრების დამახსოვრებით კი არა, ამ მოვლენებითა და თარიღებით მანიპულირების უნარით ამოიცნობა. აღნიშნა, რომ ზეპირად უზარმაზარი ტექსტების დამახსოვრება შეუძლია, მაგრამ მის გეოგრაფიულ-სივრცით ორიენტაციაზე ანეკდოტი დადიოდა: მაგალითად, კარგა ხანს ეგონა, რომ კახეთში მცხეთის გავლით მოხვდებოდა. ბატონი თამაზი ერთ-ერთი საუკეთესო რესპონდენტი გახლდათ. მან კითხვების 83,3%-ს უპასუხა.

ცნობილი ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი** იმ კითხვამ ჩაჭრა, რომელზე პასუხიც, წესით, უნდა სცოდნოდა:

— რას უწოდებდნენ ძველად ქართველები ასტროლოგიურ წიგნს?

— არ ვიცი, მაგრამ ძალიან მაინტერესებს.

— ქართველები ასტროლოგიურ წიგნს „ხელთაის“ უწოდებდნენ.

— საინტერესოა. უნდა დავიმახსოვრო.

იმის გასარკვევად, დაიმახსოვრა თუ არა წიგნის სახელწოდება, ბატონ მიხეილს რამდენიმე დღის წინ კვლავ დავუკავშირდი და კითხვა გავუმეორე.

— ეს რუბრიკა მახსოვს, მაგრამ წიგნის დასახელებას ვერაფრით ვიხსენებ.

— „ხელთაი“.

— ახლაც შევრცხვი. აწი მართლა აღარ დამავიწყდება.

დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“ ის წიგნია, რომელმაც ცნობილ სამხედრო ექსპერტზე, ჟურნალისტ **კოტა ლიკლიკაძეზე** წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით, ინკვიზიტორის ფენომენმა გააოცა. მითხრა, რომ თანამედროვე ქართველი მწერლებიდან, ბესო ხვედელიძის ახალ მოთხრობებს ყოველთვის ინტერესით ელოდება. მან ისიც აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინ, ცხინვალში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის „სიზმარი“ წაიკითხა და დარწმუნდა, რომ გიგა ბრწყინვალე ნოველისტი იყო. კობა ლიკლიკაძემ 51 შეკითხვიდან 42-ს უპასუხა და 82,3%-ით, მე-4 ადგილზე გავიდა.

„საქართველოს გზის“ ლიდერი, **სალომე ზურაბიშვილი** (64,8%) „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. პარტიის ოფისში მისულს კი მითხრა, — მზად ვარ, „გზის“ თავდასხმას გავუძლოო. ყველაზე ხშირად, ის დეტექტიურ ლიტერატურას კითხულობს. ქართველი საზოგადო მოღვაწეებიდან, მისი, როგორც პიროვნებისა და პოლიტიკოსის, მთავარი საყრდენი — ილია ჭავჭავაძეა. კითხვაზე, — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? — დაუფიქრებლად მიპასუხა: შერლოკ ჰოლმსს.

— ამ ადამიანის მიერ შექმნილი წიგნით უამრავი თაობა აღიზარდა. თავიდან მასში ხშირად შეხვდებოდით ბარბარიზმებს: „ფეჩი“, „სტოლი“, „შკოლა“, „კარანდაში“, „სტაქანი“, რომელია ეს წიგნი?

— თქვენ ალბათ, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენას“ გულისხმობთ. მე ახლაც ასე ვლაპარაკობ.

— „ვეფხისტყაოსნის“ რომელი პერსონაჟი ჰყავდათ ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი?

— (*იცინის*) ისევ ქაჯებზე მეკითხებით?.. ციხეში ნესტანდარეჯანი ჰყავდათ გამომწყვდეული.

„გზა“ ყველაზე სოლიდური და სადა ჟურნალია; მართალია, შიდა ფურცლები შავ-თეთრია, მაგრამ მრავალფეროვანი მასალები ქვეყნდება, თქვენი სტილი გაქვთ და არავის ჰგავხართ“, — ქათინაურებით აგვავსო „ვანოს შოუს“ პრესის მიმომხილველმა **ზაქრო ინწკირველმა**. მან კითხვარს თავი შესანიშნავად გაართვა — 73,4% ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის.

„ერუდირებული ადამიანი არ ვარ“, — მითხრა „ქართული პოლიტიკის“ ლიდერმა **გოჩა ფიფიამ**, მაგრამ „ერუდიტში“ სტუმრობაზე მაინც დამთანხმდა. მას წიგნთან „მეგობრობა“ მე-8 კლასიდან დაუწყია. აღიარა, — ეს მამამ მაიძულა, თორემ კითხვის სურვილი თავად არ მიჩნდებოდაო. როცა კითხვებზე გადავედით, ინტერვიუს შეწყვეტა სცადა: — „ამ კითხვებით ჩემს ერუდიციას ამოწმებთ და ამან შეიძლება, ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენოს... მერჩივნა, პოლიტიკაზე გვესაუბრა“.

— ბატონო გოჩა, სატელეფონო საუბრის დროს შევთანხმდით, რომ ამ რუბრიკაში უნდა ჩამეწერეთ...

— გავაგრძელოთ, — მითხრა და აშკარად, ხასიათი შეეცვალა. სამწუხაროდ, ის „წლის ანტიერუდიტი“ გახდა. ინტერვიუს დასრულების შემდეგ, შეტევაზე გადმოვიდა:

— ერთი წუთით (*ხანგრძლივი პაუზის შემდეგ*), თუ იცით, დავით აღმაშენებელი რომელ წლებში მეფობდა?

— ამას რატომ მეკითხებით?

— ისე, არ შეიძლება?

— აქ კითხვებს მე ვსვამ, მაგრამ თქვენ რომ არ იფიქროთ, ჩამჭრელი შეკითხვა დავუსვიო, გიპასუხებთ, — 1089-1125 წლებში.

2008 წლის „ერუდიტის“ ბოლო სტუმარი — პოლიტიკური ექსპერტი და ფსიქოლოგი **რამაზ სამვარელიძე** გახლდათ. „სტუდენტობის წლებში ვახუშტი კოტეტიშვილი გვეუბნებოდა: სანამ დრო გაქვთ, მოასწარით, ბევრი წიგნი წაიკითხეთ, თორემ წლების შემდეგ ამისთვის ვეღარ მოიცლით“. ბატონ რამაზს მაშინ, პედაგოგის დარიგებაზე ეღიმებოდა. დღეს კი, როცა სასურველი მხატვრული ლიტერატურის წასაკითხად დრო აღარ რჩება, მისი სიტყვები ახსენდება. ცნობილმა ექსპერტმა კითხვების 68,8%-ს სწორი პასუხი გასცა.

ჟურნალი „გზა“ და საგამომცემლო სახლი „პალიტრა L“ ირაკლი ღვალაძეს ულოცავს წარმატებას და მას საჩუქრად „ვეფხისტყაოსანს“ გადასცემს.

რაც შეეხება „წლის ანტიერუდიტს“, გოჩა ფიფიას — ამავე საგამომცემლო სახლისგან ის დასურათებული ანბანით დასაჩუქრდება. ■

გაეცანით სამყაროს «გზასთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი „გზა“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“

„ვეფხისტყაოსანი“

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია“

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე“

მხოლოდ 31 დეკემბრამდე

მედია სახლი „პალიტრის“ გამოცემები:

დასახელება	1 ფაზ. ფასი	ფაზ. ... 1 ... ეკიდ. ...	ფასი 1 წლით
ქვირის პალიტრა	1.00	52	52.00
სიტყვა და საქმე	1.00	260	260.00
ყველა სიახლე	0.80	52	41.60
გზა	0.80	52	41.60
რეიტინგი	1.00	52	52.00
არსენალი	1.50	26	39.00
ქარიბჭე	1.00	26	26.00
ოჯახის ჟურნალი	1.00	26	26.00
კარუსელი	0.50	52	26.00
საბავშვო კარუსელი	1.00	52	52.00
ბომონდი	5.00	12	60.00
ლელო	0.50	312	156.00
ათინანი	5.00	12	60.00
ოსკარი	1.00	52	52.00
ლიბერალური პალიტრა	2.00	12	24.00
Georgian Journal	2.00	52	104.00

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი“

www.elva.ge

T: 38 26 73; 38 26 74

elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.

რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეეძლებით „ელვა.ჯი“-ს საბითუმო ჯაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მხოლოდ მიიღებთ!

„არტახებში მოქცეული მედია გაცილებით საშიშია, ვიდრე მტრის ავიაცია“...

„დიდად არც ხელისუფლება გვენდობა და არც ოპოზიცია“

დამდეგ 2009 წელს საქართველოში ყველაზე დიდი ხალისითა და იმედებით ჟურნალისტები ხვდებიან. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს მთელი წლის განმავლობაში უკიდურესად რთულ, დაძაბულ ვითარებაში მოუწიათ მუშაობამ. გარდა იმისა, რომ ცხელ წერტილებში, ჯარისკაცების გვერდით უწევდათ ყოფნა, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დევნის ობიექტადაც არაერთხელ ქცეულან, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, არც მუშაობის სურვილი დაუკარგავთ და არც ხალისიანი განწყობილება. ახალ წელს ახალი სურვილებით, ახალი იმედებით, ახალი, ჯერ კიდევ გაუმეღავნებელი თავგადასავლებით ხვდებიან და იმედოვნებენ, რომ მომავალი წარსულზე გაცილებით უკეთესი იქნება. როგორ აფასებენ ჟურნალისტები 2008 წელში მომხდარ ფაქტებს და რას ელიან ახალი, 2009 წლისგან?..



ხათუნა ბახტურიძე

— კონკრეტულად რომელ ფაქტს მიიჩნევთ წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენად?

კოგა ლიკლიკაძე:

— ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, ძალზე მნიშვნელოვანი იყო ერაყში მივლინება. პირადად ვნახე, როგორ მოქმედებდნენ ქართველი სამხედროები სამშვიდობო მისიის ფარგლებში. ასევე პირადად დავესწარი ბუქარესტში ნატოს სამიტს, სადაც ითქვა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრი ქვეყნები გახდებიან (მერწმუნეთ, ეს არ იყო მხოლოდ ლამაზი სიტყვები). მაგრამ ამ წელმა ძალიან ბევრი პრობლემის წინაშეც დაგვაყენა. ყველაზე მძიმე პერიოდი აგვისტოს ომი იყო, იქაც პირადად გახლდით და ჩემი თვალით ვნახე დაჭრილი და დაღუპული ადამიანები, მათ შორის, ჩემი მეგობრებიც იყვნენ.

— როგორც ვიცი, თქვენ გორში სწორედ იმ პერიოდში იმყოფებოდით, როდესაც ქალაქი იბომბებოდა. როგორი იყო მაშინ თქვენი რეაქცია?

— შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ იმ მომენტში ნაკლებად ფიქრობ, რომ ჭურვი მაინცდამაინც შენ დაგეცემა. თანაც, არსებობს კიდევ ერთი რელობა: ვერასოდეს გაიგონებ იმ ტყვიის ზუზუნის ხმას, რომელიც შენ მოგკლავს... დათო ჩიხლაძემ თქვა, — ომი კაცობრიობისთვის ბუნებრივი მოვლენაა, ხოლო სხვა დანარჩენი — მისი თანხმლები მოვლენაო. როგორც ჩანს, ჩვენ კიდევ მოგვიწევს ასეთ ადგილებში ყოფნა, ამის გაცნობიერებამ დეპრესიაში არ უნდა ჩაგვაგდოს და ცხოვრებაზე ხელი არ უნდა ჩაგვაქნევინოს.

— თქვენი აზრით, 2008 წელს მომხდარმა მოვლენებმა ქვეყნის ისტორიაში რამდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა?

— 2008 წელი საქართველოს ისტორიისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია: დავკარგეთ ტერიტორიები, დაგვეხოცა სამშობლოზე შეყვარებული ვაჟკაცები, შინა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დაგვიკარგავს, კიდევ დაგვრჩა ხელჩასაჭიდი რაღაცები და ახლა მაინც თუ გამოვიჩენთ წინდახედულებას, არსებულ პრობლემებს აუცილებლად მოვაგვარებთ. პრობლემები ხომ მარადიული არ არის?! ღამეს ყოველთვის დღე მოსდევს. თუ არ ვცდები, კოტე ყუბანეიშვილმა თქვა: „როცა უკუნი თითქმის სრულია, ნიშნავს — რიჟრაჟის დასაწყისია“. დარწმუნებული ვარ, მალე საქართველოში მდგარი უკუნი ნათლით შეიცვლება. მინდა, რომ ერთი სასიამოვნო ფაქტიც აღვნიშნო — სწორედ ამ წელს გაჩნდა იმის იმედი, რომ საქართველოში სიტყვა გათავისუფლდება და პლურალისტული მედიაგარემო ჩამოყალიბდება.

— ამის იმედს რა გაძლევთ?

— ხელისუფლება ხედავს, რომ არტახებში მოქცეული მედია გაცილებით საშიშია, ვიდრე მტრის ავიაცია და არტილერია. ბოლო დროს გამოაშკარავდა, რომ „გამომწყვდეული“ პრესა დეზინფორმაციას უხსნის გზას. 2008 წელს ქართულ საინფორმაციო სივრცეში სიახლეებიც გამოჩნდა. გარდა იმისა, რომ მაყურებელს დაუბრუნდა „იმედი“ და „მაესტრო“, ახალი რადიო — „პალიტრაც“ შემოგვემატა. მართალია, ის ჯერ ძალზე ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე „კოჭებში ეტყობა“, რომ ობიექტური და დამოუკიდებელი რადიომაუწყებლობა იქნება. მე კარგად ვიცნობ ამ რადიოში მომუშავე ჟურნალისტებს და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ვენდობი.

— 2009 წელს რა სურვილებით ხვდებით?

— ერთმა ბრძენმა თქვა: თუ შენს ქვეყანას უჭირს და შენ დალხინებული ცხოვრობ, ნაძირალა ხარ, მაგრამ თუ შენი ქვეყანა კარგად არის და შენ გაჭირვებული ხარ, მაშინ უტვინო ხარო. არც ერთი მინდა ვიყო და არც — მეორე. მინდა, რომ მომავალი 2009 წელი ჩემთვის და ჩემი ქვეყნისათვის აღმავლობის ხანად იქცეს. სამი შვილის მამა ვარ, ახლა პატარა ძმისშვილიც შემეძინა, რომელმაც ყველა ცუდი ამბავი და ომის შედეგად განცდილი ტკივილი დამავიწყა. მათთან ერთად, ძლიერ და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებაზე ვოცნებობ. მე კიდევ ერთი რამის იმედი მაქვს: მგონია, რომ მომავალში ის ადამიანებიც შეიცვლებიან, რომლებიც საკუთარ ქვეყანას ახლა დანის პირზე აბარებენ...

თენგო გოგოტიშვილი:

— რომ გითხრათ, ამ წლის განმავლობაში ომის გარდა, რაიმე სხვაც მახსოვს-მეთქი, მართალი არ ვიქნები. სხვისი ომი რომ ყოფილიყო, პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იქნებოდა, მაგრამ რად-

მაყურებელს დაუბრუნდა „იმედი“ და „მაესტრო“, ახალი რადიო — „პალიტრაც“ შემოგვემატა

გან ეს ყველაფერი ჩემს ქვეყანაში ხდებოდა, ჟურნალისტური პრინციპების დაცვა მიჭირდა.

— რას გულისხმობთ?

— დაუფარავად ვამბობ, რომ ომის დროს, პროპაგანდისტული მანქანის ერთ-ერთი ნაწილი მეც ვიყავი. დღეს ადამიანები ქუჩაში მაჩერებენ და აგვისტოს მოვლენების დროს გაკეთებული სიუჟეტების გამო მადლობას მიხდიან, მეუბნებიან, — ომი შენ გადაგვატანინეო. ეს ძალიან მახარებს, იმიტომ, რომ იმ პერიოდში, სწორედ პანიკაში ჩავარდნილი ხალხის ნუგეშისცემას ვცდილობდი. ჩემი ხალხისათვის რაიმე ხომ უნდა გამეკეთებინა?! ომს მე ვერ მოვიგებდი და რაც შემეძლო, იმას ვაკეთებდი.

— მართლაც, ურთულეს პერიოდში, საკმაოდ ხალისიან გადაცემებს ამზადებდით. თქვენთვის კონფლიქტის ზონაში მუშაობა ერთგვარ აზარტად ხომ არ იქცა?

— კი, ძალიან აზარტული იყო. როდესაც დანაღმულ ტერიტორიებზე შევდიოდი ან რუს ჯარისკაცებს ვუთვალთვალებდი, ადრენალინი მემატებოდა. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიხარულს განვიცდიდი, როდესაც მტრის აფეთქებულ ტანკს ვნახავდი. შარვალგამოხეული რუსი ჯარისკაცის ნახვა საუკეთესო განწყობილებაზე მაყენებდა. ეს ყველაფერი ჩემთვის თემა იყო. რუსების ალმოდებულ ტანკებსა და ქურდბაცაცა ჯარისკაცებზე სიუჟეტების მომზადებით, მსოფლიოს ვუჩვენებდი, თუ როგორი ბოგანოები იყვნენ.

— ამ ბოგანოებმა ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინეს...

— კი, მაგრამ ძალიან ბევრნი იყვნენ. არა უშავს, ჩვენი დროც მოვა, იცით, ჩემი საახალწლო სურვილები როგორია?..

— როგორია?

— რუსებმა ხომ გაგვინადგურეს ფოთის ბაზა, ახლა ჩემი ნატვრაა, რომ ჩვენმა ბიჭებმა მათ ნოვოროსიისკის სამხედრო ბაზა გაუნადგურონ და ფსოუმდე და როკის გვირაბამდე ჩააღწიონ. მართალია, 2008 წელმა ძალიან ბევრ პრობლემას პირისპირ შეგვაჯახა, მაგრამ იმედისმომცემი რაღაცებიც მოხდა. ახლა თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ინტეგრაცია დაჩქარდება და საქართველოში წესრიგი დამყარდება. ისე, კარგი იქნება, თუ წესრიგი ჩვენი პოლიტიკოსების გონებაშიც დამყარდება.

— მაინც რომელი პოლიტიკოსის გონება გეჩვენებათ არეული?

— გონება იმდენად ბევრს აქვს არეული, რომ მიჭირს რომელიმეს გამოყოფა.

— ამ წლის განმავლობაში მათი მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები იყო?

— კი, იყო.

— ამ მხრივ, ხელისუფლება უფრო აქტიურობდა თუ ოპოზიცია?

— რა გითხრათ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია ჟურნალისტებს ერთმანეთის ჯიბრზე ავიწროებდნენ. ჩვენი უმთავრესი პრობლემა ის არის, რომ დიდად არც ხელისუფლება გვენდობა და არც ოპოზიცია. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულება ნაწილობრივ დავიმსახურეთ კიდეც.

— მაინც რის გამო დავიმსახურეთ?

— არაობიექტური, მიკერძოებული სტატიებისა და სიუჟეტების გამო. სამწუხაროდ, ჟურნალისტის მხრიდან რომელიმე პოლიტიკოსის მიმართ ერთგულება და მისთვის გუნდრუკის კმევა ჩვენში ცუდ ტონად არ მიიჩნევა. ეს მარტო მედიის კი არა, პოლიტიკოსების ნაკლიც არის. საქართველოში საბოლოოდ ჩამოყალიბებული არც ჟურნალისტიკაა და არც პოლიტიკური ინსტიტუტები. თუ დამიმტკიცებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში რომელიმე პოლიტიკური პარტია სტრუქტურულად გამართულია და ჩამოყალიბებული, დახვწილი სამოქმედო პროგრამა აქვს, — თავს მოვიჭრი.

— თენგო, თქვენ მუშაობთ ტელეკომპანიაში, რომლის მფლობელიც საკმაოდ ხშირად იცვლება. რამდენად მოქმედებს ეს ფაქტი ჟურნალისტებზე?

— ტელეკომპანიისთვის, მფლობელების ხშირი ცვლა კარგი ნამდვილად არ არის, ეს გარკვეულ უხერხულობას გვიქმნის, მაგრამ არც მთლად დიდი ტრაგედიაა.

— ტელეჟურნალისტიკაში დატრიალებულ კარუსელზე რას იტყვით?

— (*იცინის*) ჰოო, ძალიან ავითქვიფეთ ერთმანეთში. ისე, რაღაცით საინტერესოც არის ასეთი სიტუაცია.

— მაინც რით არის საინტერესო?

— ჟურნალისტებს მეტი საშუალება ეძლევათ, რომ საკუთარი ძალები სხვადასხვა ტელეკომპანიაში მოსინჯონ.

დაჩი გრძელიშვილი:

— აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ჩემთვის წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ის გახლავთ, რომ ახალი გადაცემა — „საქართველოს დიდი ათეული“ მოვამზადეთ. მე მგონი, საკმაოდ საინტერესო გამოვიდა. იცით, რა მახარებს?.. რამდენიმე გადაცემა ისე ჩავატარეთ, რომ ჯერჯერობით, „პოლიტიკური ჯახი“ არ მომხდარა.

— პირველ არხზე მუშაობისას, „იმედის“ ნოსტალგია არ გიჩნდებათ?

— სადაც უნდა წავიდე, „იმედი“ ყოველთვის მომენატრება. ისე, ახალ სტუდიაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, პირველი არხის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პროექტი წარმატებული იყოს.

— განახლებული „იმედი“ თუ მოგწონთ?

— სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ მთლად ობიექტურია, მაგრამ ეს მხოლოდ „იმედის“ კი არა, მთელი ქართული მედიის პრობლემაა. დღეს „იმედში“ ჩემს კოლეგებს გმირობის ფასად უწევთ მუშაობა.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ მათ ძველი აუდიტორიის ნდობა დაკარგეს?

— ქართველებს ერთი ძალიან ცუდი ჩვევა გვაქვს — ყოველთვის სხვის მიმართ ვართ მომთხოვნები. ამას მხოლოდ კოლეგიალობის გამო არ ვამბობ. საქართველოში ჟურნალისტს ძალიან ბევრი მუშაობა და უამრავი წინააღმდეგობის დაძლევა უწევს. ის ადამიანები, რომლებიც ახლა „იმედის“ თანამშრომლებს აკრიტიკებენ, მაშინ სად იყვნენ, როდესაც ტელეკომპანია დაგვიხურეს?!.

— როგორც მახსოვს, მათ თქვენი მხარდასაჭერი აქციები მოაწყვეს.

— კი, ერთი-ორი სიტყვა შეგვაწიეს, მაგრამ მათ ჩვენ გამო ფართომასშტაბიანი აქციები არ მოუწყვიათ. დემოკრატიისთვის მხოლოდ ჟურნალისტმა კი არა, მთელმა საზოგადოებამ უნდა იბრძოლოს.

მეჩვენება — რომელ არხზეც უნდა გადართო ტელევიზორი, ყველგან ერთნაირი სიტუაციაა

— დღეს თუ გრძნობთ რაიმე სახის ზეწოლას?

— პირადად მე არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ, მაგრამ ზოგჯერ მეჩვენება — რომელ არხზეც უნდა გადართო ტელევიზორი, ყველგან ერთნაირი სიტუაციაა, განსხვავება მხოლოდ სტუდიების დიზაინშია. ძალიან მიხარია, რომ პირველი არხი ცდილობს, ეს ვაკუუმი გაარღვიოს და უფრო ობიექტური და საინტერესო გახდეს. იმედი მაქვს, ახალ, 2009 წელს ჩვენი სურვილები ხორცს შეისხამს და ქართული მედიასივრცე საზოგადოებისთვის უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდება.

— დაჩი, როგორ ფიქრობთ, ჟურნალისტებსაც ხომ არ მიუძღვით გარკვეული წვლილი იმაში, რომ ქართული მედიასივრცე დამოუკიდებელი არ არის?

— კი, რა თქმა უნდა. არ ვიცი, ეს ქართული ხასიათის ბრალია თუ სხვა რამის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, პროფესიულ საკითხებში ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას არ ვიჩენთ. იმედი მაქვს, მომავალ წელს ქართველი ჟურნალისტები ბევრ წარმატებას მივაღწევთ. კარგი იქნება, თუ მოვახერხებთ და რაიმე აპოლიტიკურ გაერთიანებას შევქმნით, რომელიც

გაგრძელება 69-ე გვერდზე

ახალი წლის ღამეს ყველა ქალის სურვილია, ლამაზად და მოხდენილად გამოიყურებოდეს. ამიტომ ეს ღამე თქვენი გარდერობისთვის სერიოზული გამოცდაა. რა უნდა ჩავიცვათ ახალწლის ღამეს და როგორია 2009 წლის მოდის ტენდენცია, დიზაინერ თამუნა ინგოროყვასგან შეიტყობთ.

„მოდაში მრავალფეროვანი სტილია"...

მარეხ ჭონიშვილი

— თამუნა, რა ფერის სამოსი იქნება აქტუალური ხარის წელს?

— ამ ზამთარში აქტუალური იქნება ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი და კრემისფერი. ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულში ამ ფერებს წითელი და ლურჯიც დაემატება.

— რა მასალას ენიჭება უპირატესობა?

— ისევე, როგორც ყოველ ზამთარს, ახლაც აქტუალური შალია. გაზაფხულზე კი ატლასისა და შიფონისაგან შეკერილი კაბებია მოდაში.

— ნაქსოვზე რას გვეტყვი?

— ნაქსოვი ყოველთვის აქტუალური იყო და 2009 წელსაც დარჩება. ამ სეზონზე კი განსაკუთრებით მოდურია ხელით ნაქსოვი, დიდი ზომის უაკეტები.

— როგორი შარვლებია მოდაში?

— ძირითადად, ორნაირი: განიერი და ვიწრო. გაზაფხულისთვის კი „ბანანისებური" შარვლები იქნება მოდაში. რაც შეეხება შარვლის წელს, მან ოდნავ დაიწია, მაგრამ თეძოზე არ ჩამოსულა და ამ სეზონზე კვლავ მაღალწელიანი შარვლები იქნება აქტუალური.

— კაბის სიგრძე როგორია?

— დღეს მოდაში მრავალფეროვანი სტილია. ყველა დიზაინერი კაბის სხვადასხვა სიგრძეს გვთავაზობს. ადრე მაგალითად, თუ მოდური იყო მინი და ის ყველას უნდა სცმოდა, ახლა მოდურია მინიც, მიდიც და მაქსიც. რაც შეეხება ჩემს ახალ კოლექციას, — მე მომხმარებელს მოკლეს, მიდის, გამოსასვლელ და ელეგანტურ ტანსაცმელს ვთავაზობ, რადგან მიმაჩნია, რომ ქალი ასე ჩაცმული უფრო მიმზიდველად გამოიყურება.

— თამუნა, კოლექციის შექმნისას თუ ითვალისწინებ ხოლმე, რისი წელი მოდის?

— ასეთ რამეს არც ერთი დიზიანერი არ ითვალისწინებს და მათ შორის — მეც. ახალ კოლექციას რომ ვქმნი, მასზე ფიქრს ერთი წლით ადრე ვიწყებ. ამიტომ ამ დროს, ბუნებრივია, ვერ ვიფიქრებ იმაზე, ნეტავ, ჰოროსკოპის მიხედვით რაა მოდაში-მეთქი? მაგრამ ხშირ შემთხვევაში ასტროლოგიური პროგნოზი და მოდის ტენდენციები ერთმანეთს ემთხვევა.

— როგორი პალტოებია მოდაში?

— გააჩნია ადამიანის გამოვნებას. ზოგს გრძელი პალტო მოსწონს, ზოგს — მოკლე. მაგრამ ჩემი აზრით, მუხლამდე სიგრძის პალტო უფრო პრაქტიკულია — შარვალსაც ძალიან უხდება და მის შიგნით, კაბასაც თავისუფლად დამალავ. არ მომწონს, როდესაც გრძელ კაბებზე მოკლე პალტოები აცვიათ, ამ დროს ნაძვის ხესავით გამოიყურებიან. რაც შეეხება პალტოს საყელოს, ამ სეზონზე აქტუალურია დიდი, უფორმო საყელოები, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს შარფი გაქვს შემოხვეული.

— ალბათ ამ ზამთარს ქუდები კვლავ აქტუალური იქნება...

— ქუდის მორგება ინდივიდუალურია. წელს, მოდურია ყველანაირი ფორმის ქუდი. რაც შეეხება ქსოვილს, ამ სეზონზე მოდურია ბეწვის და ხელით ნაქსოვი ქუდები.

— რას ურჩევ ქალბატონებს, ახალი წლის ღამეს რა ჩაიცვან, მოდურად რომ გამოიყურებოდნენ?

— იმ ქალბატონებს, რომლებიც ახალ წელს რესტორანში ან წვეულებაზე ხვდებიან, ვურჩევ ოქროსფერი და ვერცხლისფერი სამოსი შეარჩიონ. მაგრამ თუ შავი კაბის ჩაცმა აქვთ გადაწყვეტილი, სასურველი იქნება, რაიმე აქსესუარით გაალამაზონ ან ოქროსფერი ქამრით დაამშვენონ; ხოლო იმ ქალბატონებს, ვინც ახალ წელს ოჯახში ხვდებიან და უნდათ, თავისუფლად და ლამაზად ეცვათ, ვურჩევ: შარვალი ჩაიცვან და ოქროსფერი ან იასამნისფერი ზედატანი შეუხამონ. თუ სადად ჩაცმა სურთ, სასურველი სამოსი აქსესუარებით გაილამაზონ, რადგან დიდი ზომის სამკაულები წელსაც აქტუალურია.

— როგორი ფეხსაცმელია მოდაში?

— მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი კვლავ მოდაში რჩება. ამ ზამთარს ასევე აქტუალურია „შტიბლეტები". რაც შეეხება ჩექმის ყელის სიგრძეს, ის დამოკლდა და ამ სეზონზე ნახევარჩექმაა მოდაში. ასეთი სიგრძის ყელი უფრო მოხდენილია და ყველანაირ სამოსს უხდება. ჩექმის ყელი ფეხზე მომდგარი უნდა იყოს. ■

აბჯესიული მაჯიანი, „მოგუდული ყვითელი“ ფეხი და ადლვჩიანა საღლესასწაულო სუფრა

2009 წლის მოდურ ტენდენციებზე გვესაუბრება განახლებული პირველი არხის ვიზუალური მიმართულების ჯგუფის უფროსი, იმიჯმეიკერი და დიზაინერი იზა ნადარეიშვილი:

ეკა გუნთაიშვილი

— იზა, შენ ცოტა ხნის წინ იყავი მილანის საერთაშორისო მოდის კვირეულზე რა სახლეებს გვთავაზობს მსოფლიო მოდა 2009 წელს?

— დავიწყებ ფეხსაცმლით. მილანში გამოფენილი კოლექცია მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თავისთავად ცხადია, ყველა დიზაინერს ინდივიდუალური სტილი ჰქონდა წარმოდგენილი, მაგრამ ტენდენცია საერთო გახლდათ: 2009 წელს მოდაშია პლატფორმით განეიტრალებული, მაგრამ ისევ და ისევ მაღალი, 12-13 სმ ქუსლიანი ფეხსაცმელი, ოდნავ მომრგვალებული ცხვირით. კვლავ მოდური რჩება არაპრაქტიკული სტილის — ანუ სხვადასხვა აქსესუარით, განსაკუთრებით ბეწვით მორთული ფეხსაცმელი. ოღონდ ჩემი მხრივ, დავამატებდი, რომ ის, ვინც მაღალ ქუსლსაა შეჩვეული, ამგვარ ფეხსაცმელში თავს საკმაოდ კომფორტულად იგრძნობს, ვინაიდან მისი კალაპოტი იმდენად მოსახერხებელია, რომ პრაქტიკულად ვერც გრძნობ, ამსიმაღლე ქუსლი რომ აქვს. რა თქმა უნდა, არსებობს ალტერნატივა, დაბალძირიანი ფეხსაცმლის მომხმარებლისთვის — „ბალეტკები“ კვლავ მოდაში რჩება, და საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ამ ბოლო წლებში ეს თითქმის უცვლელი თემაა. პირადად მე, ძალზე მომხიბლა კუბოკრულმა ფეხსაცმელებმა... ასევე წარმოდგენილი იყო არასტანდარტული ფეხსაცმელები, სხვადასხვაგვარი გეომეტრიული ფიგურის ფორმის ქუსლითა და ასევე უცნაური, არასტანდარტული ცხვირით. ფერებს რაც შეეხება, დასაშვებია ნებისმიერი პალიტრა. ის კი არა და, აბსოლუტურად აბსურდული ფერების თანხვედრილი ვარიანტიც შემხვედრია. ძალზე მოდურია ე.წ. გველის ტყავის ეფექტი... ზოგადად, 2009 წელს აქტუალური იქნება თამბაქოსფერი, მომწვანო, ჭაობისფერი, ე.წ. „მოგუდული ყვითელი“, მდოგვისფერი, ოქროსფერი. შავი და თეთრი აქტუალობას არც 2009 წელს კარგავს.

— ჩექმაზე რა იტყვი?

— მოდაში შემოდის ე.წ. „ჯარისკაცური“ სტილის, მუხლამდე სიგრძის ჩექმა — როგორც სწორი ფორმის, ასევე ოდნავ ჩაჩაჩული. ასევე — რადიკალურად განსხვავებული — ლაკის, ლაკისა და ტყავის კომბინაციის, კუბოკრული, უმეტესწილად კი — ბეწვით გაწყობილი ჩექმა. საერთოდ, 2009 წელს ყველა ასპექტში ბეწვი დომინირებს. აქტუალური იქნება (დოლჩე და გაბანას კოლექციიდან) სხვადასხვაგვარი მოსართავით შემკული, კლასიკურად შეკერილი ბოტები, რომელიც ფეხზე მომდგარია, მაგრამ ფეხის სილუეტს არ გამოკვეთს (უფრო — ე.წ. „ტრუბა“).

— თინეიჯერებმა როგორი ფეხსაცმელი უნდა ატარონ?

— თინეიჯერებისთვის ისევ აქტუალურია კედები და ბოტასები, ოღონდ — უფრო გარდამავალ ფერებსა და ორიგინალურ სტილში გადაწყვეტილი.

— როგორ შარვლებს მივანიჭოთ უპირატესობა?

— როგორც ყოველთვის, მომავალ წელსაც სუპერმოდური იქნება ჯინსი, ოღონდ ძირითადად, ტანზე მომდგარი სილუეტით. მოდის კვირეულზე წარმოდგენილი იყო როგორც ყოველდღიური, ასევე კლასიკური, სხვადასხვაგვარი თვლით გაწყობილი ჯინსის შარვლები. რაც შეეხება სხვა ქსოვილისგან შეკერილი შარვლებს, მოდურია როგორც მაღალწელიანი და ოდნავ განიერი (ოღონდ არა — შლაქსი, უფრო ტრაპეციის მაგვარი), ასევე საკმაოდ დაბალწელიანი, ტანზე მჭიდროდ მომდგარი (რომელსაც ჩატანებულ მაისურთან ან პერანგთან ერთად ატარებენ) შარვლები, თეძოზე შემოკრულ შარფთან ერთად. მომდგარი შარვლის სიგრძე კოჭამდე უნდა იყოს, ხოლო თავისუფალი შარვლისა — უფრო გრძელი. თინეიჯერებისთვის წარმოდგენილ კოლექციაში კვლავ აქტუალურია დაბალწელიანი შარვლები და ჩაჩები. მინდა გითხრა, რომ თითქმის უკვე ორი წელია, ლაპარაკია 80-იანი წლების მოდის დაბრუნებაზე (მაგალითად, ბანანის ტიპის შარვლებზე, ლიპებიან და განიერ, გრძელ ზედატანებზე), მაგრამ ამ ტენდენციამ ჯერჯერობით ფეხი ვერ მოიკიდა. ყოველ შემთხვევაში, მე არც ერთი დიზაინერის მიერ წარმოდგენილ კოლექციაში მსგავსი სტილის სამოსს არ შეეხვედრივარ და მასობრივ მოხმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

— ქვედაბოლოებსაც შევეხოთ.

— აქტუალური იქნება მუხლს ქვემოთ სიგრძის (მიდი), ტანზე მჭიდროდ მომდგარი, უკან ჩახსნილი ქვედაბოლოები.

— გადავიდეთ ზამთრის სამოსზე. როგორი პალტოები და ქურთუკები იქნება მოდაში მომავალ წელს?

— მოდაშია მუხლამდე სიგრძის, წელში გამოყვანილი, უმეტესწილად ბრტყელქამრიანი პალტოები — აუცილებლად კონსტრუქციულად დატვირთული, განიერი, გადაფენილი საყელოთი და რაც შეიძლება მეტი ჯიბით. ისევ და ისევ, მოდის „გამოძახილია“ ბეწვით გაწყობილი, კაპიუშონიანი ქურთუკები (ასევე ჟილეტები და უსახელო მოსაცმელები). რაც შეეხება სტილს, ქურთუკი უნდა იყოს ან მოკლე (წელამდე) ან ოდნავ გრძელი (თეძოს ქვემოთ), ოღონდ — ოდნავ წელში გამოყვანილი.

— თაქსაბურავებზე რას მეტყვი?

— 2009 წელს ძალზე მოდური იქნება შლაპები. ყოველდღიურად კი ბერეტებსა და მსხვილი ჩხირებით ნაქსოვ, უკან ნაგრძელებული ფორმის ქუდებს გირჩევთ.

— როგორ ჩანთებს მივანიჭოთ უპირატესობა?

— ისევე, როგორც ფეხსაცმელი, ჩანთაც ძალზე ინდივიდუალურია. მომავალ წელს კი ყველანაირი გემოვნების მომხმარებელს ეძლევა საშუალება, ატაროს თავისი საყვარელი სტილის ჩანთა, ვინაიდან მოდაშია აბსოლუტურად ყველანაირი ფორმისა და ზომის ჩანთა — დაწყებული „საკვოიაჟით“ და დამთავრებული ძალზე დიდი ზომისათი.

— რას ურჩევ ქალბატონებს, რა ფერის სამოსი ჩაიცვან და როგორი მაკიაჟი გაიკეთონ 31 დეკემბრის ღამეს?

— საერთოდ, მიმაჩნია, ტანსაცმლის ფერის შერჩევა განწყობილებაზეა დამოკიდებული და ადამიანმა თვითონ უნდა

შეარჩოს სასურველი ფერის ტანისამოსი. პირადად მე, ვაპირებ შავ-თეთრის კომბინაციას რაიმე ჟოლოსფერი შტრიხი შევუხამო. ასევე, ძალზე მომწონს და აქტუალურადაც მიაჩნია ე.წ. თბილი ფერები — გამოვარჩევდი ნატურალურ ატმისფერს: ერთდროულად ნაზიცაა, თბილიც, ცეცხლოვანიც და რაც მთავარია — გაცვეთილი არ არის...

რაც შეეხება მაკიაჟს, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ დღისა და საღამოს მაკიაჟი. დღის ტონები უფრო ნათელი და ღიაა, საღამოს განათება კი, ასე ვთქვათ, შეათანთქავს ამ ფერებს, ამიტომ ქალბატონებს საღამოსთვის გაცილებით მკვეთრსა და ცოტა აგრესიულ მაკიაჟსაც კი ვურჩევდი — იქნება ეს „პერლამუტრით", ბრჭყვიალებითა თუ მყვირალა „ტენებით" გაჯერებული. იგივე ითქმის სადღესასწაულო მაკიაჟზეც. საერთოდ, სადღესასწაულო მაკიაჟის დროს, ყველანაირი თამამი სვლა მისაღებია.

ზოგადად, დამდეგ წელს ძალზე აქტუალურია სახის გაცრეცილი, ე.წ. ინტელიგენტური ფერი, ჩავარდნილი ლოყებითა და მკაფიოდ გამოხატული ყვრიმალებით — ეს რაღაც ევროპულისა და აღმოსავლური სტილის შერწყმას უფრო ჰგავს. მოდაშია ნაზი გრადაციები. მთავარია, მაკიაჟის ტონები და ჩრდილები თანდათანობით, შეუმჩნევლად გადადიოდეს ერთმანეთში. რაც შეეხება თვალის კონტურს, ეს ძალზე ინდივიდუალურია და მხოლოდ და მხოლოდ თვალის ჭრილის მიხედვით განისაზღვრება. ტუჩებისთვის მოდაშია როგორც „ბლესკი", ასევე პომადაც. ოღონდ ყურადღება უნდა მიექცეს „ბლესკის" სწორად წასმას. შეცდომაა, როცა ვითომდა ტუჩის მოცულობის ვიზუალურად გასაზრდელად, „ბლესკს" — კონტურის ხაზის ჩათვლით და თანაც ბევრს ისვამენ. უნდა წაისვათ ზედა ტუჩის შუაში და ძალზე თხლად — ქვედა ტუჩზე. ტუჩის ვიზუალურად „გასაზრდელად" ღია ფერის კონტურს იყენებენ, „დასაპატარავებლად" კი — მუქი ფერისას. მომავალ წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წამწამებს: ხაზგასმით აქტუალური იქნება გრძელი და მოცულობითი წამწამები, ასევე — ხელოვნურად დაგრძელებულიც. წარბები უნდა იყოს ზედმინევნით ბუნებრივი ფორმის და არანაირად — დათხელებული და დაწვრილებული.

— სანტერქოა, როგორი ფერის თმასა და ვარცხნილობას ენიჭება უპირატესობა მომავალ წელს?

— უპირატესობა ენიჭება ბუნებრივ ტონებს. რაც შეეხება ვარცხნილობას, აქაც ბუნებრიობაზე კეთდება აქცენტი: აქტუალურია ასიმეტრიული ფორმები (ე.წ. ბუნებრივად „აჩეჩილი") და ბუნებრივად გრძელი თმა, არავითარ შემთხვევაში — გასწორებული და სალონში გულმოდგინედ დავარცხნილი.

— ორიგინალური გემოვნების ადამიანი ხარ და სანტერქოა, როგორ აპირებ ნაძვის ხის მორთვას ან საახალწლო სუფრის გაწყობას. საერთოდ, როგორ ემზადები ახალი წლისთვის?

— ვფიქრობ, როგორც შეხვდები ახალ წელს, მთელ წელსაც ისევე გაატარებ; როგორ გულუხვადაც დახვდები, ისეთივე გულუხვი იქნება ის შენთვის... ამიტომ ვცდილობ, მაქსიმალურად დავიხარჯო...

ამ ბოლო დროს, ტრადიციად მექცა, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას, რაიმე სუვენირი — უმეტესწილად ხისგან დამზადებული — შევიძინო. წლის ბოლოს კი ყველა ამ სუვენირს ნაძვის ხეზე ვკიდებ — ანუ ჩემი ყველა მოგონება ნაძვის ხესთანაა დაკავშირებული. კარგად მაქვს დაცდილი (*იცინის*), მერე მთელ წელს მოგზაურობაში ვატარებ... ისე კი, კარგი იქნება, თუ საახალწლოდ ბუნებრივ ნაძვის ხეს შეიძენთ და ძირითადად ხის, თიხის, მინის, ასევე — ბენვით და თექით გაწყობილი სათამაშოებით მორთავთ. ურიგო არ იქნება, თუკი 1 ცალ თვითნაკეთ სათამაშოსაც ჩამოკიდებთ. ძალზე ეფექტურია, ლიმონისფერ-მდოგვისფერ ან ლიმონისფერ-იასამნისფერში გადაწყვეტილი სათამაშოებით მორთული ნაძვის ხე. განსაკუთრებით მოდურია ხის და ე.წ. „გიპიურის ეფექტის" მქონე, მინის სათამაშოები.

რაც შეეხება სუფრას, ის მართლაცდა უნდა ბდღვრიალებდეს (არ ვგულისხმობ მყვირალა ფერის გადასაფარებელს). მიყვარს და წელსაც ვაპირებ — სუფრაზე მიმოვაბნიო სხვადასხვაგვარი აქსესუარი — თექისგან დამზადებული ფიფქები, გულები, კუდიანი ვარსკვლავები, თვლები, კრისტალები... ძალზე მოდურია და მდიდრულ ეფექტსაც იძლევა თეთრი, სადა (ორნამენტების გარეშე) ჭურჭლისა და რადიკალურად განსხვავებული ფერის (მაგალითად, შაბიამნისფერი ან ლურჯი) ბოკალების კომბინაცია, მოვერცხლილ ან მოოქრულ დანა-ჩანგალთან ერთად. ასევე აქტუალურია ჭრელაჭრელა ჭურჭლითა და სხვადასხვა ფერის (ან ფერადფეხიანი) ბოკალებით გაწყობილი სუფრა...

— შენ ყოველთვის, ორიგინალური სტილით გამოირჩეოდი. სანტერქოა, შენი სამსახურიდან გამომდინარე, ახლა მაინც თუ ითვალისწინებ მსოფლიო მოდის ტენდენციებს?

— მართალია, ყოველთვის საკუთარ გემოვნებას ვეყრდნობოდი... ერთადერთი (თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ) შემიძლია გითხრათ, რომ თითქოს წინასწარ ვგრძნობ, თუ რა იქნება მოდაში და ჩემი ამოჩემებული ფერი თუ სტილი, 1-2 წელიწადში მართლაც აქტუალური ხდება — მაშინ, როცა მე უკვე მობეზრებული მაქვს. ასე რომ, გამოდის — მოდას კი არ მივდევ, ვუსწრებ (*იცინის*)...

— წარმატებებს გისურვებ.

— გმადლობ, დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჟურნალ „გზას" და მის შემოქმედებით კოლექტივს. ■



ვფიქრობ, განვგზავნე ადამიანურად ოჯახი მეფად. შობა-ახალ წელ, შინაგანი, საღვთისმეტყველო განწყობილება ყველაზე, სრა მოგონილი, ხელოვნური, სრამეფე ნამდვილი, ის, რაც ჩვენი სულიდან მოდის. 1ნორად ეს განწყობილება გვამარუნებს ბავშვობაში ანუ ის, საიდან ყველაზე დასუფთავ და ბედნიერად ვგრძნობდით თავს.

ჩემგო ესაძის ქუდები, სულში დანთებული სანთელი და გენიალური ინდაურები აუჩიოდნენ

მანანა ჭირაქაძე

— ბატონო რეზო, თქვენი „ნეილონის ნაძვის ხე" თითქმის ყოველ ახალ წელს ტრიალებს ქართულ ტელეარხებზე. გვახსენებს მწარე რეალობას, ჩვენს „ნეილონს" ანუ ხელოვნურ ურთიერთობებსა და გრძნობებს, მაგრამ მინდა, ის ახალი წელი გახსენოთ, სადაც ნაძვის ხეც, ადამიანებიც და გრძნობებიც ნამდვილი იყო.

— თქვენ ახლა პატარა ბიჭად მაქციეთ... წარმოიდგინეთ ზამთარი, გურია, პატარა, კოხტა გურული სოფელი, ჩემი ბებია და ბაბუა, გენიალური ხალხი. მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ახალი წლის ღამეს, ჩემს მშობლებს რაიონიდან სოფელში უნდა ავეყვანე. ბაბუაჩემმა გადაწყვიტა, განსაკუთრებულად დამხვედროდა და სახლის კარიდან ეზოს ჭიშკრამდე, ბილიკის ორივე მხარეს (ასე, 25-30 მეტრის მანძილზე) ანთებული სანთლები ჩაარჭო. სახლს რომ მივუახლოვდით, ჯერ კიდევ არ ბნელოდა, მაგრამ სანთლები ისე ლამაზად ენთო, ვერ წარმოიდგენთ. ამ დროს, ჩემო ბატონო, გამოჩნდნენ ბებიაჩემის ინდაურები, რომლებიც ამ ანთებულ სანთლებს დაუყვნენ და ერთის გარდა, ნისკარტით ყველა ჩააქრეს. ბაბუაჩემმა სწორედ ეს ჩაქრობას გადარჩენილი სანთელი მაჩუქა და მითხრა: ბაბუა, ეს სანთელიც ისე დაიწვება, როგორც სხვა დანარჩენი, მაგრამ მერწმუნე, ის მუდამ ენთება შენს მახსოვრობაშიო... ამ ასაკის კაცი ვარ, ბევრ ახალ წელს შევხვედრივარ, მაგრამ იცით, როგორ? — სწორედ იმ ერთადერთი ანთებული სანთლით, რომელიც ბაბუაჩემმა ჩემს სულში დაანთო. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი სწორედ ის ახალი წელი იყო, რომელიც მახსენებს გურიას, სანთლებს და იმ სულელ, მაგრამ მაინც, გენიალურ ინდაურებს...

— ბედობაზე, მეკვლეზე რას იტყვით? თავად როგორი ფეხი გაქვთ?

— (*იცინის*) მაგარი მეკვლე ვარ. იმ ოჯახს, რომელსაც ჩემი ფეხი დაებედა, იმ წელს ადამიანური არაფერი მოჰკლებია — ბავშვიც დაიბადა, მარცხიც იყო, ოჯახის მოხუცი წევრიც გარდაიცვალა. მის პანაშვიდზე რომ მივედი, მითხრეს, — აი, ეს აკლდა შენს მეკვლეობას და ამითაც შეივსოო.

— პირადად თქვენთვის როგორი იყო წლევანდელი წელი?

— ჩვენს ქვეყანაში ბევრი ცუდიც მოხდა და კარგიც. ბუნებრივია, ეს ჩემზეც აისახა. ძალიან მტკივა ჩემი ქვეყნის, ხალხის ტკივილი. მე მთელი მსოფლიო მაქვს მოვლილი და იცით, რას გეტყვით? — არ არსებობს უნიჭო ერი, მაგრამ ქართველი ერი არის გენიალური; სამწუხაროდ, ის დღეს თავისი ცხოვრებით არ ცხოვრობს და ამიტომაც, იძულებულია, იყოს დეგენერატი. დღეს, „ცხრა ძმა ხერხეულიძეობაზე" უფრო დიდი გმირობაა, იყო ქართველი და იცხოვრო ქართულად, სპეციალურად კი არა, ბუნებრივად იყო მისაბაძი, „თვალისმიმტაცი", „სულისმიმტაცი", მაგრამ დღეს ქართველი ერი ცხოვრობს წამბაძველობით და ასე რომ არ მოიქცეს, ზომა-წონის მიღებული ერთეულებიდან ამოვარდება. შეიძლება, ახლა ვაშლი კილომეტრობით აწონო ან სითბო გაზომო მეტრობით?! ამას ხომ ვერ გააკეთებ?.. ქართველ კაცს ჰქონდა ასეთი მრწამსი: მე შენთან მოვდივარ იმიტომ კი არა, რომ რაღაცა მინდა შენგან, არამედ იმიტომ, რომ არ შემიძლია უშენოდ! აი, ეს არის ქართული ცხოვრება.

— მოდი, ისევ ჩვენს რეალობას დავუბრუნდეთ. თქვენ წელს აქტიურად მონაწილეობდით ჩვენი ქვეყნის, როგორც კულტურულ, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კიდევ რა მნიშვნელოვანი მოვლენებით იყო აღსანიშნავი თქვენთვის 2008 წელი?

— გამოვიდა ჩემი ორწლიანი შრომის შედეგი, წიგნი — „ფიქრები რეჟისურაზე". როგორც ამბობენ, ის უბრალო სახელმძღვანელოზე გაცილებით მეტია... გარდა ამისა, ერთ-ერთმა გამომცემლობამ დამიდო ხელშეკრულება და მომავალ წელს გამოვა ჩემი მოგონებები. ასევე, მზად მაქვს ფილმის სცენარი გალაკტიონ ტაბიძის შესახებ. ჰო, მართლა, გულის ოპერაცია გავიკეთე, ჩემო ბატონო, სტამბოლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, თეატრალურ უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობ და ნორმალური ცხოვრებით ვცხოვრობ.

ზეინაბ ბოცვაძესთან ერთად ფილმში „მონანიება"

ჰოდა, იარონ მერე თბილისის ქუჩებში ჩემი ქუდებით



ცოლ-შვილთან ერთად (1980-იანი წლები)

— თქვენს ფილმებში კი ძირითადად, ჩვენი „არანომალური" ქართული ხასიათია აღწერილი. რამდენადაც ვიცი, როგორც „ერთი ნახვით შეყვარებას", ასევე „ნეილონის ნაძვის ხესაც" რთული ბედი ჰქონდა. ამ ფილმებმა დიდი გზა გამოიარეს მანამ, ვიდრე მათ ფართო აუდიტორია გაიცნობდა და შეიყვარებდა.

— ეს ცნობილი ამბავია და ამის შესახებ ბევრჯერ დაწერილა. ორივე ფილმი ღმერთის და ადამიანების დახმარებით გადაურჩა ცენზურას, განადგურებას. სხვათა შორის, მაშინდელმა „კოსმომოლებმა", მეც და ჩემი ფილმებიც არაქართულ მოვლენად მოგვნათლეს, მაგრამ ღმერთი დიდია, მან იცის, რა და როგორ უნდა მოხდეს. უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

— თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი თავის დროზე მოხდა?

— ყველაფერი, ყველაფერი... ხანდახან, როცა რაღაცას გავაკეთებ, მაგრამ არც მლანძღავენ და არც — მაქებენ, გული მწყდება. ჩვენ, შემოქმედ ადამიანებს გვიყვარს, როდესაც ჩვენს ნაღვაწს აფასებენ, მაგრამ საკმარისია, სამჯერ მაინც დაიწეროს ჩემი ქება, რომ უკვე ვბრაზდები. ასეთია ქართული ბუნება.

— ქართულ ბუნებაშია გაცემა, გაჩუქება, სხვისი გახარება. ნათქვამია, — რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულიაო. თქვენ თუ გიყვართ ნივთების გაჩუქება?

— ის, რაც ჩვენ გარშემო დღეს ხდება, ერის ტრაგედიაა. ძალიან ბევრი გაჭირვებული, მშიერი, ტიტველი ადამიანია ჩვენ ირგვლივ. ამიტომაც დავრბივარ აქეთ-იქით, იქნებ, ვინმეს რაიმით მაინც დავეხმარო. ორი დღის წინ, ქუდები გადავარჩიე, წლების განმავლობაში ბევრი ქუდი დამიგროვდა და მინდა, ისინი მანქანაში ჩავაწყო, ხალხს დავურიგო. ჰოდა, იარონ მერე თბილისის ქუჩებში ჩემი ქუდებით, და მე მეცოდინება, რომ ისინი თბილად არიან...

— დაბოლოს, როგორ შეხვდეთ ახალ წელს, რას გვირჩევს და გვსურვებს რეზო ესაძე?

— სულმა იცის, რაც უნდა. ამიტომაც, ნუ გადაეღობებით მას და რასაც ის მოგთხოვთ, ყველაფერი გააკეთეთ. გილოცავთ დამდეგ ახალ 2009 წელს და საქართველოსა და ქართველ ხალხს ვუსურვებ, ისეთი მზრუნველი გამოსჩენოდეს, რომელსაც დღე და ღამე არ დაეძინება მისი სიკარგის სურვილში. ვისურვებდი ყველაფერი, თვით სიხარულიც კი ქართულ პარამეტრებში იჯდეს. ღმერთმა დაგლოცოთ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

ახალი წელი და საკვები

საახალწლო პრობლემები

ახალი წლის დღეებში, სუნელებითა და ნიგვზით შეკაზმული კერძების — გოჭის ხორცის, ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების, უზომო ტკბილეულისა და თეთრი პურის ერთდროულად მიღება ორგანიზმისთვის, განსაკუთრებით კი კუჭისთვის დიდი დატვირთვა და გამოცდაა. ჭარბი რაოდენობით წიწაკა, მარილი, ცხიმი, ცალ-ცალკე აღებული, თავისთავადაც აღიზიანებს კუჭ-ნაწლავს და ალბათ, მიხვდებით, თუ რამდენად მწვავე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ერთად. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ კვების დროს მნიშვნელოვანია, არა მარტო რაციონი, არამედ საკვების რაოდენობა და მიღების რიტმიც. ამიტომ ჯანმრთელ ადამიანს გოჭის ხორცის ან საცივის ერთხელ მიღება გამოუსწორებელ ზიანს ვერ მიაყენებს, მაგრამ ლაპარაკია, ჯანმრთელ და არა დაავადებულ ადამიანზე. თუმცა ავადმყოფებსაც, გამონაკლისის სახით, დღესასწაულებზე შეუძლიათ ჩვეულებრივი კვების რეჟიმის დარღვევა, ოღონდ, ექიმის რჩევით და თან — ზომიერად.

რა შეიძლება მოაყვეს გადამეტებულ ჭამა-სმას

საზეიმო სუფრებზე გადაჭარბებულ კვებას შეიძლება მოჰყვეს კუჭის ლორწოვანის გაღიზიანება. გარდა ამისა, ძნელად მოსანელებელი საკვები, კუჭის სეკრეციის სტიმულაციას იწვევს, რის გამოც კუჭის წვენი დიდი რაოდენობით გამოიყოფა. მართალია, კუჭის წვენი ებრძვის მიკრობებს და ხელს უწყობს უხეში საკვების მონელებას, მაგრამ დიდი რაოდენობით გამოყოფილი, აღიზიანებს და აზიანებს კუჭის ლორწოვანს, მით უმეტეს, თუ ის ისედაც დაზიანებულია (მაგალითად, თუ ქრონიკული გასტრიტი განუხებთ). როცა ადამიანს აბსოლუტურად ჯანსაღი საჭმლის მომნელებელი ტრაქტი აქვს, მაშინ ასეთი კვება იქნება ორგანიზმისთვის გამოცდა, რომელსაც ან გადაიტანს გართულებების გარეშე, ან — ვერა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღეს ჯანმრთელი კუჭ-ნაწლავი ცოტას თუ აქვს. ბავშვობიდანვე ზედმეტად დამუშავებული საკვების მიღების გამო, ჩვენი საჭმლის მომნელებელი სისტემა განაზებულია. თუ გასულ საუკუნეებში ადამიანი უხეშ საკვებს მშვენივრად მოინელებდა, დღეისთვის ეს არათუ დაავადებულთათვის, არამედ ჯანმრთელთათვისაც ძნელია. გარდა ამისა, საკმაოდ ხშირად გვხვდება გასტრიტი, წყლულოვანი დაავადება, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი, ნაწლავური დაავადებები და ა.შ. ამ დროს არაჯანსაღმა კვებამ (თუნდაც მას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს) შეიძლება, დიდი პრობლემები წარმოშვას ანუ გაამწვავოს ეს დაავადებები.

როგორ მოვიქცეთ პრობლემების შემთხვევაში

თუ გადამეტებულ ჭამა-სმას მოჰყვა კუჭ-ნაწლავის დაავადებების გამწვავება, მაშინ აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს, რომელიც შეაფასებს თქვენს მდგომარეობას, შეგირჩევთ კვების რეჟიმს და აუცილებლობის შემთხვევაში, დაგინიშნავთ მედიკამენტებს. თვითმკურნალობა გამართლებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი ეფექტური პრეპარატი, რომელიც ავადმყოფმა შეიძლება, ექიმის რჩევის გარეშე მიიღოს და პრობლემები მოეხსნას კიდეც. გახსოვდეთ, რომ ეს დროებითია, რადგან პათოლოგიური პროცესი კვლავ პროგრესირებს და ავადმყოფი შედარებით უკეთესად გრძნობს თავს იმის გამო, რომ დაავადება კლინიკურად ნაკლებად ვლინდება.

ფერმენტები — კი თუ არა

ზოგიერთი ადამიანი კვების დაწყებამდე იღებს ფერმენტებს (მაგალითად, მეზიმ ფორტეს, ფესტალს და სხვა), რადგან ფიქრობს, რომ ასე შეუძლია, უპრობლემოდ დანაყრდეს ნოყიერი საკვებით. სწორედ მათ საყურადღებოთ უნდა აღინიშნოს, რომ ფერმენტები მხოლოდ მისი დეფიციტის შემთხვევაში უნდა მიიღონ ავადმყოფებმა, რათა ორგანიზმისთვის აუცილებელი საკვების ათვისება მოხდეს. ფერმენტების მოხმარება იმ მიზნით, რომ მერე ზომაზე მეტი საკვები მივირთვათ, გაუმართლებელია და არაფერს ნიშნავს ის ფაქტი, რომ კონკრეტულ მომენტში ადამიანს ზედმეტი საკვები ნაკლებად შეაწუხებს. გახსოვდეთ, რომ ქიმიოპრეპარატების თვითნებური გამოყენებით ორგანიზმის დაცვითი მექანიზმების (ღებინება, ფაღარათი) დათრგუნვა და ამ გზით სუბიექტური შეგრძნებების გაუმჯობესება დაუშვებელია. ფერმენტებს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა წამალს, აქვს თავისი უკუჩვენება და გვერდითი მოვლენები. ასე რომ, სამკურნალო საშუალებების დანიშვნა მხოლოდ ექიმის პრეროგატივაა.

მინერალური წყალი — კი თუ არა

თუ ადამიანი გრძნობს გულძმარვას, მაშინ სასურველია, ჭამის შემდეგ, ტუტე მინერალური წყლის (მაგალითად, „ბორჯომის“) მიღება; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მინერალური წყლების არასწორად გამოყენებას შესაძლებელია, უარყოფითი შედეგები მოჰყვეს. მაგალითად, „ბორჯომი“ ტუტე ხსნარია და სიმჟავეს ანეიტრალებს, მაგრამ ეს შემდგომში კუჭის წვენის კიდევ უფრო ინტენსიური გამოყოფის მიზეზი ხდება. ამიტომ მშიერ კუჭზე მისი მიღებით გამოწვეულ თავდაპირველ ეფექტს შესაძლებელია, გულძმარვისა და ტკივილის უფრო გაძლიერება მოჰყვეს. აქედან გამომდინარე, მინერალური წყალი მხოლოდ ჭამის შემდეგ უნდა მიიღოთ.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

პრესის და წიგნების გავრცელების საგენტო „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ“

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ГЕО / GEO	9.00	27.00
2. ЛИЗА	2.50	32.50
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.00
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.00
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.50
6. HELLO! / ХЭЛЛОУ!	4.00	52.00
7. ОТДОХНИ!	2.00	26.00

ქ. თბილისი
ალსებიძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

საახალწლო რჩევები

ამერიკელი ექიმების აზრით, თუ ადამიანები უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ყველასათვის კარგად ცნობილ და წლებით გამოცდილ გამაჯანსაღებელ ფაქტორებს, მაშინ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ არა მარტო საკუთარი, არამედ მთელი ერის გაჯანსაღების საქმეში.

ამერიკის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის საბჭო ყოველწლიურად, ახალი წლის წინ აქვეყნებს 350 ავტორიტეტული მეცნიერისა და ექიმის მიერ შედგენილ წინასადღესასწაულო რჩევებს.

რჩევები, რომლებსაც ექიმები ყოველწლიურად აძლევენ, უნიშნველად განსხვავდება ერთმანეთისგან. აი, რამდენიმე რეკომენდაცია:

1. უარი თქვით ნიკოტინზე! მოწევა — სიკვდილის ერთ-ერთი პირველი მიზეზია; ყოველწლიურად დაახლოებით ნახევარი მილიონი ამერიკელი იღუპება ნიკოტინით გამოწვეული დაავადებებით.

2. არ მიუჯდეთ საჭეს ნასვამი. ყოველწლიურად 16 ათასზე მეტი მთვრალი მძღოლი იღუპება და 327 ათასზე მეტი იღებს მძიმე ტრავმას.

3. თუ თქვენ სვამთ სპირტიან სასმელებს, დალიეთ ზომიერად. აშშ-ში ყოველწლიურად 80 ათასამდე სიკვდილის შემთხვევა, სწორედ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას უკავშირდება.

4. თავადვე იზრუნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე და დროულად გაიარეთ საჭირო და პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება.

5. სწორად იკვებეთ და მოერიდეთ სიმსუქნეს. აშშ-ში ნახევარზე მეტ ზრდასრულ ადამიანს აქვს ზედმეტი წონა, 22% კი — მსუქანია. ჭარბი წონა არის გულის დაზიანების, დიაბეტის, ჰიპერტონიის, ინსულტის, ართრიტის, ნაღვლკენჭოვანი დაავადებისა და კიბოს ზოგი სახის რისკ-ფაქტორი. წონის დასაკლებად ექსპერტები გვაძლევენ რეკომენდაციას, დავიცვათ დიეტა, კერძოდ — მივიღოთ ნაკლებად კალორიული და ცხიმიანი, მაგრამ დაბალანსებული საკვები და სისტემატურად ვივარჯიშოთ.

6. ფიზიკური დატვირთვა უნდა იყოს რეგულარული, მაგრამ ზომიერი.

7. დაიცავით თავი აივ (ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსი) და სქესობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებებით ინფიცირებისგან.

8. მკურნალ ექიმთან კონსულტაციის გარეშე, დახმარებისთვის არასდროს მიმართოთ ალტერნატიული მედიცინის წარმომადგენლებს. ამერიკელების 40%-ზე მეტი მიმართავს ალტერნატიული მედიცინის სხვადასხვა მიმართულებას, ისეთებს, როგორებიცაა: ჰომეოპათია, მასაჟი, მანუალური ან არომათერაპია. მკურნალმა ექიმმა უნდა იცოდეს, თუ რომელ არასამეცნიერო მეთოდით მკურნალობას მიმართავთ.

9. ტრანსპორტით მგზავრობისას გამოიყენეთ უსაფრთხოების ღვედები. უსაფრთხოების ღვედები ყოველწლიურად, 10 ათასზე მეტ ამერიკელს უნარჩუნებს სიცოცხლეს.

10. მოუარეთ კბილებს. სტომატოლოგების რეკომენდაციები ყველასთვის კარგადაა ცნობილი.

11. აუცილებლად დააყენეთ შინ კვამლის დეტექტორი. ყოველწლიურად აშშ-ში დაახლოებით 5 ათასი ადამიანი იღუპება და 40 ათასზე მეტი იღებს მძიმე ტრავმას ხანძრის შედეგად.

12. შეეცადეთ, გაითვალისწინოთ ზემოთ ჩამოთვლილი რჩევები და მეტი ყურადღება დაუთმეთ რისკ-ფაქტორებს, რომლებიც ჯანმრთელობას ებრძვის, მაგრამ უარყოფით შედეგს მოგვიანებით გვაძლევს. მაგალითად, ასეთი რისკ-ფაქტორებია: თამბაქოს მოწევა და სპეციალური ქიმიური დანამატებით ზედმეტად დამუშავებული საკვები პროდუქტები.

გახსოვდეთ, რომ კარგი ჯანმრთელობის საფუძველს წარმოადგენს რაციონალური კვება და ზომიერი ფიზიკური დატვირთვა და არა ე.წ. ყოვლისშემძლე „ორგანიზმის გამაჯანსაღებელი მეთოდები“ და „მაგიური აბები“.

ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის
ჟურნალი
მთავარი
თემა:
როგორ
გავიწმენდოთ
ორგანიზმი
ალერგია და
პიელონეფრიტი
საშვილოსნოს
ნაწიბური
ოჯახის შეურაცხყოფის ღირსი
ბავშვთან სასწავლებელი
ბავშვი
ბავშვი
ბავშვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სოფლელი“ ქმარი და თბილისელი სოლი

ანუ სიყვარული თუ ანგარება?

მარინა ბაბუნაშვილი

რამდენიმე წლის წინ თბილისელი თამარ ს. რედაქციაში მესტუმრა და თავისი ცხოვრების შესახებ მიამბო. „დედის გული ხშირად არ ცდება და ამაში მაშინ დავრწმუნდი, როცა თავად გავხდი დედა“, — მითხრა მან. მისი ამბავი 2003 წლის 17 მარტს დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში“ სათაურით — „მერჩივნა, ის სიყვარული წარსულში დარჩენილიყო“.

ამბავი პირველი შშობლების ნება გამართლდა

ლევანი და თამარი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდნენ. როცა გამოღვავნდა, რომ ლევანს თამარი მოსწონდა, ბიჭის თანაკურსელმა გოგონებმა თამარი აითვალწუნეს. ლევანი კარგი გარეგნობის ბიჭი იყო და რა გასაკვირია, რომ ბევრ გოგოს მოსწონდა. გარკვეული პერიოდის მერე თამარმა დედამისსაც გააცნო ლევანი. დედამ გულახდილად უთხრა შვილს: არაბუნებრივი ჩანს, მგონია, რომ მას შენი თბილისელობა და ძლიერი ოჯახი ხიბლავსო. თამარს გული ეტკინა და ნაწყენმა მიუგო, — რახან მდიდარი ბიძები არ ჰყავს და არც ფული აქვს ჩეჩქივით, იმიტომ იწუნებ, თორემ ინსტიტუტში მასზე გიჟდებიანო.

მიხვდა დედა, რომ მისი ქალიშვილი უზომოდ იყო შეყვარებული „სოფლელ ბიჭზე“. არჩია, დაეთმო. მხოლოდ ერთი რამ სთხოვა თამარს: ნუ იჩქარებ გათხოვებას, კარგად გაიცანით ერთმანეთი, ინსტიტუტი დაამთავრეთ და მერე იფიქრეთ ოჯახზეო.

მეოთხე კურსზე იყვნენ, ექსკურსიაზე რომ წავიდნენ უფლისციხეში. იქიდან რაჭაში, ლევანის ამხანაგის სოფელში გაემგზავრნენ. თამარს მშობლები არ ჰყავდა გაფრთხილებული, ამიტომ თბილისში დაბრუნება რომ დააგვიანდათ, ძებნა დაუწყეს. ლევანმა ისარგებლა შემთხვევით და თამარს უთხრა: ერთი წელი არც კი გვრჩება ინსტიტუტის დამთავრებამდე. მოდი, გავიპაროთ, ამაზე კარგი ვარიანტი აღარც გამოგვიჩნდება; შენი მშობლები უკვე ნერვიულობენ და ბარემ ხელი მოვაწეროთო. მართლაც, იქიდან მსუბუქი მანქანით, სამი მეგობრის თანხლებით, სამეგრელოსკენ (საიდანაც ლევანი იყო) გასწიეს.

ამონარიდი წერილიდან: *„... თბილისში დაბრუნებულებმა ერთოთახიანი ბინა ვიქირავეთ. ორივეს გვქონდა სტიპენდია, თან ვიმედოვნებდი, რომ ჩვენები მომეხმარებოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად — მშობლები არ მირიგდებოდნენ. მხოლოდ და-ძმა მოდიოდა ჩემს სანახავად. მალე ბავშვიც შეგვეძინა, ელენე დავარქვით. ლევანს გაუჭირდა სწავლის პარალელურად სამუშაოს მოძებნა. ზოგჯერ ბოთლებს და ქილებს ვაბარებდით, პური და კარტოფილი რომ გვეყიდა... ერთხელ შევესწარი, ნასვამი ლევანი როგორ შესჩიოდა მეგობარს, — მეგონა, სიდედრ-სიმამრი არაფერს გამიჭირვებდა, მწარედ მოვტყუვდი, ქვაწვია ხალხი შემხვდა, „კაპიკს“ ვერ გააგდებინებ ხელიდანო. გული მეტკინა, მაგრამ ლევანს არაფერი ვაგრძნობინე“.*

თამარს ვერ გაეგო, ასე რატომ იყვნენ განაწყენებული მისი მშობლები. ბევრი გოგო გაპარულა მშობლების ნებართვის გარეშე, მაგრამ მალე შერიგებულან, მისიანები კი ჯიუტობდნენ. მერე, ძალიან გვიან, დედისგან გაიგო, რომ ისინი სიძეს ცდიდნენ; აინტერესებდათ, მათი ეჭვი გამართლდებოდა თუ არა — ანუ ლევანმა მართლა ანგარებით შეირთო თუ არა მათი თამარი.

ამონარიდი წერილიდან: *„ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლევანი სამეგრელოში გაამწესეს. მეც თან გავყევი. ჩემი ქმარი გაღიზიანებული ჩანდა. ეგონა,*



სიმამრი დაეხმარებოდა თბილისში სამსახურის შოვნაში. მართალია, ჩვენები შეგვირიგდნენ, მაგრამ არც ბინასა და არც სამსახურზე ხმას არ იღებდნენ... სოფელში ჩასულებს, არც ლევანის დედამამა დაგვხვედრია გულგახსნილი, ეტყობა, ჩემმა მშობლებმა მათაც გაუცრუეს იმედი".

თამარს გაუჭირდა სოფლად ყოფნა. თბილისელი გოგოსთვის ძნელი აღმოჩნდა სოფლის პირობებთან შეგუება. რამდენიმე თვის შემდეგ მან ლევანს სთხოვა, ცოტა ხნით გაეშვა მშობლებთან. ლევანმაც ნება დართო.

ამონარიდი წერილიდან: *„კარგა ხანს შევრჩი თბილისს. ლევანმა დამირეკა და ერთი ამბავი ამიტეხა: ასე თუ გინდოდა თბილისში ყოფნა, გეთხოვა და ეყიდათ ბინა, სულ მანდ არ ეყოლებოდი?! მაგრამ მუთაქებში ჩაკუჭული ფული ვერ გამოიმეტეს სოფლელი სიძისთვის და ჰყავდეთ ახლა ქმარგაცილებული შვილი შინო. კინაღამ ყურმილი გამივარდა ხელიდან — ლევან, შენ ხარ თუ სხვა მელაპარაკება შენი ხმით-მეთქი? წადი, შენი თბილისელი დედაცო"...*

გამართლდა თამარის მშობლების ეჭვი. ლევანს მართლაც იმისთვის სჭირდებოდა თბილისელი ცოლი, რომ დედაქალაქში დასახლებულიყო.

ამბავი მეორე
იმედგაცრუება

ამ უსიამოვნების მერე თამარი სოფელში აღარ დაბრუნებულა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ლევანს გაშორებოდა. ცოტა ხანში მშობლებმა თავისთან ახლოს, ოროთახიანი ბინა უყიდეს ქალიშვილს და თამარი პატარა ელენიკოსთან ერთად ახალ ბინაში გადავიდა. მალე მუშაობაც დაიწყო. ბავშვი ძირითადად დედამისთან მიჰყავდა და საღამომდე იქ ტოვებდა. ლევანი თბილისში დაბრუნდა და ცოლს პატიება სთხოვა. თამარი კარგა ხანს ყოყმანობდა, მაგრამ გულის სიღრმეში ქმარი მაინც უყვარდა და როცა მამამაც უთხრა, — აპატიე, ერთი შეცდომა ყველას მოსდისო, — შეურიგდა. სიმამრმა ლევანს სამსახური უშოვა. თითქოს მათი ცხოვრება კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ლევანი და მისი რამდენიმე თანამშრომელი დააპატიმრეს. მათ რაღაც მაქინაციებში სდებდნენ ბრალს. ქვეყანა შეძრა თამარის მამამ, სიძე რომ გამოეხსნა.

თამარი: — ამის მერე ლევანს ახალი სამსახურის ძებნით თავი აღარ შეუწუხებია. მე მეორე ბავშვს ველოდი და დეკრეტულ შვებულებაში ვიყავი. ჩემი ქმარი დიდად არ წუხდა უმუშევრობის გამო; ძმაკაცებში დროს ატარებდა, შინ გვიან ბრუნდებოდა. ერთხელ, როცა ჩვეულებისამებრ, ნასვამი მოვიდა, შევახსენე, — ოჯახის მამის მოვალეობა ნუ დაივიწყე-მეთქი. გაბრაზდა და მომახალა: ასეთი რა გაუჭირდა ჩემს სიმამრს, რომ სანამ სამუშაოს ვიშოვი, სიძე, ქალიშვილი და შვილიშვილი არჩინოსო?! საბოლოოდ მივხდი, რომ ლევანის სიყვარული მართლაც ანგარებიანი იყო, მაგრამ რაღა დროს?

ცოტა ხანში იმასაც მივხვდი, რომ ქმარი მღალატობდა კიდეც. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ ნაადრევი მშობიარობა დამეწყო. დღენაკლული ბიჭი გამიჩნდა. ექიმების მცდელობის მიუხედავად, ბავშვი დაილუპა. მე ანემია დამემართა. საავადმყოფოში ჩემს სანახავად მოსული ლევანი პალატაში აღარ შემოვუშვი, კარიდანვე გავაბრუნე უკან. როცა ქალს ქმარი უყვარს, ბევრი რამ შეიძლება აპატიოს, მაგრამ ღალატი და მშობლებისადმი უპატივცემულობა ძნელი მისატევებელია.

— განა თქვენს მშობლებს ცუდად ექცეოდა ლევანი?

— ხომ გაგიგონიათ, მადა ჭამაში მოდისო. ასე მოუვიდა ლევანსაც. თბილისში ბინა, კარგი სამსახური, მერე რეალური პატიმრობიდან თავის დახსნა და უზრუნველი ცხოვრება თავში აუვარდა. მას ეგონა, მუდმივად შეიძლებოდა მის ნაკლსა და შეცდომებზე თვალები დაგვეხუჭა. ბევრი არ მიჭოჭმანია და განქორწინებაზე სარჩელი შევიტანე სასამართლოში. ამდენი წელი გავიდა და ერთხელაც არ მიფიქრია, რომ არასწორი ნაბიჯი გადავდგი.

— ახლა სად არის ლევანი, ელენიკოს არ ნახულობს?

— ჩვენი დაშორების შემდეგ, ის ჯერ სოფელში წავიდა, მერე იქაც ვერ გაჩერდა დიდხანს და გადაწყვიტა, უკრაინაში წასულიყო. ორი წლის წინ მოვიდა, ელენიკო ნახა და დაგვემშვიდობა. ახლა ისიც არ ვიცი, მართლა უკრაინაშია თუ არა, ერთხელაც არ შეგვხმიანებია. იცით, რას ვფიქრობ ხშირად? ალბათ, ჯობდა, ჩემი და ლევანის სიყვარული იმ სტუდენტურ წლებში დარჩენილიყო. ახლა გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი იმ მოგონებებით. ●

ლესბოსური სამსახური

„კვირის პალიტრაში" 15 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილს — „გამოუცხადებელი ომი და „გასაიდუმლოებული რძალი", ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. აღმოჩნდა, რომ წერილში გაშუქებული საკითხი მრავალთათვის პრობლემურია, მსგავსი ამბავი კი — ქართული საზოგადოებისთვის არცთუ უცხო.

„როცა გაზეთში დაბეჭდილი წერილის კითხვა დავიწყე, თავიდან ვიფიქრე, ის ჩემს მეგობარზეამეთქი, მაგრამ სახელების გარდა სხვა ფაქტები არ ემთხვეოდა და დავრწმუნდი, რომ მსგავსი პრობლემა ბევრ ოჯახშია.

მე და თაზო მეზობლები ვართ. პატარაობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. მერე მე გავთხოვდი და სხვა უბანში გადავედი საცხოვრებლად. ჩემი მშობლები და თაზოს ოჯახი კი კვლავაც მეზობლობენ, თუმცა...

თაზო ერთი წელით უფროსია ჩემზე. ის საფეხბურთო სკოლაში დადიოდა. 12 წლისას მშობლებმა დიდი დაბადების დღე გადამიხადეს. თაზომ მაშინ გაიცნო ჩემი კლასელი ნინო და მითხრა, — ძალიან მომეწონაო. მათი ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო და სიყვარულში გადაიზარდა. დიდი სიამოვნებით ვასრულებდი შიკრიკისა და შუამავლის როლს. ნინოს დედა ქმარს გაყრილი იყო. ის მეორედ აღარ გათხოვილა, ჰყავდა მეგობარი მამაკაცი, რომელთან ურთიერთობასაც არ მალავდა. როცა თაზოს მშობლები მიხვდნენ, რომ მათი შვილი სერიოზულად იყო ნინოზე შეყვარებული და მის ცოლად მოყვანასაც აპირებდა, გაიკითხეს სარძლოს ოჯახის შესახებ. ის ფაქტი, რომ სარძლოს დედა ქმარგაყრილი იყო და საყვარელი ჰყავდა, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შვილისთვის ომი გამოეცხადებინათ. თაზოს დედა ჩემი თანდასწრებითაც ეუბნებოდა შვილს, — იმ გოგოს მხოლოდ ჩემი სიკვდილის მერე შემოიყვან ჩვენს ოჯახშიო. ამას ჩემს გასაგონად იმიტომ ამბობდა, რომ ნინოსთან მეთქვა ყველაფერი. არადა, თაზოს და ნინოს ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ მათ ურთიერთობაში ჩარევა დიდ ცოდვად მიმაჩნდა.

მშობლების გაუთავებელმა წინააღმდეგობამ თაზოც ძალიან

გაანერვიულა და ნინოც. მათ რამდენჯერმე იჩხუბეს კიდეც. ბოლოს, ნინომ მითხრა: ვგრძნობ, თაზოსთან ბედნიერი ვერ ვიქნები, რადგან მისი მშობლები ჩემს რძლობას ვერასდროს შეეგუებიან, ამიტომ გადავწყვიტე, უარი ვუთხრა ცოლობაზე და ჩემი გზით წავიდეო. ბევრი ვეხვეწე ნინოს, ნაჩქარევი ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. ნინო მალე გათხოვდა. თაზო ამ დროს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში იყო საფეხბურთო მატჩებზე (სხვათა შორის, მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ მწვრთნელები). როცა ჩამოვიდა და ნინო გათხოვილი დახვდა, გაგიჟდა. დედამისი კი კმაყოფილი იყო, რომ ნინო „თავიდან მოიცილეს". მე მითხრა: იდარდებს, იდარდებს და ბოლოს გამოიდარებსო. არ გამართლდა მისი ვარაუდი. თაზო საშინელ დეპრესიაში ჩავარდა. ფეხბურთზეც გული აიყარა. მართალია, ორი წლის შემდეგ, მშობლების დაჟინებული ჩარევით, მანაც ცოლი მოიყვანა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა მასთან, მალევე გაშორდა. მერე წამალსაც შეეჩვია და ფეხბურთს სამუდამოდ გამოემშვიდობა.



სიდედრისა და უდიერთოში სიძის კონფლიქტი ოჯახის დასრულებით დასრულდა

რა აღარ სცადეს მისმა მშობლებმა, რომ შვილი იმ საშინელებისგან ეხსნათ... წამალს თავი დაანება, სამაგიეროდ სასმელს შეეჩვია და გალოთდა. ცოლი დღემდე არ მოუყვანია. დათვრება და მშობლებს ეჩხუბება. დედამისი მე მადანაშაულებს (ვერ ვხვდები, მე რა დავაშავე?), ნინოს კი წყევლის. შვილს ბედნიერება მოუსპეს და ვითომც არაფერი, იხტიბარს არ იტეხენ...

თეა, თბილისი".

„მშობლების ჩარევის გამო დაინგრა ერთი ლამაზი ოჯახი. პაატა და თეკლა სულ სამი წელი იყვნენ ერთად, ჰყავდათ უსაყვარლესი მარიამი, მაგრამ... თეკლას დედას მიაჩნდა, — რომ მისი ქალიშვილი უკეთეს ბედს იმსახურებდა. ვერა და ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ პაატას დიპლომი არ ჰქონდა. თითქოს ეს ქალი საგანგებოდ ეძებდა საბაბს, რომ კონფლიქტი წამოეწყო. სიძეს ხან რაზე მოსდებდა შარს, ხან — რაზე, ბოლოს კი აუცილებლად „უდიპლომობას" წამოაძახებდა. არადა, პაატა ძალზე მშრომელი ბიჭი იყო, ოღონდ ოჯახში ბარაქა ყოფილიყო და რას აღარ აკეთებდა, მინაზე მუშაობასაც არ თაკილობდა.

ერთხელ, ისე გამოიყვანა სიდედრმა მდგომარეობიდან, რომ იძულებული გახდა, ეთქვა, — არ დაგინახო ჩემს ოჯახშიო. აბა, შენმა ქმარმა ეს როგორ მაკადრა; თავმოყვარეობა თუ გაქვს, მაგ კაცთან აღარც უნდა გაჩერდეო, — ცეცხლი შეუნთო თეკლას. ნერვებმა უმტყუნა გოგოსაც, ადგა და წამოვიდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, გოგოს დედამ მიზანს მიაღწია — შვილი მისთვის არასასურველ სიძეს ჩამოაშორა. ბევრს ეცადა, უფრო „სარფიანად" გაეთხოვებინა, მაგრამ თეკლამ კატეგორიული უარი თქვა მეორედ გათხოვებაზე. პაატამ კი გადაწყვიტა, უცხოეთში ეცადა ბედი. მეხუთე წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს და მუშაობს. როგორც თეკლასგან ვიცი, იგი ხანდახან ეხმიანება ცოლ-შვილს. ღმერთმა ქნას, მოგვიანებით მაინც ელირსოთ ბედნიერება.

ლია, თელავი".

ვეცდები, ღირსებით გავაგრძელო ცხოვრება

„...ისეთი რთული დღეები გამოვიარე, სიცოცხლე აღარ მინდოდა. ახლობლებს სურდათ, ფსიქოლოგთან მივეყვანე, მაგრამ ღრმა დეპრესია მქონდა და სიარულიც არ შემეძლო, არც არავის დანახვის სურვილი მქონდა. რატომ ვიყავი ასე? ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს მერჩივნა, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. ავტოავარია მოხდა და ყველა გადარჩა, გიოს გარდა. ავიჩემე, მე რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, არ მოკვდებოდა-მეთქი. ეს აზრი ლოგიკას მოკლებული იყო, მაგრამ ხომ იცით, სასოწარკვეთილ ადამიანს ათასი ფიქრი მოსდის თავში. დრო რომ გავიდა, შინ მომიყვანეს ფსიქოლოგი, რომელმაც დეპრესია ნაწილობრივ მომიხსნა, მაგრამ მთლად მაინც ვერ გავთავისუფლდი... ის ჩემთვის პირველი და ბოლო სიყვარული იყო. ვეცდები, ღირსებით გავაგრძელო ჩემი გზა. ახლა 24 წლის ვარ. მინდა, ისე მოვიქცე, როგორც გიოს გაუხარდებოდა. იმ ქვეყნად წასულიც კი „მკარნახობს", როგორ ვიცხოვრო.

თ.ლ."

ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61 ან ელფოსტით mbabunashvili@mail.ru

ჯორჯ ბაირონზე უბრალოდ შეუყვარებელი ქალი

ლორდი ჯორჯ გორდონ ბაირონი

ლანგარი, რომელზეც ჩაის ჭიქა იდგა, ქეითმა კართან, დაბალ კარადაზე დადო და აქეთ-იქით ქურდულად მიმოიხედა, შემთხვევით სახლის მმართველი, მის ემილია ბარეტი ან უფრო უარესი, თვით მოხუცი ლედი მელბურნი ხომ არ იყო სადმე. ამ სახლში ჭურჭლის აქა-იქ დატოვება აკრძალული იყო, მაგრამ აბა, სცადე და კარზე დააკაკუნე, როცა ორივე ხელი დაკავებული გაქვს...

მადლობა ღმერთს, ცარიელ, ნახევრად ბნელ დერეფანში არავინ იყო. ქეითმა შვებით ამოისუნთქა, უზადო, თეთრი წინსაფარი შეისწორა და კარზე დააკაკუნა. პასუხი არავინ გასცა. მოოქრული, მასიური სახელური გაუბედავად ჩამოსწია, მაგრამ კარი ჩარაზული იყო. რა უნდა ექნა? მან ხომ აშკარად გაიგონა ზარის ხმა და მისის ბარეტმა მილედისთვის ბალახით მომზადებული ჩაის მიტანა დაავალა. ბრძანების შეუსრულებლობა არ შეიძლება, რას იტყვიან სერ უილიამი, ლედი მელბურნი და ექიმი? მილედიმ ჩაი ერთსა და იმავე დროს უნდა მიირთვას, თორემ... ქეითმა მხრები აიწურა და პირჯვარი გამოისახა.

როდესაც ის დეიდის, მისის ბარეტის რეკომენდაციით ამ სახლში მუშაობას იწყებდა, უფროსმა მმართველმა მიანიშნა, რომ დიასახლისი ცოტა შეუძლოდ იყო და ხანდახან უცნაურად იქცეოდა, მაგრამ მას მხოლოდ ყველაზე სულელური კაპრიზებისა და ბრძანების შესრულება ევალებოდა და ხანდახან ჩაისა თუ ყავაში ექიმის მიერ დანიშნული დამამშვიდებელი ფხვნილი უნდა გაერია. დოზა მკაცრად იყო განსაზღვრული, ჩაის კი ბალახისგან ამზადებდნენ. ასე რომ, ქეითს შიში არ უნდა ჰქონოდა.

ანდა, როგორ უნდა შინებოდა თხელი, ნაზი, ულალთმიანი, ცისფერთვალება და ფაიფურივით თეთრი პირისახის ქალბატონის? მის ნაზ ხელებს, რომლებიც მუდამ ვენეციურ მაქმანებში იყო ჩაფლული, თითქოს ბატის ფრთისა და ჩაის ჭიქის მეტი არაფრის დაჭერა შეეძლო. მან ქეითი მაშინვე მოხიბლა. გოგონას გაეღიმა და სახელური ნერვიულად ჩამოსწია. კარის მიღმა მხოლოდ დუმილი ჩამოწოლილიყო. ალბათ მილედი ისვენებდა ან ლორდ ბაირონის შესახებ, თავის სქელტანიან წიგნს წერდა — იმ კაცზე, რომელსაც ქეითი არ იცნობდა, მაგრამ მის შესახებ უამრავი საოცარი და საშინელი ამბავი გაეგონა. მას უამრავი ქალი ჰყავდა მოხიბლული და გამონაკლისი არც ქეითის დიასახლისი გახლდათ.

უფროსი მოახლე, მედი ამბობდა, რომ მათი რომანი სულ ცოტა ხანს გრძელდებოდა. მილედი, რომელსაც პოეტი სიგიჟემდე შეუყვარდა, უზომოდ განრისხებული და შეურაცხყოფილი იყო იმის გამო, რომ ამ კაცმა მიატოვა. მთელ თავის ნაღვლისა და დარდს წიგნში გადმოსცემდა, სადაც თავის უბედურ სიყვარულს აღწერდა.

ქეითმა კითხვა არ იცოდა. თანაც, სურნელოვან, თეთრ, მელნისა და ცრემლის ლაქებით დაფარულ ფურცლებთან მიახლოების ეშინოდა. რაც შეეხება მედის, ის თავის გრძელ ცხვირს ყველგან ყოფდა და სწორედ მისგან შეიტყო წიგნის უცნაური სათაურის შესახებ — „გლენარვონი". მედისგან შეიტყო ისიც, რომ მილედიმ შეყვარებულს ღალატი არ აპატია და რომანის ბოლოს ის ზღვაში დაახრჩო. ამის მერე ქეითმა დაიჯერა, რომ მილედის ნაზ ხელებს შეეძლო დაეხრჩო, მოეკლა, მოეჯადოებინა...

ერთხელ გოგონამ თავისი თვალით იხილა, როგორ დაამტვრია განრისხებულმა ლედიმ სერ უილიამის კაბინეტში ძვირფასი ჭურჭელი, ფაიფურის ნაკეთობები, ნატეხებად აქცია 2 სკამი და საიდუმლო დოკუმენტების შესანახი კარადა. ქეითს ისე შეეშინდა, რომ ამ საშინელი სასახლიდან გაქცევა დააპირა. მას ხომ ჯადოქრების ბავშვობიდან ეშინოდა.

მეორე დღეს, სერ უილიამმა თვალები დამნაშავედ დახარა და ქეითს ხელებში ოქროს მონეტებით სავსე ტომსიკა ჩაუდო. მერე ბოდიშის მაგვარი რაღაც ჩაიბურტყუნა მილედის უხასიათობის გამო და ქეითს ჯამაგირის გაორმაგებას შეჰპირდა. თან დასძინა, რომ მილედის ძალიან მოსწონს, როდესაც ქეითი თმას ვარცხნის და საღამოობით ბალიშს უფუმფულებს.

ქეითმა ამოიოხრა, თავი დახარა და პატრონს მადლობა გადაუხადა. შემდეგ კი ცრემლი მოიწმინდა და საშზარეულოსკენ გაემართა, მილედისთვის ჩაი რომ გაემზადებინა. მას უბედური სერ უილიამი ძალზე შეეცოდა, ქკუიდან გადასულ ცოლზე ასე რომ ზრუნავდა და თანაც, ამდენი ფული ქუჩაში ხომ არ ყრია...

მისი საქმე სულაც არ იყო, მილედი ღამღამობით სულებსა და აჩრდილებს რომ ელაპარაკებოდა, დილით კი ამ ყველაფერს წერდა. მისი საქმე ბალიშების აფუმფულება, ჩაის მომზადება და ქალბატონის მოვლა იყო.

ქეითი ამ ფიქრებიდან გამოერკვა და კარზე კიდევ ერთხელ დააკაკუნა.

— მილედი, ჩაი მოგიტანეთ, გესმით ჩემი? თქვენი ჩაი ცივდება... — სიტყვა ბოლომდე არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კარს რაღაც მძიმე მოხვდა, საშინელი მსხვრევის ხმა გაისმა და მილედის მკაცრი ტონიც მოესმა:

— ვინ ხარ? რა ეშმაკმა მოგიყვანა? როგორ ბედავ ჩემს შეწუხებას, როცა ვმუშაობ? ეშმაკსაც წაულიხარ, მაგ ჩაიანად. უილმორს უთხარი, რომ ბაღიდან ის ბუ გააგდოს, რომელმაც მთელი ღამე არ დამაძინა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, ბაღში არავითარი ბუ არ არის, იქ მხოლოდ ბულბული და მოლაღურია და ღამით მათაც სძინავთ.

კარი უცებ გაიღო. ქეითმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე გამოყო მილედიმ ხელი, ჩაის ფინჯანს ხელი სტაცა და ძირს დაანარცხა.

— საზიზღარო გოგო, ცივი ჩაის მოტანა როგორ გაბედე? ხომ იცი, რომ ცივ ჩაის ვერ ვიტანთ? ბუს ხმა ახლა ფინჯნიდან ისმის. მისის ბარეტს უთხარი, რომ გათავისუფლებულია და ანგარიშის გასასწორებლად სერ უილიამთან მივიდეს! აუტანელი სახლია და აუტანელი მოახლეები! აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც ციხეში!

ლედი კაროლინა ლემი

— მილედი, მისის ემილია დამნაშავე არაა, მე 20 წუთი ვიდექი თქვენს კართან, გეძახდით, ვაკაკუნებდი, მაგრამ არ მპასუხობდით.

— ვსაუბრობდი, — მშვიდად უპასუხა დიასახლისმა.

— ვის ესაუბრებოდით, ქალბატონო, ოთახში ხომ მარტო ხართ?

— ლორდ ბაირონს. ის აზრობრივად მიკარნახებდა, როგორ უნდა დამეხრჩო ზღვის ტალღებში ისე, რომ დიდი ტკივილი არ განეცადა. შენ ხომ იცი, ქეით, რომ მე სუსტი ხელები მაქვს?!

ქეითი მოჯადოებულივით იდგა მილედის წინ და საკუთარ თავს კიცხავდა: ქალბატონს მორიგი შეტევა დაეწყო, მან კი ჩაი ვერ დაალევინა. რა მოხდება ახლა? ქეითმა თავი მხრებში ჩარგო.

ბაირონის ცოლი, ანაბელ მილბენკი

რაღაც ხმაური შემოესმა. ლედი კაროლინა კარს მოშორდა და ქეითს მისი ხმა ოთახის სიღრმიდან მოესმა.

— ოჰ, ეს თქვენ ხართ? გადაწყვიტეთ, რომ ჩემთან ამ მომღერალი ჩიტის სხეულში ჩასახლებული გამოცხადებულიყავით? მე კი ვუბრძანე, ის გაეგდოთ. ღამით ვერ ვიძინებ, როდესაც თქვენი ძახილი მესმის. გამოტყდით, ძვირფასო, რომ შეცდომა დაუშვით, როდესაც ანაბელ მილბენკზე დაქორწინდით. თუმცა, მასზე ცუდის თქმის უფლება არ მაქვს. ის ახლა ლედი ბაირონია, ის, და არა — მე. ის ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი და ბიძაშვილი იყო. ერთმანეთი ხომ მე გაგაცანით? სულელი... როგორ ვერ შევძელი თქვენი შენარჩუნება? ვცდილობდი, ათას სატყუარას ვიგონებდი, წვიმაში, იმ სახლის კართან ვსველდებოდი, სადაც თქვენ ერთობოდით და ყურადღებასა და სითბოს სხვებს უნაწილებდით, ჩემს 60 წლის დედამთილსაც კი — ლედი მელბურნს. ჰა, ჰა, ჰაა... თქვენ უმოწყალოდ დამცინოდით, როდესაც პაჟის ტანისამოსში გამოწყობილს, ჩემივე წერილები მომქონდა ან ჩირაღდნით ხელში თქვენთვის ეტლის მოსაყვანად გავრბოდი, რომ თუნდაც ერთი წამით დამენახა თქვენი სახე და გამეგონა თქვენი ხმა.

კაროლინას ხმა შეწყდა, მაგრამ სულ ცოტა ხნით. შემდეგ კვლავ ალაპარაკდა. ამჯერად მის ხმაში აგრესია იგრძნობოდა.

— თქვენ ისეთი უგულო ხართ, რომ სიყვარულის უფლებაც კი წამართვით. ასობით წერილს გწერდით, ყოველდღე, სადაც გემუქრებოდით, გევედრებოდით, გთხოვდით... თქვენ კი ხევდით მათ და ჩემ მიერ დაწერილ სტრიქონებს დასცინოდით. მე თქვენ მზეს გადარებდით, საკუთარ თავს კი — მზესუმზირას... საპასუხო წერილში მწერდით, რომ ჩემი საყვარელი აღარ ხართ, ახლა უკვე სხვაზე იყავით შეყვარებული და მთხოვდით, თავი დამენებებინა და მშვიდად ცხოვრების უფლება

მომეცა. ეს დღე 'არასოდეს დამავიწყდება. თქვენ აქამდე ვერ გაიგეთ, როგორ მიყვარდით. როდესაც პირველად გნახეთ, ჩემს დღიურში ასეთი ჩანაწერი გავაკეთე: „ის ბოროტი შეშლილია და მასთან საქმის დაჭერა სახიფათოა". თქვენ ხომ ეს წაკითხული გაქვთ? მე ჩემი სიყვარული მსხვერპლად გავიღე და დავუბრუნდი ჩემს ერთგულ და მოყვარულ უილიამს. თუმცა, თქვენზე ფიქრებს თავს ვერ ვაღწევდი და მუდამ ჩემ გვერდით გგრძნობდით. თქვენ მუდამ ყვავივით დამტრიალებდით თავს. გინდათ, ის წიგნი წაიკითხოთ, რომელსაც ვწერ? ძვირფასო ბაირონ, იქ ალბათ უამრავი შეცდომა იქნება, მე ხომ 15 წლამდე წერა-კითხვა არ ვიცოდი... ახლა უკვე ლათინურად ვკითხულობ და 5 ენაზე ვლაპარაკობ. თანაც, ირლანდიელი მეზღვაურივით ვიგინები. რატომ იცინით? მე ხომ დეიდის მოახლე მზრდიდა, რადგან დეიდას ჩემთვის არ ეცალა. ის ღამღამობით ყვავად გადაიქცეოდა ხოლმე და კოშკის თავზე დაფრინავდა. თქვენ რად გადაიქცევით ხოლმე ღამღამობით? მიმინოდ? არა — ყვავად! თქვენც ისეთივე ბრძენი ხართ, როგორიც ყვავი. იქნებ არც გინდათ, ვინმედ ან რამედ გადაქცევა? თქვენ ხომ ისედაც სატანა ხართ. დიახ, დიახ, მე ვიცი, რომ ნამდვილი სატანა ხართ? აი, სატანის გამოხედვა, სიცილი... არ მომეკაროთ! თქვენ თავად მომხიბლეთ... და რატომ მოგეცით ამის უფლება? მე და უილიამს ყველაფერი სხვაგვარად გვაქვს. ის ძალიან კეთილია და ყველა კაპრიზს მისრულებს. თქვენ კი კაპრიზებს ვერ იტანდით. მე ვიცი, რომ თქვენი და, ავგუსტა გაცილებით პრეტენზიული იყო, ვიდრე მე. ხელი გამიშვით! სილის გაწვნას როგორ მიბედავთ? მე სენატორის ცოლი ვარ! ხელები გასწი, თავი დამანებე!

დასასრული შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

>>> 8

სად და ვისთან ერთად მაკვირებლი ასად წელს?

• არა მარ, წინასწარ ნუ გვათქმევინებ ჩვენს სურვილებს, რადგან ცხოვრება საპირისპიროს გვისრულებს ხოლმე. ვინ იცის, ვინ? მართლაც, ცხოვრება ძალიან უცნაური რამეა. გგონია, ყველაფერს აკონტროლებ, თან კი სულ ფიქრობ, რომ მაინცდამაინც იქ არის კარგი, სადაც შენ არ ხარ. მეორე მხრივ, შეიძლება ყველაფერი დაგეგმო და ხარივით იმუშაო, ყოველ დილით ივარჯიშო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გახვალ და შეიძლება, ერთი ნახვით ვილაც შეგიყვარდეს ან ავტობუსი დაგეჯახოს, რაც ბოლოს და ბოლოს, ერთი და იგივეა... და ამ დროს, რა ახალი წელი? ნეტავ, კარგად გაგვითენდეს შემდგომი წელი და სულერთია, სად... პატივისცემით, კითხვის ნიშანი.

•ახალი წლის შეხვედრას ვისურვებდი დიიიდ „გზავნილეთში", სადაც უშველებელი სუფრის თავში მარის დავსვამდით, ხელში უშველებელ ყანწს დავაჭერინებდით და ამ ჯადოსნურ სამყაროს დავალოცვინებდით. მერე მოვაწყობდით თამაშს — ნილაბაფარებული მგზავნელების გამოცნობაში ვინ გაიმარჯვებდა... საჩალელი.

•პუტინთან, მედვედევთან და მათ „სასტავთან"... დავატკბობდი გოზინაყივით, მაგრაااამ მაგათ გიგანტური გოზინაყიც ვერ უშველის. აბაა... ჯოჯო.

>>> 8

რა ერ ყნდა კეკეთო ეხვედ ფედს



ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაულია. ყველა მიიჩნევს, რომ ამ დღეს გამორჩეულად მხიარულ განწყობილებაზე უნდა იყოს. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრების კიდევ ერთი 365 დღე გაქრა და წავიდა. ეს საკმარისი მიზეზია, რომ მოვლენა საკმაოდ ხმაურიანად აღვნიშნოთ. ნათქვამია, ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო. ვის არ უნდა, რომ მომდევნო 12 თვე მთვრალმა, კარგ განწყობილებაზე მყოფმა, საცივში თავჩარგულმა გაატაროს? კარგი პერსპექტივაა, არა?

ერთი სიტყვით, ამ დღესასწაულისგან ბევრს მოველით. სწორედ ამიტომ, ახალი წელი ხშირად შთაბეჭდილებებს წაგვიხდენს ხოლმე და ამას თავსაც კი არ ვუმხელთ, არამცთუ იმ მეგობარს, რომელიც აღტაცებით ჰყვება, როგორ გაატარა ახალი წელი მაიამიზე.

მართალია, ლაპარაკის დროს ის აუცილებლად გამოტოვებს, როგორ იჯდა მოწყენილი ღამის 12 საათამდე რესტორანში და მერე როგორ მიეძალა სასმელს; როგორ ეჩხუბა მეუღლეს იმის გამო, რომ 3.000 დოლარად ღირებული შარვლის ყიდვაზე უარი უთხრა და როგორ გაიღვიძა გამთენიისას პალმის ძირში.

პასუხად შენც შეთხზე ერთი ლამაზი ზღაპარი იმის შესახებ, როგორი დრო გაატარე ქალაქგარეთ, მდიდარი მეგობრის სახლში, როგორ აბამდი ფიფქიას და თოვლის ბაბუას ერთად...

იმისათვის, რომ ახალი წელი კარგად გაატარო, რამდენიმე წესი უნდა დაიმახსოვრო — თუ რა არ უნდა გააკეთო ახალ წელს.

ჯერ ერთი, ექსპერიმენტებს მოეშვი. ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარ, 1-ელ დეკემბერს დაახლოებით მაინც უნდა გცოდნოდა, სად შეხვდებოდი ახალ წელს. რა თქმა უნდა, უამრავ მიპატიჟებას მიიღებ და შესაძლოა, ბევრი მიმზიდველადაც მოგეჩვენოს. მაგალითად, შეგიძლია თვითმფრინავი დაიქირაო და დედამიწას შემოუფრინო; ან კარიბის ზღვაში, აკვალანგით იდღესასწაულო.

მეორე — გადაეჩვიე ახალი წლის ღამეს საუკეთესო პიჯაკის ჩაცმას, მაინც გააფუჭებ...

მესამე რჩევა: ნუ დაიწყებ ქეიფს ძალიან ადრე. ეს ძალზე გავრცელებული შეცდომაა, რომელსაც მოუთმენელი ადამიანები სჩადიან. ხშირ შემთხვევაში, საახალწლო ლხინი აპოგეას 30 დეკემბერს აღწევს და სიტუაცია ფეთქებადსაშიში ხდება იმის გამო, რომ შესაძლოა, თავგაბეზრებული ცოლისა და სიდედრისგან „წითელი ბარათი" მიიღო და „მინდვრიდან" გაგაძევონ. ახალი წლის ღამით მოსული სტუმრები კი საცივში თავჩარგულს აღმოგაჩენენ.

მეოთხე რჩევა: არ ღირს ახალი წლის ღამეს ბუნებაში პიკნიკის მოწყობა. რომან-

ტიკული თავგადასავლების მიმართ ლტოლვას ხშირად არასასურველ შედეგამდე მიჰყავხარ. როგორც ცნობილია, ახალი წელი ჩვენში ზამთარში მოდის. ამ დროს გარეთ ცივა, ღამით კი ყინავს. ამიტომ, სავარაუდოა, თუ ახალი წლის შეხვედრას ბუნებაში მოინდომებ, მას მარტო შეხვდები და დილით ჩამქრალ კოცონთან, გაყინულს გიპოვიან.

მეხუთე რჩევა: ახალი წლის ღამეს სტუმრად შეფს ნუ დაპატიჟებ. თუ ფიქრობ, რომ მისი სტუმრობის დროს თავისუფლად შეძლებ ხელფასის მომატებაზე ლაპარაკს ან გგონია, რომ ის თქვენი ოჯახის მეგობარი გახდება, ძალიან ცდები.

რაც შეეხება საჩუქრებს, საყვარელ ქალს რაც უნდა აჩუქო, არაფერი მოეწონება, გარდა იახტისა და ავტომობილისა. ამიტომ, ნუ ეცდები, საოცარი სიურპრიზი მოუწყო. ჯობს, პირდაპირ ჰკითხო, რა სურს. ერთი შეხედვით, ასეთი საქციელი პრაგმატულია, მაგრამ სამაგიეროდ, უსიამოვნებისგან თავის არიდებაში დაგეხმარება. განსაკუთრებით, უფრთხილდი პასუხს: „ძვირფასო, შენ გარდა არაფერი მინდა“. ასეთ შემთხვევაში, ნამდვილად იახტის ყიდვა მოგიწევს.

დაბოლოს, რამდენიმე რჩევა, საჩუქრებთან დაკავშირებით:

1. საყვარელ ქალს თუნდაც იაფფასიან საჩუქარს უძღვნიდე, აუცილებლად ლამაზად შეფუთე.

2. არც იფიქრო მისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და საოჯახო ინვენტარის ჩუქება.

3. გარდა საყვარელი ქალისთვის ძვირფასი საჩუქრისა, აუცილებლად უნდა შეიძინო რამდენიმე იაფფასიანი სუვენირი, რომელსაც ოფისში დაარიგებ. გახსოვდეს, რომ ხალხი ყურადღებას ძალზე აფასებს.

●

მოკლე ჩართვა >>> 6

სად და ვისთან ერთად გავატარებდი ახალ წელს?

• იმდენად გადავიღალე ამ ბოლო დროს, რომ ძალიან მინდა, ახალ წელს სადმე ჩუმ ადგილზე შევხვდე. მაგალითად, ჩემს „ორმაგ პრიკოლა“ ბაბუასთან და ჩემს ბომბორა ძაღლთან ერთად, სოფელში, სადაც ისეთი მშვიდი, სასიამოვნო და მყუდრო გარემოა, ზღაპრიდან გამოპარული გეგონება. ეეჰ, ვიოცნებე რა, მეც– ეტყობა, ეს სურვილი ისე ამიხდება, როგორც მიშას — ნატოში შესვლის წადილი. ლიმონა-მანიუ.

• ახალი წლის შეხვედრას ვისურვებდი ყაზბეგში, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ, სადაც ყველაფერი სპეტაკი თოვლით არის მოსილი და ზევიდან გერგეტის სამება დაგვცქერის. მეგრელების სარძლო.

• ახალ წელს შევკრებდი ერთად მგზავრს, ლუნას, ტირიფს, კამელიას, ელისოს საპატრულო მანქანით მივადგებოდი თავად ბოხოს. რა ვქნა, ამ ადამიანებთან მინდა ახალი წელის გატარება. გრუზინკა.

• ახალ წელს დიდი სიამოვნებით შევხვდებოდი რომელიმე ბავშვთა სახლში, უამრავ ბავშვთან ერთად, მაგრამ სურვილი ჯერ სურვილად რჩება. კითხვის ნიშანი.

• დიდი სიამოვნებით ვიზეიმებ ახალ წელს ჩემს შვილებთან ერთად. მამიკო გენაცვალოთ. კვარო.

• ახალ წელს დიდი სიამოვნებით გავატარებდი ილინთან ერთად. სად და როგორ, მაგას დიდი მნიშვნელობა აქვს? ჩვენთვის — არა. ჰოდა, ეგრე რა! სიგიჟეს არა აქვს დრო და აგილი. მაესტრო.

>>> 10

კინოლაფსუსები, რომლებიც ყველა ფილმი ერთნაირად ხდება

1. როდესაც სროლაა, ყველა მანქანას ტყვიები კარზე ხვდება. ამავდროულად, ყველა ცოცხალი რჩება. მანქანის მინები მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსხვრევა, თუ უკნიდან ესვრიან.

2. თუ მანქანები ერთმანეთს ეჯახება, ისინი მაშინვე ფეთქდება.

3. პოლიციელი, რომელსაც ცოლი გაშორდა, როგორც წესი, ბევრ ვისკის სვამს. სმას თავს იმის გამო ანებებს, რომ თურმე მისი ძმა (და, დედა, ცოლი, საყვარელი და ა.შ.) ვილაცამ მოკლა. ის ფხიზელ ცხოვრებას იწყებს და შურისძიებას ახერხებს.

4. ამერიკელები ყოველთვის ცდილობენ სამყაროს გადარჩენას არაბებისგან, ასტეროიდებისგან, დინოზავრებისგან, მანიაკებისგან, სტიქიური უბედურებისგან...

5. თუ ანტიგმირი დარწმუნებით ამბობს, რომ მას ვერავინ დაამარცხებს, ის რამდენიმე წამში მოკვდება.

6. ანტიგმირი მონაცემთა მოსაძებნად ყოველთვის თანამედროვე მეთოდებს იყენებს და ყველა მონაცემთა ბაზაზე ხელი მიუწვდება. გმირი კი, როგორც წესი, საჭირო ინფორმაციას წიგნში ეძებს ან ლამაზი, ახალგაზრდა გოგონა ეხმარება, რომელმაც კომპიუტერი კარგად იცის.

7. ბარის ტიხარი ტყვიას ისხლეტს. ტყვიები კი — მასზე მდგარ ჭურჭელს ან ვიტრინაში, ბოთლებს ხვდება.

8. თითქმის ყველა ანტიგმირს აქვს საკუთარი ბარი (კაზინო, კლუბი) ან ოფისი — ბარში. იქ პირველად მისულ გმირს აუცილებლად სცემენ, ხოლო მეორედ მისული თავად სცემს ყველას. ამ დროს ანტიგმირი ადგილზე არ აღმოჩნდება ან კიბეზე, ღიმილით დაეშვება.

9. ელექტროხერხი ეს ერთ-ერთია იმ ნივთთაგან, რომელიც გმირს ან ანტიგმირს საჭირო დროს ხელთ აღმოაჩნდება.

10. ნებისმიერი ბომბი, რომელსაც საათის მექანიზმი აქვს, აუცილებლად აღჭურვილია ინდიკატორით, რომელზეც უზარმაზარი, წითელი ციფრებია გამოსახული. ეს იმისთვის, რომ ყველამ დაინახოს, რამდენი წამია აფეთქებამდე დარჩენილი.

საშიში ქალები მასართობები

ქალები სამყაროს სამკაულები არიან — მოვლილი სახეები, ლამაზი ვარცხნილობა, მოხდენილი ტანისამოსი... თუმცა, საინტერესოა, სუსტი სქესი ყოველთვის ასეთი საყვარელი, უცოდველი და მშვენიერია? სინამდვილეში, სამყაროს მშვენიერი, სუსტი მეორე ნახევარი საკმაოდ მებრძოლი და სასტიკია. ქალებს უყვართ ჩხუბი და თვით ისტორიამ შემოგვინახა ამის მაგალითები.

მაგალითად, ავიღოთ ძველი რომი. სისხლით გაჟღენთილ, კოლიზეუმის არენაზე მხოლოდ მამაკაცები კი არა, ქალი გლადიატორებიც იბრძოდნენ. არქეოლოგები ყველაზე ცნობილ გლადიატორად ჰერარდესკა მანუტიუსს მიიჩნევენ. მისი სილამაზე სისასტიკის პირდაპირ-პროპორციული იყო. არენაზე 100 მოწინააღმდეგე ქალი და თითქმის ამდენივე მამაკაცი გაანადგურა.

სწორი იქნება, თუ ამაზონ ქალებსაც გავიხსენებთ. ისინი ძალის კულტს ეთაყვანებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მამაკაცები არ იყვნენ. ისინი მამაკაცებს მომავალი თაობის ჩასახვის მიზნით, წელიწადში ერთხელ ხვდებოდნენ.

რუსეთს თავისი „ამაზონი ქალები" ჰყავდა. ერთ დროს ქალს ჩხუბის უფლებას კანონი აძლევდა. თუ მოწინააღმდეგე მამაკაცი იყო, მაშინ განაწყენებული ქალის ნაცვლად მის წინააღმდეგ ბრძოლა ქმარს ან სხვა ნათესავს შეეძლო. ქალების ჩხუბის აყვავების ხანა ეკატერინე II-ს მეფობის დროს დადგა. ის დუელში 15 წლის ასაკიდან მონაწილეობდა და ძალიანაც მოსწონდა. თუმცა, დედოფალი ძალზე ჰუმანური იყო და მხოლოდ „სისხლის პირველ წვეთამდე" ისროდა, რათა სიკვდილი თავიდან აეცილებინა. მიუხედავად ამისა, ქალთა დუელი ყოველთვის სიკვდილით სრულდებოდა. მოწინააღმდეგეებს დასაკარგავი არაფერი ჰქონდათ, გარდა იმისა, რისთვისაც იბრძოდნენ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალები არა მხოლოდ სასტიკები, არამედ ბოღმიანებიც არიან. შურისძიების წყურვილი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. 1829 წელს, 2 ქალს შორის დუელი შედგა. მათ გად-

აწყვიტეს, რომ იარაღად ხმალი გამოეყენებინათ. ერთი თავში დაიჭრა და იქვე გარდაიცვალა; მეორე კი მუცლის ღრუს არეში მიყენებული ჭრილობით, მეორე დღეს გარდაიცვალა.

5 წლის შემდეგ, იმავე ტყეში, იმავე სეკუნდანტების თანდასწრებით მათი ქალიშვილები შეიბნენ.

საფრანგეთში ქალებს მოდის აყოლა უყვარდათ. ერთ დროს ფრანგი ქალები ნახევრად შიშვლები იბრძოდნენ, მოგვიანებით კი — სრულიად შიშვლები. ეს წესი სხვა ქვეყნებმაც შემოიღეს. რით იყო ეს განპირობებული? საქმე ის გახლდათ, რომ იმ დროს გავრცელებული, გრძელი, ფართობოლოიანი კაბები მოძრაობას ხელს უშლიდა და უტანსაცმლოდ ბრძოლა გაცილებით მოსახერხებელი იყო.

რა იყო მიზეზი, ასეთი სასტიკი, ქალური შეტაკებისა?

მიზეზი სხვადასხვა გახლდათ — წყენით დაწყებული, საყვარელი მამაკაცისთვის ბრძოლით დამთავრებული. ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ეს გასაგებია, რადგან ღირსეული ეგზემპლარი ცოტაა და მისთვის ბრძოლა ღირს.

ყველაზე ცნობილი მარკიზა დე ნესლისა და გრაფინია დე პოლინაკის ბრძოლაა. გოგონებმა თვით კარდინალი რიშელიე ვერ გაიყვეს.

კიდევ ერთი შესანიშნავი მაგალითია ფრანგი მწერალი ქალის, ჟორჟ სანდისა და ფერენც ლისტის საყვარლის, მარი დაგუს ბრძოლა. განრისხებულმა ქალებმა კომპოზიტორი კაბინეტში შეაგდეს და ურთიერთობის გარკვევა სცადეს. მათი ძირითადი საბრძოლო იარაღი ფრჩხილები გახლდათ.



თუმცა, ბასრი ბრჭყალები თავდაცვის ერთადერთი იარაღი არ არის. მებრძოლი ქალები კარგად ფლობდნენ იარაღს და საკმაო სისატიკესაც იჩენდნენ. მაგალითად, ცივი იარაღის პირს შხამს უსვამდნენ.

XVII საუკუნეში გრაფინია დე სენ-ბელმონმა დუელში ფრანგი ოფიცერი მოკლა. საქმე ის გახლდათ, რომ ეს უკანასკნელი თვითნებურად ჩასახლდა მის სახლში. გრაფინიამ თავის დაცვა შეძლო და თავხედი დუელში გამოიწვია. შეხვედრის ადგილზე ქალბატონი მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი მივიდა და თავისი დაშნით ჭკუაც ასწავლა მეტოქეს.



დრო გადის, სუსტი სქესის ბრძოლის ჟინი კი არ ცხრება. ისინი ყველაზე რთულ პროფესიებს ითვისებენ, კარგი მოკრივეები გამოდიან და ძალოვან სტრუქტურებსა და ჯარში საპასუხისმგებლო თანამდებობებს იკავებენ. დიახ, მათ მოსწონთ ბრძოლის პროცესი. გავიხსენოთ ლეგენდარული, „თეთრი კოლჰოტების“ ბატალიონი.

ჩეჩნეთის ომის დროს უამრავი მებრძოლი ქალი დაიღუპა. ბალტიისპირეთისა და უკრაინის ცნობილი ბეატლონისტები ცივსისხლიანი სნაიპერები გახდნენ. თუ მათ დაიჭერდნენ, უმოწყალოდ აწამებდნენ გარდაუვალი სიკვდილის წინ.

ქალთა კოლონია? საზიზღრობაა! სტატისტიკის მიხედვით, ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული გაცილებით მეტი სისასტიკით გამოირჩევა.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოვიქცეთ? არც როგორ! ქალები მუდამ იბრძოლებენ და მათ ვერაფერი შეაჩერებს. ჯობს, მათთან ერთად მშვიდობიანად იცხოვრო, თორემ მოთვინიერებული კატა შესაძლოა, გააფთრებულ ვეფხვად იქცეს. ●

მოკლე ჩართვა >>> 8

სად და ვისთან ერთად გავატარებდი ახალ წელს?

• ახალი წლის შეხვედრას ვისურვებდი ჩემს საუკეთესო მეგობრებთან — შორესთან, მიშასთან და სოფოსთან ერთად, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან. ერთხელ მანახვა თუნდაც და ადგილს უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ამისთვის ყველაფერს დავთმობ, მაგრამ... ეჰ, რა მწარეა ცხოვრება... ვიკა.

• ახალ წელს სიამოვნებით შევხვდებოდი მგზავნელების გარემოცვაში, აუცილებლად კოსტიუმირებულ მასკარადზე — ისე, რომ ყველას ნიკის შესაფერისი კოსტიუმი და ნიღაბი ჰქონდეს მორგებული. უმაგრესი იქნებოდა. საერთოდ კი, სადაც სითბო და სიყვარულია, ყველგან კარგია ახალი წლის შეხვედრა. ელისო.

• რომანტიკას და ნატვრებს რაღას დავეძებ, ნეტავ, რუსებმა არ დაგვბომბონ და ახალ წელს ტრადიციულად, ოჯახთან ერთად, ჩემს ულამაზეს სოფელში შევხვდები. ისე, თუ ოცნებაა, იყოს ალპები და ჩემი მომავალი ოცნების სიყვარული. სვანის ასული.

>>> 14

საცობი და ბიზნესი გზებზე

აღარ მოიღე ჯარიმები!

უკვე რამდენიმე თვეა, რაც მძღოლი ვარ და სრულყოფილად შევიგრძენი ამ „პროფესიის“ ტკბილ-მწარე არსი და უკვე მძღოლების საიდუმლო ნიშნებიც კი ავითვისე. თუ ეს ნიშნები იცი, თავს გზაზე მოძრაობის ნამდვილ მონაწილედ მიიჩნევ და არც გადაადგილება გაგიჭირდება. სხვა მძღოლებს ისე ეკონტაქტები, რომ მანქანიდან გადმოსვლაც არ გჭირდება. საამისოდ კი გამართული ფარები და სიგნალია საჭირო. მთავარია, საავტომობილო „უარგონს“ ფლობდე.

მაშ ასე, თუ საპირისპირო მხრიდან მომავალი ავტომობილის მძღოლმა შორი განათების ფარები ორჯერ აანთო და ჩააქრო, ეს იმას ნიშნავს, რომ წინ რაღაც საშიშროებაა. თუ შენ უკან მომავალმა მძღოლმა ფარები რამდენჯერმე აანთო და ჩააქრო, უნდა გაატარო.

თუ უკან მომავალი მანქანის მძღოლი მარჯვენა „პავაროტნიკს“ რთავს და თან შორი განათების ფარებით ანათებს, იმას ნიშნავს, რომ მას რაღაც უჭირს და მანქანა ტროტუართან უნდა გააჩერო. გააჩერებ თუ არა, ეს უკვე შენს კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება საავარიო ფარებს, მას უფრო ხშირად იმიტომ იყენებენ, რომ მადლობა გადაგიხადონ. ამ ფარების ხანმოკლე ჩართვა მადლობას ნიშნავს, ხოლო შედარებით ხანგრძლივად — ბოდიშს. აი, ასე...

ჩემი დაკვირვებით, მძღოლები 3 კატეგორიად იყოფიან: მძღოლი ქალები, მძღოლი მამაკაცები და ტაქსის მძღოლები. ეს უკანასკნელი კიდევ 2 ქვეკატეგორიას შეიცავს — სამარშრუტო ტაქსისა და მსუბუქი ტაქსის მძღოლები. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლები გაცილებით თავხედები და მოურიდებლები არიან. გიუებივით დარბიან, რომ ერთმანეთს გადაასწრონ და კიდევ ერთი მგზავრი შეიმატონ, ამის გამო კი უამრავ საავარიო სიტუაციას ქმნიან. რაც შეეხება მსუბუქი ტაქსის მძღოლებს, ისინი ძალიან ნელა, კუს ნაბიჯებით მიიზლაზნებიან და თუ გზაზე ადამიანს შენიშნავენ, კიდევ უფრო ანელებენ სიჩქარეს. ან ისე უცებ დაამუხრუჭებენ, რომ თუ ფხიზლად არ ხარ, შეიძლება, შეასკდე კიდეც. თუ მის უკან კიდევ რამდენიმე ტაქსი მოდის, ყველა გაჩერდება — იქნებ მგზავრი პირველს არ გაჰყვეს, თვითონაც იქვე იქნება და 50 თეთრით იაფად წაყვანას შესთავაზებს.

მამაკაცები ხშირად წუწუნებენ მძღოლი ქალების გამო და მათ „მოსიარულე სიკვდილსაც“ კი ეძახიან, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თვითონ გაცილებით მოუწესრიგებლები არიან და საერთოდ არ იცავენ (თუ არ იციან) მოძრაობის წესებს. თუმცა, ერთი პლუსი აქვთ — თუ ქალი კარგ მანევრს ჩაატარებს, მოწონებას ცერი თითის აწევით გამოხატავენ.

ამას წინათ, უკან უზარმაზარი ჯიპი მომადგა და ფარები ამინთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ უნდა გამეტარებინა. ჩემს მანქანაში 2 მეგობარი იჯდა.

— გაატარე, გოგო, ხომ ხედავ, ლამის მუხლებზე დაეცეს, ისე გეხვეწება, — მითხრა ერთმა.

— როგორ გავატარო? ვერ, ხედავ, რომ გვერდით უამრავი მანქანაა და მარჯვენა მხარეს ვერ გადავალ, — გავაპროტესტე მისი ნათქვამი.

ჯიპის მძღოლი კი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ გვერდით გადავსულიყავი და სხვა მანქანებისთვის საფრთხე შემექმნა. ჩემ წინაც უამრავი მანქანა მიდიოდა. რომც გამეტარებინა, დიდი-დიდი,

5 მეტრით წაწეულიყო წინ.

ახლა მე დავიწყე მარჯვენა „პავაროტნიკის" ანთება, რითაც გვერდითა ზოლზე მიმავალ მძღოლებს ვეხვეწებოდი, ჩამაყენეთ თქვენს რიგში, თორემ გადამივლის ეს ჯიპი-მეთქი. როგორც იქნა, გადავედი შუა ზოლზე. ჯიპის მძღოლმა ცოტა წინ წაინია და დამისიგნალა. ვალში არც მე დავრჩი და გაბმულად დავუსიგნალე, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ შევაგინე. არც იმან დამაკლო და კიდევ დამისიგნალა. მეც ვუპასუხე და ასე „ვაგინეთ" ერთმანეთს, ვიდრე კარგა მანძილით არ გამასწრო.

კიდევ, რამდენიმე დღის წინ, უკან პატრულის მანქანა მომადგა. „კორსა", გადააყენე მანქანა, გადააყენე მანქანა!" — დამიძახა და ფარებიც ამინთო. როგორც იქნა, მოვძებნე გასაჩერებელი ადგილი და პატრულის თანამშრომელს დაველოდე. მოვიდა, მომესალმა, საფეთქელთან გაშლილი თითები მიიტანა და გამეცნო (რა ზრდილობიანები არიან, მაგათ შემოვევლე).

— საბუთები გაქვთ? — მკითხა მკაცრი სახით.

— რა თქმა უნდა, — მეც შუბლშეკრულმა ვუპასუხე.

— მაჩვენეთ, — მიხვდა, რომ მოძებნას არც ვაპირებდი.

— დავარღვიე რამე?

— არა, არ დაგირღვევიათ.

— აბა, რატომ გამაჩერეთ?

— საბუთები მაჩვენეთ და გეტყვით.

გადმოვაქოთე ჩანთა, „ბარდაჩოკი", ჯიბეები, მაგრამ საბუთებს ვერ ვპოულობ.

— ვერ იპოვეთ? — წარამარა მეკითხება პატრული.

როგორც იქნა, მანქანის პასპორტი ვიპოვე, მართვის მოწმობა და პირადობის დამადასტურებელი საბუთი — ვერა. თუმცა, პატრულს სხვა საბუთებზე ყურადღება არც გაუმახვილებია. მანქანის პასპორტს დაჰყურებდა.

— ეს ამ მანქანის საბუთი არაა, — მითხრა კარგა ხნის მერე.

— როგორ გეკადრებათ, აბა, მაჩვენეთ, — დავხედე, ნამდვილად ჩემი მანქანისაა.

— სანომრე ნიშანი არ ემთხვევა თქვენსას, — სრულიად სერიოზულად მეუბნებოდა.

— არ არსებობს, აგერ, ხომ წერია ნომერი — 668.

— კი, მაგრამ თქვენს მანქანას ეს ნომერი არ აქვს.

სალონში მივიხედ-მოვიხედე. არა, ნამდვილად ჩემია, სხვა მანქანაში არ ვზივარ.

— გადმობრძანდით, ქალბატონო და თავად დარწმუნდით.

— თქვენ რა, „საახალწლო პატრულს" ხომ არ იღებთ? — მხრები ავიჩეჩე და მანქანიდან გადავედი. როცა უკანა სანომრე ნიშანს შევხედე, ისეთი ხარხარი ავტეხე, გარშემო ყველა მე მიყურებდა. პატრულის თანამშრომელი ჩემზე ხმამაღლა იცინოდა. მას თავისი მეწყვილე შეუერთდა და ასე, სამ ხმაში ვიხარხარეთ კარგა ხანს.

თურმე, ჩემს ხუმარა მეგობრებს მანქანის სანომრე ნიშანზე სკოჩით ფურცელი დაუმაგრებიათ, რომელზეც საკმაოდ მსხვილი, შავი ასოებით ეწერა — „სვანი".

აი, თურმე რატომ მერიდებოდნენ მძღოლები და საცობშიც კი 50 მეტრის რადიუსში გზა თავისუფალი იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, სხვა მძღოლების რეაქცია, მძღოლი ქალი რომ არის და თანაც — სვანი.

როცა სიცილისგან დაოსებული საჭეს მივუჯექი, პატრული ისევ თავზე დამადგა.

— როგორც ვატყობ, მართვის მოწმობა ვერ იპოვეთ, არა?

— ვერა... — დამნაშავედ ჩავიბურტყუნე.

— საერთოდ, შინიდან რომ გამოდიხართ, მანქანის საბუთი და მართვის მოწმობა უნდა წამოიღოთ, თორემ ყველა პატრულის თანამშრომელი ჯენტლმენი კი არაა. დედის დაფიცებას არ მიიღებს და დაგაჯარიმებთ.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა? ჯენტლმენ პატრულს დავემშვიდობე და გზა განვაგრძე.

საერთოდ, გზა პატრულის გარეშე ისეთივე წარმოუდგენელია, როგორიც ლეიბორისტული პარტია — შალვა ნათელაშვილის გარეშე. პატრული ყველა მძღოლისთვის „მტკივნეული ადგილია". თუმცა, მათგან იმდენ კურიოზს მოისმენ, ბოლოს მოგეჩვენება, რომ ძალიან საყვარლები არიან. აი, რამდენიმე ფრაზა, რომელიც გზაზე მოძრაობის დროს პატრულის მანქანიდან, მიკროფონის მეშვეობით გამიგონია:

„გაიარე, კაცო, გაიარე, მარო ბებოსავით წელმოწყვეტილი რომ მიდიხარ, დაუჩქარე, მოძრაობას ნუ აფერხებ";

„გაიარე, გაიარე-მეთქი, თორემ ახლა დავიგინები და ვნახავ, თუ არ გაივლი";

„მარშრუტკა", მესამე ზოლზე უნდა გააჩერო და მგზავრი იქ აიყვანო, მეორე ზოლი ცოტაა, ცოტა!";

„დროზე გამოდი, დროზე გამოდი-მეთქი, „ნივა“, შენ გეუბნები, გამოეთრიე!“;

„ქალბატონო (ამას მე არ მეუბნებოდა), მოძრაობას ნუ აფერხებთ. გაიარეთ, ქალბატონო! მანქანის ტარება თუ არ იცი, სარეცხ მანქანასთან უნდა იდგე, საჭესთან კი არ უნდა იჯდე. გადააყენე ერთი, უნდა დაგელაპარაკო“;

„ვაییი, ვაییი, „ოპელი“, შენ ისეთივე მძღოლი ხარ, როგორიც მე — ჩინეთის იმპერატორი“.

„რატომ ხართ გაჩერებული, იმოძრავეთ, იმოძრავეთ, ცოტა გათბებით მაინც“;

„ტოიოტა“, გაიარე; „ფორდი“, გაიარე; „ნოლ სემი“, შენც გაიარე, შე საცოდავო, შენა“;

„აბა, დავიძარით, ყველა ერთად დავიძარით და წავედიییით! „ოპელი“, ნუ იკრიჭები, წინ გაიხედე და საქმეს მიხედე“;

„ყურადღებით იმოძრავეთ, ყურადღებით! ანზორ, გამარჯობა, საღამოს შემომიარე! ყურადღებით იმოძრავეთ!“;

„ოპელი“, გამატარე, გაიწიე იქით და გამატარე... შენ სად მოდიხარ, ჯერ „მწვანე“ არ ანთებულა, დაუბრუნდი საწყის პოზიციას, თორემ დაგაჯარიმებ!“;

„ამას უყურე, ამას, ვاییი... გადადი გვერდზე, გადადი, თორემ მოვიდა პატრული!“

„ქალბატონო, ეგ სარკე „პრიჩოსკის“ გასასწორებლად კი არ გაქვს, გზას უყურე!“;

„ახლა თუ მოძრაობას არ დაუჩქარებთ, ჩემს სიდედრს დავურეკავ და მოვიყვან“;

აი, ასეთ კურიოზებს გადააწყდებით და გულიანად იცინებთ კიდეც (თუ, რა თქმა უნდა, პატრულმა არ დაგიძახა, — ნუ იკრიჭებიო).

პატრულთან დაკავშირებით კიდევ ერთ კურიოზს მოგიყვებით:

ერთ მშვენიერ დღეს, მივდივარ ჩემი „ოპელიჩით“ (ასე ჩემს მანქანას ჩემი მეგობრები ეძახიან) და პატრულმა დამიძახა, გააჩერეო. ცოდვა გამხელილი ჯობს და მაშინ მართვის მოწმობა ჯერ არ მქონდა. ჰოდა, რაღა თქმა უნდა, გავნერვიულდი (ხუმრობაა, 200-ლარიანი ჯარიმა, „უპრავოდ“ სიარულისთვის?!). არადა, ვიცი, იმიტომ გამაჩერეს, რომ ორმაგი ღერძულა ხაზი გადავკვეთე, სულ ცოტათი. ვიდრე მანქანას გავაჩერებდი, პატრულის დასაბნევად ერთი კარგი საშუალება მოვიფიქრე. თუ გაჭრიდა, ხომ კარგი, თუ არა და, რაღას ვიზამდი?! პატრულის თანამშრომელი მანქანიდან გადმოვიდა და ჩემკენ გამოემართა. ამასობაში, ჩანთიდან დიქტოფონი ამოვიღე და პირთან მივიტანე. პატრულს ხელით ვანიშნე, ჩუმად, ხელი არ შემიშალო-მეთქი და დავიწყე:

— რეპორტაჟი მიჰყავს ჟურნალ „გზის“ ჟურნალისტს, მარი ჯაფარიძეს. ამჟამად ვიმყოფები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე... ჩემგან მარცხნივ დგას პატრულის თანამშრომელი, რომელსაც რამდენიმე კითხვა უნდა დავუსვა, — დიქტოფონი მისკენ მივმართე.

— გამარჯობა.

— გამარჯობა, ქალბატონო, — ცოტა დაიბნა.

— თქვენი სახელი და გვარი, თუ შეიძლება. მითხრა.

— რა ხდება გზებზე? ბევრი მძღოლი არღვევს წესრიგს? საშუალოდ, დღეში რამდენ მძღოლს აჯარიმებთ? ბევრი ნასვამი მძღოლია? — დიქტოფონი ისევ მისკენ მივმართე.

— მე... უფლება არ მაქვს, რომ გიპასუხოთ, საამისოდ ხელმძღვანელობის ნებართვაა საჭირო.

— შარშან უფრო მეტი მძღოლი არღვევდა წესრიგს თუ წელს? — ჩემსას არ ვიშლიდი.

— ერთნაირად არღვევენ, მდგომარეობა არ გამოსწორებულა, — როგორც იქნა, ჩავითრიე ლაპარაკში, მაგრამ გამახსენდა, რომ ძალიან მეჩქარებოდა.

— დიდი მადლობა, ბატონო პატრულო, თქვენ მე ძალიან საჭირო ინფორმაცია მომაწოდეთ, წარმატებებს გისურვებთ, — ამ სიტყვებზე ძრავა ავამუშავე, პატრულს ხელი დავუქნიე და წამოვედი.

უკანა ხედვის სარკეში ვუყურებდი, როგორ იდგა კარგა ხანს, გაშეშებული, მერე კი მიბრუნდა და ნელი ნაბიჯით მანქანისკენ წავიდა.

თურმე, რა იოლი ყოფილა სიტუაციიდან გამოძრომა... მაპატიოს პატრულმა ასეთი უნიჭო სპექტაკლისთვის, მაგრამ 200 ლარი მათთვის ნამდვილად არ მემეტებოდა.

გაგიმხელთ, რომ მსგავსი შემთხვევებისთვის კიდევ რამდენიმე „გამოძრომის“ ხერხი მქონდა მოფიქრებული.

მაგალითად, შესაძლებელია, პატრულის თანამშრომელს თავი დაბნეულ, ცოტა სულელ ქალად მოაჩვენო (ქალს ეს თვისებები ეპატიება) და მიმართო: „ამხანაგო კონტრადმირალო, ნუთუ წესრიგი დავარღვიე? მართვის მოწმობას ვერ გაჩვენებთ, რადგან სურათზე ისე ცუდად გამოვიყურებიიი... ჩემი ახალი ვარცხნილობა მოგწონთ, ბატონო კონტრადმირალო? თქვენ გადასარევი ქურთუკი გაცვიათ, სად შეიძინეთ?“

არ არსებობს, ამის მერე პატრული ღიმილით არ დადნეს და არ გაგიშვას. თან, დამშვიდობების ნიშნად, ხელსაც დაგიქნევს.

კიდევ ერთი ვარიანტი:

მშვიდად ელოდები მის მოახლოებას. როდესაც ის პირს გააღებს, რომ საბუთები მოგთხოვოს, დაასწრებ და ეტყვი:

— Pete open the window!

— ვითომ უცხოელი ხაარ....

— კი, მაგრამ მანქანას ქართული ნომრები აქვს, — დაიბნევა.

— Would you like a give me cap of tea?

— კი, მაგრამ მანქანას ქართული ნომრები აქვს...

— How do you like this wheather, sir.

— ტყუილად მელაპარაკებით, არაფერი მესმის, — მხრებს აიჩეჩს, გაახსენდება, რომ სკოლაში გერმანულს სწავლობდა და

ინანებს, რომ კარგად არ სწავლობდა, — ფრაუ, გიბენ ზი „პრავა“, ფერშტეინ? — ნასწავლიდან ცოტას გაიხსენებს.

— I don't speak German.

— ფრაუ, ახტუნგ, კასსენ გეშლოსენ! პასპორტ, ფლიიზ, მაჩვენეთ, დერ პატრულის თანამშრომელ!

— Sorry, guy, I must go, — უპასუხებ შენ.

ამის მერე მანქანა უნდა დაქოქო და წახვიდე.

— არა, რა, უნდა მესწავლა ინგლისური, — ჩაილაპარაკებს პატრულის თანამშრომელი, მაგრამ შენ ამას უკვე ვეღარ გაიგონებ, რადგან მისგან შორს იქნები...

შეუძლებელია, ამ თემაზე წერო და საცობის თემა გამოტოვო. გზას, რომელსაც ღამით, ცარიელ ქუჩაში 10 წუთში გაივლი, დღისით 2 საათი სჭირდება (უკეთეს შემთხვევაში). საცობთან დაკავშირებით ერთ კურიოზს გავიხსენებ:

მეგობარს უნდა შევხვედროდი. ვინაიდან პუნქტუალური ადამიანი ვარ და დაგვიანება არ მიყვარს (თან წარმოვიდგინე, როგორ იყინებოდა ქუჩაში ჩემი მეგობარი), შინიდან ისე გამოვედი, რომ ყავის დალევა ვერ მოვასწარი. ვიფიქრე, გზაში დავლევ-მეთქი და ქაფქაფა ყავა სპეციალურ, ქაღალდის, სამგზავრო ჭიქაში ჩამოვასხი. მეორე ულუფა ჩემი გაყინული მეგობრისთვის გავამზადე, ჭიქები მანქანის სალონში, საგანგებოდ ამ ჭიქებისთვის დამონტაჟებულ სადგამში ჩავდგი და გზას გავუდექი. რაღა თქმა უნდა, საცობში მოვხვდი. მეტი რა საქმე მქონდა? ყავის ნება-ნება სმას შევუდექი. ცოტა ხანში ჩემ გვერდით მდგარი მანქანის მძღოლმა გაბმულად დამისიგნალა. მძღოლი ჩემი ახლობელი აღმოჩნდა. მინა ჩამოვწიე და ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— მოკლედ, შენ სრული კომფორტი გაქვს, არა? ყავას გზაში სვამ... მაგარია, — გამიღიმა მაიკომ.

— თუ გინდა, შენც დაგალევინებ, — შევთავაზე.

— მართლა? როგორ არ მინდა, ახლა ერთი ჭიქა ცხელი ყავა მართლაც მისწრებაა, — გაუხარდა.

მეგობრისთვის გამზადებული ყავა ფანჯრიდან გადავაწოდე, იმანაც ნეტარებით მოსვა.

უეცრად, ჩემ უკან მდგარი მანქანის მძღოლმა დამისიგნალა, ფანჯარაში თავი გამოყო და დამიძახა:

— ყიდით? რა ღირს ყავა?

მე გულიანად ვიცინე, მაგრამ თუ ვინმეს ჭკუაში დაგიჯდათ და ამ გზით ბიზნესის გაკეთება გადაწყვიტეთ, იცოდეთ, რომ ექსკლუზიური უფლება მე მაქვს.

ასე რომ, საცობში მარტო ბიზნესის გაკეთება კი არა, ბევრი რამაა შესაძლებელი. მაგალითად, გვერდითა მანქანაში შესაძლოა, ცოლ-ქმრის ჩხუბს მოუსმინო და შესაბამისი დასკვნები გამოიტანო; ოცნების პრინცს შეხვდე და ბედს ეწიო; გაზეთი ითხოვო, წაიკითხო და პატრონს უკან დაუბრუნო; საქმიანი მოლაპარაკებები აწარმოო იქვე გაცნობილ, „ტოიოტის“ ჯიპის მძღოლთან ან ცნობილ ადამიანს ინტერვიუზე შეუთანხმდე.

თუ კარგ გუნებაზე ხარ, კარგადაც გაერთობი, მაგრამ თუ სადმე გეჩქარება, მაშინ შესაძლოა ფეხითაც კი გაუყვე გზას.

ყველას ბედნიერ ახალ წელს და მგზავრობას გისურვებთ!

მოკლე ჩართვა >>> 10

სად და ვისთან ერთად გავატარებდი ახალ წელს?

• ახალი წლის შეხვედრას ვისურვებდი დედასთან და მამასთან ერთად. რა ბედნიერი ვიქნებოდი?! სარათან?.

• ახალ წელს გავატარებდი ჩემს დედიკოსთან ერთად, ჩვენი ოცნების სახლში, რომელიც ჯერ მხოლოდ ჩვენს ოცნებებშია დახატული, მაგრამ იმედი გვაქვს, მალე შევძლებთ მის განხორციელებას. სოსია.

• რადგან ყოველ ახალ წელს მშობლებთან ერთად ვხვდები, ამ ახალ წელს დუჩისთან და „გამოცანების მამასთან“ ერთად შევხვდებოდი. ორივე ძაალიან მიყვარხართ. ეშმაკუნა.

• ახალ წელს სიამოვნებით შევხვდებოდი ირაკლი ჭკადუასა და ბარაკ ობამასთან ერთად, იალბუზზე მარტოობის ორდენის კავალერი.

• ამბობენ, თუ შობა-ახალ წელს პარიზში შეხვდები შენს საყვარელ ადამიანთან ერთად, მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნებიო. ჰოდა, მეც მინდა ამ ახალ წელს ჩემს სიყვარულთან ერთად შევხვდე პარიზში; თუ არა და, თბილისში მაინც. სოსო, მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. შენი ბაჭია.

• ახალი წლის შეხვედრას ვისურვებდი მარისა და მგზავნელების გარემოცვაში. სად? მნიშვნელობა არ აქვს. თქვენთან ერთად ყველგან ბედნიერი ვიქნები. კამელია.

• ახალი წლის შეხვედრას ჩემს საყვარელ ადამიანთან ჩახუტებული, ჩვენი ოცნების ქვეყანაში ვისურვებდი. თუმცა, მასთან ყოფნა უკვე ახდენილი ოცნებაა. მისი ოცნება გოგო, პარიკანკა.

ფოტო, რომელიც ნერწერა ლაკერგა



• „კარგია ძროხა მზითევში, რძე, ერბო, ყველიც კარგია, ქართულ-სოფლური ოჯახით, მოვდივართ, მოგვიხარია; მამულს გავუზრდით ღირსეულ და სასახელო შვილებსო, თქვენც ჩვენი წყალი გეპკუროთ, შეყვარებულო წყვილებო". ელექტრა.

• „აბა, შენ იცი, ზურიკელა, ნენა, თვალისჩინივით გაუფრთხილდი ფაქიზოს, შვილო. ცოლსაც მიხედე ხანდახან, ბიჭო! გვიყვარხარ ყველას, ყველას, ყველას. მოკითხვას გიგზავნით შენი ბებია, ილიკო და ილარიონი". ჰოოდა, ეგრეე... მაესტრო.

• „სიძის ფიქრები: „ცოლი ქართლიდან მოვიყვანე და მზითევში კვარაცხელიას ჯიშის ძროხა საიდან? ნეტავ, რამდენს იწველის? ამაღამ ვკითხავ". პატარძლის ფიქრები: „ჰმ, უყურეთ ამ ვაუბატონს, ისეა ამ ძროხით მოხიბლული, ზედ აღარ მიყურებს. მოიცა და მალე მოგამტვრევთ ორივეს რქებს".

• „ჩვენი ფოტოთი გზავნილეთს, გული სითბოთი აუვსო, ჰოდა, ამ ძროხის ბოჩოლას, ვაჩუქებთ მარიამულსო". ელექტრა.

• „ქორწილის დღეს სიძე ამბობს — აქეთ ჩემი სიხარული, აქეთ — ჩვენი მარჩენალი. 5 წლის შემდეგ: — აქეთ ცოლი, იქით — მარჩენალი. 10 წლის შემდეგ: — იქით (საბერძნეთში) ცოლი, მარჩენალი, აქეთ — მარჩენალი". თაისი.

• „თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდა საბრალო, მაგრამ ბედმა დასცინა: — საქონელზე ამხედრებული კი არ იკადრო, შენმა მზემო". ლუნა.

• „კარკუჩით წამაიყვანეს, ქალი ლამაზი, თმიანი, თან ძროხა გამოატანეს, ბაფთაშებმული, რქიანი; ძროხა ეტყოდა პატარძალს, შენ ნუ დაიწყებ წუწუნსა, რძე თუკი შემოგაკლდება, ბალღს მე ვაწოვებ ძუძუსა; ოღონდ სხვა რამეს ნუ მამთხოვ, წინასწარ გეტყვი — ბოდიში, თუ განწყობაზე არა ხარ, ვერ შეგეცვლები ლოგინში". საჩალელი.

• „ბევრჯერ ვყოფილვარ მაყარში, არასდროს გამიგონია, მზითევში მოჰყვეს ძროხები"... აგენტი807.

• „მერე რა, რომ ნაღვლიანი თვალები აქვს, ამაღამ ვინმეს გავაცნობ და წავა სიყვარულობა". ზანგო.

• „ახალგამოჩეკილი ფერმერი, ორი პირუტყვით".

• „2 ცოლი, ექსპრომტად. ნეტავ, რომელთან ექნება პირველი ღამე?" გრუზინკა.

• „თეთრ ძროხაზე ამხედრებულმა პრინცმა მოაკითხა".

• „პატარძალი წინა პლანზე: აუუ, რა მაგარია, დაქალები რომ დამირეკავენ, ვეტყვი — სოფელში გავთხოვდი, ძროხები გვყავს და იმათ ვწველი-მეთქი.

• პატარძალი უკანა პლანზე: აუუ, რა ტეხავს, სოფელში გავთხოვდი და ძროხაც კი არ მეყოლება, რომ მოვწველო. რა ვუთხრა დაქალებს, რომ დამირეკავენ, ყანაში ვარ-მეთქი?" იკუშკები.

• „გეტყობა, ბიძი, სექსის დროს რძე რომ გიყვარს".

• „ოე, სიძე, შენთვის არავის უთქვამს, რომ ორცოლიანობა ჩვენში სასტიკად აკრძალულია?" პაიკა.

• „ვაიმე, საყვარელო, მგონი ის უფრო მიხარია, ძროხა რომ მიმყავს სახლში, ვიდრე — შენ". სარათანა9.

• „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან". ნარცისი.

• „აი, მაგ ფოტოზე მე რომ ვიყო, ასეთი წარწერა მომიხდებოდა: აცე, ვირო, უკუდო, გამოყარე მუხუდო, ჩაიყარე ჯიბეში და აკნაწუნე ბიჭებში".

• „ეს საკლავიც დაიკვლება, ღვინოც ბევრი შეისმება, ჩვენ რომ არ გვეპატიჟებით, ასე როგორ შეიძლება?" მე.

• „ქორწილი პატარძლით არვის გვიკვირს, ძროხის სტატუსი აქ ვინმემ იცის? ბაფთები ამშვენებს, ზოლებსაც ირგებს, ვფიცავარ ნამუსს, იღიმის კიდეც". მე.

• „რა იყო ბიძი, ერთი ქალი არ გეყო?"

• „ვააჰ, ეს სიდედრები, რა ყველგან უნდა ჩაეკვეხონ". ირაააკლი.

• „რა ბედი აქვს ამ კაცს, რას ასწორებს, იცით, გვერდით 2 მეწველი რომ გყავს? ირაააკლი.

• „ვერაფერს იტყვი, მაგარი მეჯვარე ჰყავს სიძეს". პატარა ფერია.

• „ძროხა თუ ცოლი? არჩევანის წინაშე".

• „ძროხის სიყვარული ცოლსაც მოგაყვანინებს, კაცს!" სიკვდილა.

• „აუ, მაინც ამახია ამ დამპალმა, არადა, მეც როგორ მოვიკაზმე?! თან 2 ძუძუს 4 არ სჯობიაა, ჰა?" ვიკა.

• „ეს გოგო, ეტყობა, თეთრ ძროხაზე ამხედრებულ ვირზე ოცნებობდა და აჰა!" ნემსა.

• „სასიყვარულო სამკუთხედი". კახელო.

• „არადა, მოუარე ახლა ორ ქალს... ბუღა მაინც ყოფილიყო, შემომეშველებოდა". ჯოჯო.

• „ორ ცეცხლს შუა".

• „ნეტავ, მეც მყავდეს გვერდით მამაკაცი. — ძროხის ფიქრებიდან".

• „მარცხნივ ცოლი, მარჯვნივ — საყვარელი". ნიკოლი.

მიშას გაუმარჯოს, გასკდი, ოპოზიციავ!

„ოდნოკლასნიკების“ შესახებ უკვე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ ვშიშობ, არ გეგონოთ, იმავეს გამეორებას ვაპირებ და ეს გვერდი წაუკითხავი არ დატოვოთ. ამჯერად საიტს სრულიად სხვა კუთხით მივუდექი და ცნობილი ადამიანების „პროფაილებს“ გადავხედე. ვინც ამ საიტს არ სტუმრობს, მათთვის ავხსნი, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, შენი „პროფაილი“ დაათვალიეროს და ფოტოებზე კომენტარიც დაურთოს. ეს კომენტარები ყველა ადამიანისთვის ხელმისაწვდომია. ჰოდა, ვიფიქრე, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, თუ ამ კომენტარებს მკითხველიც გაეცნობოდა. ამჯერად პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და ლეიბორისტების ლიდერის, შალვა ნათელაშვილისთვის დატოვებულ კომენტარებს გაგაცნობთ.

— მიშა, ამ ჭიქით შენი გამრავლებისა იყოს, რა... სულ „კუბებში“ და „კვადრატებში“ დასიზმრებოდე, ჩერჩეტ ოპოზიციას...

— გამარჯობა, ბატონო მიშა, ჩვენო ძლიერო პრეზიდენტო!

— მიშა მაგარიااااა! გასკდი, ოპოზიციااااااავ!

— მიშა, ჩვენ შენთან ვართ, მაგრა დადექ!



— მიშა, მანქანა მიყიდე, რااა?!

— უმაგრესი პრეზიდენტი გვყავს!

— პრეზიდენტო, გკოცნი ბევრს!

— მაგარი ადამიანი ხარ და მჯერა, რომ ალბათ — ქვეყნის ყველაზე მაგარი პატრიოტი! ამას ისტორია იტყვის და ხალხიც არ დაგივიწყებს. ღმერთი დაგეხმაროს!

— თქვენ, რა, მართლა გჯერათ, რომ ეს სააკაშვილის „ოდნოა“? მეტი საქმე არ აქვს მაგას, „ოდნოებში“ ირბინოს...

— ვაა, ვითომ მიშაა? არა მგონია, მარა მაინც ჰიიიი!

— ეს მიშა არის თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, მიშა მაინც მაგარია!

— არიქა, გაეფინეთ ფეხებში და დაუკოცნეთ შუბლი, ეგება გადმოგიგდოთ სამოწყალოდ ლუკმა... ფუი...

შალვასთვის დატოვებული კომენტარები ბევრად აჭარბებს პრეზიდენტის კომენტარებს. არ ვიცი, ეს რისი ბრალია. ალბათ იმის, რომ ის გაცილებით პოპულარულია. აღმოჩნდა, რომ გულშემატკივრობენ, მის პარტიაში გაწევრებასაც ითხოვენ და თქვენ წარმოიდგინეთ, მასზე ეჭვიანობენ კიდეც.

— შალიკო ბიძია, ისროლე უკვე ხელთათმანი?

— შალვას გაუმარჯოს! ამხელა თანამდებობის კაცი ხარ, ამხელა „შრომითი პარტიის“ ლიდერი ხარ, რომელსაც ამოუწურავი გონებრივი შესაძლებლობები გააჩნია... მაგასაც თავი რომ დავანებოთ, საქართველოს გადარჩენის იმედი ხარ და... კაი, რა, კაი, რა, კაი, რა, რა დროს შენი „ოდნოკლასნიკია“? მაესტრო, წადი სახლში, ჭამე, იმეცადინე და ასე შემდეგ. დაანებე იმ საქმეს თავი, რაც არ გამოგდის...

— მოგესალმები, საქართველოს ნამდვილ პატრიოტს!

— შაკო, კაი კაცი ხარ, მარა ხანდახან ძალიან ბევრს ლაპარაკობ.

— რას გვიშვრება ეს მთავრობა, რას, რას, რას!

— შალვა, ვინც ეს ბინძური პიარი აგიგორა, ის შენს ფრჩხილადაც არ ღირს...

— რაო, რა მიხარიაო? გავხდი პრეზიდენტიო?

— და უკაცრავად, თქვენს პოლიტიკურ პარტიაში გამაწევრებთ? ძალიან მინდა.

— ბატონო შალვა, ჩემი შეყვარებული შენი ფანია და მე ვეჭვიანობ!

— შალვა, ioooo! შენი ფანი ვარ, 18 წლის რომ გავხდები, ხმას შენ მოგცემ, 3 წელიწადშიიიი!

— შალვა, ამ ფოტოზე ცოტათი გრძელი ცხვირი გაქვს.

— 20 წლის ასაკში სულ სხვა ხართ, ბატონო შალვა...

— ცოტას ატრაკებ, მაგრამ მაგარი კაცი ხარ.

— შალვა, პოლიტიკა არ მევასება, მარა შენ მაგრად ბაზრობ ხოლმე და გისმენ.

— მაგრად მოიქნიე, შალიკო, მუშტი, იქნებ ყბაში გაირტყა და გამოფხიზლდე, თორემ მეცოდები.

— სააკაშვილი როდის უნდა ჩამოაგდო, ბატონო შალვა?

— გაიხარეთ. ძალიან ძვირფასი ხართ, სრულიად საქართველოსთვის. გვიმრავლოს ღმერთმა თქვენნაირი ძვირფასი ადამიანები.

გზაჯვრები

მარი ჯაფარიძე

შეცდომა

გამარჯობა, ჩემო ლამაზებო და მშვენიერებო, როგორ ხართ? მოიწყინეთ? თუმცა, რა დროს მოწყენაა, ახალი წელი კარს მოგვდგომია და აი, ამ წლის ბოლო „გზაჯვრებიც" მოვამზადე თქვენთვის. ჰოდა, თუ ახლა ვინეგრეტის ან გოზინაყის მომზადებით არ ხართ დაკავებული და ჟურნალის წასაკითხად გცალიათ, ალბათ, გულიანად იხალისებთ. თანაც, წინასწარ მინდა გთხოვოთ, რომ მომდევნო ნომრისთვის მესიჯები ოპერატიულად გამოგზავნოთ, თორემ ახალი წლის მერე „გამოპახმელიავებულ" გონებაზე ალბათ მესიჯის წერისა და გამოგზავნის თავი აღარ გექნებათ. ერთი სიტყვით, თქვენი იმედი მაქვს, რომ მომდევნო, საახალწლო ნომერს არ ჩამიგდებთ. წინაალმდეგ შემთხვევაში, იძულებული გავხდები, თქვენი ძველი, დაუბეჭდავი და დაარქივებული, „შავი დღისთვის" გადანახული მესიჯები მოვძებნო და ახლა დავბეჭდო. ეს კი ძალიან არ მინდა, რადგან თავსაც მოვიტყუებ და თქვენც მოგატყუებთ. ახლა კი თქვენს შეცდომებს გავეცნოთ.

მძღოლის ფავორიტი

„ო, მარი, ამას წინათ რომ მოგწერე, სამსახური ვიშოვე-მეთქი, გაგრძელება აღარ მომიწერია. ჰოდა, თავიდან დავიწყებ: მოკლედ, წინა კვირას სამსახური ვიშოვე, თან ერთის ნაცვლად — ორი. ჰოდა, ისეთი აღფრთოვანებულ-დარეტიანებული გამოვედი კლინიკიდან, რომ სამარშრუტო ტაქსის ნომრისთვის არც შემიხედავს. ისე ავედი და დავჯექი, აზრადაც არ მომსვლია, მისი მარშრუტი გამეგო. მოკლედ, ვარ ასეთ ეიფორიაში და ვხედავ, ჩემთვის გაუგებარი მიმართულებით მივდივარ. არც მიფიქრია, სადმე ჩავსულიყავი, ბოლო გაჩერებამდე მივყევი, იქ ჩამოვედი ისევ ისე დარეტიანებული და ახლა „სანდრაბუსში" ავპლაკუნდი. ნომრისთვის არც ამჯერად შემიხედავს (ავტობუსში გავიგე, რომ თურმე 67-ე ნომერში ავსულვარ). მოვიარე ნახევარი ქალაქი უაზროდ და ბოლო გაჩერებას მივაღწიე. ორი მგზავრიღა ვიყავით. ის ვაკეში მიდიოდა და მიმართულება შეშლია. მძღოლმა გვითხრა — ხომ არ „გაკატავებთ", გადასხედით სხვა ავტობუსშიო. მეც წამოვდექი. — თქვენ სადღა მიბრძანდებითო? — მკითხა და მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინე, რომ საკმაოდ სიმპათიური, ახალგაზრდა მამაკაცი ყოფილა. — აღმაშენებელზე მივბრძანდებოდი, მაგრამ აქ ჩავბრძანდები-მეთქი, სიცილით ვუთხარი. — არა, თქვენ ბრძანდებოდეთო, შემომღიმა მძღოლმა. დავიბენი. — ბრძანდებოდეთ, თუ არ გეჩქარებათ, უკვე გავდივარ და მიგაბრძანებთ აღმაშენებელზეო. დავჯექი და მთელი გზა საკუთარ თავზე ვიცინოდი. ძალიან მეჩქარებოდა, მაგრამ რა მექნა? მძღოლს ალბათ პირველად ვეგონე თბილისში. საბოლოოდ კი ფულიც არ გამომართვა — ჩაბრძანდით, სხვა დროს იყოსო (სხვა დროს იყოს რაა? განა ყოველთვის ასე დარეტიანებული დავდივარ?). გამოვიდა, რომ შეცდომის წყალობით უფასოდ „ვიკატავე". მადლობა №67-ის მძღოლს! :) ფინტიკოზა".

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტენილი

„აქა ამბავი ჯაგლაგა, მაგრამ დოღში გამარჯვებული ცხენისა, „შინაბერა“ პრიზისა და მოტყუებული ძმაკაცისა. მაშ ასე, ჩემო კარგო და ჩახუტება ადამიანებო, იყო და არა იყო რა, კი არა და... ეს რეალურად მოხდა. ერთ ლამაზ და მზიან დღეს ძმაკაცი უნდა ვინახულოო, გადაწყვიტა ერთმა და გაუდგა მეზობელი სოფლისკენ მიმავალ, დაკლაკნილ გზას, თავისი ცხენითურთ. ჰოდა, მივიდაა... აბა, აქეთური, იქითური, სუფრა, კაი ამბავი და სტუმრის ვაჟკაცობით მოხიბლულ, მასპინძლის მეზობელს თავისი შინაბერა ასული გაახსენდა. გაახსენდა და მიიჩნია, რომ დრო იყო გოგოს გასაღებისა. ერთი კი გადაისვა ულვაშზე ხელი, ჩაახველა კიდეც და გაიხმო თავისი მეზობელი გარეთ. საიდუმლო თათბირის შემდეგ, რატომღაც დაღვრემილ მასპინძელს სტუმარმა უგუნებობის მიზეზი ჰკითხა. ამან კიდევ — ხვალ დოღი იმართება, გამარჯვებულისთვის ულამაზესი ასულია ჯილდოდ და მე კი ცხენი არ მყავსო. გადაირია სტუმარი, აგერ, ჩემი ცხენი და აგერ — მეო... ჰოდა, გათენდა დილაც, გაიმართა დოღიც და გაიმარჯვა კიდეც ჩვენმა სტუმარმა (ცხენის წყალობით კი არა, თურმე ასე ჩააწყვეს საქმე). ის ჯილდო კი შინაბერა გახლდათ, რომელიც ერგო კიდეც გამარჯვებულ სტუმარს. აი, ასეთი შეცდომა მოუვიდა ძმაკაცობისთვის გულანთებულ ადამიანს. სულაც არ უნდოდა ცოლი, მაგრამ ჯილდოზე უარის თქმა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. ერთი კი შეუკურთხა თავის ცხენს და დაბრუნდა სახლში, შეცდომით მოყვანილ ცოლთან ერთად. მე“.

„რუსთ“...

„თანამშრომლის უნებლიე შეცდომაზე მოგიყვებით: მოკლედ, ჩვენმა ლამაზმა ქალბატონმა ბავშვები ზოოპარკში გაასეირნა და მერე ნათესავთან, რუსთაველზე წასასვლელად გააჩერა სამარშრუტო ტაქსი, რომლის ტრაფარეტზეც ეწერა — რუსთ... ბევრი რომ იარეს, ღირსეული სახით გადახედა მგზავრს და ჰკითხა, რუსთაველზე მალე ვიქნებითო? რა რუსთაველი, ქალბატონო, რუსთავში ვართო. რუსთავშიო? ბევრი ახსნა-განმარტებისა, გზის მიმართულების ხელით ჩვენებისა და მილიონი შეკითხვის მერე, როგორც იქნა, გამოემგზავრა თბილისში. ახლა გვეხუმრება — თუ რუსთაველზე წასვლა დააპიროთ, მე მკითხეთო. თინეიჯერი შინაბერა“.

ტორტი

„სვეტიცხოვლობას, მე და ჩემი დაქალები მივდიოდით ჩემთან, სახლში, მეტროთი. გოგონები ქეიფს ვაპირებდით და თან ვეებერთელა ტორტი მიმქონდა. შუა მგზავრობისას მეტრო გაჩერდა. ცოტა არ იყოს, ავღელდით და ვაგონში შეშინებული სახეები შევნიშნე. ჩემი დაქალი მეხვეწებოდა, შემდეგ გაჩერებაზე ჩავიდეთო, მაგრამ გავჯიუტდი და არ ჩავედი. თან სახლამდე ერთი გაჩერება იყო დარჩენილი. ცოტა ხანში ისევ გაჩერდა მეტრო და გულმა ბაგაბუგი დამიწყო. გავიდა 10 წუთი, არ მიდის მატარებელი და ყველანი ავფორიაქდით. ვაგონში ვიღაც მთვრალი კაცი იყო და რომ ავარდა გინებ-გინებით, გამიღეთ კარიო, ხალხმა ველარ დაამშვიდა. „დაუე“ კარს ურტყამდა. ეს ჩვენი ტორტი კი ჩემს დაქალს ეჭირა და როდესაც იმ მთვრალს ხალხი დაესია, ჰკრა ხელი ამ კაცმა 4 ბიჭს და პირდაპირ ჩემი დაქალისკენ წამოვიდნენ, ბარბაცით. რა თქმა უნდა, ჩვენს ძვირფას ტორტს დაახტნენ ზედ და ტორტის გარდა გაუგებრობაში ჩემი დაქალის ფეხებიც მოჰყვა. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არაა, რას დაემსგავსებოდა იქაურობა. ჯერ ჩემი დაქალი სულ ტორტიანი გახდა, მერე ის ბიჭები, სულ თავფეხიანად ამოსვრილები იყვნენ ვარდისფერ კრემში. დავრჩით 4 დაქალი უტორტოდ და თან ჩვენი სულიც მას გაჰყვა. მართალია, საქმე სასაცილოდ არ გვქონდა, მაგრამ სიცილს ვერ ვიკავებდით. ეს ჩვენი ცოდვით სავსე მატარებელი 2 წუთში დაიძრა. ამოვედით მეტროდან და მივადექით ტაქსს, აბა ჩემი ტორტში ამოსვრილი დაქალის შემხედვარე, არც ერთი „მარშრუტკა“ არ გაგვიჩერებდა. უცებ დაგვიძახეს — გოგონებოო, და რომ მივტრიალდით, ის ბიჭები აღმოჩნდნენ, ჩვენს ტორტს რომ „გადაუარეს“. თურმე, ფული შეუგროვებიათ და იქვე, მეტროსთან, პატარა ტორტი უყიდიათ. უამრავი ბოდიში მოგვიხადეს, ტაქსის ფულიც გადაგვიხადეს და ისინი — თავიანთი, ჩვენ კი ჩვენი გზით წამოვედით. ერთ-ერთი ბიჭი ახლა ჩემი დაქალის „ლოვეა“. P.S. ახალი ვარ. ცხვირა“.

ალილო

„მე, დედაჩემმა და ჩემმა ბიძაშვილმა, მახომ, გადავწყვიტეთ, დრო გვეტარებინა და ალილოზე წავსულიყავით. მოგეხსენებათ, ალილოზე ფულს იძლევიან. შობა დღე თენდებოდა. რა თქმა უნდა, აკორდეონიც წავიღეთ და დავიწყეთ კარდაკარ სიარული. ყველანი პირახვეულები ვიყავით, მარტო თვალები მოგვიჩანდა, ხალხს რომ არ ვეცნეთ. ჭიშკრიდან ვიწყებდით სიმღერას, ხოლო შემდეგ მასპინძელი გვიპატიჟებდა სახლში. ამასობაში მივადექით ჩემი ქორეოგრაფის ოჯახს. შიგნით შეგვიპატიჟეს. დავიწყეთ სიმღერა. ხმაზე ჩემი ქორეოგრაფი მიხვდა, ვინც ვიყავი, თუმცა დარწმუნებული არ იყო და მელაპარაკებოდა, რომ რაიმე წამომცდენოდა. ჩემი ბიძაშვილი ბიჭი პირველად გვყავდა ალილოზე, თან რუსეთიდან ახალი ჩამოსული იყო და არავის იცნობდა. როდესაც ჩემი ქორეოგრაფი ქუდზე შემეხო (უნდოდა, სახე დაენახა), ჩემმა ბიძაშვილმა, მახომ იფიქრა, ეარშიყებაო და რომ სტაცა ამ კაცს ხელი, გაიქნია მაგიდისკენ (ისეთი სუფრა იყო, ჩიტის რძეც არ აკლდა) და რომ დააგდო სუფრაზე, იმდენი ურტყა, ძლივს გავაშველეთ. აი, ასეთი შობა გაგვითენა ჩემმა ბიძაშვილმა, ხოლო ვინც ფულს არ გვაძლევდა, მახო ყველას ჭიშკარს უღებდა და გინებასაც აყოლებდა. ხუტა“.

ტოტებიანი „ტრუსიკი“

„ჩემი წყალტუბოელი ახლობელი თბილისში მოდიოდა. მაგარი ყინვა იყო. დედამისი გადაეკიდა, გინდა თუ არა, ტოტებიანი „ტრუსიკი“ ჩაიცვი, თორემ გაცივდებიო. იუკადრისა ახალგაზრდა გოგომ ფოხნის ჩაცმა, რამაც დედა საშინლად გააცეცხლა, — შიგნიდან ვინ გიყურებს, ქალო! დიდი ჰაი-ჰუის შემდეგ, დედამ თავისი გაიტანა. გზაზე მძღოლს შეცდომა მოუვიდა, ავტობუსი მოცურდა და ხრამში გადაიჩეხა. 7 კაცი დაიღუპა. ეს გოგო მძიმედ დაშავდა. საკაცით რომ მიჰყავდათ, გონზე მაშინ მოვიდა და იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ცოცხალი გადარჩა, ყურებამდე აწითლებდა ის, რომ საავადმყოფოში ტოტებიან „ტრუსიკს“ დაუნახავდნენ. საჩალელი“.

ბიძაშვილის ბედნიერება

„ჩემმა კურსელმა წლების წინ დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რომელსაც დღეს ძალიან ნანობს, მაგრამ რაღა დროს? კოლეჯში სწავლის დროს 1 ბიჭს სიგიჟემდე უყვარდა, თავს ევლებოდა, მანქანით დაატარებდა... ერთი სიტყვით, გაუჩენელს შოულობდა მისთვის, ოღონდ ხმა ამოეღო. გოგოს არ უყვარდა. უბრალოდ, მაგრად ეამაყებოდა, ის ბიჭი სულ კუდში რომ დასდევდა და ანებივრებდა. ერთხელ, გოგოს მოჰბეზრდა ამდენი ყურადღება და ბიჭს თავისი ბიძაშვილი გააცნო. იმ გოგომ იმდენი იჩალიჩა, ბიჭს თავი შეაყვარა და ცოლადაც გაჰყვა. ჩემი კურსელი კი დღესაც გასათხოვარია და ხედავს, რომ მისი ბიძაშვილი ბედნიერია; ჰყავს მოსიყვარულე, ერთგული მეუღლე და ნანობს თავის შეცდომას, მაგრამ რაღა დროს? გრუზინკა“.

„დედაშვილობა“

„პატარა ვიყავი, როცა ჩემმა ძვირფასმა დაიკომ, აქაოდა — „დედაშვილობანას“ გეთამაშებიო და, სარეცხი ფხვნილი მაჭამა. უფრო სწორად, სახეზე მთელი ყუთი „პარაშოკი“ დამაცალა. მოკლედ, გადარჩენით კი გადამარჩინეს, მაგრამ ეგ იყო და ეგ, ამ შემთხვევის მერე ერთმანეთს ვხოცავთ. ოჯახში ერთადერთი ჩემი გულშემატკივარი ანჟელიკა იყო (პიტბულის ჯიშის ძაღლი). აუ, ანჟელიკაზე გამახსენდა და უნდა მოგიყვეთ: ერთხელ ირაკლიმ გახუმრება გადაწყვიტა, შემოგვივარდა თავზე ჩამოცმული „ჩულქით“, ხელში იარაღით და... — ყველანი დაწექითო, დაიყვირა. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ ანჟელიკა ჭკვიანი კი არის, მაგრამ არც მთლად ისეთი, ირაკლის თხოვნა შეესრულებინა და იატაკზე გაშხლართულიყო. მოკლედ, ერთ ნახტომსა და წამის მეათედში „ჩულქიანი“ იკუნა იყო იატაკზე გართხმული და ანჟელიკა — ზემოდან. ძლივს გამოვწიწკნეთ პირიდან, საბრალო იკა. ანარქია“.

მოტაცება შეცდომით

„ერთი ნაცნობი ბიჭი მყავს, გაგა. ერთხელ მასთან სტუმრად ვიყავი და ერთი კვირა დავრჩი. ჰოდა, გაგას ყოველდღე ეჩხუბებოდა დედამისი, ცოლი მოიყვანე, უკვე 29 წლის ხარო. ერთხელაც, მისმა დამ ბლუზის ყიდვა გადაწყვიტა და გამყიდველმა სურათი აჩვენა — ნახე, როგორ უხდება, ჩემმა გოგომაც ასეთი იყიდა, მარიამობას ეკლესიაში უნდა ჩაიცვასო. გაგამ სურათი რომ ნახა, გოგო მოეწონა და მისი მოტაცება გადაწყვიტა. მოვიტაცეთ კიდეც. გაგიჟებული გოგო ყვირილით ყველაფერს იკლებდა, — არც ერთს არ გიცნობთ და ცოლად ვის გინდივართო? გოგონები წინ ვისხედით და შიშით ვკანკალებდით. მოტაცება ხომ დანაშაული იყო, თან ისეთი გოგოსი, რომელიც არც ერთს არ გვიცნობდა. საირმის ტყეში კი გაგამ სურათი ამოიღო, რომელიც გამყიდველს მოჰპარა და ფერიც დაკარგა. ვკითხეთ, რა გჭირს-თქო? გვითხრა, ეს ის არ არის, შემეშალაო. გოგოს უკან ხომ არ დავაბრუნებდით?! გაგას კი მთელი სოფელი „შემეშალას“ ეძახის. დღეს კი 2 შვილი ჰყავთ. მარიამი“.

მამალი

„ჩემი ქმრის ბებიას მამალი ძალიან ამწარებდა და ბებოც გურულად მიაწყევლიდა ხოლმე, — შენ შეგჭამა ძაღლებმაო. მამალი, რა თქმა უნდა, არაფრად აგდებდა პატრონის მუქარას და ძველებურად, დაუმორჩილებელ ცხოვრებას აგრძელებდა. ამასობაში აღდგომაც მოვიდა და ჩვენი მამალი მადისაღმძვრელად დაასაცივა ბებომ. შვილიშვილები კი ნამცხვრის საყიდლად, ქალაქში მანქანით წავიდნენ. სადღესასწაულო განწყობილებამ სპიდომეტრზეც იმოქმედა და ბიჭებს პატრული დაედევნა. დიდხანს არბენინეს სამართალდამცავები ქალაქის ქუჩებში ბიჭებმა; ბოლოს კი „გენიალური“ გადაწყვეტილება მიიღეს და სახლისკენ მომართეს მანქანა. ჰოდა, პოლიციელებიც ლოგიკურად, აღნიშნულ მისამართზე აღმოჩნდნენ. სანამ ჯარიმას გამოწერდნენ, მანამდე ჩემი მამამთილი გამოვიდა და ბევრი თხოვნა-შეხუჭუჭების მერე ბიჭებს სააღდგომო ხულიგნობა ეპატიათ. როგორც საქართველოში ხდება ხოლმე, პატრული სააღდგომო სუფრასთან აღმოჩნდა და ქეიფიც გაჩაღდა, რომელსაც გურულად „ერთ ჭიქას დევილოცავ“ ჰქვია და რა მიირთვეს ჩვენმა პატრულ-ამუნიებმა სუფრასთან? რა თქმა უნდა, დასაცივებული მამალი. ასე აუხდა ურჩ მამლაყინწას ბებოს მუქარა. პოლიციელებო, მაპატიეეეთ. კუნა“.

უნებლიე ფსიქოლოგი

„ვცდილობ, სხვისი შეცდომები გავითვალისწინო და მათზე ვისწავლო. ჯერჯერობით გამომდის კიდეც. თუმცა, ჩემმა საოცარმა ინტუიციამ ერთხელ მაინც მიმტყუნა. ერთი ბიჭი ძალიან მომწონდა, არა მხოლოდ გარეგნობის გამო, ყველანაირად იდეალური ჩანდა. მე კი მაქსიმალისტს, დამავიწყდა, რომ სრულყოფილება არ არსებობს. გადასარევი მხოლოდ შორიდან ჩანდა. გავიცანი და შთაბეჭდილება მაშინვე გამოქარწყლდა. იმედია, ეს ჩემი ბოლო შეცდომაა. ამ ამბიდან სწორი დასკვნა გამოვიტანე, თუმცა, სილამაზე მაინც მხიბლავს და რა ვქნა?! შეცდომის წყალობით რეკავს რატომღაც ყველა მოცლილი პატიმარი ჩემს ნომერზე, თითქოს გადაუდებელი ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი ვიყო. ასევე შეცდომით მოხვედრილი უცნობი ხევსური, დოვლათიანი ბიძია გამალებით ცდილობს, თავი შეაყვაროს ჩემს გაუთხოვარ, 50 წლის, წუნია დეიდას და იდეალურ სიყვარულს ჰპირდება. ისე იღვრება კომპლიმენტებად, გრცხვენოდეთ, ახალგაზრდა ყმაწვილებო, ლამისაა, აცეტდეს ამხელა ქალი. ძალიან მიყვარს და სად ვიარო მერე ამ სიშორეზე მის სანახავად? მოკლედ, ვირტუალურ სივრცეში მაგარი ამბებია. კანიბალკა, გმადლობთ, რომ შემამჩნიე. აქ ვარ! სვანის ასული“.

„დიდება, მოთმინებასა, შენსა“...

„მე მოგწერთ ერთი ჩემი ნაცნობის შეცდომის შესახებ, რომელიც „პახმელიაზე“ დაემართა. ამ ადამიანს ყველა პატივს ვცემთ, არის ძალზე ვაჟკაცური, ნამდვილი ქართველი, მორწმუნე და ა.შ. ერთხელ, თავის ძმაკაცთან ერთად ქეიფობდა და ცოტა დალიეს. მერე დროებით მობილურები გაცვალეს. წამოვიდა ეს ჩვენი გიორგი სახლში და ნასვამმა დაიძინა. თურმე ძმაკაცს, რომელმაც

„მობილი“ ათხოვა, დილის 6 საათზე გალობა ჰქონდა დაყენებული, მაღვიძარად. ჰოდა, ამ მთვრალ კაცს, დილის 6 საათზე ესმის: „დიდება მოთმინებასა, შენსა, უფალო იესო!“ ნასვამი უცებ აზრზე ვერ მოვიდა და ეგონა, გარდაიცვალა და უფლის წინაშე იყო უკვე. შეშინებული დაემხო მუხლებზე და უფალს ევედრებოდა პატიებას. ამ დროს მშობლები შემოცვივდნენ, რა ხდებაო? როცა გაიგეს, მაგრად კი იცინეს. ისე, ძალიან კარგი ადამიანია გიორგი. ამ შეცდომის შემდეგ მე სასმელს აღარ ვეკარები. რა ვიცი, რა ვიცი, ასეთი მამაცი არ ვარ და ალბათ გულიც გამისკდება, ასეთი რამ რომ შემემთხვეს. უფალი გფარავდეთ, მგზავნელებო და შენც, გზავნილების მარიამულ. მარად თქვენი ჩუპი“.

ისევ კლუბები

„მოკლედ, ეს დრო ისე ნელა მიიზლაზნება, რომ კვირა ერთია და უკვე ოცჯერ მეგონა, ხუთშაბათი დილა მითენდებოდა. როგორც იქნა, მეშველა და დადგა ხუთშაბათი. მეც მოგესალმებით, დიდი სიყვარულით. ჰა, რას ვშობით? რაფერ ვართ, რასა ვიქმთ? არ ავიტაცეთ იდეები? არ აგვიჩქროლდა სისხლი ძარღვებში? არ მოგვივიდა დიადი საქმეების კეთების სურვილი? ჰოდა, მაშვინ ერთი რაცხა უნდა შემოგთავაზოოოთ:

როგორც გვახსოვს, ზუსტად 1 წლის წინ მარორიტამ იდეა მოგვაწოდა კლუბების შექმნაზე, რომელიც ჩვენ მხოლოდ ნახევრად მოვიყვანეთ სისრულეში (აპა, როგორ გინდათ, როგორიც ხელისუფლებაა, ისეთები ვართ ჩვენც). ახლა მინდა, ამ იდეის ახლებური ვერსია შემოგთავაზოთ: ისევ შეიქმნება რამდენიმე კლუბი, რომელიც ნებისმიერი მგზავნელისგან დაკომპლექტდება, მიუხედავად მისი სტატუსისა — ძველი იქნება თუ ახალი. ამ კლუბებს შორის ჩატარდება პერმანენტული შეჯიბრებები, რომლის არსი იქნება იმაში, თუ ვინ უფრო სხარტად აზროვნებს. ყოველი თვის და მერე — წლის ბოლოს, გამოვლინდებიან ყოველი კლუბის „თვის მგზავნელი“, „თვის ჩარჩო“ და „თვის აქტიურობა“. ვითვალისწინებ რა იმას, რომ მალე ახალი წელი მოდის და ჩვენი „ნაპახმელიარ“-ნაქეფარი ტვინი ვერ იქნება მოწოდების სიმაღლეზე, კლუბების შექმნის ბოლო ვადად ვაწესებ 22 იანვარს. თუ არ მივბაძავთ ჩვენს უხვპარტიულ მთავრობას და კლუბების მინიმალური რაოდენობით შემოვიფარგლებით, 3-4 კლუბი სრულიად საკმარისი იქნება. ერთ-ერთი კლუბის შექმნას კი მე ვითავებ, თუ ნებას დამრთავთ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ კლუბის შემქმნელი არ ისარგებლებს რაიმე პრივილეგიით. მისი სტატუსი მხოლოდ კლუბის შექმნასა და ორგანიზებაში აისახება (დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა). მაშ ასე, ვისაც გსურთ, შემომიერთდით მე, ლიმონა-მანიუს, ჩემს კლუბში — 071 (ადამიანი ყველაფერს ნულიდან იწყებს, აღწევს ბედნიერების მეშვიდე ცას, მაგრამ ბოლოს ყოველთვის მარტო რჩება). გთხოვთ, მსურველები შემეხმიანოთ 17 იანვრამდე, რათა 22 იანვრის „გზის“ ნომერში მთელ საქართველოს წარვუდგინო კლუბ „071“-ის წევრების საბოლოო სია. სხვათა შორის, ფანკლუბების გახსნასაც ვაპირებოოო და იაქტიურეთოოოო! პატივისცემით, ლიმონა-მანიუ“.

შეცვლილი პაროლი

„მარტო მე კი არ ვარ დაჯილდოებული ცოცხალი იუმორით, ნათესავებიც სულ მოსიარულე „პრიკოლები“ მყავს. ბიძაჩემი — ძია ჟორა ჩინური იეროგლიფებივით რთული ბუნების კაცია, უკონტროლო ხუშტურებით. ერთი პერიოდი სასმელს ისე მიეძალა, რომ მოსიყვარულე ცოლი მტრად გადაიკიდა და წყევლის უმაღლეს ხელოვნებას აზიარა. ერთხელ, ძია ჟორამ ცოლის სახლში არყოფნით ისარგებლა, კარი ჩაკეტა და როგორც თვითონ იტყოდა, ტონუსის ასამაღლებლად „წაუალკოჰოლა“. სამუშაოდან დაბრუნებულმა ცოლმა კარზე ბრახაბრუხი ატეხა, — ჟორა, შე სასიკვდილევ, გამიღე კარიო! — ვერ მოგართვი, ქალბატონო, იმ ჭკუაზე არ ვარ, შენ ჩაგამწარებინო გუნება, შე კონფლიქტომანო შენა, თუმცა, პაროლი მითხარი და გაგიღებო. დაღლილი ქალი ხვეწნაზე გადავიდა: — კაი ახლა, შე კაცო, ნუ მომჭერი თავი ამ პატიოსან მეზობლებთან, მითხარი ეგ ოხერი პაროლი და შემომიშვიო... კმაყოფილმა ქმარმა ცოლს პაროლი უშპარგალკა: პაროლი „გენაცვალე, სანაცვალებელშია“, ოღონდ (მადა გაეხსნა ძია ჟორას) მეზობლების გასაგონად 7-ჯერ უნდა დამიძახოო. ბიცოლასაც სხვა რა გზა ჰქონდა? მეზობლების გასაგონად სეზამის გასაღები, მაგიური სიტყვები მორჩილად უძახა: ჟორაავ, გენაცვალე სანაცვალებელშიო. სამაგიეროდ, სახლში შეღწეულმა ატეხა წიოკი. გულმოსულმა ძია ჟორამ მეორე დღესაც იგივე გააკეთა. ბევრი უძახა გულამოვარდნილმა ცოლმა, — ჟორავ, გენაცვალე სანაცვალებელშიო, მაგრამ ქმარი აღარ მოტყუვდა, ერთი კი შეუღრინა დაკეტილ კარს მიღმა დარჩენილ ცოლს: — პაროლი შეიცვალა, მე რა მენაღვლება, მენაცვალე, რაო, და მშვიდად იცვალა გვერდი, დასაძინებლად. ელექტრა“.

გამყარებული პოზიცია

„ჩვენს კოსმოსურ ეპოქაში, ტექნოკრატიის დონესა და დაკნინებულ მორალს შუა დევს დიდი ზღვარი. მოკლედ, ჩემს მეზობლად საბავშვო ბაღია, სადაც ბავშვები ყოველ დილით საკუთარი სათამაშოებით მიადგებიან ხოლმე მშობლიურ ბაღს, რომლის ნახევარი ფართობიც მარიფათიანმა გამგემ სადურგლო სახელოსნოს მიაქირავა. ვიდრე რომელიმე ინტრიგანი მკითხავთ, პასუხს რატომ არავინ სთხოვსო? — გიპასუხებთ: იმიტომ, რომ ჩვენში პასუხს იმას სთხოვენ, ვინც მარტო თვითონ ითბობს ხელს. ჩვენი გამგე კი, შურიანთა გულის გასახეთქად, აი, ასე, ანუ ზეშემართული ცერივითაა, უფროსობასთან. ბიჭოოს... ახალი წელი მოდის და რაკი არც ჩვენს პროვინციულ ქალაქს აუვლის გვერდს, ბაღის გამგემ მშობლები დაიბარა და პოზიციის გასამყარებლად, გადრუნჩულმა, ცალწარბაწევით მიმართა: საახალწლო ზეიმითა და საჩუქრებით თუ გინდათ თქვენი პატარების გახარება, ეს თქვენი კეთილი ნებითა და ბიუჯეტით უნდა მოხდეს, რადგან ჩვენი სახსრებით მხოლოდ ნაძვის ხესა და თოვლის პაპას გავაჩალიჩებთო. ჰოდა, 24-ში ექნებათ ზეიმი ამ საბავშვო ბაღში და გაჩალიჩებულ ნაძვის ხესთან გაჩალიჩებული თოვლის პაპა ბავშვებს მშობლების ვალით გაჩალიჩებული ათლარიანებით გაჩალიჩებულ საჩუქრებს გაუჩალიჩებს (შეცდომაა ამდენი ჩალიჩი). ბოლოს კი დამაგვირგვინებელ აკორდად ბაღის

პერსონალი იმ 48-ლარიანი (2 ლარი რაღა იყო?) ტორტით ისიამოვნებს. დღეს შეუკვეთეს არცთუ მთლად მადლიერმა, მაგრამ შვილების მოყვარულმა მშობლებმა. რა თქმა უნდა, ჩვენს პატარა ქალაქს პატარა ტელევიზიც აქვს და დიდი ამბიციებით და რიხით გააშუქებენ ამ ბავშვების ბედნიერ და უღრუბლო სახეებს. ჰოდა, ნერვები მეშლება, რადგან ეს ყველაფერი დიდი, ტოტალური შეცდომაა და არა — „ხსნის გზა", ხოლო ლოზუნგი — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს", მხოლოდ მაყუთიანი მშობლების შვილების გალოზუნგებული პრივილეგიაა. ელექტრა".

„წადი, შენი..."

„ჭიათურაში დედულეთი მაქვს, იქ ხშირად ჩავდიოდი ქალაქიდან დასასვენებლად. შარშანაც, ტრადიციულად ჩავედი. ერთ დღეს ჩემმა ბიძაშვილმა თავის დას საწოლში ერთი ვედრო წყალი ჩაუსხა, მერე კარი გამოიხურა და თავისი ავტომობილით ქალაქში წავიდა. გამწარებულმა გოგომ მესიჯი მისწერა, მაგრამ შეცდომით სხვასთან გაგზავნა. აი, მათი მიწერ-მოწერის დაახლოებითი ვარიანტი: „სასიკვტილე ზურია, დაგაყარე მიწა. სახლში რო მეეთრევი, კუბოს დაგიდგამ, იცოდე, „ზალაშიდა", კუ-ბოს! ისე, ბარემ შენი „მაშინით" თუ წამეილებ მაგ კუბოს, კას იზამ ძალიან, შე უნარშეფერხებულო. სულს ამოგხდი იცოდე, პირშიდა". აი, პასუხი: „გამარჯობა, გენაცვალე. ნამეტანი მონდომებული ხარ რაცხა შენ, ჩემს საიქიოში გაგზავნაზე. ჰო, კაი, მაგი ქე გევიგე, მარა, იმას არ მეკითხები, მცალია თუ არა ჯერე? თანე კიდე, ჩემი ტრანსპორტით მევიტანო ჩემივე კუბოი, არა? მამისმინე დაია, ნერვები არ მომიშალო, თორე მინდორში ნაბამ თხასავით გაგიფართოებ მაგ თვალებს. რა არი, კუდიანი ხო არ ხარ, შე შეჩვენებულო, პირიდან კაი რო არაფერი ამოგდის? დარეხვილო. P.S. წადი, შენი"... ჰოოდა, ამას იქ რეაქციები მოჰყვაააა?! ნუ იკითხავთ! ჰოოდა, ეგრეე... მაესტრო".

„პიდარასტი" იკა

„რამდენიმე წლის წინ, ჩვეულებრივი, საზაფხულო რომანი მქონდა ერთ სოფლელ ბიჭთან. როცა გავიცანი, ვუთხარი, რომ იკა მერქვა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არავითარი კითხვა არ გასჩენია, ჩემს სახელთან დაკავშირებით. პრინციპში, მეც არ გამკვირვებია, რადგან ძალიან ბევრი ადამიანი მეძახის იკას. ჰოდა, ერთ დღეს, უბნის „ძველი ბიჭები" მივიდნენ ჩემს „ლოვესთან" და ძალიან სერიოზული სახით ჰკითხეს: ძმაო, რა ჰქვია შენს შეყვარებულსო? ამანაც, გულწრფელად უთხრა, იკაო. — ძალიან გიყვარს ეგ ტიპიო? — ჰკითხეს ბიჭებმა. — კი, ძმაო, ძალიან მიყვარსო, რა იყო, შენც ხომ არ შეგიყვარდაო? — უპასუხა გაბრაზებულმა ჩემმა ექსლოვემ და სწორედ მაშინ მოხვდა პირველი მუშტი სახეში, მერე მუცელში და ცოტა ხანი კიდევ ურტყამდნენ ბიჭები, თან რატომღაც სულ „პიდარასტს" (უკაცრავად) ეძახდნენ. გული რომ ივჯერეს მისი ცემით, კიდევ ჰკითხეს შეყვარებულის სახელი. ეს კი ჯიუტად იმეორებდა, იკა მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და არ დაგითმობო. კიდევ წააყარეს ბიჭებმა და კარგა ხანს ურტყამდნენ. რას გვარცხვენ, შე ჩემა (უკაცრავად), ბიჭი როგორ შეგიყვარდა, საცემი კი არა, მოსაკლავი ხარო. მოკლედ, მას

რომ ასწავლეს ჭკუა, მერე თურმე ჩემი რიგი მოვიდა. გაიგეს, რომელ სახლში ვისვენებდი და საღამოს მოადგნენ ჩემს კარს, „იკას" ძახილით. რა თქმა უნდა, იმ სახლში ერთადერთი იკა მე ვიყავი და სტუმრებთან გავედი, რა გნებავთ-მეთქი? — თქვენთან არაფერი, გოგონი, ამ სახლში ერთი თბილისელი „პიდარასტი" ცხოვრობს, იკა და მასთან გვაქვს საქმეო, სერიოზული ხმით მიპასუხა „ბანდის" უფროსმა და თან დანა შეათამაშა ხელში. ისედაც მხიარულ ხასიათზე ვიყავი და ისტერიკული სიცილი ამივარდა. ვიცინი და ცრემლები ღაპაღუპით მდის. დაახლოებით იმდენ ხანს ვიცინე, რამდენ ხანსაც მათ ჰქონდათ იკას ცემა დაგეგმილი. სული რომ მოვითქვი, „გლავნი" ვინც იყო, იმას ვკითხე, შენ რა გქვია-მეთქი? ლევანიო, იყო პასუხი. — ძალიან სასიამოვნოა, ლევან, მე იკა ვარ, ის თბილისელი იკა, თქვენ რომ ეძებთ, უბრალოდ, გოგო ვარ და ალბათ მეპატიება, ბიჭთან რომ დავდიოდე პაემანზე-მეთქი. თქვენ მათი გაკვირვებული სახეები უნდა გენახათ. ერთი-ორი ბიჭი კი გაბრაზდა — რატომ მართლა ბიჭი არ არის, რომ ვცემოთო, გაიძახოდა. იმ ვითომ „ლოვეს", რა თქმა უნდა, დავშორდი, მაგრამ სამაგიეროდ, ლევანთან და მის ძმაკაცებთან ვმეგობრობ. მათ იციან, რომ მე იკა ვარ და მათთვის ჩემი შეყვარება არ შეიძლება. ისე კი როცა ვინმე უსაქმური გასაცნობად მიმესიჯებს და გაიგებს, რომ იკა მქვია, მომდის მესიჯი: „პრასნი" რა, „ბრატ", გოგო მეგონე". აი, ასეთი სახალისოა, როცა საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს შენს სახელს. იკუშკები".

დაწუნებული ბუსუსუნა

„ჩემი შეცდომა იყო, როცა ბუსუსუნას პირველი სამიჯნურო, გრძნობით აღსავსე უსტარი ვუძღვენი და თვალებში შევციცინებდი, თურმე შემთხვევით ისე მივუჯახუნე დედამისს ცხვირწინ კარი უნივერსიტეტში, რომ ახლაც მაყვედრიან. ის ახლა ჩემი სიდედრია და გულზე გავხეთქე, რადგან ბუსუს სულ ეუბნებოდა, შენ ჩინელს თუ გაჰყვებიო (ბუსუ საშუალო სიმაღლისაა, დედამისი კი ცოტა მაღალია), მაგრამ შევრჩი ეს 185-სანტიმეტრიანი კაცი სიძედ და შემომყურებს ქვევიდან. ბებიაჩემმა შეცდომა დაუშვა, რომ არ მოსწონდა ბუსუ და 2 წელი უშრობდა სისხლს, მაგრამ თვე-ნახევრის წინ აღესრულა და ახლა დევს, თავისთვის. ასეა, სხვის სიყვარულს ზიანს თუ მიაყენებ, ვერც შენ გაიხარებ. თუ „დაგგრუზეთ", ბოდიში, მაგრამ მაინც ასეა. ეჰ, მარი, რამდენ ასეთ სისულელეს კითხულობ და არჩევ ყოველკვირა, ჰა? შეიძლება ვერ ბეჭდავ, მაგრამ ხომ ყველას კითხულობ? სანთელი".

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„შეცდომა და თანაც მწარე შეცდომა დაუშვა იმ ადამიანმა, ვინც პაროდონტაქსის რეკლამა მოიფიქრა. პაროდონტაქსს ვინ ჩივის, „ქოლგეითითაც" ველარ გამიწმენდია კბილები, ცუდად ვხდები მაგ რეკლამის გახსენებაზეც კი. გაუმარჯოს ციყვებს, სნიკერსის რეკლამაში! „ვოტ ტაკ"! ნიკოლი".

„პრივეტ, შეცდომა მე კი ბევრჯერ დამიშვია, მაგრამ... ახლა ექიმებმა დაუშვეს უპატიებელი შეცდომა და კინაღამ მომკლეს. ახლა კარგად ვარ, უფლის ნებით. გაკოცეთ ყველას. მაფიოზა".

„შეცდომა ბევრნაირია — პატარა, დიდი,

უმნიშვნელო, გამოუსწორებელი... მთავარია, ეს უკანასკნელი არ ჩაიდინოს ადამიანმა ყოველდღიურად. სხვა დანარჩენს ადვილად ეშველება. თუმცა, გამოუსწორებელ შეცდომასაც გააჩნია. ჩემი დედამთილის შეცდომის შესახებ გეტყვით: მაღაზიაში მიდიოდა და სხვა ჟურნალი დავაბარე. მან კი შეცდომით „გზა" მომიტანა. იმის მერე ეს შეცდომა ველარ გამოვასწორეთ, ვყიდულობთ და ვყიდულობთ, „შეცდომით". ასე ვეზიარე „გზას". მადლობა ვის? დედამთილს! მერცია".

„შეცდომა ჩემმა კატამ დაუშვა — ყოველდღე ბუდეში კვერცხის ჭამას მიეჩვია და თან ამის შემდეგ ბუდეში იძინებდა. დღეს ჩავსვი ტომარში და წყალტუბოში გავამგზავრე. ძალიან შემეცოდა ჩემი ფისუნია, მაგრამ დედაჩემმა გამოუტანა ასეთი მკაცრი განაჩენი. გერასიმე".

„შეცდომა? უამრავი, მაგრამ ერთს გავიხსენებ. ჩვენ საზღვარზე ვცხოვრობთ. ნადირობის მოტრფიალენი კი ამ საზღვარს ხშირად ვარღვევთ. არადა, აკრძალულია. ბევრ ჩვენიანს საზღვრის იქით ნადირობისთვის რუსეთის ციხე „დაუმშვენებია", მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ და შეცდომას ვუშვებთ. საზღვარს მაინც ვარღვევთ და ვარღვევთ, რუსების ჯინაზე. უშიშა".

„ჩემი შეცდომა ის არის, რომ 2 წელია, „გზას" ვკითხულობ და ვერ შემოგიერთდით. არადა, ყველა ახლობლად მიმაჩნია და ყველა ძალიან მიყვარს. ლოლიტა".

„შეცდომები ცხოვრებაში ვის არ მოსვლია და არც მე ვარ გამონაკლისი. შეცდომა იყო ჩემი დაბადება, რადგან ასეთ ცხოვრებას ვერ ვეგუები. ჩემი იშვიათად ესმის ვინმეს და მხოლოდ გარეგნობით მაფასებენ. შეცდომა იყო ჩემი პირველი სიმპათიაც ისეთი ადამიანისადმი, რომელიც ამას არ იმსახურებდა. შეცდომა იყო ისიც, რომ გულუბრყვილოდ მჯეროდა ძმაკაცობის. რატომღაც ისე ხდება, რომ ნამდვილი ძმობის გაწევა ჩემთვის არც ერთ ბიჭს არ უფიქრია. ადრე თუ გვიან, ყველა იცვლება. შეცდომა იყო ჩემი გადაწყვეტილება, როცა სამხატვრო აკადემიის ნაცვლად თსუ-ში ჩავაბარე და ჩემი გული აკადემიაშია. ყველაზე მთავარი შეცდომა კი ისაა, რომ არ შემიძლია „გზის", როგორც ჩემი უსაყვარლესი მეგობრის მიტოვება. მიყვარს „გზა"! ნიღბოსანი".

„მეზობელი მყავს, რომელიც, ბავშვობიდან მახსოვს, ხშირად ამბობდა, თითქოს თავის მეუღლეს მისი და უნდა მოეყვანა ცოლად, მაგრამ ბიჭი მოატყუეს და სულ სხვა აღმოჩნდა მისი მეორე ნახევარი. სისულელეა, არა? მეც ასე ვფიქრობ, თუმცა ერთი რამ მაფიქრებს — ამ ანგელოზივით ბიჭმა რატომ მოიყვანა ცოლად ქალი, რომელსაც არც ერთი ლამაზი ნაკვთი არ გააჩნია, ელამია, თმა — მუდამ გაფშეკილი, კანი კი ისეთი ხორკლიანი აქვს, რომ ვეხები, მგონია, „შკურკას" ვეხახუნები. კახელო".

„5 წლისას, ბებიამ მითხრა, გამაცხელებელი მაქვს ჩართული და ახლოს არ მიეკაროო. მალე გამორთო და როცა წყლის ტემპერატურას ამოწმებდა, გამაცხელებელი ჩავურთე. მეგონა, ვხუმრობდი. 5 წლის ასაკში გავხდი მკვლელი. ამაზე დიდი შეცდომა რაღა უნდა იყოს? ამის მერე არ არსებობდა სხვა გზა, რომელიც ეკლესიამდე არ მიმიყვანდა. მანკი".

„საუკუნის ტყუილი ვთქვი, თანაც — აკადემიკოსთან. საბუთები მჭირდებოდა და არ მაძლევდა, ვერ გაგატანო. ძალს მე ვიყავი და ძალს — ის. სხვა გზა აღარ დამრჩა და მოვატყუე, გავთხოვდი და მჭირდება-მეთქი. თან ზურგს უკან წაღებული ხელების სწრაფი მოძრაობით მარჯვენა ხელის არათითზე ბაჯაღლოს ბეჭედი მოვირგე. კახელო".

„დიდი შეცდომა იყო, როდესაც დათოს სიყვარულზე უარი ვუთხარი. ეს იმიტომ, რომ ჩვენ შორის ერთი გოგო იდგა. დათოსაც ვუყვარვარ და მეც ძალიან მიყვარს. ხელიც მთხოვა, მაგრამ უარი ვუთხარი. ახლა საშინლად ვიტანჯები. ამ შეცდომას ვნანობ ძალიან. მისი ძმაკაცები მთხოვენ, რომ ერთად ვიყოთ, რადგან ისიც თურმე ძალიან იტანჯება. ბევრჯერ სცადა ჩემთან დალაპარაკება, მაგრამ ყოველთვის უარით გავისტუმრე. ნათუშკები".

„ხუმრობა მეგონა, როცა მატნელებზე ჰყვებოდნენ კურიოზებს და ახლა თვითონ მატნელისგან მოვისმინე: მატანში გზის პირას აბანო ააშენეს და გასახდელი გზის მეორე მხარეზე აუშენესო. საინტერესო სანახავი იქნებოდნენ, გზაზე გადამსვლელები, არა? მიმიქარავს ნუდისტური პლაჟები. კახელი სალომე".

„ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ ერთმა ბიჭმა შემაცდინა, მომატყუა, თავისთან წამიყვანა და... იმ დღის მერე ყველაფერი მძულს. თვითონ კი გაუჩინარდა. ღმერთი იყურება".

„შეცდომა მომივიდა, „პაჩტი, კაკ მიმინო"! დიდი ამბით ვრეკავ პატარა მავნეს მოცემულ ნომერზე: — „ვერო, შენ ხარ?" — „ჰო, ქალუკ, რას შვრები?" — „გავგზავნე!" — „რა?" — „წელან არ გელაპარაკე?" — „უკაცრავად, სად რეკავთ?" — „ვენეციაში". — „ეს, რომია!" ეგრეეე გავთიშე, არ მიმღერია. თურმე, კოდი შემეშალა! თუმცა, არა უშავს, ხუთშაბათს ისედაც წაიკითხავს! ნემსა".

„ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ ჩემი ერთადერთი სიყვარულის პრეტენზიები და უცნაური საქციელი ვერ ავიტანე და დავშორდი. მაგის ჯიბრზე გავთხოვდი და უკვე ერთი წელია, ასე ვარ. თავს უბედურად ვგრძნობ. აღარ შემიძლია უსიყვარულოდ ცხოვრება. ქმართან ვწევარ და მასზე ვფიქრობ. გკოცნით და დიდი მადლობა. ნინაკა18".

„ყოველი ტრიმესტრის ბოლოს გვიტარდება გამოცდები. ჰოდა, ქართულის ტესტებს მე ვასწორებ. ერთ-ერთი გახლდათ ასეთი კითხვა: „რატომ იყო დამწუხრებული ტარიელი?" ერთ ტვინიკოსა ბავშვს ეწერა: „ტარიელი დამწუხრებული იყო ნესტანთან განქორწინების გამო. დეპრესიაში ჩავარდნილი, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ყავას სვამდა და ნერვიულობაზე წნევამაც აუწია". ეშმაკუნა".

„ბადრი გაკვეთილზე სააკაშვილს იცავდა და ბედნიერი სახით განაცხადა: მიშა მაგარია, პენისები (პენსიები უნდა ეთქვა) გაზარდაო. გალურჯებამდე ვიცინე. კეკე".

„მალე გათხოვებას ვაპირებ, მაგრამ შეყვარებულს ვერ ვეუბნები, რომ ქალწული არ ვარ. პატარა ვიყავი, ასე, 10-11 წლის, როცა საკუთარმა დეიდაშვილმა ძალა იხმარა და გამაუპატიურა. მას მერე იმ ბიჭმა ცოლი მოიყვანა და ღმერთმა სამაგიერო გადაუხადა — ცოლი სისხლს უშრობს, მაგრამ უბედური მე ვარ, რადგან ისიც არ მახსოვს, საწადელს მიაღწია თუ არა, რადგან მე გული წამივიდა და არაფერი მახსოვს. დაკარგე თუ არა ქალწულობა? მაგრად მინდა გავარკვიო, მაგრამ როგორ, არ ვიცი. მირჩიეთ. ლიკა18".

„ჩემს სოფელში ერთი ბერძენი კაცი ცხოვრობდა, ალექსი ერქვა და ქართულად მეტყველება უჭირდა. ერთ დღეს ალექსი მეზობელთან გადავიდა, შეშის დასაჩეხი სოლის სათხოვნელად და ასე უთხრა: ცოლი მათხოვე, შეშებში უნდა ვიხმაროო. ეჰ, ესწავლა ქართული, რისხვას გადარჩებოდა. კეკე".

მომდევნო თემად გთავაზობთ — საახალწლო კურიოზები. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: ***marorita77@yahoo.com*** *„მოკლე ჩართვის" კითხვა კი ასეთია: სად და ვისთან ერთად შევხვდი ახალ წელს.*

როგორი თილისმა უნდა ატაროთ 2009 წელს?

ახალ წელს ყველა ახალი იმედებით ხვდება. იმისათვის, რომ მომავალი წელი ოცნებიანი აღმოჩნდეს, რაღას არ აკეთებენ. ზოგი 12 საათს მაგიდის ქვეშ ხვდება, ზოგი სურვილს ქაღალდზე წერს, მერე წვავს და ფერფლს შამპანურთან ერთად სვამს. ზოგიერთი თურმე ხმამაღლა იცინის, რომ მთელი წელი სიცილში გაატაროს. ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს და მეც მინდა, რამდენიმე რჩევა მოგცეთ. რჩევები თილისმებს ეხება — ანუ როგორი თილისმა უნდა ატაროს ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანმა ამ წელში, რომ ყველაფერი კარგად იყოს?

მაშ ასე, დავიწყე... თუმცა, ჯერ ორიოდე სიტყვით თავად ავგაროზის შესახებ გეტყვით:

ავგაროზი ისეთი ნივთია, რომელსაც პატრონისთვის წარმატება მოაქვს, ბოროტი ძალებისგან იცავს და ენერგიას მატებს. ავგაროზი, რომელსაც ერთი ადამიანისთვის წარმატება მოაქვს, სხვისთვის სრულიად უსარგებლო იქნება, რადგან ის მხოლოდ თავის პატრონზეა „მომართული". შემთხვევით ხელში აღებული საგანი არ შეიძლება, ავგაროზი გახდეს. აი, თუ რომელიმე ნივთმა პირველი დანახვისთანავე მოგაჯადოვა, ის შეიძლება, შენი ავგაროზი გახდეს.

ვერძი ცეცხლოვანი ნიშანია. ავგაროზმა მისი პიროვნება უნდა გააძლიეროს. უმჯობესია, ვერძის ავგაროზი ოქროსგან იყოს დამზადებული — მონეტა, ზოდი, ბეჭედი ან სხვა ნივთი. კარგი იქნება წითელი, ყვითელი ან მწვანე ფერის კუბურები, ბრელოკის ან სამკაულის სახით. მათი რაოდენობა უნდა იყოს 4, 7, 9 ან 11. ასევე შეიძლება ავგაროზი ფოლადის ან რკინის ნივთები გახდეს. სასურველია, ისინი ბრწყინავდეს.

კურო მიწის ნიშანია, სიბრძნის, განჭვრეტის უნარისა და სიმდიდრის. კუროს თილისმა შესაძლოა გახდეს რბილი სათამაშო, რომელსაც ხარის ფორმა აქვს. ასევე, ხისგან ან ბრინჯაოსგან დამზადებული ხარი. ახლოს არ უნდა გაიკარო სპილოს ძვალი. კუროსთვის ბედნიერი რიცხვებია 2, 4, და 16.

ტყუპი ჰაერის ნიშანია. ამიტომ, მათი ავგაროზი შეიძლება გახდეს ოქროს ან ვერცხლის გასაღები, წიგნი, ქაღალდის ფულის კუპიურა, საწერი საშუალებები. ბედნიერი რიცხვებია 3, 5, 12 და 18.

კირჩხიბი წყლის ნიშანია. მათ შეუძლიათ, თილისმად სარკე, ბროლისა და ვერცხლის ნივთები გამოიყენონ. საუკეთესო ვარიანტია, ვერცხლის ნახევარმთვარე, ასევე — მარაო, ქოლგა, მრგვალი მძივები. ბედნიერი რიცხვებია 2, 4, 5, 8.

ლომი თავის თილისმად თუ ვარსკვლავს აირჩევს, ამით ინტუიციას გაიძლიერებს და წარმატებას მიაღწევს. კარგი იქნება, თუ ავგაროზის არჩევისას ყურადღებას ძვირფას ნივთებზე გაამახვილებს. ოქროს მონეტა, ანტიკვარული ნივთები, ძველებური ავეჯი და დიდთვლიანი ბეჭედი საუკეთესო ვარიანტია. ბედნიერი რიცხვებია 1, 5, 9 და 11.

ქალწული მიწის ნიშანია და კარგი იქნება, თუ თილისმად თიხის ბუს აირჩევს. ასევე, ტყუპის მსგავსად, წიგნი და ქაღალდის ფულის კუპიურა წარმატებას მოუტანს. ბედნიერი რიცხვებია 2, 4, 8, და 9.

სასწორი კარგ არჩევანს გააკეთებს, თუ სასწორის ფორმის თილისმას ამჯობინებს. რით იქნება დამზადებული თილისმა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, ვინაიდან სასწორს ვენერა მფარველობს, უმჯობესია, უპირატესობა ვერცხლს მიანიჭოს. ბედნიერი რიცხვებია 1, 7, 8 და 9.

მორიელი წყლის ნიშანია და კარგი იქნება, თუ თილისმად ბაყაყს აირჩევს. ის დამზადებული უნდა იყოს კობალტისფერი ქვით ან რკინით. ბედნიერი რიცხვებია 4, 5, 8, 9, 10, 11, 21, 100 და 666.

მშვილდოსანი ცეცხლის ნიშანია და კარგი იქნება, თუ ავგაროზად ცხენთან დაკავშირებულ ატრიბუტიკას აირჩევს. მაგალითად, ნალს, მათრახს, უნაგირს. საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ ისინი ვერცხლისგან იქნება დამზადებული. ბედნიერი რიცხვებია 4 და 3-ის ჯერადი ყველა რიცხვი.

თხის რქა მიწის ნიშანია და კარგი იქნება, თუ თილისმად კუს აირჩევს. თხისა და კიბისგამოსახულებიანი ავგაროზი კი მიწისგან თვალის მოწყვეტაში დაეხმარება. ბედნიერი რიცხვებია 3, 5, 7, 8.

მერწყული ჰაერის ნიშანია და ფაიფურისგან ან მინისგან დამზადებული, ანგელოზისგამოსახულებიანი ავგაროზი ცუდი ძალების ზემოქმედებისგან დაიცავს. ასევე კარგი იქნება, ფრთების, თვითმფრინავის ან ზიგზაგისგამოსახულებიანი ავგაროზები. ბედნიერი რიცხვებია 4, 9, 11 და 13.

თევზები წარმატებას მიაღწევს, თუ ავგაროზად წყალთან დაკავშირებულ საგნებს აირჩევს. თევზის, ნიჟარის, ტალღისგამოსახულებიანი, მინისგან დამზადებული ავგაროზი სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გაუადვილებს. ბედნიერი რიცხვებია 6, 7 და 11-ის ჯერადი ყველა რიცხვი.

დაათვალიერდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაადგინე, რამდენი ფიცარია მასზე გამოსახული. შემდეგ ფოტოტესტის პასუხები იხილე.



1. თუ დათვლა დაგეზარა და პირდაპირ პასუხებს კითხულობ, ალბათ, ზარმაცი ადამიანი ხარ ან თვლა არ იცი... არაფერი გაღელვებს და საკუთარი პრობლემების გადაჭრას არასოდეს ცდილობ. ამას შენ მაგივრად სხვები აკეთებენ. თანაც, იმდენი პრობლემა გაქვს, რომ 1 და 2 ადამიანი ვერ აუვა. ასე, რომ, დარწმუნებული ვარ, არც ამ ტესტს ჩაიკითხავ ბოლომდე და ყველაზე საინტერესოს გამოტოვებ... თუმცა, ალბათ, არც ამის გამო იდარდებ და საერთოდ, „ცოტა მკვდარიც“ ხომ არ ხარ?

2. თუ გაიფიქრე, რომ ახლა მე რაღაცას გაბოლებ, მივედ-მოვედები, სულაც არ არის აუცილებელი, ფიცრები დათვალო. როგორც ჩანს, გაცილებით საინტერესო საქმით ხარ დაკავებული. მაგალითად — საახალწლოდ დასაპატიჟებელი სტუმრების სიას ადგენ ან იმ ადამიანების სიას, სადაც სტუმრად უნდა წახვიდე. ასე არაა? უარი არ გაგივა, რადგან მეც ვიცი და ჩემმა მკითხველმაც, რომ მე არასდროს არავის ვაბოლებ და არც მივედ-მოვედები. სულ „ფაიზაღს“ ვლაპარაკობ და სათქმელსაც პირდაპირ ვამბობ.

3. თუ გაიფიქრე, რომ ამ ფოტოზე რაღაც სიურპრიზია და ფიცრების დათვლა კი არ დაიწყე, არამედ ცდილობ ამოიცნო, რას უნდა ნიშნავდეს ფოტოზე გამოსახული ხაზები. სავარაუდოა, რომ მეოცნებე ადამიანი ხარ და მოულოდნელობები ძალიან გიყვარს. თანაც, თამამად ვიტყვი, რომ ჩემი მუდმივი მკითხველი ხარ. რატომ? იმიტომ, რომ კარგად გცოდნია, რომ ყოველთვის რაღაცას ვეშმაკობ და ჩემს მკითხველს სიურპრიზებით ვანებივრებ.

4. თუ ფიცრები დათვალე და დაადგინე, რომ ფოტოზე 3 ფიცარია გამოსახული, სავარაუდოა, რომ ფრთხილი ადამიანი ხარ და ბევრს ცოტა გირჩევნია.

5. თუ დაადგინე, რომ ფოტოზე 4 ფიცარია, მაქსიმალისტი ყოფილხარ და თანაც, ოპტიმისტი. მართალია, ცოტა ბევრი „ისტი“ გამოვიდა, მაგრამ შენც ხომ უფრო მეტი ფიცარი დაინახე, ვიდრე სხვებმა?

6. თუ ფიქრობ, რომ ფოტოზე 3 და 4 ფიცარი ერთადაა გამოსახული, გილოცავ! მეოცნებე ადამიანი ყოფილხარ და ალბათ ისიც გჯერა, რომ სულ მალე ყველაფერი კარგად იქნება, ახალ წელს ყველა კარგი განწყობილებით შეხვდება და სულ მალე მაპსაც მივიღებთ. ●



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვეხმაურები მე-8 ნომრის ავტორს, 33 წლის, ქვრივ მამაკაცს. ვარ 25 წლის, ქვრივი და მეც ვეძებ ნორმალურ მამაკაცს.

2. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ მამაკაცს, ბინითა და სამსახურით, უზრუნველყოფილს, 35 წლამდე. ვარ 28 წლის, განათლებული ქალიშვილი.

3. ვარ 34 წლის ქალბატონი. გავიცნობ სერიოზულ, მატერიალურად ძლიერ პიროვნებას.

4. ვარ უმაღლესი განათლებით, 45/165/50. მომწეროს სერიოზულმა, დასაქმებულმა მამაკაცმა, მავნე ჩვევების გარეშე. დანარჩენი — პირადად.

5. ვარ ინა, 17 წლის. სიყვარულმა მუდამ მხიარული თვალები სევდით ამივსო და თუ ვინმეს გსურთ, დამიბრუნოთ მხიარული თვალები, გამომეხმაურეთ.

6. ვარ 42 წლის, განათხოვარი, თეთრი პირისახის, დიდი, ცისფერი თვალებითა და ვერცხლისფერი თმით. გამომეხმაუროს დასაქმებული, განათლებული, მხოლოდ თბილისელი და სიმპათიური მამაკაცი.

7. ვარ 17 წლის, მაღალი, შავგვრემანი, სიმპათიური და ეშხიანი გოგონა. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, სასიამოვნო მამაკაცს. გამომეხმაურეთ.

8. ვეხმაურები „გზა“ №43, მე-18 მესიჯის ავტორს.

9. ვარ 38 წლის, სერიოზული და სიმპათიური ქალბატონი, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს სერიოზული, სიმპათიური, განათლებული, თბილისში მცხოვრები მამაკაცი.

10. ვარ 46 წლის, ახალგაზრდა მანდილოსანი. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 40-50 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ და ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს. დანარჩენი — პირადად.

11. ვარ 21 წლის, წესიერი, პატიოსანი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს.

12. ვეხმიანები „გზა“ №51, 27-ე მესიჯის ავტორს, გეგას.

13. „გზა“ №51, 30-ე მესიჯის ავტორის საკონტაქტო ნომერი მჭირდება. შეგიძლიათ, დამეხმაროთ? წინასწარ გმადლობთ.

ბიჭები

14. ვარ 44/194/79, განქორწინებული, სოფელი მამაკაცი, ცხოვრობ ბარში. გამომეხმაუროს არამატერიალური და არაზარმაცი მანდილოსანი, ვისაც გულით სურს ოჯახის შექმნა.

15. გთხოვთ, „გზა“ №50, მე-2 მესიჯის ავტორის, სალოს ნომერი გამომიგზავნოთ.

16. ვარ 36 წლის, დასაქორწინებელი ბიჭი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაურეთ და შევქმნათ ყველაზე მშვიდი და თბილი ოჯახი.

17. გთხოვთ, „გზა“ №50, მე-2 მესიჯის ავტორის, 20 წლის სალოს ნომერი გამომიგზავნეთ. წინასწარ გმადლობთ.

18. გამომიგზავნეთ „გზა“ №50, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

19. გავიცნობ გოგოს. მუსლიმანი ვარ. მსურს დაოჯახება სიყვარულით. ვისაც სურს, გამომეხმაუროს და დაბადების თარიღი მომწეროს. შენი სევიორუმ.

20. გთხოვთ, მომაწოდოთ „გზა“ №50, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი ან საიტის მისამართი.

21. „გზა“ №50-ში გამოქვეყნებულია ვინმე ვიკას მესიჯი, რომელიც წერს, ვისაც ჩემი ნომერი ენდომება, მიეცითო. იქნებ როგორმე დამეხმაროთ.

22. „გზა“ №50, მე-4 მესიჯის ავტორს ვეხმაურები. გამომეხმაურეთ, გთხოვთ, ოჯახის შექმნის მიზნით. თანახმა ვარ, გაგიცნოთ. ვარ 38 წლის. მიშა.

23. ვარ 39 წლის მამაკაცი. ვისაც სიყვარულში არ გაუმართლა, ვპირდები ნამდვილ სიყვარულს. გამომეხმაუროს 20-45 წლამდე ასაკის, სერიოზული, სიმპათიური მანდილოსანი. თათი.

24. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სიმპათიურ გოგონას. ვარ 37 წლის.

25. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, თბილისელ, უშვილო მანდილოსანს, 40 წლამდე. ვარ 184/80/38, სიმპათიური, ურუდირებული, თბილისში დასაქმებული მამაკაცი.

26. მყავს უცოლო ბიძა, 38 წლის. სიმპათიური, განათლებული, დასაქმებული. გამოეხმაურეთ გასათხოვარი, ბათუმელი ქალბატონები, 37 წლამდე.

27. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-38 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის, არამსუქან ქალბატონს, თუნდაც რაიონიდან. მე ვარ 38 წლის, 170 სმ სიმაღლის მამაკაცი.

28. ვარ 36 წლის, დასაქორ-

წინებელი ბიჭი. არ მაქვს მანქანა და ფუფუნება. ოჯახის შექმნის მიზნთ გამომეხმაურეთ და შევქმნათ ტკბილი ოჯახი. კახეთი.

29. ვარ 29 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ და მშვენიერ მანდილოსანს, 22-29 წლისას.

30. გამარჯობა, ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი. მსურს, გავიცნო ლამაზი და ერთგული გოგონა. სასურველია, გამხდარი და 20-28 წლამდე. ლევანი.

31. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნორმალურ და სერიოზულ ადამიანს, 36 წლამდე. გასართობად ნუ შეწუხდებით.

• 32. ვეძებ ნათლიას. ცხოვრობს ფონიჭალაში. სახელად ჰქვია ლია. ჰყავს 3 შვილი. უფროს გოგოს ეკა ჰქვია. სამწუხაროდ, მეტი არაფერი ვიცი მის შესახებ.

• 33. ზნაურის რაიონის, სოფელ ნულში მცხოვრებ ლუდა პეტრიაშვილს ვთხოვ, გამომეხმაუროს. ლეილა ქუქიშვილი, ყაზბეგიდან.

• 34. ვეძებ ჯგუფელს, ლია ზაურის ასულ ჟვანიას, ჩხოროწყუდან. 1990 წელს დავამთავრეთ ორბელიანის სახ. პედინსტიტუტის რუსული ენის ფაკულტეტი. თუ იცით რამე მასზე, მომწერეთ. ნანა.

• 35. ვეძებ მამაკაცს, რომელიც ლურჯ მონასტერში მეჯვარედ იყო, 18 ოქტომბერს.



• ჟურნალ „გზის" ფურცლებზე ბევრი ძმა მყავს. მათი სიტყვების მჯერა, მესიჯების — მწამს. ჟურნალების მარგალიტო, გზავნილ-ქალაქო, მინდა გულში ჩაგიკრა და გელაპარაკო... მესიჯებს რომ ვესტუმრები, ჩემი ტოლი მეგობრები, ცოტა ჩემზე პატარებიც, მარტო არ დამტოვებენ. ყველამ ერთად ვამესიჯოთ მთელი ცხოვრება, მარისთვის ეს იქნება დიდი ქონება... გაგიმარჯოთ, მგზავნელებო, ბიჭებო და გოგონებო, წერისაგან დაღლილებო, თქვენ, ნამდვილო ქართველებო. ყველამ ერთად ვიმესიჯოთ მთელი ცხოვრება, „გზავნილ-იორკისთვის" არის დიდი ქონება... „გზავნილების" სიყვარული რას გაუყვია, მგზავნელიც და „გზავნილებიც" ჩემი გულია; ყველას ერთად გეფერებით, მესიჯ-მანებო, ჩემო დებო, ჩემო ძმებო და ძმისშვილებო.

• ჩავუჯექი ამ დიად ხუთშაბათ დღეს „გზავნილებს" და ვკითხულობ მადიანად. მივადექი გრუზინკას გზავნილს, ჩავიკითხე და გული როგორ დამწყდა, იცით? რა მაგრად მომინდა იმ მომენტში მგზავნელებთან ერთად ყოფნა და მათი გაცნობა?! რამდენჯერ დაუთქვამთ შეხვედრა, რამდენჯერ მნდომებია წასვლა, მაგრამ მიფიქრია — სად მიეთრევი 15 წლის, ლაწირაკი ბიჭი, ტყუილად ტვირთად უნდა დააწვე და ხელი შეუშალო მხიარულებაში-მეთქი. პირველად მოვიწყინე ხუთშაბათ დღეს. ყველა მგზავნელი მაგრად მიყვარხართ. განსაკუთრებით — ძველები და კიდევ, განსაკუთრებით — გრუზინკა. p.s. იცით, „გზავნილებში" ყველაზე მეტად რას ვაფასებ? მეგობრობას და დაძმურ სიყვარულს და იმედი მაქვს, მუდამ ასე იქნება.

• გათხოვილი ვარ და შვილიც მყავს, მაგრამ პირველი სიყვარული ვერ დავივიწყე. მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. ზვიადი ძალიან მიყვარს და ერთი დღეც არ გავა, მასზე არ ვიფიქრო.

• კანიბალკააა! აქ ვარ, ჩაამატე რა, ჩემი სახელი?! თაისი. დიდი აქტიურობით ვერ გამოვირჩევი, მაგრამ ლიმონამ ლექსის დაწერისას რომ გამიხსენა, ვხვდები, არც ისე შეუმჩნეველი ვყოფილვარ. თაისი.

• მე „გზავნილების" ერთგული მკითხველი ვარ და პირველად ვამესიჯებ. მინდა, მიმიღოთ თქვენთან. იმედია, ასეც იქნება. მეგრელი ტანჯულა.

• მეც ვაااარ! არ მწყენია, რომ გამოგრჩი, რადგან იშვიათად გწერთ, მაგრამ 3 წელიწადია, ერთი ნომერიც კი არ გამომიტოვებია, რომ არ წამეკითხოს. ასე რომ, ჩამაკვენეთ მაგ თქვენს დიდ ოჯახში. პრანჭია.

• ძვირფასო კანიბალკავ, პატარა მავნემ მთხოვა, ჩემს მაგივრად დაიძახე, აქა ვაროოო! დიდი სიყვარულით მოგიკითხავთ ყველა, ვეფაციდან. გასტროლებზე ბრძანდება. ეს, კიდევ რა მითხრა, იცით? რა უბედურებაა, 3 კვირა „გზავნილები" არ წამიკითხავსო. 23-ში ჩამოდის და მერე ალბათ თავად მოგწერთ. ნემსა.

• ძალიან მიყვარს „გზა" და მისი ყველა წევრი. მინდა, მეც თქვენს ოჯახში ვიყო. იმედია, ჩემს გზავნილებს დამიბეჭდავთ. მარტოსული.

• პირველ რიგში, მინდა, „ვარ" დავიძახო კანიბალკას გამოძახებაზე! ვარ და ხუთშაბათს არ ვმაზავ, ყველა ნომერს ვკითხულობ. რატომ არ ვამესიჯებ, არ ვიცი. მეგრელების სარძლო.

ეფშინ ჩ ყოველლელს ეკვეყიდე და ოლივე დაჯიქილე. ყოველლეში ამას ჯერ ყიდევ ვერ იჯერებენ.

ეჰ, ვინეგრეტი აღარ უნდა მეჭამა...

• მე ხომ ამ დღეს თქვენთვის ვმღერი, მინდა იყოთ ბედნიერი, ყველამ წერეთ მესიჯები, კიდევ ერთი 100 წელი, ყველამ ერთად ვამესიჯოთ სიყვარულითა, მარის ცალკე გაუმარჯოს, წრფელი გულითა. ლიფსო ბიძია.

• აპოლონ და ლიმონა, ძალიან მიყვარხართ. მის რეალს, კახელოს, 9717-ს, ბოას, ლუნას, მაეს გაკოცეთ ბევრი. ოლე, მაგრად მიკაქალ. აპოლონ, შენი ნომერი არ მაქვს. დამიმესიჯე, გეხუტე. უკარება.

• შეცდომა გამხელილი ჯობს და გადავწყვიტე, მგზავნელი გავმხდარიყავი. შეცდომა ისაა, რომ ეს აქამდე არ გავაკეთე, მაგრამ ვინანიებ. სიყვარულს გიხსნით, ყველას. ზუზუ.

• ჩემი შეცდომა ისაა, რომ ადამიანებს ხშირად ვაბრაზებ. იმიტომ, რომ ძალიან მწარე ენა მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რა ვქნა, უბრალოდ, ვერ გამოვსწორდები, ალბათ. ზუზუ.

• ჰოოდა, მეც მოვედი... რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ, ჩემს გულში უკანონოდ შემოჭრილო თავხედებო... :) უკვე იმდენი ძველი მგზავნელი დაბრუნდა, რომ ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, მეც დავბრუნდე. მართალია, ისეთი კარგი და დამჯერი გოგო აღარ ვარ, როგორიც ადრე, მაგრამ ამასაც მოევლება, ხომ ასეა? აი, შეცდომა იმდენი დამიშვია, რომ დავაკონკრეტო, ალბათ „გზის“ 4 ნომერი არ ეყოფა. ასე რომ, ამ კვირაში თავს ვიკავებ. აფხაზეთის პრინცესა.

• მარ, თუ ერთ ჯადოსნურ ღამეს შენთან მოვიდა სიმპათიური ბაბუ და ტომარაში ჩაგსვა, არ შეგეშინდეს, უბრალოდ, იცოდე, რომ თოვლის ბაბუას საახალწლოდ შენი თავი ვთხოვე. კამელია.

• ლ-ამაზი ცხოვრება მინდა გაჩუქო, ისეთი, როგორზეც ოცნებობ შენ,

უ-ბრალოდ მეყვარები, უბრალოდ მოგინატრებ, უბრალოდ მენდომება შენთან სიახლოვე.

ნ-ატვრას ვერ აგიხდენ, მაგრამ მე გინატრებ, გაჩუქებ უნაზეს წუთებს,

ა-რას მეუბნება მე სიო ნაზი, უფალს შევავედრე მე შენი თავი.

პ.ს. ბუთქუ, შენ გეძღვნება. ბუსუნას მოკითხვა. ლუნა.

• მაესტროს: გიო, ძაალიან მიყვარხარ... შენ როგორც გიყვარვარ, ისე. კახუ, იცი, როგორ მომენატრე? ძალიან. მაზოხისტკა, შვილის შეძენას გილოცავ, სიხარულო, გულით. ლუნა.

• ლიმონა, ვერმახტი, ოლეგარიო, მაგარია, რონ დაბრუნდით. დუჩი, მე სულ მახსოვხარ. მაზოხისტკა, გამახარე! ბედნიერი ამყოფოს ღმერთმა შენი პაწუკა. green girl, მპუა. სესი.

• აპოლონ, მა სი მიორქ! ერატო.

• ვაااااარ!!!! კაკუ.

• სოსო მაჭარაშვილს: აუცილებლად დაგვირეკე, ვერ გიკავშირდებით.

• გამიგონია, ბედნიერია ადამიანი, თუ ენატრება და სიყვარული მუდამ თან ახლავს. ბედნიერი ვარ, ამ ქვეყანზე მხოლოდ იმიტომ, რომ მონატრება და სიყვარული ჩემი, თქვენა ხართ. მადლობა, რომ არსებობთ, ჩემო უმშვენიერესო და ულამაზესო ანგელოზებო. ჩემს გულში სამარადისოდ ამოვქარგე ოქროს ასოებით თქვენი სახელები. მიყვარხააართ. ტირიფი73.

• ნუტავ, თუ არ დაიღალეთ ამ მაესტროს ცხოვრების ჩეჩვით? გეყოთ რა, ხალხო, ყველას აქვს თავისი ცხოვრება და ნურავინ ჩაყოფთ ცხვირს! ნუთუ ყველა უნაკლოა აქ? ვიკა.

• სიყვარული ტანჯვა არის, არა, სრული ნეტარება, მაგრამ ყველა ნორჩი გული ამ სატანჯველს ეტანება! ბუსუნა, მიყვარხარ. ბუთქუ, რავა ხარ, მაზლო? ვიკა.

დემოკრატიაა, როცა ხალხს შეუძლია, ხელისუფლება იქ გაგზავნოს, სადაც თვითონ იმყოფება.

• აქ ვარ, კანიბალკა. ყველანი ძალიან მიყვარხართ, ვისაც არ დაგვიწყებივართ. ანარქია, შემეხმიანე, გთხოვ. ძველების დაბრუნებით „გზას“ ხალისი შეემატა. გაკოცეთ. პატარა ლელა.

• ლაშ, სიხარულო, შენ ჩემი ცხოვრების სიყვარული ხარ. მადლობას ვწირავ უფალს, რომ შენი თავი მაჩუქა. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით, მე ამის მწამს.

• ვარ! მარიამულ, იცი, როგორ მიყვარხარ? უძალიანმაგრესად... მე სულ შენთან ვიქნები და არ მიგატოვებ. შემოგევლე, კეთილ გულში. შენ ჩემი მზე ხარ! ლუნა.

• ჩემთვისაც მალე მოგელოცოთ კი არა და, ძიკო, გილოცავ ოჯახის შექმნას... თქვენთან მოვდივარ და ცოტა ხანს უნდა გამიძლოთ, სხვა გზა არ გაქვთ! ქეთი, მიყვარხარ! ლუნა.

• მაესტრო მიყვარს, ჩემი მამიკოა. კიდო ის მიყვარს, აი, მამიკოს ნერვების მომშლელი რომაა, რა... სახელი დამავიწყდა. :) კიდევ ერთი მცხეთელი გოგო მიყვარს და რავი, რა... ნიკოლი.

• ლიმონას, რეალს, ჩორის, პავლიკას, სიკვდილას, ოლეს, აბეზარას, ფურისულას, მარტის ქალს და ყველა მგზავნელს მოვიკითხავ. თურმე, როგორ მომნატრებიხააااართ. ჭრიჭინა.

• კანიბალკა, დედი, ვიყავი, ვარ და ვიქნები! :) რა ქალი გაიჩითაა! ჩემი ლიმონა დაბრუნებულა. :) ნიკოლ და ეშმაკუნა, ჩემს გულში ხართ. :) მოხუცო, გიცანი. :) დაგვიბრუნდი? green girl.

• ჩემო ტკბილო მწარევ, გოგო ვარ, გოგო და საერთოდ, ჩემო მოფერება და ჩახუტება ხალხო, იკა და იკუშკები მე უფრო მიხდება, ვიდრე მამაკაც ირაკლის. თქვენი იკუშკები.

• ვარ! და არც არასდროს გავაცდენ „გზავნილებს“! მე თქვენით, სიცოცხლის ხალისი გავიგე! გაიხარე, კანიბალკა, დაიკო! ძვირფასო green girl, ვინ გყავს ჩხორწყუში? კარელია.

• შორიდან რატომ მიყურებ და რად არ მოხვალ ახლოს? მაინც ვერ დამეშალები, აქვე ხარ, ახლომახლო. ნუთუ, არ გინდა, ეგ გული, ჩემს გულთან დაესახლოს? იცოდე, მხოლოდ ჩემი ხარ და სხვამ ხელი არ გახლოს! დათო. p.s. ჩემი ნდობა მოპოვებული გაქვს. ვიცი, აქ ხარ, მიმანიშნე, როგორ გიპოვო.

• ძალიან მიყვარს ჟურნალი „გზა“ და დიდი სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე. მეტად კი მომწონს „ჟურნალი ჟურნალში“. მინდა, შობა მივულოცო ჩემს საყვარელ შვილებს და 5 შვილიშვილს.



1-ელი იანვარი, დილა, მორიგე ელექტრიკოსი

ყველანი ძალიან მენატრებით. მაგული ხუცაშვილი.

• ემიგრანტს მალე ვუსურვებ დაბრუნებას საქართველოში. მე კი ჩემს პატარასთან ერთად მინდა გავატარო ახალი წელი და რა თქმა უნდა, მანდ, საქართველოში. ნე-პა.

• პირველ რიგში, მოგეს(ალმებით ყველას, მარისაც და მგზავნელებსაც. მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგები ხართ. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

• დედიკო და მამიკო, გკოცნით უთვალავს.

• კაროჩე, მართალია ახალი ვარ, მაგრამ 2 წელია, „გზავნილებს“ ვკითხულობ. ბევრჯერ დაგიმესიჯეთ, მაგრამ არც ერთი გზავნილი არ დამიბეჭდე. არ გსაყვედურობ, რატომ არ მიბეჭდავ-მეთქი, იმიტომ, რომ მარი ხარ. :)

• ვარ, ვარ და კიდევ ერთხელ ვაااარ! :) კანიბალკას სიაში ჩემი 3 ნიკია. ასე რომ, მე პირადად სამჯერ ვარ. ლანკა, შენს სიბერესა და სკლეროზს ვაბრალებ, რომ ზაზუნა22, ნინო-მილანი, კეტრინ ზეტა-ჯონსი, ლუციფერი, ზმი-ზმი და მარის ნათლული გამოგრჩა. ყველანი მიყვარხართ. ანარქია.

• უღრმესი მადლობა, ვინც დაბადების დღე მომილოცა. ეშმაკუნა, ლიმონა, როკო, აპოლონი, მის რეალი, ლელუჩია, სესი, ათენი 23, კახელო, ოლეგარიო, ძალიან დიდი მადლობა. გაიხარეთ. დუჩი.

• დუჩი2, გენაცვალე, შემდეგ ნომერში სხვა ნიკით დაამესიჯე, რა? მგონი, არაა ლამაზი ნიკის ახლა, ხომ? ლანკა, ვااار! შვილი, დედუცის უყვარხარ ძاااااا

მიკო, ქორწილში დაპატიჟებისთვის. ტირიფ73, მგზავრო, კამი, პარიუანკა, მანაველო, ენიგმა, ნერტის, ლუნა, მიყვარხართო. გრუზინკა.

• როდემდე ვიყო ასე, ჩემო კარგო მაიკო, როგორც ჩემი ღვიძლი და, ისე ხარ ჩემთვის. მეორე და და სულიერი მეგობარი, რომელიც იშვიათობაა, იპოვო მთელ დედამიწის ზურგზე. მიჭირს, ძალიან მიჭირს. განვიცდი მომხდარს. მაპატიე, მაიკო... არ ასებობს ძალა, რომ დაგივიწყო. ფიქრით შენთან ვარ, ყოველთვის. მარტყოფი.

• ეი, მეც აქ ვარ, მაგრამ ცოტა ხანს ვერ მოგწერთ, კიდევ ახლა იმიტომ გიმესიჯებთ, რომ გითხრათ, უზომოდ მიყვარხართ. green girl, საყვარლობა ხარ. გაკოცეთ. მპუაااა. უდელვაისი.

• ვარ, ვარ და ვااااااااااარ! ძალიან მაგრები ხართ, ადამიანებოოოო! იკუშკები, ჩემი ნომერი რომ გამოვაქვეყნო, დამიკავშირდები? გექეწები, ლااااااა! :-) შობას გილოცაავთ! სოგვდილა.

• როგორ ხართ, ხალხო? ხომ ერთობით მაგრად? მიყვარხართ ყველა. ლელაჩო.

• მოგესალმებით, მგზავნელებო, იცი, როგორ მომენატრეთ? კანიბალკა როგორ მყავს? იცით, ძალიან შემაყვარეთ თავი. გკოცნით და გეფერებით. ვასასი. გაკოცეეთ.

მიყვარხარ



• მინდია გოხიძე, მიყვარხარ ძალიან. ჩემი ცხოვრება ხარ, შენ კი არ გსურს, გაიგო ეს. მიყვარხარ უზომოდ. ელპიტე.

• სიხარულო, მიჭირს უშენობა. შენი ხმა მენატრება. მაკლია შენი გამხნევება, მაგრამ ღმერთის წყალობით ვუძლებ ამ ყველაფერს, დახატულო. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გულით ილოცე, სიხარულო და ყველაფერი აგვეწყობა. მეც პატიმარი ვარ, აქ ხხვისი რეჟიმით ვცხოვრობ და გვლოდები. გილოცავ შობას, ყველაწმინდა გფარავდეს. მიყვარხარ, ამირო.)

• ჩემო ერთადერთო სიყვარულო, ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემს ცხოვრებას ანგელოზად მოევლინე და ამით მე უდიდესი სიყვარული შევიგრძენი. გიორგი პაპეიშვილო, ჩემი ერთადერთი სიყვარული ხარ. უსაზღვროდ მენატრები. ნანკა.

• სალი ცაგურიშვილო, უმაგრესად მიყვარხააარ. რ...

• მინდია გოხიძე, თქვენ ხართ ყველაფერი ის, რაც კი ოდესმე მსურდა. მე გავაკეთებ ყველაფერს, რასაც კი მთხოვთ, ოღონდ თქვენ იგრძნოთ თავი მშვიდად, ჩემს გვერდით.

გილოცავ



• დუჩი, სიხარულო, იუბილეს გილოცავ. მუდამ ასეთი ანგელოზი იყავი. მარი, აქ ვარ მე. სანამ გაწევ-გამოწევა დაიწყება, მინდა, ახლა ყველას ახალი წელი მოგილოცოთ. გრუზინკა.

• ჩემს საყვარელ დაიკოს, ნინო ლომთაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 დეკემბერს. ვუსურვებ, ყოფილიყოს ბედნიერი, დედა, ბებია და მეუღლე. შენი ნატო.

• ლია ჩაჩანიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 19 დეკემბერს. ვუსურვებთ გამძლეობას. წმინდა ნიკოლოზი ჰფარავდეს მას და მის ოჯახს. ძალიან გვიყვარხარ. ციური და ინგა.

• ჩემს პატარა, ოღონდ ნატუკა ხუბაშვილს ვულოცავ

ყველა სიცოცხლე სიყვდილია ან მოსვლადობა. ზოგიერთი — ქორწილია მოსვლადობა.

დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ჩემო სიხარულო. 6 წლის წინ, შენმა გამჩენმა დედამ მაჩუქა შენი თავი, ავადმყოფობის გამო და დაიღუპა. მინდა იცოდე, რომ ამ ქვეყანაზე შენი ხმა მახარებს, ჩემო ანგელოზო. მენატრები უსასზღვროდ. შენი ლია დედიკო.

• 21 დეკემბერს, ჩემს საყვარელ დაიას ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შენს პატარა ოჯახთან ერთად. დაი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. იმედია, მალე ჩამოვალ და ჩაგეხუტები. ჩემი სიხარული ხარ, გაიგე? გკოცნი უამრავს. ვერა.

• ჩემს საყვარელ დაიკოს, მაკა ხაბეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 დეკემბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, თავის ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი და გეფერები. შენი დაიკო, ირმა.

• ნინო კოკიაშვილს და ზურა გიორგობიანს ვულოცავ გაბედნიერებას, დამდეგ შობა-ახალ წელს. სულ ია-ვარდით მოფენილ გზაზე გევლოთ და ლამაზი ოჯახი შეგექმნათ. სიყვარულით, თამილა.

• ჩემო მონატრებულო შვილო, მარია, გილოცავ წმინდა ნიკოლოზობის დღესასწაულს და დაბადების დღეს. ღვთისმშობელი გფარავდეს, ჩემო ანგელოზო. შორიდან გეფერები. შენი დედიკო.

• პატარა დათუნა ვარდუაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და წარმატებებს, ცხოვრებაში. ღმერთი გფარავდეს. ლამაზი ცხოვრებით გეცხოვროს, მწვანე ბილიკებით გევლოს, განაღდებული ოცნებით, შენი ულუფა გერგოს. გაცინებული მენახე, ატირებული — არა, სანამ გინდოდეს იარე, მზისა და მიწის დარად, მაღალი ზეცა გფარავდეს, გჩუქნი ხასხასა მდელოს, სულს გადაგიშლი რათა, ჭრილობა გაგიმთელო. უკან არაფერს ვითხოვ, მე არაფერი მინდა, სიცოცხლე? მასაც გაჩუქებ, თუკი ძალიან გინდა. გიყვარხარ. თორი.

• ხათუნა მორგოშიას ვულოცავთ ახალ წელს. დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას გისურვებთ. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ, ჩვენო ლამაზო დედიკო და ბებიკო. ინგა, ლელა.

• ლელა გოგოხიას ვულოცავ ახალ წელს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებ. ალიკო და ინგა.

• ჩემს უცნობ რძალს, სოფოს: იმდენი წელი იცოცხლე, რამდენიც თვითონ გწყურია, რამდენიც ქართულ საწნახელს, ყურძენი დაუწურია. გილოცავ შორეული საბერძნეთიდან. ინეზა.

• მინდა, შობა-ახალი წელი მივულოცო ქუთაისში, ლიანა მამასახლისის ოჯახს. ბედნიერება, სიხარული და სიყვარული არ მოგაკლოთ ღმერთმა. ღმერთი ჰფარავდეს მუდამ, თქვენს ოჯახს. ლიანა, დიდი მადლობა იმ დიდი სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ ჩემი შვილებისთვის. გკოცნი და გეფერები. მზია ხარაბაძე.

• ჩვენო ზურიკელა, გილოცავთ დაბადების დღეს, 30 დეკემბერს. იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი. მუდამ სიხარულით აღსავსე ყოფილიყოს შენი თბილი და მოსიყვარულე გული.

• ინგა ფორჩხიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. იყავი მშვენიერი, როგორც გაზაფხული, იყავი თბილი, როგორც ზაფხული, იყავი მდიდარი, როგორც შემოდგომა, იყავი სპეტაკი, როგორც ზამთარი.

• ჟურნალ „გზის" რედაქციას, მარის, მგზავნელებსა და სრულიად საქართველოს გულოცავ ახალ წელს. ღმერთი გფარავდეთ (იმედია, ხარის წელი აჯობებს ვირთხისას). ალეზარა.

• საყვარელო დაიკო, დაბადების დღეს გილოცავ და ზღვა ბედნიერებას გისურვებ. ბოლო, შეგობარო, გილოცავ იუბილეს, უმაგრესი ადამიანი ხარ და ყოველივე კარგს გისურვებ. კამელია.

• ფატი, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და დაუსრულებელ ღიმილს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ძალიან მიყვარხარ. ია.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

10 საინტერესო ფაქტი ინდაურის შესახებ



1. მთვარეზე დამჯდარი ნილ არმსტრონგის პირველი სადილი სწორედ პაკეტში შენახული, შემწვარი ინდაური გახლდათ.

2. ინდაურს ყურები არა აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესანიშნავი სმენა ახასიათებს. ის მომხიბლაობით არ გამოირჩევა, მაგრამ გემოვნებას არ უჩივის.

3. ინდაურის სამშობლო ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკაა. არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ისინი იქ 10 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ.

4. ამერიკელი ინდიელები გარეულ ინდაურზე ჯერ კიდევ 1100 წელს ნადირობდნენ. ინდაურის ბუმბულისგან ისრის სტაბილიზატორს ამზადებდნენ და ტრადიციულ ტანისამოსს აფორმებდნენ. ნავაჯის ინდიელებს ასეთი ლეგენდა აქვთ: მათი მინდვრის თავზე უზარმაზარმა ინდაურმა გადაიფრინა, ხორბლის მარცვალი ჩამოაგდო და პურის ყანის მოვლაც ასწავლა. აპაჩები ინდაურს მოკრძალებულ ფრინველად მიიჩნევდნენ და ამიტომ მის ხორცს არ ჭამდნენ და არც მის ბუმბულს იყენებდნენ.

5. ინდაურის კვერცხი ქათმის კვერცხზე 2-ჯერ უფრო დიდია, რძისფერია და ყავისფერი ლაქები აქვს.

6. ყველაზე დიდი, შემწვარი ინდაური 39,9 კგ-ს იწონიდა და ის 1989 წლის 12 დეკემბერს შეწვეს.

7. ამერიკაში, მადლიერების დღისთვის, საგანგებოდ 269 მილიონ ინდაურს ზრდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის 1 მცხოვრებზე 1 ინდაური მოდის.

8. თუ წვიმის დროს ინდაური თავს ზემოთ ასწევს, ის დაიხრჩობა.

9. ინდაურის ხორცში, ისევე, როგორც დანარჩენი ფრინველის ხორცში, ქოლესტერინი მცირე რაოდენობითაა.

10. მოზრდილ ინდაურს დაახლოებით 35 ათასი ბუმბული აქვს. ●

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

ლალი პაპასკირი

საქართველოდან წასული მილიონზე მეტი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული. დრო გადის და მათი უკან დაბრუნების შანსი მცირდება — ზოგი იმდენად შეეჩვია უცხოეთში ცხოვრებას, რომ სამშობლოში დაბრუნების სურვილიც აღარ აქვს. საქართველოდან წასვლის რამდენიმე ათასი მსურველიც, როგორც იტყვიან, ჩემოდანზე ზის და ქვეყნიდან წასასვლელ გზას ეძებს... უცხო ცის ქვეშ მცხოვრებ ქართველებს ერთი ძლიერი გრძნობა — სამშობლოს ნოსტალგია აერთიანებთ და ეს გრძნობა განსაკუთრებით, დღესასწაულებზე მძაფრდება. ამიტომაც, ასეთ დღეებში ემიგრანტები ერთად იკრიბებიან და დღესასწაულს უცხოურ გარემოში, მაგრამ ქართული კერძებითა და ტრადიციებით აღნიშნავენ. დავინტერესდით, თუ როგორ ხვდებიან შობა-ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენებურები და რამდენიმე მათგანს ტელეფონითა თუ ელფოსტით დავუკავშირდით.



ამ ადამიანებს, რომლებმაც „ტიოპლაია გრუზიას“ გემი იციან, საქართველო ენატრებათ

31 დეკემბერს სხვადასხვა ქვეყანაში პატარა საქართველო „იკვრება“

„საახალწლო სურვილი ყველა ემიგრანტს ერთნაირი აქვს...“

ზვიად თოდაძე, *29 წლის (სანქტ-პეტერბურგი):*

— აგვისტოს მოვლენების შემდეგ, აქ ქართველების მიმართ აგრესია იგრძნობა. ადრე, დღესასწაულებზე ბიჭები საქეიფოდ რომ ვიკრიბებოდით, რესტორნიდან ისე არ გამოვიდოდით, ქართულად არ გვემღერა. მთელი რესტორანი ჩვენ გვიყურებდა, ქალები თავიანთ „სასტავს“ ტოვებდნენ და ჩვენ გვიერთდებოდნენ. ასე მხოლოდ ჩვენი ასაკის ადამიანები კი არა, ჩვენზე უფროსებიც იქცეოდნენ და თითოეულ მათგანს საბჭოთა კავშირის ნოსტალგია ჰქონდა. ამბობდნენ, — ქართული სიმღერისგან სხვა ცეცხლი მოდისო... ერთხელ, ძმაკაცის შვილი ნაძვის ხის საახალწო ზეიმზე წავიყვანე. როცა მან „აჭარული“ იცეკვა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა, ერთი-ერთი მოსწავლის სათვალიანმა ბებიამ კი ცრემლები მოიწმინდა და ჩაილაპარაკა, — ამათი დაკარგვით რუსეთი უდიდეს კულტურულ პოტენციალს კარგავსო... რაც უნდა დაუჯერებელი იყოს, მათ სუფრაზე საცივს, ხაჭაპურს, ხინკალს, მწვადს ხშირად ნახავთ და ყოფილა შემთხვევა, როცა ქართული კერძებით აღფრთოვანებული უცხოელი ტურისტებისთვის უთქვამთ, — ეს ჩვენი ნაციონალური კერძებიაო. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ამბობენ, რომ ჩვენ „წაველურო“ ხალხი ვართ და უცნაური ტრადიციები გვაქვს... ერთი რუსი ძმაკაცი მყავს, რომელიც ჩვენი გავლენით, ქართულ ცეკვებზეც დადიოდა. მამამისსა და იოსიფ კობზონს საერთო მეგობრები ჰყავდათ. საერთოდ, რუსი ერი ძალიან პოლიტიზებულია და რა გასაკვირია, რომ აგვისტოს მოვლენებმა ჩემი მეგობრის ოჯახზეც მოახდინა გავლენა?! ბოლო დროს, როცა მის სახლში ვიკრიბებოდით, მასპინძლები ქართველებს გვლანძღავდნენ, — ცუდი ხალხი ხართ, რადგან რუსეთს ამერიკა გირჩევნიათო... ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, ჩვენი მეგობარი რომა ცდილობდა, ჩვენთან ურთიერთობა არ გაეწყვიტა. ის, გარდა იმისა, რომ ცეკვავს, ქართულ სიმღერებსაც კარგად ასრულებს. შარშან, მამამისს დაბადების დღე მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში გადაუხდია, სადაც იუბილარის შვილი რესტორნის მუსიკოსებთან ერთად მღეროდა. ცოტა რომ შეზარხოშებულან, რომა ქართულ რეპერტუარზე გადასულა, მერე კი კობზონისთვის გადაუხვევია ხელი და უთქვამს, — თქვენთან ერთად, „გაფრინდი შავო მერცხალო“ უნდა ვიმღეროო. მათი დუეტი DVD-ზე რომ არ მენახა, ამას ვერ დავიჯერებდი... მეორე დღეს კობზონისგან რომას მამასაც კარგად მოხვდა და რესტორნის მუსიკოსებსაც, თავისი პირადი დაცვა კი საერთოდ, დაითხოვა.

— **რატომ?**

— ვერ მიპატრონეთ, ხომ შეიძლებოდა, იმ საღამოს ჩემი იმიჯი გაეფუჭებინაო!.. მეშვიდე წელია, რაც საახალწლო დღესასწაულს რუსებთან ერთად ვხვდები. ამ ადამიანებს უმიზეზოდაც შეუძლიათ მოლხენა და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სიმღერა თითქმის ყოველი ქეიფისას ისმის. ხშირად ამბობენ, — ნეტავ, ის დრო დაბრუნდეს, როცა ერთად ვცხოვრობდითო!.. იმ ადამიანებს, რომლებმაც „ტიოპლაია გრუზიას“ გემო იციან, საქართველო ენატრებათ, მაგრამ ქართველები ვძულვართ იმიტომ, რომ მათთან ყოფნა არ გვინდა. ხშირად მათ ხუმრობით ვეუბნები, — თქვენი საუბარი ეჭვიანი ცოლის პოზიციას მაგონებს-მეთქი.

მარინა გულიაშვილი *(საბერძნეთი, სალონიკი):*

— ქართველები ყველა დღესასწაულს ერთად აღვნიშნავთ და ქართულ კერძებს ვამზადებთ. მჭადიც რომ გამოვაცხოთ, ერთმანეთის გარეშე არ შევჭამთ. ბარბარობის დღესასწაულზე, საქართველოდან გამოგზავნილი ლობიო გვქონდა და ლობიანი გამოვაცხვეთ. ქართული სათვისტომო ძირითადად, უქმე დღეებში ვიკრიბებით, ქართულ ტელეარხებს ვუყურებთ და პრესას ვეცნობით. აგვისტოს ომის დროს ყველანი ტელევი-

ზორს ვიყავით მიჯაჭვული... რაც შეეხება ქრისტიანულ დღესასწაულებს, აქაური დღესასწაულები ცოტათი უსწრებს ჩვენსას: აქ 25 დეკემბერს

ქართული სათვისტომო ძირითადად, უქმე დღეებში ვიკრიბებით

გრანდიოზულად აღნიშნავენ ქრისტესშობას... 2004 წლიდან სალონიკში ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში, ჩემს ქვეყანაში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, მაგრამ აქ არიან ისეთებიც, ვისაც საბუთები წესრიგში არ აქვთ და თავიანთი ოჯახების ნახვა ერთხელაც ვერ შეძლეს. ასე რომ, ჩვენ ყველას ერთი ტკივილი გვაერთიანებს — სამშობლოს ნოსტალგია. ნებისმიერ ქრისტიანულ დღესასწაულზე ყველა ქართველი იმას ლოცულობს, რომ ოჯახის სარჩენად სამშობლოდან შორს ყოფნა აღარ დასჭირდეს...

თამარ ხატიური *(იტალია, ბარი):*

— უკვე მეორე წელია, რაც ახალ წელს იტალიაში ვხვდები. ემიგრანტებისთვის დღესასწაულები განსაკუთრებულად ნოსტალგიურია, მიუხედავად იმისა, რომ აქ 2000-მდე ქართველი მაინც ცხოვრობს. მათ შორის, ბევრია ისეთი, ვინც 7-8 წელია, სამშობლოში არ ყოფილა. მერწმუნეთ, აქ რამდენი მეგობარიც უნდა გყავდეს, ოჯახის წევრების, ნათესავებისა და ახლობელი ადამიანების გარეშე ყოფნა მაინც ძალიან ძნელია. ქართველები დღესასწაულებს ტრადიციისამებრ, ჯერ სახლში, ქართული კერძებით გაშლილ სუფრასთან ვხვდებით, „პატარა საქართველოს" ვაწყობთ, სადაც მხოლოდ გარემო არ არის ქართული... შემდეგ ქუჩაში გავდივართ და იქ ვერთობით... იტალიელები 25 დეკემბერს, კათოლიკურ შობას გრანდიოზულად ხვდებიან, 31 დეკემბერს კი უფრო სიმბოლურად აღნიშნავენ. სუფრაზე მხოლოდ ტკბილეული, თევზი და სასმელი იციან. მათთვის უფრო მნიშვნელოვანია, კარგად გაერთონ. მთელი დღე, დილიდან ლამის მეორე დილამდე, გარეთ არიან. სახლში მხოლოდ ასაკოვნები რჩებიან... რახან ქართველი ვარ, ალბათ ამიტომაც, ჩემი ტრადიცია მომწონს: ქართული სუფრა უფრო მრავალფეროვანია, რასაც იტალიელებიც აფასებენ. იმიგრანტებს დღესასწაულებზე, ერთკვირიანი დასვენება გვეკუთვნის და ვცდილობთ, ეს დღეები კარგად და, რაც მთავარია, ერთად გავატაროთ. ტრადიციებსაც ვიცავთ. ის ქართველი, ვისაც ახალი წლის გარეთ დახვედრა კარგად ჰქონდა დაცდილი, აქაც გარეთ ხვდება, მე ახალ წელს საქართველოშიც ოჯახში ვხვდებოდი და აქაც ასე ვიქცევი... იმიგრანტი ქართველები საახალწლო სურვილებსაც ვუმხელთ ერთმანეთს, ყველას ერთი ოცნება გვაქვს — საქართველოში დაბრუნება. უფროსი ასაკის ხალხი — ყველა აპირებს დაბრუნებას, მაგრამ მათ უკვე შექმნილი აქვთ ოჯახები და ამიტომაც, იმდენად არ ჩქარობენ, აი, ახალგაზრდებს კი უფრო მეტად უნდათ სამშობლოში დაბრუნება და ოჯახის იქ შექმნა... ჩემი საახალწლო სურვილიც ეს არის — იქ, საქართველოში ნორმალური ცხოვრების პირობები იყოს და ხალხს უცხოეთში გადახვეწა არ დასჭირდეს... სია-

დღესასწაულებზე, ერთკვირიანი დასვენება გვეკუთვნის და ვცდილობთ, ეს დღეები კარგად და, რაც მთავარია, ერთად გავატაროთ

მოვნებით დავბრუნდებოდი ჩემს ქვეყანაში, თუმცა რამდენიმე ხნით იტალიაში ისევ ჩამოვიდოდი: აქაურობასაც შევეჩვიე.

— თამუნა, შერეული წყვილები (ქართველისა და იტალიელის ოჯახს ვგულისხმობ) როგორ ხვდებიან დღესასწაულებს — „ჩვენებურად" თუ „მათებურად"?

— ქართულ-იტალიური ოჯახი იშვიათად იქმნება, ვერ გეტყვი — რატომ, მაგრამ რომლის შესახებაც მსმენია, ვიცი, რომ ქართული წესების პატივისმცემლები ხდებიან, რელიგიურადაც, მართლმადიდებლობას იღებენ და ეს ალბათ, იმითაა გამოწვეული, რომ მართლმადიდებლები ამ მრწამსის იქით არც ერთ რელიგიას არ ვაღიარებთ და ეს ჩვენს ხალხში გამჯდარია. კათოლიკეები უფრო თავისუფლები არიან და ხშირ შემთხვევაში, მართლმადიდებლად ინათლებიან.

დათო გაგუნია *(აშშ, ფლორიდა):*

— მესამე ახალი წელია, ამ დღესასწაულს უცნაურად ვხვდები. ამერიკის ერთ-ერთ ტროპიკულ შტატში, ფლორიდაში ვცხოვრობ, სადაც ქართულ ახალ წელთან მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა: თემფა — ქალაქი, სადაც ვცხოვრობ, მაიმისთან ახლოსაა და პირდაპირ ოკეანის სანაპიროზეა გაშლილი. აქ ქართველები ძალიან ცოტანი ვართ, მაგრამ წინასაახალწლო განწყობილება მაინც ჩვენებური გვაქვს. ყველაფრის მიუხედავად, ახალი წლის დადგომას მოუთმენლად ველოდებით, რომ სადმე ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ოდნავ მაინც ცივა. თოვლზე, რა თქმა უნდა, ოცნებაც ზედმეტია... ამ ქალაქში სულ რამდენიმე ქართველი ვცხოვრობთ. საახალწლო დღეებში ქართულ კერძებს ვაკეთებთ, მაგრამ 25-გრადუსიან სითბოში ახალი წლის შეგრძნება იკარგება, თუმცა შუაცეცხლზე აშიშხინებული მწვადის სურნელი ცოტა ხნით საქართველოში გვაბრუნებს.

— სუფრას სამშობლოდან მიღებული სურსათით აწყობთ?

— საქართველოდან გამოგზავნილი ნობათიც გვაქვს და აქაურიც. სამშობლოდან გამოგზავნილ საჭმელებს

დასაწყისი იხ. გვ. 26

დღესასწაულებისთვისაც ვინახავთ, ოღონდ პროდუქტს ვისი სხვენისა და აივნის სუნი აქვს, ამის გამოცნობას არ ვიწყებთ, ვცდილობთ, სადღესასწაულო განწყობილება არ გავიფუჭოთ და ყველაფერს „იუმორში ვატარებთ". სუფრის გაშლის შემდეგ, თამადაც ინიშნება. არის შემთხვევები, როცა სხვა იმიგრანტები გვიერთდებიან, განსაკუთრებით მეგობრული ხალხია მექსიკელები... მოკლედ, ქართული ქეიფი შემოსწრებულის გარეშე ვის გაუგია და ეს ადათი აქაც „მუშაობს". ზოგჯერ რუსები და უკრაინელები შემოგვიერთდებიან. ჩემს მეგობარს რუსი ცოლი ჰყავს და მისი ნათესავები ხშირად ჩვენთან ერთად ქეიფობენ. ქართული ენაკვიმატობა მაშინ უნდა ნახო. საბედნიეროდ, რუსებისგან ბევრი თვისებით განვსხვავდებით, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემია პატრიოტიზმი, რომელიც თავიანთი ქვეყნის გარეთ მცხოვრებთ საერთოდ, უჩლუნგდებათ, უფრო სწორად — არც აქვთ. უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს კი ეს გრძნობა ძალიან გვიმძაფრდება. რუსებს ხშირად ვეუბნები, — თქვენი სამშობლო იქ არის, სადაც თავს კარგად გრძნობთ-მეთქი. არც ბრაზდებიან... პირველი — საქართველოს სადღეგრძელოა, შემდეგ — დანარჩენი, მამაპაპური ადათის მიხედვით მიჰყვება. გენი და ხასიათი თავისას შვრება: სუფრაზე რა ეროვნების ხალხიც არ უნდა გვყავდეს, ორი ქართველი თუ ვართ, ყველაზე მეტს ჩვენ ვსაუბრობთ, დანარჩენები გვისმენენ. რამდენიმე საათში აქ პატარა საქართველო „იკვრება", თავისი ტრადიციული, თავმომწონე, ამაყი და ხმაურიანი ქართველებით... სადღეგრძელოებს სიმღერებიც მოსდევს. მე და ჩემი 6 ქართველი მეგობარი თითქმის ყველა სადღეგრძელოს ერთნაირად აღვიქვამთ და ჩვენი შვიდეული მართლაც რომ გადასარევად ასახავს ქართულ ხასიათს... ეს, რა თქმა უნდა — ხუმრობით. ცოტა-ცოტას ყველა ვმღერით, მაგრამ ვისაც არც სმენა აქვს და არც ხმა, „ნამუსის მიჩუმებაში" ალკოჰოლი ეხმარება. დღესასწაულებზე ქალაქ თემფას პარკში „საქართველოო ლამაზოს" ხშირად გაიგონებთ. სამეგობროში ერთი ძალიან კარგი ბიჭი გვაყვს, მექსიკელია. ცოტა ქართული ვასწავლეთ, ყანწით დალევასაც შეეჩვია და სადღეგრძელოებიც „დაამუღამა", თანამიმდევრობაც კი არ ეშლება. ზოგჯერ, წამოგვივლის ხოლმე და თამადად მას ვნიშნავთ. მაშინ უნდა ნახო, რა ბედნიერია. ის უკვდავი ქართული ფრაზაც კი იცის — „უფალ თამადას ვუსმენთ!" მოკლედ, ძალიან უხარია, მაგრამ ერთი-ორი ჭიქის დალევის შემდეგ, ჩამოვაქვეითებთ (ესეც ქართული ხასიათის ერთ-ერთი შტრიხია). ამას წინათ, ზუსტად არ მახსოვს, რას აღნიშნავდით, მაგრამ ისიც ჩვენთან იყო. თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, მერე ჩვენ ავურიეთ და არ ვუსმენდით. კრისი (ასე ჰქვია მექსიკელს) გამწარდა, ხან ჭიქაზე უკაკუნა ჩანგალი, ხან მხარზე ხელი გვირტყა, მაგრამ ყურიც არ ვათხოვეთ; ბოლოს მოთმინება დაეკარგა, დაჰკრა მუშტი მაგიდას და ერთ-ერთს ქართულად დაუყვირა, — თქვენ რომ ლაპარაკობთ, მე გისმენთ, ძმაო! ჯერ ყველანი გავშტერდით, მერე სიცილი აგვიტყდა, შენ ვინ ყოფილხარ-თქო!.. საახალწლო სურვილი ყველა ემიგრანტს ალბათ ერთნაირი აქვს — თავის ქვეყანაში დაბრუნება. ადგილობრივები, უფრო მეტად, 25 დეკემბრის შობას აღნიშნავენ — „ქრისთმასს". მთელ ღამეს ათენებენ, ზეიმს დილიდან იწყებენ. ამ დღესასწაულსაც ქუჩაში ხვდებიან. მათთვის გართობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მთელი დღეები თავაუღებლად შრომობენ, მაგრამ უქმე დღეებში ყველანარი უარყოფითი ენერგიისგან ბოლომდე იცლებიან. სამსახურსა და უიკ-ენდზე მყოფი ერთი ამერიკელი — ორი სხვადასხვა ადამიანია. მათთვის კარგად გართობა ისეთივე აუცილებელია, როგორიც სამსახური. ■



ტროპიკულ შტატში, ფლორიდაში ვცხოვრობ, სადაც ქართულ ახალ წელთან მკვეთრად განსხვავებული ვითარებაა

ჟურნალისტების ღირსებასა და უფლებებს დაიცავს.

ია ანთაძე:

— ამ წელს, ჩემი აზრით, ორი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: პირველი — 21 მაისის არჩევნები იყო, რომლებიც დემოკრატიისთვის საკმაოდ მძიმე დარტყმა აღმოჩნდა; მეორე იყო სამხედრო კონფლიქტი რუსეთთან. 2008 წელი ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის და როგორც მოქალაქისთვის, საკმაოდ მძიმე წელი აღმოჩნდა.

— ამ წელმა ქართველი ჟურნალისტების ცხოვრებაში რაიმე თუ შეცვალა?

— ქართული მედია ამ წელს ისეთივე კონტროლირებადი იყო, როგორიც ადრე. ომის დროს პრეზიდენტს არც კი დასჭირდა რაიმე განსაკუთრებული აქტის გამოცემა, სიტყვის თავისუფლება რომ შეზღუდულიყო...

— თქვენი აზრით, საქართველოში თავისუფალი ტელეკომპანია არ არსებობს?

— კი, როგორ არა. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში პოლიტიკური გადაცემა დაბრუნდა და ქართულ მედიაში კიდევ ერთი მზის სხივი შემოიჭრა. სხვათა შორის, რადიომაუწყებლობასაც შეემატა კიდევ ერთი სხივი — რადიო „პალიტრის" სახით, რომელიც ძალიან მომწონს, იმიტომ, რომ პროფესიონალი ჟურნალისტები კეთილსინდისიერად ამზადებენ გადაცემებს. ძალიან კარგია, რომ ვრცელი პაუზის შედეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაჩნდა დებატები. ვფიქრობ, ტელეკომპანია „კავკასია" ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. მე განსაკუთრებით, გადაცემა „ბარიერი" მომწონს. როგორც იქნა, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დებატები დაიწყო. მართალია, ამ ტელეკომპანიას ხელისუფლების ზედა ეშელონში ისევ არ სწყალობენ და სტუდიაში მხოლოდ ისინი მოდიან, ვინც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ „კავკასია" მკვეთრად ოპოზიციურია და ობიექტურობაზე არც მას უნდა ჰქონდეს პრეტენზია?

— ამ ტელევიზიას მართლაც აქვს თავისი პოზიცია. მაგრამ მას აქვს გადაცემა, სადაც არსებობს დისკუსია. გარდა ამისა, კვირაში ერთხელ გადმოსცემენ ნანა ლეჟავას სტუდიის მიერ მომზადებულ, ძალზე საინტერესო გადაცემებს... ვერ ვიტყვი, რომ 2008 წელს საქართველოში დემოკრატია აყვავდა, მაგრამ პატარა სხივები ხომ მაინც გამოჩნდა. იმედი მაქვს, 2009 წელი უფრო ნაყოფიერი იქნება ქართველი ჟურნალისტებისთვის. ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი გაიზარდოს. სხვათა შორის, მიმდინარე წელს რეგიონული მედიის ცხოვრებაში ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: რაიონებში მოღვაწე ჟურნალისტების ინიციატივით, დაიწყო მუშაობა „ქართული ჟურნალისტიკის ქარტიაზე". ვფიქრობ, მართლაც საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. ■



დასაწყისი იხ „გზა“ №43-51

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ორი კვირა გავიდა ჩვენი ბოლო შეხვედრიდან. ერთხელ მოვკარი თვალი, თათოსთან ერთად ქუჩაში მოდიოდა. ჩემს დანახვაზე სახეზე სიწითლემ გადაურბინა... მეც იგივე დამემართა, რადგან არ ველოდი.... მყისიერად ავარიდეთ ერთმანეთს თვალი. არადა...

როგორ მენატრებოდა. გამუდმებით მასზე ვფიქრობდი... მენატრებოდა მისი ხმა, გამოხედვა, სიცილი, სუნთქვა, ჩურჩული... ცრემლებიც კი. სიგიჟემდე მინდოდა, ჩემ გვერდით ყოფილიყო, ახლოს, ძალიან ახლოს... ცოტათი მაინც. ის ჩემი ნარკოტიკი იყო. ნატას გარეშე ვერ ვძლებდი. უკვე მერამდენედ ვუბრაზდებოდი, ვიბოღმებოდი, ფიქრებში პატარა ბავშვივით ვტუქსავდი, მაგრამ ერთი კი ვიცოდი — გული მაინც მისკენ მიმიწევდა, ვერ ვთმობდი, არავისთვის მემეტებოდა. მინდოდა კიდევ ერთხელ განმეორებულიყო ის დღეები, როცა ერთად ვიყავით მანქანაში, სხვებისგან განმარტოებულად. კიდევ ერთი დღით ყოფილიყო ჩემი — მისი თმა, ტუჩები, თვალები, ხელები, მხრები — ერთ დროს ეს ყველაფერი მე მეკუთვნოდა.

ის თუ ფიქრობდა ჩემზე? ალბათ არ ფიქრობდა. ვახსენდებოდი, მაგრამ არ ფიქრობდა. მე ხომ ძალიან ვატკინე გული, ზურგი შევაქციე, მივატოვე... ნუთუ არ განიცდის? არა, ზაზა, არ განიცდის, — ჩამკიჟინებდა ჩემი ორეული, — მას შენ არ სჭირდები, არც შენი დახმარება უნდა. ის ძლიერია, მას შენი ტკივილითაც შეუძლია ცხოვრება. მას შეუძლია იტიროს შენზე, შენ კი არ შეგიძლია...

არადა, ტირილი რომ შემძლებოდა... ცუდია, როცა არ შემიძლია... ოდნავ მაინც მომეშვებოდა გულზე. უფრო ადვილად გადავიტანდი მასთან განშორებას.

„ნატა, ნატა... რომ იცოდე, როგორ მჭირდები... როგორ მაკლიხარ... მტკივა... ძალიან მტკივა უშენობა... ვცდილობ, ტკივილი დავმალო, შევინიღბო, მაგრამ ის მაინც არსებობს, ვგრძნობ ამას და ვერსად გავექცევი. მინდა, მოვიშორო, მაგრამ არ გამომდის. უშენობა წარამარა მახსენებს თავს, როგორც ნაიარევი. შენ ჩემი სუსტი წერტილი ხარ... და ამ წერტილს სიყვარული ჰქვია. მიყვარხარ, ნატა, უგონოდ მიყვარხარ!“ — მარტო დარჩენილი ბნედიანივით ველაპარაკებოდი ჩემს თავს.

დეკემბრის ბოლო დღეები იყო. ციოდა. არ თოვდა, არც წვიმდა, მაგრამ მზის სხივები მაინც ვერ ახერხებდა ჰაერის გათბობას.

თეატრში საახალწლო კონცერტი გაიმართა. ჩემი მოსწავლეები კარგად გამოვიდნენ. მაყურებელმა ბევრი იცინა ჩვენს სპექტაკლზე, ბავშვებმა თავიანთ როლებს მშვენივრად გაართვეს თავი. ოვაციები დიდხანს არ ცხრებოდა. საღამო თენგოს ანსამბლმა დახურა, მაგრამ ნატას არ უცეკვია, კონცერტს არც დასწრებია. თენგოსთვის არ მიკითხავს, რატომ. როცა მაყურებლები და მონაწილეები დაიშალნენ, თეატრის თანამშრომლები ჩემს კაბინეტში შევიკრიბეთ და სმა დავიწყეთ. მოულოდნელად კარი გაიღო და თათული შემოვიდა. თავაზიანად მიესალმა ყველას და თვალით მანიშნა, გარეთ გამოდიო. გული უცნაურად ამიძგერდა. მეგონა, კიდევ ერთი ცუდი ამბავი უნდა ეთქვა.

— ისევ ხდება რამე? — სანამ რამეს მეტყოდა, ფოიეში გამოსულმა ვკითხე.

— შენ როგორ ფიქრობ? — კუშტად შემომხედა.

— რა იყო, არ იტყვი?

— რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე? — ვერ მივხვდი, რას მთხოვდა...

— არ გინდა შეურიგდე?

— შევურიგდე? შენ რა, დესპანად გამოგგზავნა?

— რა სისულელეა, არც იცის, აქ რომ ვარ. კონცერტზე ვიყავი და ვიფიქრე, ვნახავ-მეთქი.

— რატომ გადაწყვიტე, რომ უნდა შევურიგდე, რით დაიმსახურა?

— არ გეცოდება?

— მე გეცოდებით ვინმეს?

— ზაზა, ის ჩემი მეგობარია. ახლა ძალიან უჭირს. ხომ იცი, რომ მხოლოდ შენ უყვარხარ. რაღაც არ უნდა დათმო?

— რა უცებ გახდა შენი მეგობარი. ასე რამ დაგაახლოვათ?

— ჩვენ ერთად ვსწავლობთ, სხვათა შორის... მთელი დღე ერთად ვართ.

— მერე ჩემგან რა გინდათ?

— იმას რაც უნდა, კარგად იცი. მე კი ის მინდა, რომ ისევ ერთად გნახოთ. გასაგებია?

— „პაკლონიკების“ მეტი რა ჰყავს, ვერავინ შეაცდინა? არ გაუჭირდება გათხოვება, თუ ასე ძალიან უნდა.

— რა საშინელი ადამიანი ხარ. როგორ შეგიძლია, ასეთი გულგრილი იყო? კაცები რა ყველა ერთნაირები ხართ, ვერ გიტანთ! მართალია ნატა, როცა ამბობს, ყველა მამაკაცი არარაობაა.

— რატომ, რატომ? არიან ისეთი მამაკაცებიც, სიამოვნებით რომ აღმოუჩენენ მას დახმარებას. გაახილოს თვალი.

— ნუ ხარ ბოროტი, გთხოვ. იტანჯება, სულ ტირის. არ იცი, რა ცუდადაა. „პაკლონიკებიო“, რომ აგიჩემებია... იცი, რა ხდება? ყველამ ზურგი შეაქცია, გვერდით არავინ იკარებს. გაოგნებულია გოგო, ვერ გაუგია, ამისთანა რა დააშავა, რატომ გაცივდნენ ყველანი ირგვლივ. მხოლოდ ისინი ეტანებიან, ვინც არასერიოზულად ფიქრობდა მასზე. ჰგონიათ, რომ რამე გამოუვათ და ეჩაჭლიჩებიან, იქნებ საყვარლობაზე დაითანხმონ.

— დავიჯერო, შენთვის ასე ძნელი მისახვედრია, რატომ? ყველა კაცი მოერიდება მასთან ურთიერთობას, ვისაც კი ოდესმე მასთან დაახლოებაზე სერიოზულად უფიქრია, აბა რა! დაგავიწყდა, რა მოხდა? დაგავიწყდა, რომ მოიტაცეს?

— მერე რა, რომ მოიტაცეს? ხომ წამოიყვანეს უკან?

— და მისთვის ხელი არავის დაუკარებია, არა? — მწარედ გავიცინე.

— ჰო, ასეა, ასე, ეჭვი ხომ არ გეპარება რამეში?

— მერე? ვის გინდა ეს დაუმტკიცო? ხალხს შენ გააჩუმებ? ზოგიერთს ოღონდ სალაპარაკო მიეცი და რაც არ არის, იმასაც მოიგონებს.

— რას მოიგონებს, რას! რა უნდა თქვან, ქალიშვილი არ არისო? თუნდაც ასე იყოს, მერე რა? ვისი რა საქმეა? თუ გიყვარს, შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდა?

— შემეშვი, რა, შენ მაინც ვერ გაიგებ ამას, — ხელი ავიქნიე.

— თუ ასე იმსჯელებ, ნამდვილად ვერ გავიგებ. შენი შემხედვარე, საბოლოოდ დამეკარგა მამაკაცებზე წარმოდგენა.

— ჰოდა, წადი, რაღას მელაპარაკები! — გაცოფებულმა შევუბღვირე.

— წავალ, მაგრამ ერთი რამ იცოდე. მან მხოლოდ წაიბორძიკა, არ დაცემულა, ამიტომ ნუ ცდილობთ, გადაუაროთ. იცოდე, ის კიდევ უფრო მყარად დადგება ფეხზე. მოვა დრო და თქვენ, ყველანი, მუხლებზე დაიჩოქებთ მის წინაშე. მე მტკიცედ მჯერა, რომ ის ამას მიაღწევს. ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერს ინანებ, ზაზა! და არა მარტო შენ!

— რას მელაპარაკები! — ღვარძლიანად აღმომხდა.

— და კიდევ... დაიმახსოვრე! მის არარაობა თაყვანისმცემელ მამაკაცთა სიაში შენ პირველ ნომრად წერიხარ, — ზიზღით მესროლა და გაიქცა...

დანა რომ დაერტყათ, ისეთი მტკივნეული არ იქნებოდა, როგორიც ამ სიტყვების მოსმენა... რაღაც ძალიან ძლიერი ვიგრძენი სულში... რაღაც ძალიან მეტკინა... ტკივილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებდა მთელ სხეულში... რა სიამოვნებით დავიღრიალებდი ახლა, რა დიდი ნეტარებით გამოვუშვებდი ორთქლს...

ამ დროს თენგომ გამოიხედა და დამიძახა, სად დაიკარგეო. კაბინეტში შევტრიალდი და სმა გავაგრძელე...

სრულიად უინტერესოდ ვსვამდი არაყს... ბიჭებთან ერთად ვიყავი და მაინც მარტო ვგრძნობდი თავს. „ამაყი მარტობა“ უფრო მომეძალა, ვიდრე სასმელი.

და დავთვერი — ცალკე არყით, ცალკე ბოღმით...

მერე კი წავედი, გზას დავადექი...

არ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდი ნინოს სახლთან. განგების ძალამ ალბათ ქვეცნობიერად ეს ნაბიჯი გადამადგმევინა. როგორც ჩანს, დავაკაკუნე, რადგან, გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა კარი შუახნის ქალმა გამიღო.

— ვინ გნებავთ? — იგი ერთდროულად შეშინებული და გაკვირვებული ჩანდა.

— მე... — უეცრად ენა დამება, სიტყვებს თავი ვერ მოვუყარე, — მე... ნინო ხომ აქ ცხოვრობს?

— დიახ, მაგრამ შინ არ გახლავთ. ვინ ბრძანდებით?

— მეგობარი ვარ, ქალბატონო, ცუდი არაფერი იფიქროთ. სად შეიძლება ვნახო?

— ღვინიანიძის დაბადების დღეზეა წასული, აგერ, მეზობლად, მაგრამ...

— ეგ რომელი, შორენასი?

— იცნობთ შორენას? — თითქოს გაუხარდა.

— როგორ არა, ვიცნობ. ნახვამდის, დიდი მადლობა.

— ნახვამდის, ნახვამდის, — იჭვნეულად ჩაილაპარაკა ნინოს დედამ და ფეხებიდან თმის ძირამდე ისეთი მზერით ამათვალიერა, თითქოს ყველა წვრილმანის დამახსოვრებას ცდილობსო.

ვიცოდი, შორენა იქვე, ახლოს რომ ცხოვრობდა, მაგრამ ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, ამიტომ პირველსავე შემხვედრს ვკითხე. სულ რამდენიმე მეტრის გავლამ მომიწია. გაჩახჩახებული ფანჯრებიდან მუსიკის ხმა და ხმამაღალი შეძახილები ისმოდა. ჭიშკარზე მიმაგრებულ ზარის ღილაკს თითი მთელი ძალით მივაჭირე და მანამ არ ავუშვი, ვიდრე ვილაცის მოახლოებული ნაბიჯების ხმა არ გავიგონე.

— ვინ არის? — გაისმა პატარა ბიჭის ხმა და იმავდროულად კარიც გაიღო.

— გამარჯობა, როგორ ხარ?

— გმადლობ, კარგად... — დაიბნა ბიჭი. — მობრძანდით...

— არა, ვერ შემოვალ, მეჩქარება. შეგიძლია ნინოს დაუძახო?

— კი, ახლავე, — თავი დამიქნია და მკვირცხლად გატრიალდა, არც უკითხავს, რომელ ნინოსო.

ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. გრძელბეწვიან მოსასხამში გახვეული ნინო მალევე გამოჩნდა. ჩემს დანახვაზე თვალები ჯერ გაუფართოვდა, მერე გაუბრწყინდა.

— ზაზა?!

— როგორ ხარ?

— არა მიშავს. რამე მოხდა?

— არა.

— რაღაც სხვანაირი ხარ...

— ცოტა დავლიე და...

— არა, დალევა არაფერ შუაშია. სხვანაირად ხარ სხვანაირი.

— როგორი?

— რა ვიცი... მითხარი, რა მოხდა?

— არაფერი-მეთქი, არ ვთქვი?

— მაშინ რატომ მოხვედი? ვინ გითხრა, აქ რომ ვიყავი?

— დედაშენმა.

— აჰა-ა-ა... გასაგებია... მიდი, თქვი, რა გჭირს... — ოდნავ გაუცივდა ხმა.

— ყველაფერი კარგადაა, მაინცდამაინც რამე უნდა მომხდარიყო? — უკვე ვნანობდი, რომ მოვედი, მაგრამ უკან დახევა გვიან იყო.

— რა ვიცი... როდის ერთხელ ყოფილა, რომ მაკითხავდი, თანაც სხვის სახლში?

— შენ როგორ ხარ?

— მშვენივრად... — მხრები აიჩეჩა ნინომ და ბეწვი უფრო მჭიდროდ შემოიხურა, — შემოდი, რატომ ვიყინებით?

— არა, ვერ შემოვალ...

— დარწმუნებული ვარ, რაღაც მოხდა, სხვა შემთხვევაში არ მოხვიდოდი.

— შენ თვითონ გამოიტანე დასკვნა...

— ვერ გამომაქვს, ამდენი ჭკუა არ მყოფნის. იქნებ შეყვარებულმა განყენინა? — თვალი თვალში გამიყარა.

— მე მას კარგა ხანია, დავშორდი, — ხმადაბლა ჩავილაპარაკე და მზერა ავარიდე.

— დაშორდი? მერე? ჩემგან რა, შვებას ელი?

— ჰო, რაღაც ამდაგვარს, არ შეიძლება?

— რაზე იჩხუბეთ? — ჩემი კითხვა უპასუხოდ დატოვა.

— დავიღალე მისი ეჭვიანობით... ბოლოს მივხვდი, რომ მასთან ყოფნა მხოლოდ ტკივილს მაყენებდა, მეტს არაფერს.

— კარგია, თუ მიხვდი. გილოცავ, — ცინიკურად ჩაიცინა.

— რა გაცინებს?

— შენ რომ მასთან ყოფნა არ გინდა, ის. უბრალოდ, გამიკვირდა.

— სამაგიეროდ, მას უნდა ჩემთან ყოფნა, მე კი საბოლოოდ უარი ვუთხარი. დავემშვიდობე და წამოვედი. ფაქტობრივად, პატარა შურისძიება გამომივიდა. თუმცა... მაინც შემეცოდა.

— შურისძიება და შეცოდება ორივე საშინელი გრძნობაა. გავა დრო და თავად შენზე იმოქმედებს ცუდად, გაგიჭირდება. აი, ფაქტი უკვე სახეზეა.

— სამაგიეროდ, გავაკეთე ის, რაც იმ მომენტში ძალიან მინდოდა.

— შენი საქმისა შენ იცი... აბა, ახლა ის მითხარი, მე რატომ გაგახსენდი. ცოტა ჩქარა, თორემ გავიყინე. აქ შენს სანახავად კი არ მოვსულვარ, — ეშმაკურად გაიღიმა.

— აბა, რისთვის მოხვედი?

— მეგონა, ვინმე სხვა მეძახდა. შენ საერთოდ არ გელოდი.

— რატომ?

— რისთვის უნდა დაგლოდებოდი? შენ რა, მზე ხარ? თუ სინათლე გვირაბის ბოლოში?

— ამწუთას ვერც ერთს გავქაჩავ, ვერც მეორეს, ძალა არ მეყოფა, — გახუმრება ვცადე და მხარზე ხელი მოვხვიე.

— მართალი ხარ, ვერ გაქაჩავ, რადგან არასწორად იქცევი. გამიშვი ხელი, — გამიძალიანდა და გვერდზე გადგა.

— რატომ, ასეთი უსიამოვნოა შენთვის ჩემი შეხება?

— არა, უბრალოდ, არ მინდა შემეხო, ვინმე დაგვინახავს.

— მერე რა?

გაოცებით ამომხედა.

— რატომ მიყურებ ასე, აღარ გიყვარვარ?

— მომისმინე, ზაზა... — აღშფოთებულმა დაიწყო. — რა გინდა, არ მეტყვი, ბოლოს და ბოლოს? იქნებ მხოლოდ იმის სათქმელად მოხვედი, რომ მახარო, როგორ დაშორდი მას?

— მიპასუხე, აღარ გიყვარვარ?

— რომელ სიყვარულზე მელაპარაკები, საუკუნეა, არ მინახავხარ... დამავიწყდა კიდეც შენი არსებობა!

— ცრუობ! თვალები გაგირბის, — თავი დავხარე და მის თვალებში ჩახედვა ვცადე.

თავი გვერდზე მიაბრუნა.

— არ ვიცი, შენ რას ხედავ, მაგრამ არ მინდა შემეხო. მორჩა და დამთავრდა!

— ეგ რა შუაშია? არც მიცდია, ხედავ? ხედავ, შენგან მოშორებით ვდგავარ, უკვე რამდენი წუთია.

— წადი სახლში, ნასვამი ხარ, — გაბრაზებულმა მიბრძანა.

— ჯერ ჩემს კითხვაზე გამეცი პასუხი და მერე გადავწყვეტ, წავიდე თუ დავრჩე.

— რატომ მაინცდამაინც ამაღამ მოგინდა ამის გაგება? სულიერ სიმარტოვეს განიცდი?

— არა. უბრალოდ, მინდა, რომ ისევ დამიბრუნდე.

სიბნელეში მისმა თვალებმა ელვასავით გაანათა.

— შენ დაგავიწყდა, რომ დღეს პირველი აპრილი არაა. არ გირჩევ ჩემს მოტყუებას.

— ვიცი, არ გჯერა ჩემი, ვიცი, გული რომ გატკინე, მაგრამ ახლა იმისთვის მოვედი აქ, რომ ჩემი შეცდომა გამოვასწორო.

— მთვრალი არაჩვეულებრივად თამაშობ შენს როლს. თვალებიც როგორი სევდიანი გაგიხდა...

— გგონია, ვთამაშობ? გგონია, ეს ყველაფერი მოვიგონე? გეფიცები, არ გატყუებ. დამიჯერე, მართლა მინდა შენთან ყოფნა, სიმთვრალე არაფერ შუაშია, შენ თვითონ არ მითხარი ახლახან?

— რა ტრაგიკული სიტყვებია... პირდაპირ ტირილი მინდება, — ნინო უფრო და უფრო შეუვალი ხდებოდა.

— ნუ დამცინი, ნინ!

— ღმერთო ჩემო! ვერ გავიგე, რა ხდება. მე რატომ მომადექი? ახლა გაგახსენდი, რომ ვარსებობ? დაგელია ქალები?

— არა, არ დამელია. უბრალოდ, მე მათთან არ მინდა. მხოლოდ ერთთან მინდა, რომელიც ვიპოვე, მაგრამ ვერ შევინარჩუნე... — ისევ მოვხვიე ხელი.

— ჰოდა, დასკვნები მე კი არა, შენ თვითონ გამოიტანე და სხვა ეძებე!

— სხვა არ მინდა. მხოლოდ შენ მინდიხარ.

— რა გვიან მიმხვდარხარ ამას!

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

წამით დადუმდა, მერე ჯიქურ შემომხედა და დემონსტრაციულად წარმოთქვა:

— როცა გინდა, უნდა მოიპოვო, ასე ადვილად არ ხდება!

— გსურს, თავი დავიმცირო შენ წინაშე? გინდა, მუხლებზე დავეცე?

— არა, ეგ მეთოდი არ გამოგადგება. მინდა, დამიმტკიცო, რომ მართლა გჭირდები.

— როგორ?

— მე რა ვიცი? შენ ხომ ზრდასრული ადამიანი ხარ... მოიფიქრე.

გავიღიმე, ჩემკენ მოვიზიდე და კოცნა დავუპირე.

— ოღონდ კოცნა არ გინდა! — ისევ გამიძალიანდა.

— რატომ?

— იმიტომ... რატომ უნდა მაკოცო?

— ნუთუ ქალს რომ აკოცო, აუცილებლად მიზეზი უნდა არსებობდეს?

— აბა, რა! მასაც უნდა უნდოდეს ეს.

— მაგრამ ეს მხოლოდ მე მინდა, არა?

— ჰო... მე კი არ მინდა.

— იტყუები.

— არა.

— მე შენთან მინდა, დამიჯერე.

— უკვე გითხარი, თუ გინდა, მოიპოვე!

— მინდა, რომ პასუხი დღეს მითხრა, ახლავე, ამწუთას — იქნები თუ არა ჩემთან. გადაწყვიტე! — მკაცრად ვთქვი და ხელი გავუშვი, განზე გავდექი.

გაჩუმდა. ერთხანს დაფიქრებით მიყურა, თითქოს გადაწყვეტილებას იღებსო, მერე ღრმად შეისუნთქა, ლოყები დაბერა, ჰაერი სვენებ-სვენებით გამოუშვა და... ძალიან ნელა გატრიალდა. უკვე ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა. არ მინდოდა, მაგრამ ვიცოდი... ამიტომ, სანამ რამეს მეტყოდა და გულს მომიკლავდა, დავასწარი.

— მაპატიე, ნინო, გთხოვ, მაპატიე. ვიცი, საშინლად მოგექეცი, დეგენერატი ვარ, კრეტინი, უთავმოყვარეო, უპრინციპო, მაგრამ უნდა მაპატიო. იცოდე, რასაც ახლა გეტყვი, სხვა დროს არ გავიმეორებ... არასდროს, გესმის? არასდროს! ამიტომ ყურადღებით მომისმინე... გამომყევი ცოლად და ვიცხოვროთ ისე, როგორც მოსიყვარულე ცოლ-ქმარს შეეფერება, ქართულად, ტრადიციულად, — სათქმელი ბოლომდე ვთქვი და მივხვდი, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ ვიქცეოდი და არა მარტო ნატას, ჩემს თავსაც ვსჯიდი.

— შენ რა, სიყვარულის წესების დაცვას მთხოვ? — მომიახლოვდა და სახე ახლოს მომიტანა.

პასუხი დავუგვიანე.

— გესმის, რას გეუბნები?

— რა მითხარი?

— წესების მიხედვით გინდა მიყვარდე?

— რატომაც არა? უწესო სიყვარულს არ ჯობია?

— მაგრამ შენ ერთი რამ გავიწყდება, ჩემო კარგო. წესების დაცვა მანამ ხდება, სანამ სექსამდე მივა საქმე. სექსის დროს კი ყველა წესი ირღვევა. მე და შენ ეს „პუნქტი" უკვე გავიარეთ. ასე რომ, ჩვენ ერთად ბედნიერები ვერ ვიქნებით, შენც კარგად იცი.

— რატომღაც მგონია, რომ ჰეფი ენდს ძალიან ცუდად უყურებ. რატომ, გეშინია ბედნიერება ვინმემ არ წაგართვას?

— არა, უბრალოდ, ძვირად დაგვიჯდება. ჩემი სიყვარული საკმარისი არ არის მყარი ოჯახის შესაქმნელად. შენც უნდა გიყვარდე. ეს კი გამორიცხულია.

— რატომ გგონია?

— *იმიტომ, რომ შენი გული მისი* სიყვარულით არის სავსე. მაპატიე, მაგრამ მე მივიღე გადაწყვეტილება... უარს ვამბობ შენზე. არ მინდა შენთან ყოფნა და ეს ჩემი საბოლოო გადაწყვეტილებაა, რომელიც „გასაჩივრებას" არ ექვემდებარება, — თქვა და გაიქცა...

რაღაცის თქმა მინდოდა და სიტყვა შუაზე გამიწყდა... ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, უარი რომ მითხრა... ვერ

ვიჯერებდი, მტკივნეული რომ იყო ეს უარი. არადა, ჩემს მდგომარეობაში, პირიქით, უნდა გამხარებოდა, მე ხომ მართლა არ მიყვარდა იგი.

მიმიხვდა, რომ ვიყენებდი... მიმიხვდა და არ მაპატია. თურმე მართალი ყოფილა, როცა ამბობენ, ყველაზე იოლი ყველაზე თავხედური ტყუილის თქმა არისო. ასეთი ტყუილების ქალებს ყოველთვის სჯერათ. აქამდე ეს ყოველთვის ჭრიდა, ყველა სხვა ქალთან, მასთან კი არ გაჭრა... მან არ დაიჯერა.



არ დაიჯერა და დამსაჯა... თავისებურად დამსაჯა, ქალურად... წავიდა და ერთხელაც არ მოუხედავს უკან...

თეატრში დავბრუნდი და არყის სმა გავაგრძელე... ისევ უინტერესოდ. ისევ მომეძალა „ამაყი მარტოობა"... მერე რა, ხვალაც ასე დავთვრები, ზეგაც, მომდევნო დღეებშიც... მანამ, სანამ ჩემი ცხოვრება საინტერესო არ გახდება. მერე კი...

მერე კი... შეიძლება სხვისი ცხოვრებითაც დაინტერესდეს ადამიანი!..

ახალმა წელმა უხალისოდ ჩაიარა. ვსვამდი და ვფხიზლდებოდი, ვფხიზლდებოდი და ვსვამდი. ბოღმას და დარდს სასმლით ვიკლავდი... მერე დროებით ერთი ქერათმიანი გოგონა გაიჩითა ჩემს უინტერესო ცხოვრებაში... მორიგი მაჟორული ქალი... მერე რა, რომ დროებითი აღმოჩნდა ეს რომანი, ხანმოკლე, როგორც გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა — უცებ დაწყებული და უცებ დამთავრებული. დრო ხომ გამაყვანინა? ჰო, გამაყვანინა, მაგრამ ვერ მიშველა. თვალწინ სულ ნატა მედგა — მისი ღიმილი, გამოხედვა, ხმა, სიყვარულით გამთბარი თვალები... ის ჩემთვის ყველაფერი იყო — შიმშილი, აფეთქება, ნერვები, თრთოლა, დაჭიმული სიმები, მაჯისცემა, სიშიშვლე, გაბნეული ნოტები, მაქსიმალიზმი... ის სურვილი იყო, ლტოლვა, ვნება, ოცნება, ჟინი... ყველაფერი, ყველაფერი...

და ვეღარ გავძელი... მის გარეშე ცხოვრება აუტანელი გახდა. დავურეკე... გვიან, როგორც ყოველთვის, თორმეტის შემდეგ... ძველით ახალ წელს...

პირველსავე ზარზე აიღო ყურმილი, თითქოს მთელი დღე ტელეფონთან იჯდა და მელოდა...

— გამარჯობა! — ვთქვი მე.

— გაგიმარჯოს! — ეს — მან.

— როგორ ხარ?

— ბრწყინვალედ. რომელი ხარ?

— მე ვარ.

— ვინ „შენ"?

— უკვე დაგავიწყდი?

— რატომ დამირეკე?

— ვიფიქრე, ახალ წელს მივულოცავ, ბედნიერებას, წარმატებას ვუსურვებმეთქი... მინდა, მთელი ცხოვრება თავდაჯერებულმა იარო...

— გმადლობ.

— რატომ ერთხელ არ დამირეკე?

— უნდა დამერეკა? ვალდებული ვიყავი?

— არა, ვალდებული არ იყავი.

— მაშინ ნუღარ მეკითხები.

— როგორ მიდის სწავლის საქმეები?

— არაჩვეულებრივად.

— ვიცი, ნაწყენი ხარ ჩემზე, ამიტომაც დაგირეკე. არ მინდა ახალ წელს ძველი წყენები გადმოგვყვეს.

— არ გინდა ეს თეატრი და ლირიკა.

— არც მიფიქრია. თეატრი რომ მნდომოდა, დაგპატიჟებდი ჩემთან, ფრაკში გამოვეწყობოდი, სიგარას გავიჩრიდი პირში და გიტარაზე ავათამაშებდი თითებს.

— მის გარეშეც მშვენივრად შეგიძლია თამაში... ცხოვრებაში.

— რატომ მეუბნები ამას? არ მოგბეზრდა ჩემთვის ტკივილის მოყენება?

— ღმერთო ჩემო, ვინ ამბობს ამას! ლამის გამთელე, გამანადგურე და კიდევ მე გაყენებ ტკივილს?

— მოდი, ცოტა ხნით გავჩუმდეთ, გავუღიმოთ ერთმანეთს ყურმილში და მერე...

— რა მერე?

— ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

— არა, ზაზა, არ მიყვარს ნულიდან დაწყება. როგორც ხედავ, შენი სიყვარულის ფონზე ჩემი აშკარად წაგებულად გამოიყურება, ისევე, როგორც ჩემი ცხოვრება. შენ არაფერი გააკეთე იმისთვის, რომ ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო. გული მიგრძნობს, არც შემცდარხარ. შენი ერთი შემოხედვა, ერთი სურვილი საკმარისი გახდა, სრულ სიმარტოვეში აღმოვჩენილიყავი. ამაში მე ვარ დამნაშავე... მე თვითონ გავაკეთე ეს... ვიცოდი, რაზეც მივდიოდი, მაგრამ არ შევჩერდი. ჩემი ბრალია. თავად მივაყენე ტკივილი საკუთარ თავს. თავად ვთქვი უარი შენზე. ჩემით წავედი. ჩემით შევურიგდი ბედს, თავად გამოვიხურე კარი, თავად გაგიშვი ხელი, თავად ვთქვი უარი ყველაზე ბედნიერ წუთებზე... და თურმე იმისთვის, რომ ნაკლებად ბედნიერი წუთები მეპოვა, იმისთვის, რომ სხვისი, ნაკლებად სასურველი ღიმილი დამეჭირა, თუმცა... შევეჩვევი, რადგან მხოლოდ ამას ვიმსახურებ, ალბათ მეტის ღირსი არ ვარ. სხვა შენსავით არასდროს მეყვარება, მაგრამ ის თქვენ ყველას გაჯობებთ. ის მიმიღებს ისეთს, როგორიც ვარ — ყველა ჩემი დადებითით და უარყოფითით. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, რომ მძულდი, მაგრამ შევცდი. ეს არ ყოფილა სიძულვილი. არ დაგიმალავ, რაღაც წამებში გაიელვა კიდეც, თუმცა მალევე გაქრა. წყენა? წყენა დამრჩა და იგი შენს სახელთან გავაიგივე, როგორც სინონიმი. ჰოდა, აი, ასე — ფინიტა ლა კომედია! მე ჩემი გზით წავედი, შენ — შენით, თან ისე, რომ ნაკვალევი არ დაგვიტოვებია. მშვიდობით... წარმატებებს გისურვებ...

ყურში დიდხანს ჩამესმოდა წყვეტილი ზუმერის ხმა...

გულდამძიმებული ლოგინზე მივეგდე... მორჩა, მე აღარ ვარსებობ. რატომ მეგონა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება შეიძლებოდა? ფერფლისგან ფენიქსი შეიძლება აღდგეს და არა სიყვარული. მისი ყოველი სიტყვა ჯოჯოხეთურ ტკივილს მაყენებდა, მაგრამ ის, რაც ჩემს სულში ხდებოდა, ამ ტკივილზე უარესი იყო.

მაჯობა... ტკივილშიც კი მაჯობა. და...

იმდენად ძლიერი იყო მასზე შურისძიების წყურვილი, თვითგანადგურება გადავწყვიტე... გადავწყვიტე და დავიწყე... იქვე, მაშინვე, იმ წუთებიდანვე...

შედეგი? ჰმ... მეორე დღეს, საღამოს, ბიჭები შევკრიბე, ნინო სახლიდან გამოვიყვანე და... ცოლად შევირთე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲯᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲭᲥᲣᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

1. რა არის დუგლუგი?

2. რა ბედი ეწია იმ მაღალჩინოსანი ფაშისტების გვამებს, რომლებიც ნიურნბერგის პროცესზე გამოტანილი განაჩენის თანახმად ჩამოახრჩვეს?

3. რას ნიშნავს სიტყვა „მხცე“?

4. რა ჰქვია ტორეადორის წითელ მოსასხამს?

5. რომაელთა სამ არმიას შორის მომწყვდეულმა ამ მხედართმთავარმა უკანასკნელი ბრძოლის წინ საკუთარ ცხენს თავისი მეომრების თვალწინ ხმლით მოუღო ბოლო: „თუ დავმარცხდებით, — თქვა მან, — მე იგი აღარ დამჭირდება, თუ გავიმარჯვებთ, მტრის საჯინიბოებში საუკეთესო ცხენებს ავარჩევ!“ დაასახელეთ იგი.

6. დაასახელეთ მხატვრული ფილმი, რომლის გადაღების შემდეგაც, რეჟისორმა ლეონიდ გაიდაიმ სათამაშო ვირების კოლექციის შეგროვება დაიწყო.

7. დაასახელეთ ქართველი პარლამენტარი, რომელსაც 11 დოკუმენტური ფილმი აქვს შექმნილი.

8. დაასახელეთ ხილი, რომელსაც დამწყები ქირურგები ხელის გასავარჯიშებლად, სკალპელით ჭრიან და შემდეგ ცდილობენ, იუველირის სიზუსტით, გაკერონ.

9. დაასრულეთ ლენინგრადელთა ლოზუნგი, რომელიც 1942 წლის მაისში იქნა წამოყენებული: „ყველა ლენინგრადელს უნდა ჰქონდეს საკუთარი...“

10. „ონ ბილ დისპეჩერომ მატჩა. ონ კაკბი პუტეშესტვოვალ პო პოლიუ. ნიკაგდა ნე უადნიჩალ, ვსეგდა რაბოტალ ნა კამანდუ“, — რომელი ქართველი ფეხბურთელის შესახებ ამბობდა ამას კომენტატორი ვლადიმირ პერეტურინი?

11. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების რომელი გმირი წუხდა: „მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელი კახეთის ღვინო ვერ მომერეოდა“?

12. ახალ ორლეანში შეუძლებელია სახლის გაყიდვა, თუ მფლობელს ხელზე არა აქვს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ მის სახლში არ ბინადრობენ ეს მწერები, რომლებსაც ძალა შესწევთ, რამდენიმე წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ დაშალონ საცხოვრებელი სახლი. მათ გასანადგურებლად მხოლოდ ერთი გზა არსებობს: სახლს ზემოდან უზარმაზარ ფარდაგს აფარებენ, შიგნით გაზს უშვებენ და 48 საათის განმავლობაში ხელუხლებლად ტოვებენ. ვის ებრძვიან ასე თავგამოდებით ახალ ორლეანში?

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ

***

— ჭამე, შვილო, პური!

— არ მიყვარს პური.

— ჭამე და დიდი და ღონიერი გაიზრდები.

— რაში მჭირდება?

— პურის ფული რომ იშოვო.

— ხომ გითხარი, პური არ მიყვარს-მეთქი.

***

ავტობუსი გადაჭედილია. ამოდის მოხუცი ქალი. ავტობუსში მჯდომი ბავშვი ეკითხება:

— ბებო, ფეხები გტკივა?

— კი, შვილო, მტკივა.

— ბავშვობაში მოხუცებულებს ადგილს უთმობდი?

— კი, ვუთმობდი.

— ჰოდა, მაგიტომაც გტკივა.

***

დედა შედის 16 წლის გოგონას ოთახში და მაგიდაზე ხედავს წერილს: მაპატიე, დედიკო, მე გავყევი

ჩემს ახალ ბოიფრენდ აჰმედს. ჩვენ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ის ისეთი მშვენიერია თავისი სვირინგებითა და საყურეებით, მას ისეთი კარგი მოტოციკლი ჰყავს, რომ... მაგრამ მთავარი ისაა, რომ მე მისგან ფეხმძიმედ ვარ. აჰმედმა მითხრა, რომ ჩვენ ძალიან ბედნიერები ვიქნებით მის ტრაილერში, ტყის პირას რომ დგას, გვეყოლება უამრავი შვილი. მე აჰმედისგან იმდენი ახალი რამ გავიგე! ეს მარიხუანა არც ისე ცუდი რამ ყოფილა. ჩვენ აუცილებლად მოვაშენებთ მას ჩვენს ეზოში, ტრაილერის გარშემო ჩვენთვის და ჩვენი მეგობრებისათვის, ისინი კი არ მოგვაკლებენ კოკაინსა და „ექსტაზის“. მანამდე იქნებ მეცნიერებმა შიდსის წამალიც გამოიგონონ, რათა აჰმედს ტკივილი ოდნავ მოეხსნას. დედა, შენ ნუ ინერვიულებ, მე უკვე დიდი გოგო ვარ. ალბათ ოდესმე ჩამოვალთ და გინახულებთ, ბავშვებსაც განახვებთ. გკოცნი, შენი უსაყვარლესი გოგონა.

P.S. დედიკო, ეს ყველაფერი ხუმრობა იყო, მე მეზობელთან ვარ გადასული. ეს კი იმიტომ დავწერე, მიხვდე, რომ ამქვეყნად გაცილებით უარესი ამბები ხდება, ვიდრე ჩემი საშემოდგომო გამოცდაა, რომელიც დღეს გამომყვა.

***

ერთი სათნო კაცი გარდაიცვალა და სამოთხეში მოხვდა. უცებ ხედავს, ფაეტონით და მუსიკით ეშმაკები მოქრიან:

— წამოდი ჩვენთან, ჯოჯოხეთში, დასალევი გვაქვს, ქალები, ათასგვარი გასართობი, არ ინანებ!

კაცი სამი დღით დაეთხოვა და უკან შთაბეჭდილებით აღსავსე დაბრუნდა. შემდეგ მეორედ, მესამედ... საბოლოოდ კაცმა ჯოჯოხეთში დარჩენა გადაწყვიტა და ღმერთს ნებართვა სთხოვა. ღმერთმა თავი გადაქნია და ნება დართო.

ეშმაკებმა ახალმისულს მაშინვე ცხელ კუპრში უკრეს თავი.

— რას შვრებით, ბიჭებო, ჩვენ ხომ ერთად ვქეიფობდით და ვგრიალებდით!...

— ეეე, ძმაო, შენ ტურიზმსა და ემიგრაციას ერთმანეთში ნუ ურევ!..

***

— გოგონა, დაწვები ჩემთან 100 დოლარად?

— რა თქმა უნდა, არა!

— აუ, ძალიან გთხოვ რა, ძალიან მჭირდება ეგ ფული!

***

ბანკში:

— გეთაყვა, დროზე მოიფიქრეთ, ფულის გატანა გნებავთ თუ შემოტანა?

— რა თქმა უნდა, გატანა... ოღონდ ვერ გამიგია, სად შევინახე ჩემი პისტოლეტი...

***

ექიმის კაბინეტში ძლივს შეეტია ჭარბწონიანი ქალბატონი.

— ცოტა უნდა ჭამოთ, — ეუბნება ექიმი.

— მხოლოდ ქმრისა და შვილების დატოვებულ საჭმელს ვჭამ...

— ღორი შეიძინეთ!

— ღორის საჭმელი არ მიყვარს!..

***

ციხის ერთი ზედამხედველი მეორეს ეუბნება:

— წარმოგიდგენია, მეექვსე კამერიდან ელგუჯა გაიქცა!

— მადლობა ღმერთს! ნერვები დამაწყვიტა მაგისი ქლიბის წრიპინმა!...

***

— გული მიკვდება, როცა ამ დასპირტულ ცხოველებს ვხედავ!

— რას ამბობთ, აქ ხომ სულ სამი ბაყაყია.

— საქმეც ეგ არის — სამი ბაყაყია, სპირტი კი ათ ლიტრამდე იქნება.

***

გვიანი ღამეა. ცივა. ლუდის ბარის გვერდით დგას მთვრალი მამაკაცი. გამვლელი ეკითხება:

— აქ რატომ იყინებით, შიგნით მაინც შედით.

— ამ წუთში გამომაგდო ბარმენმა... მის ცოლს ვეარშიყებოდი...

— მაშინ, შინ რატომ არ მიდიხართ?

— ბარმენი დაიმუქრა, ცოლსაც გარეთ გამოვაგდებო.

***

— საინტერესოა, კაცთან რომ მივიდეს ქალი და უთხრას, ნებისმიერ ორ სურვილს შეგისრულებო, მეორე სურვილი რა იქნება?

***

ღამის გასათევად ტყეში დარჩენილ ორ მონადირეს დათვი დაადგა თავზე. ერთი ფრთხილად იწყებს ჩექმების გახდას.

— რას აკეთებ? — ჩურჩულით ეკითხება მეორე.

— ფეხშიშველი უფრო სწრაფად დავრბივარ.

— ხო არ გაგიჟდი?! გაქცევა არც იფიქრო. სულერთია, დათვს მაინც ვერ გაასწრებ.

— დათვის გასწრება არც მიფიქრია, მთავარია, შენ გაგასწრო.

ჟონგლის საშარჭილო

„გზის“ ერთგულიმკითხველისათვის

(პასუხები)

1. „დუგლუგი“ და „კონდახი“ სინონიმებია.
2. ჩამოხრჩობილთა გვამები დახაუს ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის ღუმლებში დაწვეს. ცხედრები ისევე გაანადგურეს, როგორც მანამდე ფაშისტები გაზის კამერებში დახოცილ ებრაელთა გვამებს ანადგურებდნენ.
3. ჭალარას (აქედან წარმოდგება სიტყვა „მხცოვანი“.)
4. მულეტა.
5. სპარტაკი.
6. „კავკასიელი ტყვე ქალი“.
7. გია თორთლაძე.
8. ბანანი.
9. „...ბოსტანი“ (ბლოკადით დაშინებული ლენინგრადელები ყველა გაზონზე, ქალაქის ცენტრშიც კი, თუკი სადმე მიწის ნაკვეთი მოიპოვებოდა, კარტოფილს თესავდნენ).
10. დავით ყიფიანის შესახებ.
11. ლუარსაბ თათქარიძე.
12. ტერმიტებს.

ჩვენი ფოტოალბომი



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ (სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

ახალი წელი

აი, ახალი წელიც ახლოვდება... ბევრი ჩვენგანი 31 დეკემბერს ღამეს ჩვეულებრივი ცდუნების წინაშე დგება და ახალი წლის პირველსავე დღიდანვე, საკუთარ თავს სრულიად ახალ ცხოვრებას ჰპირდება. სტანდარტულ საახალწლო სურვილებში, პირველ რიგში იგულისხმება, რომ ყველაფერი ცუდი და უსიამოვნო ძველ წელს გავატანოთ და 1-ელი იანვრის ღამეს იმედითა და ნატვრით შევხვდეთ.

როგორ ჩაიარა კიდევ ერთმა წელმა? საბედნიეროდ, ჩვენი აუხდენელი თუ ასახდენი ოცნებების სიაში სიყვარული ყოველთვის პირველ ადგილს დაიკავებს. ასეა — უსიყვარულოდ ცხოვრება უინტერესოა — თუნდაც ტკივილიანი, უპასუხო სიყვარულიც კი სჯობს მის არარსებობას. გსურთ, თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა მომავალი წლიდან უფრო იღბლიანი იყოს? მაშინ გირჩევთ, ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ახალი წლის შესახვედრად მხოლოდ გოზინაყი, საცივი და შამპანური არ კმარა. ეს ყველაფერი რომ შეირგოთ, სასურველია, სადღესასწაულო განწყობილება შეიქმნათ და იგი არა მარტო საახალწლო ღამეს, არამედ რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ.

თურმე ჩვენი მხიარულება — სიცილი, ცეკვა თუ სიმღერა, არც მეტი და არც ნაკლები, ქიმიურ ნივთიერებაზე — ენდორფინზე ყოფილა დამოკიდებული. ეს ნივთიერება კი ტვინმა რომ გამოყოს, პროვოცირებაა საჭირო.

როგორ შეიქმნათ საზეიმო განწყობილება

საამისოდ, პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, რა ცვლილებები ხდება ადამიანის ორგანიზმში, როცა ის კარგ ხასიათზეა. ამ დროს ტვინი გამოყოფს ორგანულ ნივთიერებას. ე.წ. ენდორფინს, რომლის ზემოქმედება აისახება ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, უსაყვარლესი ადამიანის დანახვა, საქმეში წარმატება, ფულის მოგება... თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ ადამიანს მაინც ეცვლება მიმიკა, საუბრის მანერა, გულის ცემის რიტმიც კი. რა ხდება? — შესაძლოა, ეს სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვანაირად ახსნას. სინამდვილეში კი ტვინმა ორგანიზმისთვის ნარკოტიკის მსგავსი ნივთიერების (ენდორფინის) მიწოდება შეწყვიტა და შესაბამისად, ამაღლებული განწყობილებაც გაქრა. როგორ უნდა მოვიქცეთ, კარგი გუნება რომ შევინარჩუნოთ? — აუცილებელია ახალი „გამაღიზიანებლის" მოძებნა და ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რადგან ჩვენს ორგანიზმში „ნარკოტიკის" გამოყოფას ჩვენვე ვაკონტროლებთ. ერთი სიტყვით, ჩვენს კარგ ხასიათზე ყოფნის პროვოცირება ჩვენსავე ხელშია. ეს რომ გამოგვივიდეს, პირველ რიგში, კარგად უნდა ვიცნობდეთ საკუთარ თავს. მაშ ასე, ენდორფინი გამოიყოფა, როცა: ადამიანს რაღაცის მიმართ ინტერესი აქვს; როცა სიახლის მოლოდინშია; როცა სასიამოვნო ამბის გაგებას ესწრაფვის; როცა რაღაც ახალს გეგმავს და სიტუაციის ბატონ-პატრონია; როცა მიზნისკენ მიმავალ გზაზე აქტიურობს და პიროვნული ზრდის მოთხოვნილება აქვს.

ფერები, მელოდია და მუსიკა

რომელი ფერი როგორ მოქმედებს ადამიანზე, ეს ზოგადად ცნობილია, მაგრამ შეიძლება კონკრეტულ ადამიანთან ზოგადი პრინციპები არ გამოდგეს. მაგალითისთვის, საღესასწაულო განწყობილება ასოცირდება ღია ფერებთან, ენერგიულობა — წითელთან, თეთრი — სისუფთავესთან. თუმცა არ არის გამორიცხული, იგივე წითელი ფერი ვინმეში უარყოფით ემოციას იწვევდეს, ვინაიდან უსიამოვნო ამბავს აგონებდეს.

რაც შეეხება მუსიკას, აქაც ზუსტად იგივე რამ ხდება. არსებობს მელოდიები, რომლებიც კარგ განწყობილებას მომენტალურად უზრუნველყოფს და — პირიქით. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ დადებითი ემოცია შეიძლება ისეთმა მელოდიამაც შეგვიქმნას, რომელიც ზოგადად მხიარულებასთან არ ასოცირდება. ის სიმღერა კი, რომელიც ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდს უკავშირდება, მასზე ყველაზე დადებით ზეგავლენას ახდენს. რაც შეიძლება ხშირად მოუსმინეთ თქვენს საყვარელ სიმღერებს და უპირატესობა მიანიჭეთ იმ ფერებს, რომლებიც ენდორფინის გამოყოფაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

ახალი წელი — დღესასწაულია მეფე

ერთ-ერთი დღესასწაული, რომლის მოახლოება ნებისმიერ ადამიანს ახალისებს, ახალი წელია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალ წელს აქვს თავისი რიტუალური მხარე (ნაძვის ხის მორთვა, გოზინაყის, საცივის მომზადება, ახლობლებთან სტუმრობა და მოლოცვა...), რომელთა შესრულება დადებითი განწყობილების თანხლებით ხდება.

ახალი წლის დღესასწაულს „ავტომატურ რეჟიმში" კარგ ხასიათზე მოჰყავს ადამიანი — ანუ არავინ სვამს კითხვას: რატომ უნდა ვიყო მხიარულად, ან რატომ უნდა მოვრთო ნაძვის ხე ბრჭყვიალა სათამაშოებითო? — რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, ყველანი ამ რიტუალს ვასრულებთ. ბევრი ამბობს, ახალი წელი ბავშვობასთან მაბრუნებსო. ე.ი. რა ხდება? — ყველა ბავშვი ახალ წელს საოცრებებს ელის და ეს მოლოდინი დიდობაშიც არ ქრება. მაშ, მორთეთ ნაძვის ხე, გაშალეთ საახალწლო სუფრა და ნატვრაც ჩაუთქვით. გახსოვდეთ, საახალწლო განწყობილება გადამდებია.

დავიწყეთ ძველი წყენა

ერთი რამ უდავოა — დღესასწაულებზე ადამიანები უფრო მიმტევებლები ხდებიან, ივიწყებენ წყენას და მზად არიან, ერთმანეთს სიკეთე უსურვონ. ერთმანეთის ლხინის გაზიარებაც ერთგვარი რიტუალია. როგორც ამბობენ, ქვეყნად უკვალოდ არაფერი იკარგება — ანუ თუ დადებითი ენერგიის გამცემი ხარ, ის აუცილებლად დაგიბრუნდება. დღესასწაულს თან ახლავს დადებითი ენერგიის გაცვლა. მოკითხვამ, დალოცვამ, საჩუქარმა უხალისოდ მყოფ ადამიანსაც კი შეიძლება ხასიათი გამოუკეთოს, დადებითი ემოცია გაუძლიეროს — ე.ი. ისიც არ დავიწყებიათ, ახსოვთ და უყვართ. ასე რომ, დაეხმარეთ ერთმანეთს დადებითი ემოციის „პროვოცირებაში", ნუ დაგენანებათ თბილი სიტყვები.

რაც შეეხება სასმელს...

სასმელიც სადღესასწაულო რიტუალის ნაწილია, თუმცა განწყობილების შეცვლა სულაც არ არის დამოკიდებული მიღებული სასმლის რაოდენობაზე. აქ სხვა რამეს — დალოცვასა და ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნების რიტუალს ექცევა ყურადღება. და, რაც ყველაზე მთავარია: სასმელი, სადღეგრძელო იძლევა მუხტს საიმისოდ, რომ თანამესუფრეს მიეხმატკბილო. სასმელი ერთმანეთის დადებითად შეფასებაშიც „გვეხმარება", შექება კი ადამიანს ახარებს.

ქალი და მამაკაცი

სადღესასწაულო განწყობილება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზეც დადებითად მოქმედებს, ვინაიდან ყველანაირ დღესასწაულს თან ახლავს სიახლე — იქნება ეს ინტერიერის, სუფრის დიზაინი, ულტრათანამედროვე ჩაცმულობა, ახლებური ვარცხნილობა, განსაკუთრებული მაკიაჟი თუ სხვა. მაგრამ ქალმა სიახლე არა მარტო სუფრაზე, არამედ ინტიმურ უთიერთობაშიც უნდა შეიტანოს. როდესაც ბინის ინტერიერს შეცვლით, არც საწოლი ოთახი დაგავიწყდეთ: კედლებზე ჩამოკიდეთ წითელი და ოქროსფერი სათამაშოები, საწოლები ლამაზი ბალიშებით მორთეთ.

ასე რომ, იმხიარულეთ, იხალისეთ. თავად თუ არ შეუქმნით საკუთარ თავს საზეიმო განწყობილება, სხვა ძნელად თუ მოახერხებს ამას. ბოლოს და ბოლოს, თუ მხიარულების ინიციატორი არ იქნებით, ის დადებითი მუხტი მაინც მიიღეთ, რომელსაც სხვები გაჩუქებენ.

საახალწლო ტრაპეზის წინ...

1 კვირაც და, ყველა ოჯახში სასიამოვნო, საახალწლო ფუსფუსი დაიწყება — იქნება ეს ნაძვის ხის მორთვა თუ საახალწლო სუფრისთვის მზადება. ალბათ თავადაც ხვდებით, რომ საახალწლო დღეები არა მარტო სასიამოვნო მოგონებას, არამედ რამდენიმე ზედმეტ კილოგრამსაც დაგვტოვებს. იმისთვის, რომ ინდაურის საცივსაც შევექცეთ და გოზინაყიც მშვიდად შევახრამუნოთ, ორგანიზმი წინასწარ უნდა მოვამზადოთ დიადი სადღესასწაულო ტრაპეზისთვის. როგორ? ახლავე მოგახსენებთ.

დღესასწაულამდე ერთი კვირით ადრე...

● ეცადეთ, ამ ხნის განმავლობაში მსუბუქად იკვებოთ. საუზმედ მიირთვით ხილი, რძიანი ბურბუშელა, იოგურტი ან წვენი. ყოველი ჭამის წინ თითო-ოროლა ხილი ან ბოსტნეული — მაგალითად, სტაფილო — ჩაახარმუნეთ. ასე ორ კურდღელს დაიჭერთ — შიმშილსაც მოიკლავთ და თან, ვიტამინებით მდიდარ, მაგრამ კალორიებით ღარიბ საკვებსაც მიიღებთ. ეცადეთ, ხშირად და მცირე ულუფებით იკვებოთ.

● არამც და არამც არ გირჩევთ მკაცრ დიეტაზე გადასვლას. დიეტით განწყობილებას გაიფუჭებთ და ახალ წელს ხალისიანად ვერარ შეეგებებით. წონა რომ შეინარჩუნოთ, ამისათვის საკმარისია, კვების ჩვეულება (სწორედაც რომ ჩვეულება და არა რეჟიმი) ოდნავ შეიცვალოთ:

● მიირთვით ნელა, 15 წუთი მაინც არის საჭირო, რომ თავის ტვინმა კუჭისგან დანაყრების სიგნალი მიიღოს. ასე რომ, ნუ აჩქარდებით, ლუკმები ნელ-ნელა დაღეჭეთ. პირველი კერძის (სავარაუდოდ — წვნიანის) მირთმევის შემდეგ, 15-იოდე წუთი შეისვენეთ და მეორეზე ისე გადადით.

● კერძი სწრაფად მოამზადეთ, მით უფრო, თუ დაუძლეველი შიმშილის გრძნობა დაგეუფლათ. ასე ნერვულ სისტემასაც დაზოგავთ და დროსაც. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გზადაგზა, ნაუცბათევად ისადილოთ ან ივახშმოთ.

● მომზადებისას კერძს რაც შეიძლება იშვიათად გაუსინჯეთ გემო.

● კბილები ყოველი ჭამის შემდეგ გამოიხეხეთ. ასე უფრო იოლად დაამარცხებთ შიმშილის გრძნობას, რომელიც მსუბუქი წახემსების შემდეგ გაგყვებათ ხოლმე.

● ხშირად სვით წყალი. ეცადეთ, საკვების მიღებამდე და ყოველ ორ საათში ერთხელ, თითო ჭიქა მაინც დალიოთ. უკეთესია, თუ მინერალურ წყალს მიირთმევთ — ამ გზით კუჭს უფრო იოლად „მოატყუებთ".

● კუჭის „მოტყუებაში" შემდეგი ხრიკებიც დაგეხმარებათ:

● კერძს რაც შეიძლება მეტი საკაზმი უყავით. შეკაზმული წვნიანი თუ სალათა გაცილებით იოლად მოგიკლავთ შიმშილის გრძნობას;

● შაქრის მაგივრად გამოიყენეთ თაფლი. შაქარი დესერტსაც დააკელით, სამაგიეროდ — მეტი ვანილი და მიხაკ-დარიჩინი უყავით.

● მომზადებისას კერძს ცხიმი მთლიანად მოხადეთ. ზოგადად კი უპირატესობა ვეგეტარიანულ კერძებს მიანიჭეთ — სწრაფადაც დანაყრდებით და არც ჭარბ კალორიებს შეიძენთ.

და კიდევ...

■ თუ სულმა წაგძლიათ, თავს ნუ დაიტანჯავთ, დღეში ერთხელ ჩაიკოკლოზინეთ ყელი თქვენი საყვარელი ნუგბარით, ოღონდ — არამც და არამც საღამოს.

■ ერთბაშად არასდროს თქვათ უარი კალორიულ საკვებზე. ყოველდღე 100-100 კკალ-ით ნაკლები მიიღეთ.

■ თავადვე მოიფიქრეთ ახალ-ახალი ნაკლებკალორიული კერძები.

■ ზედმეტი კილოგრამებისგან თავის დაღწევის ერთ-ერთ შეუცვლელ საშუალებად კვლავ რჩება ფიზიკური აქტივობა. ასე რომ, ნუ დაიზარებთ, წაივარჯიშეთ. უკეთესი იქნება, თუ სასარგებლოს სასიამოვნოსაც შეუთავსებთ და სახლის საახალწლო მორთვა-დაკრიალებას მიჰყოფთ ხელს. ამგვარად ზედმეტ წონასაც მოიცილებთ და საკუთარ თავსა და ოჯახის წევრებსაც აამებთ. ■

საახალწლო პაქსი

მასალად საჭირო:

500 გ ფქვილი, 175 მლ რძე;
1 პაკეტი საფუარი;
1/2 ჭიქა შაქარი, 1 პაკეტი ვანილი; 2 კვერცხი, 75 გ კარაქი;
100 გ ქიშმიში;
3 ს/კ კონიაკი;
50 გ გარგარის ჩირი;
1 ჩ/კ დარიჩინი;
მწიკვი მიხაკი;
1 ჩ/კ ლიმონის ცედრა;
100 გ გარგარის ჯემი.



მომზადების წესი:

გაცერით ფქვილი. გაათბეთ რძე, შეურიეთ საფუარი, შაქარი და ვანილი.

ფქვილი დაყარეთ დაფაზე, შუაში ღრმული გაუკეთეთ, ჩაასხით რძე და 10 წუთი გააჩერეთ, რათა ამოფუვდეს.

აფუებულ მასას მოაყარეთ ცოტაოდენი მარილი, შეათქვიფეთ კვერცხი, დაუმატეთ კარაქი და ამოიყვანეთ ცომი. შეფუთეთ და 30 წუთის განმავლობაში სითბოში გააჩერეთ.

ქიშმიშს დაასხით კონიაკი და ერთი საათით დატოვეთ, მერე კი თუშფალანგზე გადაიტანეთ, რათა ბოლომდე დაიწრიტოს.

კონიაკს შეურიეთ გარგარის ჩირი და ქიშმიში, მოაყარეთ დარიჩინი, ლიმონის ცედრა, ცომს შეურიეთ და კარგად მოზილეთ. მერე 30 წუთით კვლავ გააჩერეთ სითბოში. მანამდე კი ღუმელი 180 გრადუსამდე გაახურეთ.

ცომი ცხიმწასმულ ფორმაში მოათავსეთ და 45-50 წუთის განმავლობაში აცხვეთ. შემდეგ გადმოიღეთ და გაგრილება აცალეთ.

ჯემი ორთქლზე შეათბეთ და კულინარიული ფუნჯით კექსს კარგად გადაუსვით ზედაპირზე, შემდეგ, სურვილისამებრ, მორთეთ ნუშის მარცვლებითა და თხლად დაჭრილი ლიმონის რგოლებით. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ"

გამოცემის დასახელება	1ეგზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

ქ. თბილისი
ათსაბაძის ქ.№49
ტელ: 38-26-73; 38-26-74
ფაქსი: 38-26-74

ᲐᲑᲠᲔᲗᲘᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

E-mail:elva@kvirispalitra.com

კეიტ უინსლეტი

ინგლისური ვარდი



ინგლისური კინოს მშვენებამ და სიამაყემ, კომპანიის სულმა და გულმა, იდეალურმა დედამ და მეუღლემ, კეიტ უინსლეტმა 10 წლის წინ მელოდრამაში „ტიტანიკი“ ნათამაშები როლით საქვეყნოდ გაითქვა სახელი და კაცობრიობის ნახევარს ცხარე ცრემლი ადინა. „ტიტანიკის“ შემდგომ მან უამრავი შესანიშნავი კინოროლი შექმნა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი კინოპრემიების 20-ზე მეტ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, მაგრამ ის თარო, რომელიც სანუკვარი „ოსკარისთვის“ აქვს გამზადებული, ჯერაც ცარიელია,“ — წერს Fashion Time და მკითხველს დიდი ბრიტანეთის „ვარდის“ შესახებ მოუთხრობს, რომლის ღვაწლი სათანადოდ დაფასებული ჯერაც არ არის.

კეიტ უინსლეტი ინგლისის იორკშირის საგრაფოში 1975 წლის 5 ოქტომბერს მსახიობთა ოჯახში დაიბადა. ოჯახის წევრები ლუკმაპურის ფულს ბარში და საზოგადოებრივ აუზზე მუშაობით შოულობდნენ. გოგონას ბიძა ლონდონის ვესტ-ენდის დადგმაში „ოლივერი“ მონაწილეობდა, კეიტის ორი დაც მსახიობი იყო. ბავშვობიდან სცენარებისა და თეატრალური კოსტიუმების გარემოცვაში აღზრდილმა კეიტმა დრამატული ხელოვნების შესწავლა 11 წლის ასაკში, სახლთან ახლოს მდებარე Redroofs-ის თეატრალურ სკოლაში დაიწყო. სკოლაში სწავლის დროს გოგონამ საუზმის Sugar Puffs სარეკლამო რგოლში მთავარი როლი შეასრულა და ეს მოვლენა მისი პროფესიონალური კარიერის დასაწყისად არის მიჩნეული. 16 წლის ასაკში საბავშვო ტელესერიალში — „შავი სეზონი“ ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა, 3 წლის შემდეგ კი პირველი სერიოზული როლი მიიღო და რეჟისორ პიტერ ჯექსონის ფილმში „ზეციური ქმნილებები“ ფანტაზიებით აღსავსე ახალგაზრდა გოგონა განასახიერა, რომელიც მეგობარს დედის მკვლელობაში ეხმარება.

ცნობილი ბრიტანელი მწერლის ჯეინ ოსტინის რომანის მიხედვით გადაღებული კოსტიუმირებული დრამის — „გრძნობები და განცდები“ (რეჟისორი ენგლი) სინჯვებზე მისულ კეიტ უინსლეტს წარმატების იმედიც კი არ ჰქონდა, მაგრამ მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ემა ტომფსონი კეიტით იმდენად მოიხიბლა, რომ მერიან დეშვუდის როლის 100-ზე მეტ პრეტენდენტში გამოარჩია და არც შემცდარა. შესანიშნავად შექმნილმა როლმა დებიუტანტ მსახიობს უმთავრესი ბრიტანული კინოპრემია BAFTA და „ოსკარის“ ნომინაცია მოუტანა.

„ტიტანიკის“ ეკრანებზე გამოსვლამდე ერთი წლით ადრე, კეიტ უინსლეტმა მისი მეგობრისა და კოლეგის კენეტ ბრანის კინოფილმში „ჰამლეტი“ ოფელიას სახე შექმნა, მაგრამ ამ როლმა მსახიობს წარმატება ვერ მოუტანა. ერთი წლის შემდეგ კი მსოფლიოს კინოეკრანები ჯეიმს კემერონის „ტიტანიკმა“ დაიპყრო. სურათმა უპრეცედენტო რეკორდი დაამყარა, რომლის მოხსნა დღემდე ვერც ერთმა სხვა ფილმმა ვერ შეძლო. ფილმის შემოსავალმა 1,8 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, 11 „ოსკარი“ მიიღო და მსოფლიო კინოს ისტორიაში ყველაზე წარმატებული კინოსურათის სახელი დაიმკვიდრა. „ოსკარის“ ნომინაციაზე კეიტ უინსლეტიც იყო წარდგენილი, მაგრამ მაშინ სანუკვარი ჯილდო მისმა გამოცდილმა კოლეგამ, ჰელენ ჰანტმა მიიღო (ფილმში „უკეთესი არ არსებობს“ ნათამაშები როლისთვის). „ტიტანიკის“ წარმატებამ ბრიტანეთის სიამაყე კეიტ უინსლეტი მსოფლიო მასშტაბის კინოვარსკვლავად აქცია. მას შემდეგ მსახიობმა მრავალი განსხვავებული სახე შექმნა: შეშლილი მწერალი ქალი აირის მერდოკი (ბიოგრაფიული ფილმი „აირისი“), მეხსიერებადაკარგული მეოცნებე რომანტიკოსი („სუფთა გონის მარადიული ნათება“), უბედური ცოლი დრამაში „პატარა ბავშვები“ (ეს როლები „ოსკარის“ ნომინაციებზე იყო წარდგენილი) და „პიტერ პენის“ პლატონური სიყვარულის ობიექტი ნახევრად ფანტასტიკურ მელოდრამაში „ჯადოსნური ქვეყანა“. საერთო ანგარიშში კეიტ უინსლეტის არსენალში „ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ 5-5 ოქროს ნომინაციაა. ნაკლებადაა ცნობილი, რომ ვუდი ალენმა კეიტს ფილმში „მატჩ-პოინტი“ ნოლა რაისის როლი შესთავაზა, მაგრამ მსახიობმა საოჯახო საქმეები და ბავშვებზე ზრუნვა მოიმიზეზა და როლზე უარი განაცხადა... საბოლოოდ ეს როლი სკარლეტ იოჰანსონმა ითამაშა.



კეიტ უინსლეტის ბოლოდროინდელი როლებიდან განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მოკრძალებული ბრიტანელი აირის სიმპკინსი (კომედია „შვებულება — გაცვლით“). სურათი 2006 წლის შობის დღესასწაულის წინ გაქირავების ჰიტად გადაიქცა. სერიოზული პრიზებისთვის ბრძოლაში მსახიობს განსაკუთრებული პერსპექტივა გადაუშალა სტივენ დოლდრის („საათი“) ფილმის „მკითხველი“ მომავალმა პრემიერამ და კეიტის მეუღლის, რეჟისორ სემ მენდესის გადაღებულმა სურათმა „ცვლილებათა გზა“. მენდესის ნამუშევარს მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად ერთი, უმნიშვნელოვანესი ღირსებაც აქვს. მასში „ტი-





ტანიკის“ შემდეგ ეკრანზე ერთმანეთს პირველად შეხვდებიან კეიტი და მისი შვილების უსაყვარელი „ბიძია“ ლეონარდო დი კაპრიო, რაც პროდიუსერთა აზრით, წარმატების საწინდარია.

ამჟამად, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ბოლოს და ბოლოს, კეიტ უინსლეტის ტრიუმფის ჟამი ახლოვდება! 33 წლის ვარსკვლავმა უკვე 4 რეკორდი დაამყარა — იგი კინოაკადემიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსახიობია, რომელიც ზედიზედ იყო წარდგენილი „ოსკარის“ 2, 3, 4 და ბოლოს 5 ნომინაციებზე. მაგრამ გამარჯვება ჯერ არ ჩანს. უფრო მეტიც — კიდევ ერთი წარუმატებლობის შემთხვევაში, კეიტი ჰოლივუდის ანტირეკორდსმენი მსახიობების დებორა კერისა და ტელმა რიტერის რიგებს შეუერთდება, რომლებმაც კინოაკადემიკოსებთან ბრძოლა მშრალი ანგარიშით — 0:6 წააგეს. თავად კეიტი ფსონს სემ მენდესის ფილმზე ჩადის, მაგრამ „მკითხველის“ სიუჟეტური ხაზი, რომელიც მოწიფული ქალისა და მოზარდის სიყვარულის შესახებ მოგვითხრობს, კინოაკადემიკოსთა გემოვნებას უფრო მეტად დააკმაყოფილებს, ვიდრე „ტიტანიკის“ მონაწილეთა ხელახალი შეყრა.

კეიტ უინსლეტის პროფესიონალურ ღირსებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სიმღერის ნიჭი. მომღერლის არარეალიზებული კარიერა 2001 წელს ფილმის Christmas Carol: The Movie გადაღებებზე დაიწყო და იქვე დასრულდა. ამ სურათში კეიტის მიერ შესრულებული სიმღერა ბრიტანეთის ჰიტაღლუმებზე რამდენიმე თვის განმავლობაში ლიდერობდა. სხვათა შორის, კეიტი თვითონვე მღერის მუსიკალურ კომედიაშიც „სიყვარული და სიგარეტები“.

კამერის მიღმა, კეიტი იუმორის გრძნობითა და ოჯახისადმი ერთგულებით გამოირჩევა. ქეშმარიტმა ვეგეტარიანელმა მსახიობმა „მწვანე“ საკვები შვილებს — 8 წლის მიასა და 5 წლის ჯოსაც შეაყვარა. როგორც ცნობილია, კეიტმა პირველი ქმარი ჯიმ ტრიპლტონი, რომელიც 1998 წელს ფილმის „ექსპრესი მარაკეშში“ გადაღებებზე გაიცნო რეჟისორ სემ მენდესის გამო მიატოვა, მაგრამ ორივე ქორწინებაში შეძენილი შვილების წყალობით, კეიტმა ყოფილ ქმართან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება შეძლო. მსახიობი შვილებთან და სემთან ერთად ნიუიორკსა და მშობლიურ ინგლისს შორის ხშირად მოგზაურობს. ოჯახს მანჰეტენზე მდიდრული ბინა აქვს, ინგლისში კი — გლოსესტერში მდებარე მამული, რომელიც ცოლ-ქმარმა გვინეტ პელტროუსა და კრის მარტინისგან რამდენიმე წლის წინ შეიძინა. იმსაც ამბობენ, რომ კეიტმა და სემმა სახლის რემონტსა და რვა საძინებელი ოთახის მოწყობას, 8 მილიონი დოლარი დაახარჯეს, მაგრამ ცოლ-ქმარს ამ ინფორმაციის შესახებ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ყვითელი პრესა მსახიობის წონას მრავალი წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებს. კეიტი სენსაციებზე მონადირე ჟურნალისტებს იმედს არ უცრუებს და ჰოლივუდის სტანდარტების წინააღმდეგ სახალხოდ ილაშქრებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 2003 წლის თებერვალში მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალის ბრიტანული გამოცემის გაყიდვაში გამოსვლის შემდგომ, სადაც კეიტ უინსლეტის კომპიუტერულად დამუშავებული და „წონაში დაკლებული“ ფოტოსურათები დაიბეჭდა, მსახიობმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მის გარეგნობაში შეტანილი ცვლილებები მისი თანხმობის გარეშე განხორციელდა. კეიტის უკომპრომისო პოზიციით შემცბარ რედაქციას ისღა დარჩენოდა, რომ მომდევნო ნომერში ბოდიში მოეხადა!

კეიტის ახლობლებს მისი მებრძოლი ხასიათი და მიზანდასახულობა ადრეული ასაკიდან აღაფრთოვანებდა. მსახიობს მიაჩნია, რომ სიცოცხლე ძალზე ხანმოკლეა და ამი-

ტომ ცხოვრება მაქსიმალური ტემპით უნდა განვლოს. მოკრძალებულ უინსლეტს ვარსკვლავური სტატუსი ეხამუშება და საკუთარი თავის ჰოლივუდის ვარსკვლავთა გვერდით დაყენებაზე უარს ამბობს. „ყოველთვის მზარავს, როდესაც კინოვარსკვლავს მიწოდებენ, მერიდება — ალბათ, იმიტომ, რომ ბრიტანელი ვარ. ჩემი აზრით, კინოვარსკვლავი ჯულია რობერტსია, ჩემი მისამართით ნათქვამი ეს სიტყვები კი უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს“, — ამბობს მსახიობი. ■

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

მხცოვანი ბერის ნაკურთხი ხორბალი, ჯვრის ფორმით ამოსული ბალახი და ჩვილობიდან მმარხველი ღვთაებრივი ყრმა

რამდენიმე დღის წინ წმინდა ნიკოლოზობა აღვნიშნეთ. ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული ძეგლია. წმინდანად ითვლება, რადგან ოცდაერთი წლის წინ სწორედ წმინდა ნიკოლოზს შეეწირა საქართველოს ეკლესია საგანგებოდ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია მეორეს — წმინდა სასწაულთმოქმედი მღვდელთმთავრის შეხებითა და ლოცვით, ძართლაც აღორძინდა და გაძლიერდა ჩვენი ეკლესია. წმინდა ნიკოლოზის სახელის საერაცხელი სასწაული ოქვაშირდება. მოგითხრობთ რამდენიმე მათგანს.

შორენა მერკვილაძე

1918 წელს წმინდა ნიკოლოზმა სიკვდილისგან იხსნა ვოლოგდის არქიეპისკოპოს ნიკონის დედა მშობიარობისას. ამის შესახებ თავად არქიეპისკოპოსი მოგვითხრობდა: „ჩემზე მშობიარობისას დედაჩემი ძალიან ცუდად იყო. მშობიარობა მძიმედ მიმდინარეობდა და დიდხანს გაგრძელდა. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ დედას ლოცვით უთხოვია შემწეობა წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისთვის. დედამ ჩათვლიმა. ამ დროს უხილავს, როგორ გადმოვიდა ხატიდან წმინდა ნიკოლოზი, მის საწოლს მიუახლოვდა და მიმართა: „დაწყნარდი, უფალმა ინება, რომ შენ ამ წუთში შეგეძინოს ვაჟი, მას ჩემი სახელი — ნიკოლოზი დაარქვი.“ ამის შემდეგ წმინდანი გაუჩინარებულა. დედამ კი მშვიდობით იმშობიარა“.

ერთხელ, როდესაც წმინდა ნიკოლოზი ლოცულობდა, ზეციდან მოესმა ხმა: „ნიკოლოზ, თუ გინდა, რომ ჩემ მიერ გვირგვინოსანი იყო, აუცილებლად ხალხს უნდა ემსახურო.“ ნიკოლოზი შეშფოთდა, ვერ მიხვდა, რას მოითხოვდა მისგან ზეციური ხმა. მას კვლავ ესმა: „ნიკოლოზ, შენი საქმეები არ მოისხამს იმ ნაყოფს, რასაც შენგან ველი. მიუბრუნდი ხალხს და დაე, იდიდოს შენში ჩემი სახელი“.

ამის შემდეგ განმარტოებით მოღვაწე ნიკოლოზი მიხვდა უფლის ნებას, მას მდუმარება უნდა შეეწყვიტა და ადამიანების გადასარჩენად უნდა ემსახურა — უფალი მისგან მღვდელმთავრობას, მწყემსმთავრობას ითხოვდა. მან გადაწყვიტა ისეთ ქალაქში წასულიყო, სადაც არავინ იცნობდა. ამ მიზნით ლიკიის მხარეში მდებარე ქალაქ მირს მიაშურა. როდესაც ნიკოლოზი მირში ჩავიდა, სწორედ იმ დროს ახალგარდაცვლილი გახლდათ ლიკიის მთავარეპისკოპოსი იოანე. ამ მხარის ყველა ეპისკოპოსი შეიკრიბა ახალი მღვდელმთავრის ასარჩევად. არაერთი ღვთისმოსავი და კეთილგონიერი პიროვნების კანდიდატურა დასახელდა, მაგრამ არჩევანი ვერავისზე გააკეთეს. მაშინ მამებმა ჩათვალეს, რომ ლიკიის ახალი მწყემსმთავრის არჩევა ადამიანების კი არა, ღმერთის ნება იყო, ამიტომ ლოცვით შესთხოვეს უფალს, განეცხადებინა მათთვის თავისი წმინდა ნება. უფალმა თავისი ნების საუწყებლად ერთ-ერთი მხცოვანი ეპისკოპოსი გამოარჩია — ლოცვისას მას ნათლით მოსილი კაცი გამოეცხადა, რომელმაც უბრძანა: ღამით წადი ეკლესიაში, ეკლესიის კართან დადექი და დააკვირდი, ვინც პირველი შემოვა ტაძარში, სწორედ ის იქნება ჩემი სათნომყოფელი და დააყენეთ იგი მთავარეპისკოპოსად. მისი სახელია — ნიკოლოზი“. ეპისკოპოსმა გამოცხადების შესახებ ყველა ეპისკოპოსს აუწყა, შემდეგ კი ეკლესიისკენ გაემართა...

გამთენიისას ეკლესიაში პირველი, ნიკოლოზი მივიდა. მას წესად ჰქონდა შუაღამისას ადგომა და წირვისთვის ეკლესიაში ყველაზე ადრე მისვლა.

შევიდა თუ არა ტაძარში წმინდა ნიკოლოზი, ის ეპისკოპოსმა შეაჩერა და სახელი ჰკითხა, პირველად არ უპასუხა, მაგრამ როდესაც ეპისკოპოსმა კითხვა გაუმეორა, მიუგო: მე ნიკოლოზი ვარ, მეუფეო, მონა შენი სიწმინდისა“.



ეპისკოპოსი მიხვდა, რომ ეს სწორედ ის ნიკოლოზი იყო, რომელზეც უფალმა მიანიშნა, ხელი მოჰკიდა და იერარქებთან მიიყვანა. ამ ამბის შესახებ მთელმა ქალაქმა შეიტყო, ტაძარში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი: „მიიღეთ, ძმანო, თქვენი მწყემსმთავარი, იგი გიკურთხათ სულიწმიდამ და მას თქვენი სულები მიანდო საზრუნავად. მისი მთავარეპისკოპოსად დადგინება თავად უფალმა ინება“... მიმართა ტაძარში შეკრებილ სამწყსოს მხცოვანმა ეპისკოპოსმა. უსაზღვრო იყო ხალხის სიხარული. ყველა ერთხმად ადიდებდა უფალს.

ნიკოლოზს არ სურდა ეპისკოპოსობის მიღება, რადგან ადამიანურ დიდებას გაურბოდა, მაგრამ იმ მინიშნებებთან ერთად, რომელთა შესახებაც უკვე მოგითხრობდით, გაახსენდა კიდევ ერთი ხილვა: ერთხელ, ღამით წმინდა ნიკოლოზმა იხილა მასთან ახლოს მდგარი მაცხოვარი, რომელმაც მას ოქროთი და მარგალიტებით მოჭედილი სახარება გადასცა. მეორე დღეს კი იხილა ღვთისმშობელი, რომელმაც მხრებზე ომფორი დაადო. ამის შემდეგ წმინდა ნიკოლოზი დარწმუნდა, რომ მისი ეპისკოპოსობა ღვთის ნება იყო და მორჩილად მიიღო ნება ღვთისა.

ეს ამბავი ათონის წმინდა მთაზე, გრიგორიატის მონასტერში მოხდა, 1924 წელს, მამა ათანასეს იღუმენობისას: ორი ბერი მიქაელი და ქრიზანთემოსი სავანის თონეში პურს აცხობდნენ, თან წუხდნენ იმის გამო, რომ მონასტერში ხორბლის მარაგი ელეოდათ. მოულოდნელად მათ წინაშე ჩია ტანის მოხუცი ბერი წარდგა, რომელსაც ღარიბულად ეცვა და ხელში სახარება ეჭირა. მისალების შემდეგ ბერებს ჰკითხა, ხორბალი თუ გყოფნითო? მხოლოდ ერთი გამოცხობაღა დაგვრჩა — მიუგეს დამწუხრებულმა მამებმა. ბერმა კი დაამშვიდა: ნუ წუხხართ, მამებო, ღმერთი დიდია! შემდეგ ხორბალი აკურთხა და სადღაც გაქრა.

მამებმა ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ მხცოვანი ბერი ველარსად იხილეს. დამწუხრდნენ მამები, გავმასპინძლებოდით მაინცო და მის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ ბერს ვერსად მიაკვლიეს. სხვა ბერებსაც ჰკითხეს, მაგრამ მისი მხილველი არავინ აღმოჩნდა. ბერები მიხვდნენ, რომ უკვალოდ გაუჩინარებული ბერი წმინდა ნიკოლოზი იყო. მის მიერ ნაკურთხი ხორბალი კი მონასტერს ექვსი თვის მანძილზე ეყო.

1789 წელს სოფელ არტოზაში, შუამთის არქიმანდრიტმა ნიკოლოზ მდივნიშვილმა წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აგება განიზრახა. დაიწყო მშენებლობა. როდესაც დიდი ქვის საკირე ჩადგეს, შიგ ერთი კაცი ჩაგზავნეს ცეცხლის შესანთებად. მოულოდნელად საკირე ჩამოიქცა. კაცი ნანგრევებში მოყვა. მაშინვე ნანგრევების გაწმენდას შეუდგნენ. ნანგრევების ქვეშ მოქცეული კაცი ცოცხალი და სრულიად უვნებელი იხილეს. ამან ყველანი გააოცა და ჰკითხეს, როგორ გადარჩიო? როდესაც საკირე ჩამოინგრა, მოულოდნელად მოხუცი ბერი გამოჩნდა და გადამეფარაო, — მიუგო კაცმა. ბერი წმინდა ნიკოლოზი გახლდათ.

ერთხელ კაცთა ცილისწამებით შეწუხებულ გაბრიელ ბერს (ურგებაძე) გულზე წმინდა ნიკოლოზის ხატი ჩამოუკიდებია და ზღვაში შესულა: უფალო, თუ სათნოა შენთვის ჩემი ცხოვრება, გადამარჩინე, თუ არა და, ზღვაში დამახრჩვეო — მიუმართავს ნეტარ ბერს ღვთისთვის. ზღვასთან ახლოს სამხედრო ნაწილი მდგარა. ჯარისკაცებთან ჩია ტანის თეთრწვერა მოხუცი მისულა და უთქვამს — ზღვაში ადამიანი იხრჩობა და გადაარჩინეთო. ჯარისკაცები ზღვისკენ გაემართნენ და მამა გაბრიელი ტალღებს გამოარიდეს. ბერის გულზე დაკიდებულ ხატზე გამოსახულ წმინდა ნიკოლოზში კი ის თეთრწვერა მოხუცი ამოიცნეს, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მათთან მივიდა...

ეს სასწაული რამდენიმე წლის წინ, აეროპორტის დასახლებაში მოხდა. ახალაგებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის შორიახლოს, ზამთარში ბალახი ჯვრის სახით ამოვიდა. ჯვრის ფორმით ამოსული ბალახის სანახავად პატრიარქიც კი მივიდა. ამ სასწაულის მხილველი არაერთი ადამიანი გახლდათ. ტაძრის წინამძღვრის კურთხევით, ბალახთან მცირე ზომის ნიში გააკეთეს, სადაც წმინდა ნიკოლოზის ხატები დაბრძანეს. მის წინაშე მუხლმოყრილი ლოცულობდნენ ადამიანები, შემწეობასა და მეოხებას შესთხოვდნენ სასწაულთმოქმედ წმინდანს, შემდეგ კი ჯვრის სახით მობიბინე ბალახს ეხებოდნენ. მართლაც ბევრ ადამიანს მიენიჭა კურნება თუ სხვა სახის წყალობა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გამომწყვდეულ პატიმრებს გათავისუფლების იმედი მიეცათ. მათთან სასულიერო პირიც იხდიდა სასჯელს — წმინდა სერაფიმე, ვორონეცოვის მოწაფე. მან პატიმრებს ურჩია ელოცათ წმინდა ნიკოლოზის მიმართ, მისი დღესასწაულის დადგომამდე სამი დღით ადრე კი მარხვა დაეცვათ. არწმუნებდათ — წმინდა ნიკოლოზი მსწრაფლშემწე და სასწაულთმოქმედი წმინდანია და აუცილებლად შეგვეწევაო. მისი სიტყვის თანახმად მხოლოდ ოცდაექვსი პატიმარი მოიქცა, წმინდა ნიკოლოზის ხსენების დღეს მხოლოდ მათი გათავისუფლების ბრძანება მოვიდა.

წმინდა ნიკოლოზი ჩვილობიდანვე გამოირჩეოდა საკვირველმოქმედებით. მისი ცხოვრებიდან ცნობილია, რომ ღვთაებრივი ყრმის დაბადეაისთანავე მძიმე სნეულებისგან განიკურნა დედამისი ნონა, რომელსაც წლების მანძილზე ტანჯავდა ეს სენი. ნათლისღების ჟამს ჩვილი ნიკოლოზი სამი საათის მანძილზე ფეხზე მდგარა ემბაზში დამოუკიდებლად. ოთხშაბათს და პარასკევს კი მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ იხმევდა დედის რძეს. ამ სახით იცავდა მარხვას. რძეს კი მხოლოდ დედის მარჯვენა ძუძუდან ჭამდა. ეს იმას მიანიშნებდა, რომ ნეტარი აღსასრულის შემდეგ უფლის მარჯვნივ დაიმკვიდრებდა ადგილს. წმინდა მამათა გამოცხადებებიდან ცნობილია, რომ ეს მართლაც აღსრულდა.

ტემპერამენტიანმა ქართველმა მწვრთნელმა კვიპროსში საფეხბურთო ციებ-ცხელება გამოიწვია

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარ აღმოჩენად, კვიპროსის „ანორთოსისი“ მოგვევლინა. აქამდე ფართო საფეხბურთო საზოგადოებისთვის უცნობმა გუნდმა ჯერ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრით გააკვირვა ყველა, ხოლო შემდეგ — იქ თავისი თამაშით. თემურ ქეცბაიას შეგირდებმა მომდევნო ეტაპზე გასასვლელად, ბოლო ტურამდე იბრძოლეს და სანუკვარ მიზნამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. და მაინც, ქართველი სპეციალისტი ევროპის საფეხბურთო სამყარომ აღიარა, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ უეფას მიერ წლის საუკეთესო მწვრთნელის გამოსავლენად გამართული გამოკითხვის შედეგად, 5 საფეხბურთო სპეციალისტს შორის, ქეცბაიაც ფიგურირებს. „ანორთოსისის“ წარმატებამ, ბუნებრივია, უცხოური გამოცემების ყურადღება მიიპყრო და ერთ-ერთ მათგანში კვიპროსელთა ქართველი თავკაცის ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნდა.

თემურ ქეცბაია ჯგუხმა მოურინიომაც აღიარა

— მოურინიომ, რომელიც საკუთარი თავის გარდა, საქებარ სიტყვებს ვერავისთვის იმეტებს, განაცხადა, რომ კვიპროსელებმა შესანშნავი ფეხბურთი უჩვენეს. ასეთი რამ მისგან თვით სერ ალექს ფერგიუსონსაც კი არ მოუსმენია. ეს თქვენთვის სასიამოვნოა?

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, „ინტერთან“ საშინაო მატჩის შემდეგ ვისაუბრეთ და ჟოზემ ასეთი რამ მითხრა: „თემურ, შენ კარგი გუნდი შექმენი. ასევე განაგრძე!“ თან შემპირდა, რომ „პანათინაიკოსსა“ და „ვერდერს“ დაამარცხებდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

— თქვენ პირველი ქართველი მწვრთნელი გახდით, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გასვლა შეძლო.

— ეს ძალიან მახარებს, მაგრამ მხოლოდ ჩემზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. მინდა, კვიპროსელებზეც ვთქვა — ფეხბურთელებმა მოახერხეს და მთელი ევროპის ყურადღება მიიპყრეს. ვის გაეგო აქამდე კვიპროსულ ფეხბურთზე რაიმე? ახლა კი კუნძულზე განსაკუთრებული განწყობილება სუფევს. კვიპროსულმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა და ეს სიზმარი არ არის!

— როდის გაგიქრათ იმის შეგრძნება, რომ მიმდინარე სეზონი სიზმარი არ არის და ჩემპიონთა ლიგაში მართლაც წარმატებულად ითამაშეთ?

— ნახევარი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებდით და თანაც ასე წარმატებულად, არ დავიჯერებდი. „ანორთოსისში“ 4 წელია, ვმუშაობ და კვიპროსში ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა. გარდა ამისა, ევროთასებზეც საკმაოდ წარმატებით გამოვდიოდით და ერთხელ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეც გავედით. თუმცა ფინიშამდე მისასვლელად რაღაც არ გვყოფნიდა. მიმდინარე სეზონის წინ, გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მოვიწვიეთ და ფინიშიც გამოგვივიდა.

— მესამე საკვალიფიკაციო რაუნდის ბოლო მატჩის შემდეგ ალბათ, წარმატებას მთელი ღამე აღნიშნავდით...

— კარგად იცით, რომ ჩვენი კლუბი ფამაგუსტიდანაა, მაგრამ იქ ვერ ვთამაშობთ. ამიტომ, საბერძნეთიდან ლარნაკაში რომ ჩავფრინდით, აეროპორტში 12 ათასი გულშემატკივარი დაგვხვდა. წარმოგიდგენიათ, „ანორთოსისის“ წარმატებამ ხალხი როგორ გაახარა?!

— ბელორუსიულმა „ბატემ“, რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე აღმოჩენა გახდა, საკუთარ ფეხბურთელებს ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრისთანავე 1 მილიონი ევრო გამოუყო. თქვენ გუნდიც გულუხვად დააჯილდოეს?

— ჩვენ ფეხბურთელებს თავიდანვე ვუთხარით, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში, ისინი გამომუშავებული თანხის 30%-ს მიიღებდნენ (სავარაუდოდ, „ანორთოსისმა“ ჩემპიონთა ლიგაში 10 მილიონი ევრო გამოიმუშავა).

— თქვენმა მეგობარმა შოთა არველაძემ განაცხადა, რომ „ანორთოსისის“ ბიუჯეტი 1 მილიონ ევროს შეადგენს. ეს სმართლეს შეესაბამება?

— არა, ჩვენი ბიუჯეტი 4-5 მილიონი ევროა.

— მით უფრო გასაკვირია, რომ გუნდში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ. მაგალითად, ბრაზილიელი სავიო. მადრიდის „რეალის“ ყოფილი მოთამაშის კვიპროსში გადაბირება როგორ მოახერხეთ?

— როდესაც გუნდში მისი მოწვევის შანსი გაჩნდა, პირველ რიგში, შოთა არველაძეს შევეხმიანე, რომელიც ესპანეთის „ლევანტეში“ სავიოსთან ერთად თამაშობდა. ბრაზილიელის შესაძლებლობები ყოველთვის კარგად ვიცოდი, მაგრამ მსურდა, სავიოს შესახებ აზრი მისი პარტნიორისგან გამეგო. არველაძემ იგი კარგად დაახასიათა და სავიოს შესაბამისი წინადადებით მივმართეთ, რომელსაც ის დათანხმდა. საბოლოოდ, იგი „ანორთოსისის“ ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახდა.

— საინტერესოა, რა თანხას გამოიმუშავებთ. ეს საიდუმლოა? მაგალითად, დიკ ადვოკაატის წლიური შემოსავალი, ახალი კონტრაქტის გაფორმებამდე, დაახლოებით, 2 მილიონ ევროს შეადგენდა.

— მომეცით უფლება, ჩემი ჰონორარი არ დავასახელო. იგი, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება იმ თანხას, რომელსაც ადვოკაატი იღებს. მოდი, ასე ვთქვათ: ჩემსა და მის შემოსავალს შორის — დიდი სხვაობაა.

— კვიპროსში მოთამაშე ფეხბურთელებზე თუ შეიძლება იმის თქმა, რომ უზრუნველყოფილი ადამიანები არიან?

— ჩვენთან ჩამოდიან მოთამაშეები, რომელთაც განსაკუთრებით არ აღელვებთ ფულის საკითხი... შემიძლია გითხრათ, რომ კვიპროსის ზოგიერთი სასტუმროს თანამშრომლები უფრო მეტს იღებენ, ვიდრე ფეხბურთელები. მოთამაშეთა საშუალო წლიური გასამრჯელო 100-150 ათას ევროს შეადგენს. ისე კი, აქაურ ჩემპიონატში სიტუაცია უკეთესობისკენ იცვლება. ჯერ კიდევ 10 წლის წინ ფეხბურთელები მოყვარულების დონეზე იყვნენ და თამაშის გარდა, რაღაც საქმიანობასაც ეწეოდნენ. სხვათა შორის, ახლა გუნდში ყოფილი ჰოლიციელი მყავს — ლამბროს ლამბუ, რომელიც ძირძველი კვიპროსელია.

— დადის ჭორები, რომ ლამის ჯოხით სცემთ შეგირდებს და ასე აიძულებთ, კარგად ითამაშონ. მართლა უმკაცრესი დისციპლინაა თქვენს გუნდში?

ბერჩენა, ინგლისის თასის ერთ-ერთ ფინალში გამემარჯვა და როგორც ფეხბურთელს, სხვა ტიტული არ მოგებია

— არა, რას ამბობთ?! მართალია, მკაცრი მწვრთნელი ვარ, მაგრამ ამავდროულად, დემოკრატიული. უბრალოდ, ყველასგან მოვითხოვ, რომ საქმეს კეთილსინდისიერად მოეკიდონ. მოთამაშეები საკუთარი ოჯახებიდან მოწყვეტილი არ მყავს. მატჩამდე 24 საათით ადრე ვიკრიბებით სასტუმროში და მომავალი თამაშის გეგმას განვიხილავთ. ვიგინები თუ არა? რა თქმა უნდა! ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მოითმენს, როცა ფეხბურთელი კარგი პოზიციიდან ბურთს კარს აცილებს.

— მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად ვის მიიჩნევთ?

— ალექს ფერგიუსონს, არსენ ვენგერს, ჟოზე მოურინიოს. მათ შეუძლიათ ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც მიმზიდველ ფეხბურთს აჩვენებს.

— საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ბევრ მწვრთნელთან გიმუშავიათ. თქვენი მთავარი მასწავლებელი ვინ იყო?

— იმ მწვრთნელებს შორის, რომლებთანაც ურთიერთობა მქონია, ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რუმინელმა ანგელ იორდანესკუმ მოახდინა. 1992 წელს, როდესაც პირველად ჩავედი კვიპროსზე და „ანორთოსისში" ჩავირიცხე, იგი გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო. დისციპლინის, ფეხბურთელებთან მიდგომისა და კიდევ არაერთი ნიუანსის გათვალისწინებით, ის ჩემთვის საუკეთესოთა შორის საუკეთესოა.

— საუბრის დროს ინგლისურ სიტყვებს ძალიან ხშირად იყენებთ. სულ რამდენ ენას ფლობთ?

— ქართულს, რუსულს, ინგლისურს, ბერძნულსა და მეგრულს. გუნდში ძირითადად, ინგლისურად ვსაუბრობთ, ვინაიდან „ანორთოსისის" ფეხბურთელებმა ის კარგად იციან.

— „ნიუკასლში" თამაშის დროს, ინგლისის პრემიერლიგის ერთ-ერთ შეხვედრაში გატანილი გოლის შემდეგ, „ადიდასისა" და „მაკდონალდსის" სარეკლამო ბანერებს ფეხს გამეტებით რატომ ურტყამდით? გერმანული სპორტული ეკიპირება არ მოგწონთ თუ ამერიკული სწრაფი კვება?

— არც ერთ და არც მეორე კომპანიასთან პრობლემები არ მაქვს. ეს პროტესტის ნიშნად გავაკეთე, ვინაიდან იმის გამოვლენის საშუალებას არ მაძლევდნენ, რაც შემეძლო. „ნიუკასლის" ძირითად შემადგენლობაში თამაშს ვიმსახურებდი, მაგრამ მოედანზე არ მიშვებდნენ. ამიტომ, ბურთი როდესაც გავიტანე, ყველაფერი გადმოვანთხიე, რაც დაგროვილი მქონდა. ეს ჩემი გატანილი გოლებიდან ერთ-ერთია, რომლის გახსენება არასოდეს მსურს. თუმცა, ვისაც ფეხბურთზე ვესაუბრები, მას ყველა იხსენებს.

— პროტესტის ასეთი ფორმით გამოხატვაზე „ნიუკასლის" მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა რა გითხრათ?

— რა უნდა ეთქვა? მან იცოდა, რომ მართალი ვიყავი და შინაარსიანი საუბარი არ გამოგვივიდა. თუმცა დალგლიშთან კარგი ურთიერთობა მაქვს და მისი მადლიერი ვარ, რადგან სწორედ ამ ადამიანმა მომცა ასეთ დონეზე თამაშის საშუალება. „ნიუკასლთან" კონტრაქტი რომ გავაფორმე, გუნდის მთავარი მწვრთნელი სწორედ დალგლიში იყო. ჩვენ ურთიერთობა ახლაც გვაქვს. ის ცოტა ხნის წინ კვიპროსზე იმყოფებოდა და შევხვდი კიდეც.

— მწვრთნელი ქცევაია ისეთივე ტემპერამენტიანია, როგორიც ფეხბურთელი ქცევაია იყო?

— დიახ, ახლაც ტემპერამენტიანი ვარ. მართალია, არ ვთამაშობ, მაგრამ ფეხბურთით ვცხოვრობ. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ შემიძლია. ამიტომ, ფეხზე ვდგები და მოედნის გვერდით ხაზთან 90 წუთს ვატარებ, რადგან თავადაც მსურს თამაშში ჩართვა. სხვა მწვრთნელების მსგავსად მოქცევა არ შემიძლია, რომლებიც სხედან და ტელეკამერებიც აჩვენებენ, როგორ მშვიდად არიან. მე იმის ჩვენება მსურს, რასაც ვგრძნობ და საკუთარი გრძნობების დამალვა არ შემიძლია.

— „ნიუკასლი" თქვენი სათამაშო კარიერის პიკი იყო?

— დიახ, რადგან ჩემი აზრით, პრემიერლიგა ევროპაში ყველაზე მაღალი დონის საკლუბო ჩემპიონატია.

— „ნიუკასლში" გამოსვლისას, ინგლისის მასშტაბით ერთ-ერთი პრესტიჟული ტიტულის მოგების რეალური

ბურთი როდესაც გავიგანე, ყველაფერი გადმოვანთხიე, რაც დაგროვილი მქონდა

შანსი გქონდათ, მაგრამ 1999 და 2000 წლებში, ქვეყნის თასის ფინალში ორჯერ დამარცხდით.

— საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ჩემპიონტების გამარჯვებულიც ვყოფილვარ, თასებიც მომიგია და სუპერთასებიც. თუმცა მერჩივნა, ინგლისის თასის ერთ-ერთ ფინალში გამემარჯვა და როგორც ფეხბურთელს, სხვა ტიტული არ მომეპოვებინა. ინგლისის თასის გათამაშება ძალიან პრესტიჟული ტურნირია და პრემიერლიგას არაფერით ჩამოუვარდება. პირველად „არსენალთან" დავმარცხდით, რომელიც მაშინ ყველაფერს იგებდა, მეორედ — „მანჩესტერ იუნაიტედთან". ვფიქრობ, ჩვენ უბრალოდ, არ გაგვიმართლა.

— ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ანორთოსისის" მოხვედრის შემდეგ, მთავარი მწვრთნელობა „ნიუკასლმა" შემოგთავაზა...

— ასეთი შემოთავაზება არ ყოფილა. უბრალოდ, დამირეკეს და მკითხეს — ხომ არ მსურდა გუნდს სათავეში 6 მატჩის განმავლობაში ჩავდგომოდი, ხოლო თითოეულ ჩატარებულ შეხვედრაში 100.000 გირვანქა სტერლინგამდე მიმელო. ინგლისელებს ვუპასუხე, რომ მსგავსი რამ არ მაინტერესებდა, ვინაიდან რა დონის გუნდიც უნდა იყოს, იქ მისვლა და ექვსი მატჩის შემდეგ იმის მოსმენა — სახლში წადიო, — ჩემთვის მიუღებელია. თუ კლუბის ხელმძღვანელობას სურს, რომ მწვრთნელად გიხილოს, მაშინ, ოფიციალურად კონტრაქტი უნდა გაგიფორმოს.

— ამბობენ, რომ საბერძნეთში „ოლიმპიაკოსისა" და „აეკის" დაპირისპირება სამოქალაქო ომის მსგავსი რამ გახლავთ. მოგიწიათ მასში მონაწილეობამ?

— „აეკში" რომ ვთამაშობდი, „ოლიმპიაკოსთან" მატჩებზე საგანგებო კორტეჟით დავდიოდით. ჩვენს ავტობუსს წინ და უკან პოლიციელებით სავსე ავტობუსები მიაცილებდა. ერთხელ მეტოქე გუნდის ფანებმა „აეკის" ავტობუსს მინები ჩაულეწეს და თამაშზე მისვლა პოლიციელების ავტობუსით მოგვიხდა.

— თითოეული ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედში", „ბარსელონასა" თუ „ბაიერნში" თამაშზე ოცნებობს. მწვრთნელი თემურ ქცევაია რომელ კლუბზე ოცნებობს?

— რაც თავი მახსოვს, ევროპაში მადრიდის „რეალს" ვგულშემატკივრობ. ესპანელების ქომაგი მათი პირველი თამაშის ნახვისთანავე გავხდი. მართალი გითხრათ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში „რეალთან" ერთად მოხვედრაზე ვოცნებობდი, რადგან მადრიდელებთან დაპირისპირება ძალიან მსურდა.

— თქვენთვის კვიპროსი რას ნიშნავს?

— ეს ქვეყანა, როგორც ფეხბურთში, ასევე ცხოვრებაში, ძალიან დამეხმარა. ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ აქ ყოფნისას, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობ თავს. ლარნაკაში, ზღვისპირას საკუთარი სახლი მაქვს. აუზში ცურვა უფრო მიყვარს, ვიდრე ზღვაში, თუმცა წელს ორივეგან მხოლოდ რამდენჯერმე მომიწია ყოფნამ. როდესაც ყოველდღე ილვიძებ და თვალწინ ზღვას ხედავ, ფიქრობ, რომ დღეს არ წახვალ საცურაოდ და მეორე დღისთვის გადადებ. მომდევნო დილასაც იგივე მეორდება და ასე მთელი ზაფხული გაივლის ხოლმე.

— შოთა არველაძე ჰოლანდიის „ალკმაარში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს, მაგრამ მას საქართველოს ნაკრების გაწვრთნაც შესთავაზეს. თქვენთვის მსგავსი წინადადებით არ მოუმართავთ?

— ასეთი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ კვიპროსში დარჩენა გადავწყვიტე, რაც მახარებს. სამშობლოში რომ დავბრუნებულიყავი, იმას ვერასოდეს განვიცდიდი, რაც წელს „ანორთოსისთან" ერთად განვიცადე.

ახალი სიცოცხლის დაბადება ყოველთვის დიდი ზეიმია, მაგრამ როდესაც ეს ახალი წლის დღეს ხდება, დამერწმუნებით, ორმაგად სასიხარულოა. თინათინ ჩინჩალაძე და ანა ზაიცევა იმ ბედნიერი დედების რიგს მიეკუთვნებიან, რომლებმაც პირველ იანვარს იმშობიარეს.

თოკვის ბაბუის სამოსში გამოწყობილი ახალშობილი და ტყუპი გოგოს დაბადებით განცისხებული ბებია

მარეხ ჭონიშვილი

თინათინი:

— გუკა 2007 წლის 1-ელ იანვარს დაიბადა. ახლა 2 წლის გახდება. მის დაბადებას შობისთვის ველოდი, მაგრამ არ დაიცადა. 1-ელ იანვარს დილით წავედი საავადმყოფოში, მაგრამ ექიმებმა უკან გამომაბრუნეს, მითხრეს, — ჯერ არ იმშობიარებო. გზაში მუცელი უფრო ამტკივდა და ამიტომაც, სამშობიაროში დაგბრუნდი. მარტო მე და ჩემი მეუღლე ვიყავით. არ გვინდოდა, ახლობლებს ენერვიულათ.

— გუკა რომელ საათზე დაიბადა?

ზურა, *გუკას მამა:*

— 1-ელ იანვარს, 12-ს რომ 10 წუთი აკლდა. ეზოში მარტო ვიყავი. ძალიან ენერვიულობდი. მეგობრების, ახლობლების შეწუხებას მოვერიდე, რადგან ახალი წლის დღე იყო და ყველა ნაბახუსევი იქნებოდა. მაგრამ გუკა რომ დაიბადა, ყველამ გაიგო და მოვიდნენ.

თინათინი:

— პირველი შვილი რომ შემეძინა, 16 წლის ვიყავი. გუკა ჩემი მესამე შვილია. უფროსი გოგო 21 წლისაა, ბიჭი — 16-ის. სამშობიაროში შვილები რომ მირეკავდნენ, ვეუბნებოდი, — არ მოხვიდეთ, ცრუგანგაში იყო, ჯერ არ ვიმშობიარებ და სახლში მალე მოვალ-მეთქი. არადა, ამ სიტყვებს რომ ვამბობდი, უკვე საშინელი ტკივილები მქონდა.

ნატა, *უფროსი შვილი:*

— ახალი წლის დღეს, გუკას სახით, მე და ჩემს ძმას დედამ მაგარი საჩუქარი გაგვიკეთა. ახალი წლის ღამეს მეგობრებთან ერთად, საქეიფოდ ვიყავი. დედას ხშირად ვურეკავდი, მაგრამ მეუბნებოდა, — არ მოხვიდეო. ბოლოს რომ დავრეკე, მითხრა: ახლა მოდი, შენი ძმიკო უკვე დაიბადაო. ძალიან გახარებული და ბედნიერი ვიყავი. მეგობრეთან ერთად, ეგრევე საავადმყოფოში გავიქეცი.

— ალბათ, შვილის დაბადება, თანაც, ახალი წლის დღეს, დიდი ბედნიერებაა...

— შვილის დაბადება ყოველთვის სასიხარულოა. მიუხედავად იმისა, რომ კარგი მშობიარობა მქონდა, სიმართლე გითხრათ, მშობიარობისას ვერც აღვიქვამდი, ახალი წელი რომ იყო. ამ დროს ქალს ბევრი რამის გადატანა, გაძლება გიწევს და საზეიმო განწყობილება ნაკლებად გაქვს. მშობიარობიდან ცოტა ხანში, გუკა თოვლის ბაბუის სამოსში გამოწყობილი მომიყვანეს. აი, მაშინ მივხვდი, რომ ახალი წელი იყო. ეს ფორმა ჩემს მეუღლეს შეუძენია და ექთანისთვის უთქვამს: ჩააცვით და თინათინს ისე შეუყვანეთო. ამ ფორმაში გუკა ძალიან საყვარელი იყო, მე კი უბედნიერესი დედა გახლდით.

გუკა მაგულიძე

— საინტერესოა, ახალი წლის დღეს საავადმყოფოში როგორი განწყობილება სუფევდა?

— მიუხედავად იმისა, რომ ექიმები, ექთანები მუშაობდნენ, საახალწლო განწყობილება მაინც იგრძნობოდა. ექთანები ახალდაბადებულ ბავშვებს საახალწლო აქსესუარებს უკეთებდნენ. ჩემი ექიმი ვახო ბარკალაია ცოტა ნაბახუსევი იყო. როცა ვიმშობიარე, მკითხა: ხომ არ დავლიოთო (*იცინის*)? „პახმელიაზე" გამოსვლა უნდოდა.

გუკა ბუთხუზა, საყვარელი ბიჭია. სანამ მის დედიკოსთან ვსაუბრობდი, თითქმის მთელი თავისი სათამაშოები გამოიტანა და მაჩვენა. მათ სახელებს მეუბნებოდა. ბოლოს კი თავის ველოსიპედზე დაჯდომაც შემომთავაზა.

— თინათინ, ახალი წლის მოსვლა ახლა თქვენთვის ორმაგად სასიხარულოა...

— დიახ, ასეა. შარშან გუკა ერთი წლის გახდა. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ დაბადების დღის გადახდისაგან მაინც თავი შევიკავეთ, წელს კი გუკას დიდ ზეიმს მოვუწყობთ.

მეორე ოჯახში, რომელსაც ვესტუმრე, სრულიად ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დამხვდა...

ანა ზაიცევა:

— 17 წლის ვარ, ჩემი ქმარი გიორგი კი — 19-ის. კარგია დედობა. ანდრია კარგი, ჯანმრთელი ბიჭია. მისი გაზრდა არ გამჭირვებია.

— პირველი შვილი პირველ იანვარს შეგეძინათ...

— ახალ წელს დედამთილთან შევხვდით. სახლში რომ ვბრუნდებოდი, მუცელი ამტკივდა. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, იმიტომ, რომ მის დაბადებას ჯერ არ ველოდი, მაგრამ შემდეგ მიეხვდი, რომ ვცდებოდი და გიორგის ვუთხარი, — მგონი, მშობიარობა მეწყება-მეთქი. თავიდან ძალიან შეგვშინდა. თანაც, ტაქსის ვერ ვაჩერებდით და ტელეფონით ვერც ახლობლებს ვუკავშირდებოდით. ბოლოს, როგორც იქნა, ტაქსი გამოჩნდა და სამშობიაროში მიმიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი შვილი იყო და არავითარი გამოცდილება არ მქონდა, არ შემშინებია. საავადმყოფოში ბედნიერი და ღიმილიანი სახით შევედი. ღამის პირველ საათზე მიმიყვანეს, ანდრია კი დილის 8 საათზე დაიბადა.

— იცოდით, ბიჭი რომ იყო?

— დიახ. მაგრამ თუ ახალ წელს დაიბადებოდა, ვერ ვიფიქრებდი. გიორგი სულ მეუბნებოდა, — ჩვენი შვილი პირველში დაიბადებაო. მისი ნათქვამი გამართლდა.

— პატარის მოვლა ხომ არ გიჭირს?

— ორი და ერთი ძმა მყავს. ისინი ჩემზე პატარები არიან, დედას მათ მოვლაში ყოველთვის ვეხმარებოდი. შესაბამისად, გამოცდილება მქონდა და ჩემი შვილის მოვლა არ გამჭირვებია.

— ახალი წლის ღამეს საავადმყოფოში როგორ სიტუაცია იყო?

— ჩემს ქმარს საავადმყოფოში რომ მივყავ-

ანდრია კვაჭაძე

დი, გზაში მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: ნეტავ, ჩემი ექიმი ნასვამი არ იყოს-მეთქი! გამიმართლა (*იცინის*). ანდრია რომ დაიბადა, ჩვენმა მეგობრებმა სამშობიაროს ეზოში დიდი ქეიფი გამართეს. მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ექთანები კი მე მეჩხუბებოდნენ: რა დღეში არიან? ცოტა წყნარად ვერ იქნებიანო?.. ახალი წლის დღეს შვილის დაბადება გიორგის ძალიან გაუხარდა. მითხრა, — კარგი საჩუქარი გამიკეთეო!

— გიორგიმ საჩუქარი შენ თუ გაგიკეთა?

— კი. ყოველთვის მინდოდა, მობილური ტელეფონი მქონოდა. ჰოდა, მშობიარობის შემდეგ მან სიურპრიზი მომიწყო. წელს ანდრია 1 წლის ხდება. ამბობენ, — ამ დროს დაბადების დღის გადახდა არ შეიძლებაო, მაგრამ მე მაინც ვაპირებ, მისთვის თოვლის ბაბუის მოყვანას. ბევრ ბუშტს ვუყიდი, სახლს საახალწლო სათამაშოებით მოვრთავ და ჩემს შვილს ზეიმს მოვუწყობ.

— შვილის გაჩენას კიდევ აპირებ?

— ჯერჯერობით არა. სამხატვრო აკადემიაში ვასწავლობ. ჩემი ქმარიც სტუდენტია. ახლა მატერიალურად მშობლები გვეხმარებიან. მეორე შვილზე მაშინ ვიფიქრებთ, როცა სწავლას დავამთავრებთ და სამსახური გვექნება.

ახალი წლის ღამეს, როდესაც ჩვენ სუფრას ვუსხედვართ და ვმხიარულობთ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამეანო განყოფილების ხელმძღვანელი **ზურაბ დარახველიძე** *ახალი სიცოცხლის დაბადებას ზეიმობს*

— ახალ წელს სახლში იშვიათად ვარ. 2008 წელსაც „ჩაჩავაში" შევხვდი. სახლში 1-ელ იანვარს, საღამოს მივედი. წელსაც აქ მომიწევს ყოფნა.

— შარშან ახალ წელს ბიჭი უფრო მეტი დაიბადა თუ გოგო?

— ზუსტი ციფრის დასახელება გამიჭირდება. საერთოდ კი, სტატისტიკური მონაცემებით, ბიჭი უფრო მეტი იბადება, ვიდრე გოგო.

— როცა ახალი წლის ღამეს მორიგეობა გიწევთ, იმის გამო, რომ მას ოჯახის წევრებთან ერთად ვერ ხვდებით, გული არ გწყდებათ?

— ბუნებრივია, მეც მინდა, ახალ წელს ოჯახში ან მეგობრებთან ერთად შევხვდე, გავერთო, მაგრამ ახლა რომ მკითხოთ, — ბოლოს როდის დალიეო? — გახსენება გამიჭირდება. ჩემს პაციენტს შეიძლება, ნებისმიერ წუთს დავჭირდე. ადამიანებს ჩემი იმედი აქვთ და ამ იმედის გაცრუება არ შეიძლება.

— როდესაც ახალ წელს, თქვენი დახმარებით, ახალი სიცოცხლე იბადება, ალბათ, თავადაც ბედნიერი ხართ...

— ახალი წელი, შობა, ძველით ახალი წელი — ეს დღეები ფიზიკურადაც და ემოციურადაც ძალზე დატვირთულია, მაგრამ ამავე დროს, დიდი სიხარულის მომტანი. ახალი წლის დადგომას ყველა იმ იმედით ელოდება, რომ მისი ოჯახისა და ქვეყნისთვის ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. დამერწმუნეთ, იმაზე მეტი საიმედო და სასიხარულო არაფერია, როცა ახალი სიცოცხლე იბადება. უნდა ნახოთ, ამ დროს საავადმყოფოს ეზოში როგორი მხიარულებაა და ჩვენ, ექიმები ამ ყველაფერს ფანჯრიდან ვუყურებთ ხოლმე. ესაა ჩვენი მოვალეობა — ადამიანს სიხარული მივანიჭოთ და ამით ბედნიერები ვართ. ხანდახან, დგება მომენტი, როდესაც სამშობიარო ბლოკიდან გამოვდივარ და მინდა მამას, ახლობლებს ვახარო ბავშვის დაბადება, მაგრამ მათ უკვე იციან და სუფრაც აქვთ გაშლილი. ხომ იცით, სასიხარულო ამბავი ძალიან სწრაფად ვრცელდება.

— ახალი წლის დღეს ტყუპი ხშირად დაბადებულა?

— არა. ისე, ტყუპთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა: პაციენტი, ექოსკოპიური გამოკვლევით, ბიჭსა და გოგოს ელოდა, მაგრამ ორი გოგონა დაიბადა. გამოვედი, მამასა და ახლობლებს ტყუპის დაბადება ვახარე, მაგრამ ძალიან გაბრაზდნენ. მითხრეს, — ჩვენ ბიჭსა და გოგოს ველოდით. ყველაფერი ნაყიდი გვაქვს, ბიჭისთვის ცისფერი, გოგოსთვის კი — ვარდისფერი, თან ეს ამბავი ყველა ჩვენმა ახლობელმა იცოდა და ახლა როგორ ვთქვათ, რომ გოგონები დაიბადნენ, ხომ მოგვეჭრა თავიო!.. განსაკუთრებით, ბიჭის დედა ნერვიულობდა და ყვიროდა, ძლივს დავაწყნარეთ. ასეთი ადამიანების ძალიან მიკვირს. რა მნიშვნელობა აქვს სქესს? მთავარია, ბავშვი ჯანმრთელი და კარგი დაიბადოს! ბევრი ამ ბედნიერებას ვერ აფასებს. არიან მშობლები, რომლებიც წლობით ელოდებიან შვილს, ბევრი კი საერთოდაც, ამ ბედნიერებას მოკლებულია. ამიტომ, როდესაც ღმერთი ასეთ საჩუქარს გიძღვნის, უნდა დააფასო. მინდა, ახალდაქორწინებულებსა და საერთოდ, ყველა ახალგაზრდა ქალბატონს ვურჩიო: სანამ შვილის გაჩენას დააპირებენ, ჩაიტარონ გამოკვლევა და მერწმუნეთ, ამით ბევრ გართულებას აიცილებენ თავიდან. საშინლად ვირუსულ ეპოქაში ვცხოვრობთ და ამის შედეგად, ბევრი ავადმყოფი ბავშვი იბადება. ასევე, ხშირია ნაადრევი მშობიარობა. გამოკვლევით და წინასწარი მკურნალობით კი ამ ყველაფრის თავიდან აცილება შესაძლებელია. ყველას ჯანმრთელი შვილების დაბადების გისურვებთ და კარს მომდგარ ახალ წელს გილოცავთ! ■

„ატეხილი“ თოვლის ბაბუა და პონეებაღებაინღული ეთვრალი „ჭუკები“

ანუ თბილისური, ჯახური, გურული და მეგრული ახალი წელი

2009 წლის დადგომასთან დაკავშირებით, თინეიჯერებმა ინიციატივა გამოიჩინეს და მთხოვეს, მათთან ინტერვიუ ჩამეწერა. „ჩვენც ხომ თინეიჯერები ვართ და რადგან ისეთი პრობლემები არ გვაქვს, რომელიც სხვა ჩვენს თანატოლებს აწუხებთ, ნუთუ, უფლება არ გვაქვს, რაიმე საკითხზე ვისაუბროთ?“ — მომწერა გოგონამ, რომელმაც თავი მარიამ პირველად გამაცნო. საინტერესოა, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელი თინეიჯერები, მაგრამ სამწუხაროდ, ამჯერად, მხოლოდ 4 კუთხის წარმომადგენელთან შევძელი დაკავშირება და შემდეგში თუ სხვა კუთხიდანაც დამიკავშირდებიან, ინტერვიუს მათთანაც სიამოვნებით ჩავწერ.

ლიკა ქაჯაია

მარიამ პირველი *(თბილისიდან)*:

— 2008 წელს მეგობრებთან ერთად, შამპანურის ბოთლით ხელში, რესპუბლიკის მოედანზე შევხვდი და მართლაც, მხიარულება, სიცილი დამებედა. ამიტომ, წელსაც ქუჩაში წანწალს ვაპირებ.

— მერე, ამას შენი მშობლები არ გააპროტესტებენ?

— მაშინაც მიჩიჩინებდნენ, სახლში დარჩი, 12 საათზე აქ იყავი და მერე სადაც გინდა, იქ წადიო, მაგრამ არ დავუჯერე.

— შენს ადგილას ბევრი გოგო შინდან არ გავიდოდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ახალ წელს მაგიდის ქვეშ შეეგებებოდა...

— გათხოვებაზე ჯერ არ ვფიქრობ და შესაბამისად, ამის სურვილიც არ გამჩენია.

— ხომ არ ჯობია, ყოველ ახალ წელს განსხვავებულად შეხვდე? მერე გაიგებ, ახალი წლის გატარება სად და როგორ სჯობს.

— კარგი იდეაა, ხომ იცი. თანაც, ასე დღესასწაული არც არასდროს მოგბეზრდება. მეგობრებს ვეტყვი, რომ ჩვენს საახალწლო გეგმაში ცვლილებები შევიტანოთ და „სასტავში“ ბიჭებიც მივიღოთ.

— 2008 წელს მხოლოდ გოგონები შეიკრიბეთ?

— ჰო. ბიჭები იმიტომ „მოვტეხეთ“, რომ ჩვენს ჭკუაზე ყოფნა გვინდოდა, ისინი კი ხელს შეგვიშლიდნენ.

— მაინც, რას აგიკრძალავდნენ?

— იცი, ახალ წელს ახალი ნაცნობობა დაგიბედეთ, მეგობარი ბიჭები კი ამის შანსს ხელიდან გაგვაშვებინებდნენ. თანაც, უცხო ადამიანთან შედარებით თავისუფლად იქცევი, არ იბოჭები.

— ახლა ხელს არ შეგიშლიან?

— ამ პონტში შეგვიშლიან, მაგრამ მერე რა მოხდა? სხვანაირად გავერთობით.

— თბილისის ქუჩები საახალწლოდ უკვე მორთეს...

— წელს თბილისი უფრო ლამაზია, ვიდრე შარშან იყო. შარშანდელი განათებები ნერვებს მიშლიდა... ძალიან მომწონს „ანგელოზები“. მათთან სურათს აუცილებლად გადავიღებ.

სალომე (კახეთიდან):

— ახალი წელი ლოთაობის გარეშე, მით უმეტეს, კახეთში ხომ წარმოუდგენელია? ჰოდა, 2008 წელს ისე შევხვდი, ფეხზე ძლივს ვიდექი და შესაბამისად, არაფერი მახსოვს. ზოგმა შეიძლება გამკიცხოს, — რას ამბობს ეს გოგო, ალკოჰოლის მიღება რა ქალის საქმეაო? მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან ქალების დათრობაც მიღებულია და სხვაგან კი არა, ოჯახის წევრებთან ერთად გამოვტყვერი. მერე ავიჩემე, მეზობლებთან უნდა წავიდე და ახალი წელი ყველას უნდა მივულოცო-მეთქი. ვერც წინააღმდეგობა გამიწიეს და ვერც მარტო გამიშვეს. ჰოდა, შესაბამისად, მშობლებთან და ძმასთან ერთად მთელი სამეზობლო შემოვიარე, მერე კი ნათესავებსაც ვესტუმრეთ და შინ დაბრუნებულებს ისიც კი არ გვახსოვდა, სად ვიწანწალეთ.

— და მიგაჩნია, რომ 2008 წლის დადგომას მხიარულად, არაჩვეულებრივად შეხვდი?

— ყველაფერი მართლაც, არაჩვეულებრივად იყო მანამ, ვიდრე ჭკუა მომეკითხებოდა, მერე კი მე და ჩემი ოჯახის წევრებს გონება დაგვებინდა და მთელი წელი უჭკუო ჭუკებივით დავეხეტებოდით.

— სიმთვრალე არ დაგებედათ?

— სიმთვრალე კი არა, ოჯახის წევრებს „პახმელია“ დაგვებედა — 2 რიცხვში ხომ ბედობაა. ჰოდა, ამ დღეს ყველანი მურტალ „პახმელიაზე“ ვიყავით და მოვკვდით მთელი წელი მჟავე კიტრის, ჯონჯოლისა და კომბოსტოს მწნილის ჭამით. იმედია, 2009 წელს ტკბილეულების ჭამა დაგვებედება, თორემ გაიხვრიტება ჩვენი კუჭი და მომავალ წელს ვეღარაფერს მოგწერთ.

— კუჭის გახვრეტისგან ღმერთმა დაგიფაროს. ახლა ის მითხარი, ახალი წლის შესახვედრად როგორ ემზადები?

— როგორც წესი, ამ დღისთვის ახალ „შმოტკებს“ ვყიდულობ. მას ჯერ შინ შევეგებები, მერე კი კლასელებთან ერთად, მთელ სოფელს მოვივლი. ოღონდ, გპირდებით, რომ ერთი ჭიქა შამპანურის გარდა, არაფერს დავლევ და იმ ერთი ჭიქითაც, ახლობლებთან ერთად, „გზის“ თანამშრომლებსაც მოგილოცავთ ახალ წელს. ტირაჟისა და მკითხველების მატებას, მატერიალურ სიძლიერეს და ლამაზი, საინტერესო მასალების მოძიებას გისურვებთ!

ნანკა (გურიიდან):

— გურიაში ახალ წელს თავისებური ხიბლი აქვს. ბაბუაჩემი ყოველთვის ამბობდა, — ქალაქელებმა არ იციან, ნამდვილი ქეიფი რას ნიშნავს, ჩვენ კი ქეიფს იმას ვეძახით, სუფრასთან მჯდომი კარგად რომ მოილხენ, ლექსსაც იტყვი, საკუთარ გასაჭირსაც და ანეკდოტებსაც. სახლში წამოსულს კი არ უნდა გახსოვდეს, რომ ოჯახში რაიმე პრობლემა გაქვსო.

— ანუ ახალ წელს პრობლემებს ივიწყებთ და საქეიფო განწყობილებას იქმნით?

— რა თქმა უნდა! შესაბამისად, ჩვენს ქეიფს ყოველთვის თან სდევს გურულებისთვის დამახასიათებელი ხალასი იუმორი.

— ვფიქრობ, სახალისო ამბის მოყოლას აპირებ.

— მართალი ხარ. როცა თინეიჯერებს ვკითხულობ, რატომღაც, ყოველთვის „ვიგრუზები“ — შენ ხომ ბავშვები თავიანთ პრობლემებს გიზიარებენ. ჰოდა, ახლა ძალიან მინდა, ყველა გავამხიარულო და იმედია, ამაში შენც დამეხ-

მარები.

— რა თქმა უნდა, მზად ვარ დაგეხმარო და თინეიჯერების გამხიარულებაში რაღაც წვლილი მეც შევიტანო :)).

— მოკლედ, 2008 წელს ოჯახში შევხვდი. ბაბუაჩემმა მითხრა, — შენი მეგობრები შინ მოიწვიე და აქ ვიქეიფოთო. გავიკვირვე, — ჩვენს ქეიფზე შენ რა გინდა? ნუთუ, ვერ ხვდები, რომ ასაკით ბევრად უფროსი ხარ-მეთქი? გაიცინა და მითხრა, — მე შენ გამოჩერჩეტებული მოხუცი ხომ არ გგონივარ? გულით მეც ახალგაზრდა ვარ და ნახავთ, თქვენზე ნაკლებად თუ გავერთობი. თანაც, თეთრი წვერი მაქვს და თოვლის ბაბუის როლსაც შევასრულებ. იცოდე, თქვენთან ერთად ქეიფის უფლებას თუ არ მომცემთ, ბევრს დაკარგავთო. ბაბუაჩემის ახირების შესახებ მეგობრებს ვუამბე. მათ მითხრეს, — რას ერჩი, მოვიდეს ან ჩვენ მოვალთ შენთანო... ზუსტად 12 საათზე ბაბუამ სიურპრიზი მომიწყო — საჩუქარი მომართვა და თან, ანთებული „ხლაპუშკები" მესროლა. ერთ-ერთი უბეში ჩამივარდა და კანი დამიწვა. ავტეხე კივილი, ჩემს კივილს დედაჩემის ისტერიკული ყვირილი, მამაჩემის გინება და ბებიაჩემის წყევლა-კრულვა მოჰყვა, — შენ არ გეღირსოს მომავალი (რომელ მომავალზეა ლაპარაკი, როცა საწყალ კაცს ცალი ფეხი სამარეში აქვს?), შენ არ გეღირსოს ახალი წლის ღირსება (აქ ვერ მივხვდი, ბებო რას გულისხმობდა), შენ გაგითხარე შენსიგრძე მიწა და დაგაყარე მაგ ოხერ გულზე. არა, შენსიგრძე საფლავის ღირსი არ ხარ, ფეხები ჰაერში უნდა გქონდეს; უი, უი, უი, რამ გადაგრია ამოდენა კაცი, ატეხილი კვიცივით რომ ხუნტრუცობო. ბებიაჩემის შემყურეს, ტკივილი სულ დამავიწყდა და ბაბუას ავეფარე, ბებიაჩემს მისთვის ცოცხი რომ არ ესროლა... ამასობაში ჩემი სტუმრებიც მოვიდნენ და ამ სეირის შემყურეთ, ბაბუა ისე შეეცოდათ, გადაწყვიტეს, ის მთელი ღამე გვერდიდან არ მოეშორებინათ.

— ბაბუამ შეძლო თქვენი გამხიარულება?

— ბაბუა რომ არა, ალბათ, 2008 წელს ისევე უღიმღამოდ შევხვდებოდი, როგორც დანარჩენ წლებს. ბაბუამ ჩვენთან ერთად ბევრი იცეკვა. ისე ცეკვავდა, რომ ბებია დასჩხაოდა, — არიქა, მენჯებიდან არ ამოვარდე! ნელა, კაცო, ფეხი არ მოიტეხოო. ბაბუა ჩემს დაქალებს ისე ეკურკურებოდა, თითქოს, 15 წლის ბიჭი იყო. შუა ქეიფისას სახლში ლამის ცეცხლი გააჩინა — მთვრალმა, ნაძვის ხის გარშემო დიდი ზომის „ხლაპუშკები" დააწყო და ერთმანეთის მიყოლებით ააფეთქა. სახლში ცეცხლი გაჩნდა, მაგრამ ის დროულად შევნიშნეთ (როგორ ვერ შევნიშნავდით, როცა საშინელი აფეთქების ხმა იყო) და ხანძრის კერა ჩავაქრეთ. ამის შემდეგ ბაბუას მამა ექაჩებოდა, — წამოდი, დაწექიო, მაგრამ ის ოთახიდან ვერ გაიყვანა. ამიტომაც, იძულებული გახდა, კაცი ხელში აეტაცებინა და საძინებელში ისე გაეყვანა. ამ ამბის შემდეგ მშობლებს ვთხოვე, — მეგობრებთან ერთად წავალ და ვისეირნებ-მეთქი. გამიშვეს. კარგა ხანს ვსეირნობდით, ვგუნდაობდით, მერე ერთ-ერთმა მეგობარმა შინ მიგვიპატიჟა. უკვე დილის 6 საათი იყო, დაშლას ვაპირებდით, როცა კარი გაიღო და ბაბუაჩემი შემოვიდა. ის ხითხითებდა და ამბობდა, — მამაშენს გამოვეპარე, ბებიაშენი მეძებს და გთხოვთ, დამმალეთო. ბაბუამ ანეკდოტების მოყოლა დაიწყო და ბებიამ და ჩემი მეგობრის მშობლებმა იმ დროს შემოგვისწრეს, როცა ის კაცისა და ქალის „უზნეობაზე" ლაპარაკობდა და იქ ამბავი ატყდაააა... მას შემდეგ ბაბუა ლოგინად ჩავარდა. სამწუხაროდ, წელს ვეღარ გაგვართობს — ძალიან ცუდადაა. სამაგიეროდ, ჩემი მეგობრები ამბობენ, რომ ბაბუასთან მოვლენ და მას ახალ წელს მიულოცავენ. სხვათა შორის, მას საჩუქარიც უყიდეს.

— რა უყიდეს?

— მოდი, რაც არის — არის, გეტყვი — ეს ქალის თეთრეულია (ბებიისთვის) და კიდევ, ბევრი კანფეტი.

— ამ ყველაფრის გამჟღავნება რატომ არ გინდოდა?

— იმიტომ, რომ ბაბუა თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველია და ამ ნომერსაც აუცილებლად წაიკითხავს. ჰოდა, რა თქმა უნდა, მიხვდება, მასზე რომ ვლაპარაკობ. ბაბუა, ძალიან გთხოვ, გამოჯანმრთელდი... „გზის" მკითხველებს ვუსურვებ, რომ 2009 წელს მათთვის ბედნიერება და ბევრი ხალისიანი დღე, ბევრი ფული მოეტანოს...

ანანო (სამეგრელოდან):

— იცით, მინდა, ყველა გასათხოვარ გოგონას ვურჩიო, როგორ მოიქცეს, რომ 2009 წელს გათხოვდეს.

— ამას საკუთარი გამოცდილებიდან ურჩევ?

— რა თქმა უნდა! 2008 წლის დადგომისთანავე, ზუსტად 12 საათზე, მაგიდის ქვეშ ვიჯექი და შამპანურში ჩაყრილ იმ ფურცლის ნამწვავებს ვყლაპავდი, რომელზეც სურვილები ჩამოვწერე. აბა, რა მექნა, როცა სხვა დროს ხან ერთი მეთოდი მოვსინჯე, ხან — მეორე, მაგრამ ჩემს გათხოვებას საშველი არ დაადგა.

— გათხოვება ასე ძალიან გინდოდა?

— მინდოდა, აბა, არ მინდოდა? დარწმუნებული ვარ, ოჯახის შექმნას მოწყურებული შენი რუბრიკის მკითხველებიც არიან და ამიტომაც დაგიკავშირდი. მინდა, ახალგაზრდებს ამით მაინც დავეხმარო.

— რამდენი წლის ხარ?

— ახლა 20 წლის გახლავართ, მაგრამ შარშან, რატომღაც, 19 წლის გოგოს მაინც შინაბერას მეძახდნენ და გათხოვებისკენ მიბიძგებდნენ — არც სწავლობ, არც მუშაობ და გათხოვდი, ბავშვები მაინც გააჩინეო. ჩემი საქმრო რაჭველი გახლდათ და 3-წლიანი ურთიერთობის მიუხედავად, დაქორწინებას არ ჩქარობდა და მეც, ყოველ ახალ წელს (თუ ბედობა დღეს) ხან ცოცხზე ვჯდებოდი, ხან მეკვლეებს ვწყევლიდი, ხან კიდევ, ყირაზე ვდგებოდი და ყველა ცრურწმენას ვასრულებდი, მაგრამ სანამ შამპანური მაგიდის ქვეშ არ დავლიე, არაფერი მეშველა.

— ფიქრობ, რომ შენი გათხოვება შამპანურის დამსახურებაა? ნუთუ, არ გეჩვენება, რომ ეს ყველაფერი დამთხვევაა...

— შეიძლება, მართლაც დამთხვევა იყოს, მაგრამ მე მინდა, ამ ყველაფრის მჯეროდეს და „გამატარე", რა... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, შამპანური „ჩავყლურწე" თუ არა, შეყვარებულმა დამირეკა და ცოლობა მთხოვა. თანაც, მითხრა, — ახლა შენს სახლთან ვარ. გარეთ გამოდი და დავქორწინდეთო. მეც, ჩემს მშობლებს სიურპრიზი მოვუწყვე და გავთხოვდი. მინდა, გოგოებს ვურჩიო: ხელი არ ჩაიქნიოთ. გათხოვებისთვის ყველა ხერხი მოსინჯეთ და თქვენც აუცილებლად გაგიმართლებთ.

— მე მაინც ვფიქრობ, რომ გათხოვების მსურველები მთლად ამ ცრურწმენებზე არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი...

— ეგეც მართალია, ცოტა ხელ-ფეხიც უნდა გაანძრიონ, მაგრამ თუ რაღაცას იწამებ, მჯერა, ის აუცილებლად აგისრულდება. 2009 წელი ყველასთვის სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს. ყველას ბედნიერებას გისურვებთ!

რისი უფლება არ აქვს ნარკომანს

„ლოთი და ნარკომანი მამა შვილებს კარგს ვერაფერს ასწავლიდა“

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა უცნობი დედის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ რამდენიმე ხნის წინ მეუღლეს გაშორდა, რადგან ის ნარკომანი და ლოთი გახლდათ. „ბავშვებს უმიზეზოდ სცემდა, მათი წამლებისთვის გადადებულ ფულს მპარავდა და თავის „წამალს“ ყიდულობდა. ჩემი დედამთილი მე მადანაშაულებს, — ბავშვებს მამა დააკარგვინეო“, — გვწერდა უცნობი დედა და გვეკითხებოდა, — ხომ არ შევცდი? ნუთუ, ბავშვებს ასეთი მამა ნამდვილად სჭირდებათო?

მიუ-მიუ:

„გირჩევ, მეუღლეს არ შეურიგდე. ყოველდღიური ნერვიულობა, შიში ბავშვებს ფსიქიკას დაუზიანებს და არც შენ დაგადგება კარგი დღე. დედამთილს თავისი ადგილი მიუჩინე, რათა შენს ცხოვრებაში აღარ ჩაერიოს. უფალი გფარავდეს“.

ნე-პა:

„ოჯახის დანგრევა ადვილი არაა, მაგრამ ასეთ ქმართან ცხოვრებით, შესაძლოა, შვილებს მომავალი დაუმახინჯო. კაიფში მყოფ ადამიანებს აზროვნება ნაკლებად შეუძლიათ“.

ლივერი:

„შენი შვილების ადგილას რომ ვიყო, მადლობას გეტყოდი. იცოდე, ქმარს აღარ შეურიგდე. ისე, გოგონებო, თუ გაინტერესებთ, თქვენი შეყვარებული ნარკომანია თუ ლოთი, შეგიძლიათ, მისი თმის ღერი ნარკოლოგიურში მიიტანოთ და შეყვარებულის შესახებ სიმართლეს გაიგებთ“.

მაყვალა დეიდა, *ათენიდან:*

„შენ სწორად მოიქეცი. ნარკომანს მომავალი ნამდვილად არ აქვს და სამწუხაროდ, ჩვენ ირგვლივ ამის უამრავი მაგალითია. ნუ გექნება იმის ილუზია, რომ ოდესმე, შენი ქმარი სასიკეთოდ შეიცვლება. ეს მხოლოდ განსაკუთრებული ნებისყოფის მქონე ადამიანებს შეუძლიათ. დედამთილი უნდა დაარწმუნო, რომ ბავშვებისთვის მამისგან შორს ყოფნა სჯობს და რომ მათ აღსაზრდელად მისი დახმარება გჭირდება. მოკლედ, წინ რთული გზა გაქვს გასავლელი. გამაგრდი“.

ელქტრა:

„რას ჰქვია, ცდები? ადამიანი, რომელიც იმისათვის, რომ იკაიფოს, შვილს წამლის ფულს მოჰპარავს, მამა კი არა, ნაგავია. კარგი ქენი, ბუნკერში რომ მოისროლე. შენს დედამთილს ვურჩევ, გამოილოცოს და შვილს დათვურ სამსახურს კი ნუ უწევს, არამედ, სამკურნალო ცენტრში მიიყვანოს. ასეთი „მუწუკი“ ქმრის თავიდან მოშორება მანამდე სჯობს, ვიდრე ბავშვებს ფსიქიკა დაენგრევათ“.

ეგოისტკა:

„ცდები კი არა, მიკვირს, — ეგ კაცი აქამდე როგორ აიტანე? სწორად მოიქეცი და შვილებს შენთვის მადლობის გარდა, არაფერი ეთქმით“.

გრუზინკა:

„ლოთი და ნარკომანი მამა შვილებს კარგს ვერაფერს ასწავლიდა. შენი დედამთილის სიტყვები ერთ ყურში შეუშვი და მეორიდან გამოუშვი. ყოჩაღ, ვამაყობ შენით!“

ეშმაკუნა:

„სწორად მოიქეცი! აბა, რად უნდათ ბავშვებს ნარკომანი მამა? რა უნდა ისწავლონ მისგან? მაგ ნაგავს შვილები ახლოსაც არ გააკარო! ადამიანს, რომელიც ცოლსა და შვილებზე წინ „წამალს“ დააყენებს, კაცი არ ჰქვია. ღმერთს ებარებოდე“.

სვანის ასული:

„ნარკომანების გამოსწორება თითქმის, შეუძლებელია. ეტყობა, იმედი დაკარგე, პატარები შეიცოდე და ქმარი ამიტომაც მიატოვე. შენი გზააბნეული ქმრის გამოსწორებისთვის ილოცე. რა იცი, იქნებ, ღმერთმა ინებოს და გონება გაუნათდეს“.

ვიკა:

„მეგობარო, ძალიან მეცოდები. მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა — ჩემი „ლოვე“ გამომიტყდა, რომ „იკეთებდა“. მას ძალიან ვუყვარვარ. მეც, ამ სიყვარულით ვისარგებლე და დავეხმარე, ნარკოტიკს რომ შეშვებოდა, მერე კი დავშორდი. მერწმუნე, ჩხუბითა და ყვირილით არაფერი გამოვა. შეეცადე, მოეფერო და გამოსწორებისკენ ასე უბიძგო“.

კითხვის ნიშანი:

„შენ სცადე, მეუღლე სწორ გზაზე დაგეყენებინა? თუ ეს ბევრჯერ სცადე, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღე, მაშინ, ნამდვილად არ ცდები, ხოლო თუ მისი გამოსწორება არ გიცდია, დედამთილი მართალია!“

იკუშკეგი:

„სხვების აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევ. შენ ისე მოიქეცი, როგორც შენი შვილებისთვის იქნებოდა უკეთესი. უკან ნუ დაიხევ. ნარკომან და ლოთ კაცს არ აქვს უფლება, სრულყოფილი ოჯახი ჰქონდეს. გული არ მოგილბეს და იმ კაცს არ დაუბრუნდე. შეიძლება მოვიდეს, დაგიჩოქოს, იტიროს, გითხრას, — არ მომატოვო და გამოვსწორდებიო, მაგრამ არ მოტყუვდე, ჯოჯოხეთში ნუ დაბრუნდები. საკმარისია ის, რაც შენ და შენმა შვილებმა გადაიტანეთ“.

„უკრაინაში არ მიშვებენ, საცხი იჭორავებსო...“

ცრემლუკა:

„თქვენი დახმარება მჭირდება და იმედი მაქვს, არ „დამაიგნორებთ“. მეგობარმა თავისთან დამპატიჟა, უკრაინაში, მაგრამ არ მიშვებენ. ჩემი მეგობარი ბიჭია და დედამ თქვა, — არსადაც არ წახვალ. რომ გაგიშვა, ხომ იცი, ხალხი იჭორავებსო. აუ, არადა, მაგრად მინდა წასვლა. ბავშვებო, რა ვქნა, აქ დავრჩე მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი არ ვაჭორაო თუ ყველა „დავიკიდო“ და ჩემი გავიტანო? ჩემს ადგილას თქვენ როგორ მოიქცეოდით? რჩევებს მოუთმენლად ველი. მერწმუნეთ, გადაწყვეტილების მიღებაში ეს ნამდვილად დამეხმარება. გკოცნით“.

„არ ვიცი, ჩემი ქმარი ცოცხალია თუ არა...“

ქმარდაკარგული:

„ძალიან ცუდად ვარ. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი ისე გვიყვარდა, არ მეგონა, ეს სიყვარული ოდესმე თუ დამთავრდებოდა. მისგან სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ... ის საზღვარგარეთ წავიდა და მხოლოდ ერთი კვირა მირეკავდა, სიყვარულით სავსე სიტყვებს მეუბნებოდა, მერე კი გაქრა და ახლაც არ ვიცი, ცოცხალია თუ არა (მას შემდეგ 5 თვე გავიდა). ჩემი ფიქრები ნიკასთანაა, ოკეანის მიღმა და არ მინდა, დავიჯერო, რომ მიმატოვა, მას ხომ ძალიან ვუყვარდი. არავინ ვიცით, სად არის. ყველა მეუბნება, — ალბათ, მიგატოვა და შენც დაივიწყეო, მაგრამ მის გარდა არავინ მაინტერესებს და რა ვქნა? გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? მის საძებრად საზღვარგარეთაც წავიდოდი, მაგრამ ვიცი, მას მაინც ვერ ვიპოვი და ამ მგზავრობას არავითარი შედეგი არ მოჰყვება“.

P.S. მაშ ასე, თუ ცრემლუკას და ქმარდაკარგულის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58.25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

შურისმაძიებელი მომთნას უგუნური საქციელი

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა შურისმაძიებლის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 4 წლის ასაკში ბიძაშვილმა გააუპატიურა. როცა წამოიზარდა, ბიჭი შეუყვარდა, რომელმაც იმიტომ მიატოვა, რომ გოგონას და მოეწონა. „ახლა ისევ შემიყვარდა და მას დავნებდი კიდეც. ცოტა ხანში, „ლოვემ“ მითხრა, — აღარ მიყვარხარო. მეც, ავდექი და ვუჩივლე, — გამაუპატიურა-მეთქი. თითქოს, ამით კმაყოფილი უნდა ვიყო, მაგრამ სულ მისი თვალები მახსენდება...“ — გვწერდა შურისმაძიებელი და გვთხოვდა, ძალიან მკაცრად ნუ განმსჯითო.

„უდანაშაულოს მომავალი წაართვი, მშობლები აუტირე და საკანში გამოკეტე“

გრუზინკა:

„მოკლედ, ძალიან ჩახლართული ამბავია. შენ ფსიქიკა არეული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართე. სხვა რა გითხრა, ძალიან დამაბნიე“.

ეშმაკუნა:

„საშინლად მოიქეცი! თუ დანებდი, რატომღა უჩივლე? რა მისი ბრალია, შენ თუ სულელი ხარ? სიყვარული არ გცოდნია. უბრალოდ, ბიძაშვილზე დაბოღმილმა ჯავრი სხვაზე იყარე. ღმერთის გეშინოდეს!“

ვიკა:

„მოკლედ, თვალი რას არ წაიკითხავს, რა. დავიწყოთ შენი არაკაცი ბიძაშვილით: ჯერ ერთი, 4 წლის ბავშვს, თან, სისხლით ნათესავს რომ არ „დაგტაკებოდა“, ქალები დაილია? ახლა, მინდა, შენ გითხრა რამდენიმე სიტყვა: გალანძღვის ღირსი ხარ, მაგრამ გოგო ხარ და მებრალები. რამდენი ბიჭიც გეტყვის, — მიყვარხარო, ყველას ლოგინში უნდა ჩაუგორდე? წარსულზე სინანული გვიანია. ბედს შეეგუე და იმ ბიჭს, რომელიც შენი ახირების გამო ციხეში ზის, პატიება სთხოვე. აბა, შენ იცი“.

იკუშკები:

„გავგიჟდი, რა. ამ გოგონებს ტვინი სად აქვთ? სულ გამოშტერდით? შურისმაძიებელო, როგორ იქცევი? ნუთუ, არ გრცხვენია? შენმა საქციელმა გამაღიზიანა. უსინდისოდ იქცევი და სჯობს, აზრზე დროულად მოხვიდე. ახლა რომ ვიცოდე, სად ხარ ან ვინ ხარ სინამდვილეში, მოვიდოდი და მაგრად „მიგტისკავდი“. ტვინი გაანძრე, საჩივარი უკან გამოიტანე. სჯობს, მატყუარა და შურისმაძიებელი იყო, ვიდრე უსინდისო და უზნეო. მგონი, ფსიქოლოგი და კარგი შემოლაწუნება გჭირდება. შენნაირი უმიზნო, უაზრო, ზნედაცემული ქალები მაღიზიანებენ. ნუ გვარცხვენ!“

კაჭკაჭი:

„ნამდვილი კახპა ხარ, უკანასკნელი ნაძირალა. შენ რა, ვინც თითს დაგიქნევს, ყველას უნდა დაუწვე? ჰმ, თან, რჩევასაც გვთხოვს. შენ ერთი გემრიელი მიტყეპვა დაგხატავდა“.

ფილოსოფოსი:

„ჯერ შენი ბიძაშვილია „დასაბრედი“ და მერე — შენ. რა სიყვარულზე ლაპარაკობ, როცა არაფრის აზრზე არ ხარ? ბიჭი რა „სროკზე“ და თან, რა „სივით“ გაუშვი?..“

მარიკუნა. ა.:

„ნუთუ, სირცხვილის გრძნობა არ გაგაჩნია? ბიძაშვილმა რომ გაგაუპატიურა, ხმა არ ამოიღე და ციხისთვის უდანაშაულო ადამიანი გაიმეტე? მგონი, ვერ ხარ. ნუ ამბობ, — მიყვარსო. შენ სიყვარულის არაფერი გაგეგება“.

კითხვის ნიშანი:

„დავიწყებ იმით, რომ ძალიან მომწონს „თინეიჯერული პონტები“. მიმაჩნია, რომ ამით მართლაც, ბევრს ეხმარებით. ძალიან საინტერესოა თავად ის რჩევებიც, რომელსაც თინეიჯერები (და არა მარტო ისინი) ერთმანეთს აძლევენ. ამ რუბრიკის წყალობით იკვეთება დღევანდელი საზოგადოების მოსაზრება ამა თუ იმ ბანალურ საკითხთან დაკავშირებით. ლიკ, გაიხარე ამ რუბრიკის შექმნისთვის... ახლა კი შურისმაძიებელს მივმართავ: რა საჭიროა ჩვენგან სიმკაცრე, როცა საკუთარ შეცდომას თავადაც ხვდები? ლოგინში შეუძვერი და გამაუპატიურაო, — დააბრალე. ნურასდროს დაივიწყებ ამ შეცოდებას და შეეცადე, ყველაფერი გამოასწორო. აბა, შენ იცი. მომავალში რაღაც შანსი შენც გაქვს“.

ფიფილა:

„შეეცადე, გაკეთილშობილდე, სხვებს ცილს ნუღარ დასწამებ და ნუ გაბოროტდები, თორემ ხომ გაგიგონია, — რასაც დასთეს, იმასვე მოიმკი!“

ლელუჩია:

„სჯობს, იმ ბიჭთან მიხვიდე და პატიება სთხოვო. მას თუ აღარ უყვარხარ, ეს კატასტროფის ტოლფასი ნამდვილად არაა. სხვა გამოჩნდება და შეიყვარებ. იმ ბიჭს კი სახელს ნუ გაუტეხავ, მით უმეტეს, რომ მასთან საკუთარი ნებით დაწექი. მოუბოდიშე და ვინ იცის, იქნებ, შეგირიგდეს კიდეც. თუ არ შეგირიგდა, შეეშვი და საკუთარ ცხოვრებას მიხედე. ნუ იქნები ეგოისტი!“

პანკუშკა:

„შენ ამ ბიჭისთვის კი არა, ბიძაშვილისთვის უნდა გეჩივლა, რადგან სწორედ მან დაგინგრია ცხოვრება. განა, მან რაიმე დაგაძალა? ვერ ვხვდები, რაში ადანაშაულებ? ულირსი ადამიანი ყოფილხარ და ამიტომაც არ უყვარხარ. საჩივარი გამოიტანე, მის მიმართ უსამართლო ნუ იქნები“.

SCORPION GIRL:

„იმას, რაც შენ ჩაიდინე, სიბოროტე ჰქვია. შენ უდანაშაულო ადამიანი გააუბედურე. ნუთუ, არ ფიქრობ, რა იქნება შემდეგ? ფსიქოლოგი გჭირდება!“

ელექტრა:

„შენი ბიძაშვილი გარეწარი ყოფილა და მგონი, არც შენ ხარ უკეთესი. ზედმეტი სიმკაცრე თავად გამოიჩინე, როცა უდანაშაულო ბიჭს ცხოვრება დაუნგრიე, მომავალი წაართვი, მშობლები აუტირე და საკანში გამოკეტე. ამ ცოდვებისთვის სამაგიერო აუცილებლად მოგეზღვება... ის ბიჭი ძალიან მეცოდება. შენი საქციელით, ალბათ, „საქალეთი“ საერთოდ შეაძულე“.

უცნობი:

„იმის გამო, რომ ბიძაშვილმა გაგაუპატიურა, ბიჭებზე გაბრაზდი და ადამიანს, რომელიც გიყვარდა, ცხოვრება დაუნგრიე. გირჩევ, ეს ცოდვა მოინანიო. წარმატებები!“

ნე-პა:

„მეწყინა, შენი ცხოვრება ბავშვობიდანვე ცუდად რომ დაიწყო, მაგრამ ძალიან ცუდად მოიქეცი, როცა საკუთარი ქალწულობის დაკარგვა სხვას დააბრალე. მართალია, არც ის მოიქცა კარგად, როცა შენი მიტოვება განიზრახა, მაგრამ იქნებ, ეს ყველაფერი შენც განყობდა იმისათვის, რომ საკუთარი წარსული დაგემალა?“

ლივერი:

„იმ ბიჭს არაფერი დაუშავებია. უბრალოდ, მოგატყუა. სულელის მოტყუება კი ცოდვა არაა. შენ საშინლად მოიქეცი. ყველაფერს სჯობს, სიმართლე თქვა, თორემ ღმერთი აუცილებლად დაგსჯის. მერწმუნე, შურისძიებას, ტკივილის გარდა, არაფერი მოაქვს“.

ახალი დიპლომი 84 წლის ასაკში

ამ ადამიანმა მთელი ცხოვრება სამართლის ძიებასა და კანონის დაცვას მოახმარა. „გზაში ისწავლა" რუსული და შემდეგ ისე გაიწაფა, სტავროპოლის მხარეში იძიებდა და ხსნდა ურთულეს საქმეებს. ადგილობრივებმა მას პროფესიონალიზმისთვის მეტსახელიც შეურჩიეს — мастер убийства и кражи. 85 წლის იურისტი ეფრემ საჯაია აქტიურ საადვოკატო საქმიანობას ეწევა და თავისი ცხოვრებითა და ყოველდღიური საქმიანობით უმტკიცებს მათ, ვინც ამბობს — 40 წლის ხეც აღარ გვინდაო, — რომ გამოცდილება და პროფესიონალიზმი ასაკის მატებასთან ერთად იზრდება. შარშან ბატონმა ეფრემმა წარმატებით ჩააბარა კიდევ ერთი „დიდი გამოცდა" — ადვოკატთა საერთო გამოცდა და როგორც თავად ხუმრობს, „აღარ დარჩა უდიპლომო სასიძოდ". „გზის" სტუმარია სენაკელი ადვოკატი, რომელსაც იმდენი აქვს სათქმელი და მოსაგონარი, რომ ბევრი რამის გახსენებაც გაუჭირდა.

ნანა ფიცხელაური

ილბალი მომეცა და აფეთქებულ გემზე ვიმსახურე

— დავიბადე 1923 წლის 19 სექტემბერს, ჩხოროწყუს რაიონში. სკოლა წარჩინებით დავამთავრე და 1940 წელს სამშენებლო ფაკულტეტზე ჩავირიცხე. პირველი კურსი დავხურე თუ არა, 18 კაცი სამხედრო აკადემიაში ჩასარიცხად წაგვიყვანეს, ინსტიტუტიდან. ავიაციის აკადემია ლენინგრადიდან იოშკაროლაში იყო გადატანილი. იქ რომ შეგვიყვანეს, რუსულად ორი კითხვა დამისვეს, მაგრამ ვერც ერთს ვერ ვუპასუხე, „გრამი" რუსული არ ვიცოდი. ჰოდა, მითხრეს, — „სვაბოდნაო" და 1941 წლის სექტემბერში, 18 წლის ბიჭი ფრონტზე წამიყვანეს. მეთერთმეტე დღეს აღმოვჩნდი იმ ადგილას, სადაც მეგრულად ლაპარაკობდნენ. დიდი ეშელონით ვმგზავრობდით. ვიკითხე, — რა ქვეყანაა-მეთქი? ერთმა ქალბატონმა მიპასუხა, — ფოთი, ნანაო. მანამდე ფოთში ნამყოფი არ ვიყავი...

მოვხვდი საზღვაო ფლოტში, დიდ გემზე, თბომავალ „ტაშკენტზე", რომელზეც 27 საბრძოლო იარაღი იყო განლაგებული. გემის მე რა გამეგებოდა... ჩემი მოვალეობა იყო ზარბაზანთან „სნარიადი" მიმეტანა. გერმანელებს ნახევარი ოდესა ჰქონდათ დაკავებული. ერთ დღეს ისინი დავბომბეთ, მერე სევასტოპოლის დასაბომბად წაგვიყვანეს. სად და რისთვის მივდიოდით, გაგებაში არ ვიყავი. როცა ფრონტიდან დავბრუნდი, წიგნებით, რუკებით და გაზეთებით შევიტყვე, თუ სად, რას და როგორ ვასრულებდით ანუ ასე გაეცანი სტრატეგია-ტაქტიკას. ერთ დღესაც სევასტოპოლიდან ნოვოროსიისკში მივდიოდით. გერმანელების ვერტმფრენმა ორი ნახევარტონიანი ბომბი ჩამოაგდო. ერთ-ერთი ჩვენს გემს მოხვდა, აფეთქდა და 3 წუთში ჩაიძირა. ვინც ზემოთ ვიყავით (რამდენიმე კაცი), გადავრჩით — ბომბმა წყალში გადაგვყარა, მხოლოდ ფეხში დავიჭერი...

პროფესია - იურისტი

— ჯარში ფიზიკა-მათემატიკა სულ დამავიწყდა და მივხვდი, საინჟინროზე სწავლის გაგრძელებას ვეღარ შევძლებდი. 1950 წლის 25 აგვისტოს ჯარიდან დავბრუნდი, მკერდზე ორდენები დავიბნიე და უნივერსიტეტის კარი შევაღე. მაშინ რექტორი ნიკო კეცხოველი გახლდათ, — ჩარიცხვა დამთავრებულია, ადგილები აღარ გვაქვს, გაისად მოდით და ჩააბარეთო, — დამამშვიდა. ვუთხარი, — 9 წელი დავკარგე და კიდევ ერთი წლის დაკარგვა აღარ მინდა-მეთქი. გამოვბრუნდი. კართან რომ მივედი, ბატონმა ნიკომ დამიძახა, — ექსტერნად ჩაგრიცხავ და თუ საგნებს ჩააბარებ, მესამე კურსზე, დასწრებულ განყოფილებაზე გადმოგიყვანო. საგნები კარგად ჩავაბარე და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტიც გავხდი. პირველ სემესტრში სწავლა ცოტა არ იყოს გამიჭირდა, იმ დროს წიგნები სად იყო? მხოლოდ ლექციაზე თუ ისწავლიდი რამეს და ისიც, თუ ლექტორის ნათქვამის ჩაწერას მოასწრებდი...

1952 წლის ნოემბერში სახელმწიფო გამოცდები ჩავაბარე. იმ დროს პროკურატურაში ვაკანტური ადგილები იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. როგორც კი დიპლომი ავიღე, რესპუბლიკის პროკურატურაში შევიტანე განცხადება, სამსახურში მიღების თაობაზე. ამასობაში წავედი სოფელში, რათა მშობლებს საშემოდგომო სამუშაოებში დავხმარებოდი. რამდენიმე დღეში სამთავრობო ტელეფონოგრამა მივიღე — თბილისის ოლქის პროკურორის მოადგილე მიბარებდა, სასწრაფოდ გამოცხადდით რესპუბლიკის პროკურორთანო. მეორე დღესვე მივედი ლომიძესთან. მან ღიმილით მახარა, — ქლუხორის რაიონის პროკურატურაში 3 წლით გამომძიებლად გაგზავნიო. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა, მაგრამ ვიფიქრე, — არა უშავს, მერე გამოჩნდება ცოტა უკეთესი სამსახური-მეთქი. ქლუხორი სტავროპოლის მხარეში, ჩრდილო კავკასიაში იყო. იქ სამუშაოდ აღარავინ მიდიოდა და მგონი, მარტო მე წავედი...

„იზვესტიის" „ლევვით" გზაზე ნასწავლი რუსული

— გზაზე ნასწავლს რომ ეძახიან, ისე ვისწავლე რუსული. ერთმა კაცმა მირჩია, — რუსულის სწავლა თუ გინდა, „იზვესტია" იკითხეო. მეც ვკითხულობდი ამ და სხვა რუსულ გაზეთებსაც და თუ ახალი ნომერი არ ჩამივარდებოდა ხელში, ძველებს „ვლეჭდი". ისე გავიწაფე,

სევასტოპოლში, დალუპული თანამებრძოლის წლისთავზე (მარჯვნიდან მეოთხე)

რომ სტავროპოლის მხარეში, ქლუხორის რაიონში 3 წელი გამომძიებლად ვიმუშავე. ერთხელ, 27 გეოლოგის სისხლის სამართლის საქმეს ვიხილავდით, რომელთა უმრავლესობა ქართველი იყო. მათ 20-დან 25 წლამდე პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. სამი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, გენერალური პროკურორის პროტესტის საფუძველზე, განაჩენი გააუქმა და ხელახალი გამოძიება დაიწყო, რომლის შედეგადაც უმეტესობას სასჯელი გაუნახევრეს. სტავროპოლიდან დაბრუნების შემდეგ, მახარაძეში (ახლანდელი ოზურგეთი) გამამწესეს, პროკურორის თანაშემწედ, შემდეგ — ჩოხატაურის პროკურორად დამნიშნეს. ბოლოს, 7 წელი ცხაკაიას (სენაკის) რაიონის პროკურორი ვიყავი. ამით დასრულდა ჩემი პროკურორობა. მერე საკმაოდ მაღალ თანამდებობებს მთავაზობდნენ, მაგრამ უარი ვთქვი...

ბუდაპეშტში ომის დროს

Мастер убийства и кражи

— სტავროპოლში მუშაობის პერიოდში, რომელი ქურდობის და მკვლელობის გამოძიებაშიც მიმიღია მონაწილეობა, ის საქმე გაუხსნელი არ დარჩენილა. ამიტომაც შემარქვეს — Мастер убийства и кражи. ერთხელ, რაიკომის მდივანმა დამიბარა და ადვოკატად მუშაობა შემომთავაზა. უარი ვთქვი, რადგან საქმეს რომ დაიწყებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო, ზოგი დიდხანს გრძელდება, ჯანჯლდება, არადა, კლიენტი სულ შენს კართან დგას, შენი იმედი აქვს... როგორც კი პროკურატურიდან წამოვედი, 1970 წელს ჯანმრთელობა შემერყა. ერთხანს, იურისკონსულტად ვიმუშავე, 1987 წელს კი ჩამოვაყალიბე სამართლებრივი კოოპერატივი. მოსკოვში დავდიოდი, ძირითადად. ეს მთავრობა რომ მოვიდა, იძულებული გავხდი, ადვოკატობა დამეწყო, მაგრამ რა? — ჩვენი მოსამართლეების (ძველი თუ ახალი თაობის) საქმიანობაში ზემოდან ისეთი ჩარევა ხდება, თუკი ისინი მავანთა ნებას არ შეასრულებენ, მეორე დღეს თანამდებობებზე აღარ იქნებიან. ჩემს საქმეშიც ვიგრძენი ეს. რამდენი საქმე მომიგია? — მე ცოტა უცნაური ხასიათი მაქვს, კლიენტი რომ მომმართავს დასახმარებლად, თუ ვხედავ, რომ იმ საქმეს მოგების პირი არ უჩანს, პირდაპირ ვეუბნები, — საქმის გასაჩივრებას აზრი არ აქვს-მეთქი. ძირითადად, ისეთ საქმეებს ვიღებ, რომლის მოგების იმედიც მაქვს. ამიტომაც არის, რომ თითქმის ყოველთვის, ჩემს საქმეში გამარჯვებული გამოვდივარ.

„საჭაი, საჭაი“...

— სტავროპოლში ვერცხლის მაღაროს საქმეს ვიძიებდით. ვერცხლისას ეძახდნენ, თორემ იქ ოქროც იყო და თუთიაც. ბრალდებული იყო შუახნის რუსი ქალბატონი, საწყობის გამგე. მას დიდი დანაკლისი აღმოუჩინეს. ეჭვმიტანილი პროკურატურაში გამოვიძახე და დავკითხე. გა-



ღიღბორის ყაზე ფრენდა ის ხვარი

„გზის“ ფურცლებზე
გოჩა მანველიძის
ისტორიული რომანის
მეორე ნაწილი

ბესტსელერ „მგლების“ ავტორისაგან

მომძიებელი ვიყავი და პროკურორმა მითხრა, — დაჰკითხე და მერე შემახვედრეო. ის ქალი, ფაქტობრივად, უდანაშაულო იყო. ეჭვმიტანილი შევიყვანე პროკურორთან, რომელმაც ექსპერტიზის ჩატარება დამავალა. კაბინეტიდან გამოსვლისას ქალბატონი წინ წავიდა. მე უკან მივყევი. პროკურორმა დამიძახა, — Саджая, Саджая! მის კაბინეტში შევბრუნდი, 2-3 წუთის შემდეგ გამოვედი და ქალი ადგილზე აღარ დამხვდა, აღარც ქუჩაში ჩანდა. მეორე დღეს, როდესაც პროკურატურაში მივედი, ის ქალი ჩემოდნით და „ტელეგრეიკით" იჯდა მოსაცდელში. ვკითხე, — გუშინ სად გაუჩინარდი-მეთქი? მიპასუხა — აი, მოვედი, დამიჭირეთ და ჩამსვითო. შენ დასაჭერი არაფერი გაქვს-მეთქი, — ვუპასუხე.

ცოლ-შვილთან ერთად (1987 წ.)

მითხრა, — მატყუებ, გუშინ პროკურორმა ხომ დაგავალა ჩემი დაჭერაო. ვერაფრით დავარწმუნე, რომ ჩვენ შორის ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა. მაშინ მითხრა: მე რომ გამოვედი კაბინეტიდან, პროკურორმა დაგიძახა, — „საჯაი, საჯაი"... თურმე, იმ ქალბატონს ჩემი გვარი — საჯაია сажай-ა გაუგონია და ამიტომაც მოვიდა თბილი ტანსაცმლით, საციხოდ მომზადებული. ამ პროცესმა, საბოლოოდ, საკმაო წარმატებით ჩაიარა და ის ქალიც გავამართლეთ.

ჩემი ოჯახი

— 1961 წელს ცოლად შევირთე ფატიმა ჯიქია, რომელიც სტუდენტობის პერიოდში გავიცანი. იგი თბილისში მუშაობდა, დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტში. ოჯახს რომ მოვეკიდე, ჩოხატაურის რაიონის პროკურორი ვიყავი. შეგვეძინა ერთი ვაჟიშვილი, რომელმაც თითქოს, ჩემი არჩევანი გაიმეორა — ჯერ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, შემდეგ — იურიდიული, მაგრამ რად გინდა? არც ერთი სპეციალობით არ უმუშავია, კომერციულ საქმიანობას ეწევა. მყავს 11 წლის შვილიშვილი — გოგონა. უფროსი ძმა აფხაზეთის ომის დროს დაიღუპა, მას ცოლად რუსი ჰყავდა, ისიც ამ ამბავს გადაჰყვა, გული გაუსკდა. დედაჩემი 101 წლის რომ შესრულდა, მაშინ გარდაიცვალა. რვა და-ძმიდან ექვსილა დავრჩით. ყველას ერთად მრავალრიცხოვანი და ბედნიერი ოჯახი გვაქვს.

რა საერთო აქვს „ჯრიჟინას" მანუჩართან

— ზუგდიდის რაიონის ერთსა და იმავე სოფელში ცხოვრობდნენ მანუჩარ ვახტანგის ძე ჭკადუა და მანუჩარ ზურაბის ძე ჭკადუა. მათ დაბადების თარიღი სხვადასხვა ჰქონდათ (ერთი 1977 წელს, მეორე — 1980-ში იყო დაბადებული). სამხედრო კომისარიატმა 1977 წელს დაბადებულის საბუთებით მეორე, 1980 წელს დაბადებული გაიწვია ჯარში. ამ ახალგაზრდამ ცოტა ხანს იმსახურა, მეთაურებმა ხელი შეუწყვეს და სახლში გაუშვეს. შემდეგ ამ ადამიანს დეზერტირობაში დასდეს ბრალი და ძებნა გამოაცხადეს მანუჩარზე, რომლის საბუთებითაც ჯარში მეორე გაუშვეს. ვიცავდი 1977 წელს დაბადებულ მანუჩარს, რომლის სახლშიც პოლიცია ერთხელაც არ მისულა შესამოწმებლად. ისინი მიდიოდნენ მეორესთან, რომელიც იმ პერიოდში მოსკოვში იმყოფებოდა. მოწმობაში მამის სახელს რომ არ წერდნენ, ამან აუბნია პოლიციას თავ-გზა. როცა მანუჩარი მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნდა, დასაჭერად მიადგნენ. მან სამართალდამცველებს აუხსნა, — ჯარში არასდროს ვყოფილვარ, ავადმყოფი ვარო (მართლაც, ციროზი ჰქონდა და მალე გარდაიცვალა). ახლა მეორე დაიჭირეს, 7 წლის შემდეგ. გამომძიებელმა თავდებში არ გაუშვა. სასამართლოში სარჩელი შევიტანე, მოსამართლე ჭანტურიასთან. დიდი წინააღმდეგობის შემდეგ, პროკურატურამ იგი თავდებში გაუშვა. პატიმარს თავდებად, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარე დაუდგა. მოგეხსენებათ, პროკურატურას რა დიდი გავლენა აქვს და მანუჩარ ჭკადუას 2 წელი პირობითი სასჯელი მაინც დაუტოვეს. აი, რა ცუდია, როცა ერთ სოფელში ორი მანუჩარია და ორივე ჭკადუა.

იქნებ, კარმაღ დავინუბეული ძველი

— საბჭოთა ხელისუფლება დემოკრატიული რომ არ იყო, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. იმის გამო, რომ მამაჩემს ისლით გადახურული სახლი ჰქონდა, 1930 წელს ე.წ. „შავ სიაში" შეიყვანეს და „განაკულაკეს". როგორც იტყვიან, სული ამოგვხადეს. რაც კი რამ გვებადა, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონელი, სულ წაგვართვეს. სამი წლის შემდეგ მამაჩემი თბილისში წამოვიდა. ცეკას მეორე მდივანი — მალანია მამაჩემის სკოლის მეგობარი იყო და მას დახმარება სთხოვა. მალანიამ ჩვენს სოფელში კომისია გამოგზავნა. იმ პერიოდში, როგორც წესი, „კულაკს" კოლმეურნეობაში არ იღებდნენ. ამ ადამიანის წყალობით, მამა კოლმეურნეობაში მიიღეს, ოღონდ, გაათმაგებული გადასახადების გადახდა გვიწევდა. აბრეშუმის ჭია უნდა მოგვეგროვებინა და პარკი უფასოდ ჩაგვებარებინა... მძიმე ბავშვობა გვქონდა... დღევანდელი ხელისუფლების უდიდეს შეცდომად მიმაჩნია ის, რომ პრეზიდენტმა ჯერ „ჩარეცხილები" უწოდა ინტელიგენტ ხალხს, შემდეგ კი გამოაცხადა, 35-40 წლის ადამიანებმა აღარ უნდა იმსახურონო. არადა, ამ ასაკს რომ აღწევს კაცი, ცხოვრებისეულ გამოცდილებას მაშინ იღებს. სააკაშვილმა ძალზე ახალგაზრდები და არაპროფესიონალები მოიყვანა თანამდებობებზე. კომუნისტებს კი დადებითი ის ჰქონდათ, რომ ვიდრე კანდიდატებს ხელმძღვანელ პოსტებზე გაუშვებდნენ, მათ წინასწარ არჩევდნენ და ამზადებდნენ საპასუხისმგებლო თანამდებობისთვის. დღეს გაიხედავ და, კაცი ექიმია და ეკონომიკურ სფეროს უძღვება, ან ჯანდაცვის მინისტრი, თურმე, არაა აუცილებელი, ექიმი იყოს...

„ასე არ დავრჩი ეღიკლიმეთ, ვარდენას სიძესავით"

— შარშან ადვოკატთა ტესტირება ჩატარდა. საერთო გამოცდაზე გასვლას ვაპირებდი. გადავწყვიტე, თბილისში მატარებლით ჩამოვსულიყავი. ვიფიქრე, სადგურიდან პირდაპირ გამოცდაზე წავალ-მეთქი. ზესტაფონში მატარებელი გაჩერდა, აღარაფრით მიდის... გამთენიისას მგზავრებს გვითხრეს, — თბილისი-ბათუმის სახალხო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. ალბათ, გვიან ამოიყვანენ და როდის გაგვიშვებენ, არ ვიცითო. 10-ის ნახევაზე ადგილზე უნდა ვყოფილიყავი. 7 საათი დაიწყო. მატარებლიდან ჩავედი, სასწრაფოდ ტაქსი გავაჩერე და თბილისში ჩამოვედი. თან, მეორე ადვოკატიც მახლდა, ჩვენი რაიონიდან. გამოცდაზე რომ მივედი, რეგისტრაცია დაწყებული იყო. საშინელ

დღეში ვარ — ღამენათევი, მშიერი და დაქანცული. გამოცდის ხელმძღვანელს ვკითხე, — აქ ბუფეტი ხომ არ არისმეთქი? არაო. მერე ხნიერი, სანდომიანი ქალი მოვიდა და წყალი შემომთავაზა, მისი ხათრით ნახევარი ჭიქა შევსვი. გოგონა მომიახლოვდა, რომელიც საბუთებს იბარებდა და მითხრა, — წამომყევიო. ცოტა არ იყოს, შემეშინდა. მანამდე, გარეთ რომ გამოვედი, ერთმა კაცმა კითხვები დამაყარა, მეც — ვუპასუხე. გამოცდის მეთვალყურე მოგვიახლოვდა და გვითხრა, — საქმეზე ლაპარაკი არ იყოსო. ვიფიქრე, გამოცდიდან გაგდებას ხომ რა მიპირებენ-მეთქი? გოგონას კორიდორში გავყევი, მან კი ბუტერბროდი მომაწოდა, — მიირთვითო. ასეთმა გულთბილმა დახვედრამ და მოპყრობამ დიდი სტიმული მომცა, სამ საათში 100 შეკითხვიდან 72-ს გავეცი სწორი პასუხი. მერე თვალში სინათლე დავკარგე, ვეღარ გავუძელი. თან, წინა დღის მოწამლული ვიყავი (მეგობრებთან ერთად, ლუდი ვსვი. ალბათ, საკვებმა მაწყინა. მეგობრებმა არაყიც დალიეს და ჩემგან განსხვავებით, არ მოწამლულან). ეს რომ არა, ალბათ, უკეთესი შედეგიც მექნებოდა. ასე ჩავაბარე წარმატებით გამოცდა და არ დავრჩი უდიპლომოდ, ვარდენას სასიძოსავით...

სამ საათში 100 შეკითხვიდან 72-ს გავეცი სწორი პასუხი. მერე თვალში სინათლე დავკარგე, ვეღარ გავუძელი

„ასაკი თავისას შვრება“

ამონარიდი ადვოკატ ციცინო ცხვედიანის დღიურიდან:

„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. ასოციაციის ოფისში საჩივრებს ვეცნობოდი... ადვოკატთა ტესტირება ახალი დამთავრებული იყო და ოფისში ბევრი ადვოკატი მოდიოდა — ზოგი ადვოკატის მოწმობის ასაღებად, ზოგი კი ტესტირების შედეგის გასასაჩივრებლად. ერთ-ერთ ჩემს თანაკურსელ ქალს ქუდა დაჰკლებია და შედეგს ასაჩივრებდა:

— რა არის, იცი? ჯერ ერთი, წესიერად მეცადინეობა ვერ მოვასწარი, მეორეც — ასაკი მაინც თავისას შვრება, სადღაა ძველებური ათვისების უნარი?! — მითხრა თავის მართლებით. ამას მეუბნება 45 წლის ქალი!

ამ დროს შემოვიდა ნაცნობი ადვოკატი, ხნიერ მამაკაცთან ერთად. დამინახა და ჩემკენ წამოვიდა.

— ბიძაჩემს მოვყევი, — მითხრა მოკითხვის შემდეგ.

— რა პრობლემა აქვს? — ვიფიქრე, ალბათ, რომელიმე ადვოკატზე შემოაქვს საჩივარი-მეთქი.

— არაფერი, ადვოკატების გამოცდები ჩააბარა. თანაც, საერთოში და მოწმობა უნდა აიღოს. იცი, რამდენი წლისაა? ოთხმოცდაოთხის, — მითხრა ღიმილით.

— კარგი, ერთი! — არ დავუჯერე.

ვოვამ ბიძამისს პირადობის მოწმობა გამოართვა და გამომიწოდა. მე და ჩემმა 45 წლის თანაკურსელმა დაბადების წელი წავიკითხეთ და როცა დავრწმუნდით, მართლა 84 წლის იყო, ერთმანეთს გადავხედეთ.

— ჰოო, ასაკი მართლაც თავისას შვრება, — დავასკვენი მე და ორივეს გულიანად გაგვეცინა.

ასე გავიცანი ყველასთვის უსაყვარლესი პიროვნება — სენაკელი ბატონი ეფრემ საჯაია“. ■

საახალწლოდ ნაძვის ხეებით მორთული და ნარ-ნარი ნათურით განათებული რუსთაველის გამზირის დათვალიერება რომ დავასრულე, გეზი დათო გომართელის კლუბისკენ ავიღე, კერძოდ, „სქაი ბარისკენ", რადგანაც იქ ახლობლები მელოდნენ. კლუბში მისულს, დიდი ხალხმრავლობა დამხვდა. ცნობილი სახეებიც საკმაოდ იყვნენ, მასპინძელი — კლუბის მეპატრონეც მათთან იყო და სტუმრებს ყურადღებას არ აკლებდა. დათომ დაგვინახა თუ არა, ჩვენც სიამოვნებით მიგვიპატიჟა.

გომართელის კლუბი, ელიტური „სქაი-ბარი" და ჩვენში არსებული კლუბური ცხოვრების ანბანი

ლალი ფაცია

— რა ხდება დღეს თქვენს ბარში?

დათო გომართელი:

— „სქაი ვოდკის" პრეზენტაცია-ფართი გახლავთ, შემოგვიერთდით.

— ასეთი არაყიც არსებობს?

— დიახ. დღეს აქ, საქართველოში მისი გამოჩენის ერთი წლის „იუბილეს" აღვნიშნავთ. ამერიკული არაყია, მაგრამ ამჯერად ის იტალიურ „კამპარი-ჯგუფს" ეკუთვნის. ასე რომ, თქვენ მთელ მსოფლიოში ცნობილი, უმაღლესი ხარისხის, ელიტური არყის პრეზენტაციაზე აღმოჩნდით. მას მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ბარების მომხმარებლებს სთავაზობენ.

— გამოდის, რომ თქვენი კლუბიც ელიტურია, არა?

— შეიძლება ითქვას, მაგრამ რადგანაც „სქაი ბარი" ჰქვია, პრეზენტაცია-ფართის აქ გამართვაც ძირითადად, ამიტომ გადაწყდა.

— დათო, საერთოდ, კლუბის მეპატრონის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ?

— რადგანც ბარი ჩემია, ამიტომ არის, რომ აქ ძირითადად, ჩემი ახლობლები, მეგობრები და ჩემი საყვარელი ადამიანები იყრიან ხოლმე თავს. ახლაც ასეა, გადახედეთ დარბაზს... ეს ის ადამიანები არიან, ვისაც ჩემი შემოქმედება აინტერესებთ და ბიზნესსაც გულშემატკივრობენ.

— ჰო, მართლა, შენს შემოქმედებაში რა ხდება ახალი?

— არის რამდენიმე სიახლე: ახლახან მე და ნინი ბადურაშვილმა დუეტი ჩავწერეთ, რომელიც საახალწლოდ გავა ეთერში. მე და ეკა კახიანმაც ჩავწერეთ ერთად სიმღერა, ის თავისუფლების მოედანზე, საახალწლო კონცერტზე შესრულდება. ვწერ დუეტს ნინო ჩხეიძესთან...

*ბარში მოდელ **ქრისტის** მოკკარი თვალი.*

— მოგწონს დღევანდელი საღამო?

— კარგია. მშვენიერი მუსიკა ჟღერს, პუბლიკაც შესანიშნავია, სიმშვიდეა და არაჩვეულებრივი სუფრაა გაშლილი. არყის პრეზენტაციაზე კი მომიწვიეს — არადა, ეს სასმელი საერთოდ, არასდროს გამისინჯავს და არც ახლა დავარღვევ ამ ტრადიციას.

— ისე, რას იტყვი ჩვენში არსებულ საკლუბო ცხოვრებაზე?

— ადრე უფრო კარგი იყო, თითქოს რაღაც, სხვა განწყობილება ჰქონდა ყველაფერს. დღეს ბევრი კლუბი გაიხსნა, მაგრამ მათ ხშირად არ ვსტუმრობ. აი, დათოსთან კი ხშირად მოვდივარ. აქაურობა მომწონს. თუმცა აქაც დიდხანს არ ვჩერდები ხოლმე.

— საღამო მშვიდობისა! როგორ ხარ?

თეონა თავართქილაძე:

— გმადლობ, არა მიშავს. ახლა, არ მკითხო, როგორი არაყიაო, ვერ გიპასუხებ, რადგან არ ვსვამ, არაყზე ალერგია მაქვს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კარგი იქნება.

— თეონა, თბილისის კლუბებზე და იქ არსებულ სიტუაციაზე რას იტყვი?

— ეს სფერო საქართველოში ძალიან მოიკოჭლებს. ალბათ ეს ჩვენი საერთო განწყობილების ბრალია... იშვიათად დავდივარ კლუბში. ჩემი ბევრი ამხანაგი უნდა იყოს იქ, რომ მივიდე ანუ მათთან ერთად უნდა მინდოდეს ყოფნა.

— ესე იგი, სისტემატურად კლუბში არ ერთობი?

— არა. ამ კლუბში კი ზაფხულში ხშირად დავდიოდი, როცა ვერანდა ღია იყო, აქედან საოცარი ხედია. მთელი თბილისი თითქოს ხელისგულზე მოჩანს.

— ნინი, შევიტყვე — შენ და დათოს დუეტი ჩაგიწერიათ.

ნინი ბადურაშვილი:

— კი, ჯერ კიდევ ომამდე. უბრალოდ, მერე ვერ შევძელით, მისთვის მიგვეხედა. ხან რამ შეგვიშალა ხელი, ხან — რამ. საბოლოოდ, მუშაობა ცოტა ხნის წინ დასრულდა. მგონი, კარგი გამოვიდა. ალბათ მალე გვექნება ამ სიმღერის პრეზენტაცია.

— რამდენად მოგწონს და გაკმაყოფილებს ჩვენში არსებული კლუბები?

— ბოლო დროს ჩვენში კლუბური ცხოვრება ამოიქაჩა. ნელ-ნელა ახალ-ახალი ასეთი დაწესებულებები იხსნება. თუმცა მაინც, ფართო არჩევანი არ გვაქვს, ისე, როგორც ევროპაშია, მაგრამ რაც არის, მე მაკმაყოფილებს. თბილისში არსებობს ერთი-ორი კლუბი (ამის ჩათვლით), სადაც, ზუსტად ვიცი, რომ მივალ, გავერთობი და ჩემთვის სასურველ და ნორმალურ ადამიანებს შევხვდები. არის ისეთი კლუბები, სადაც შეიძლება, კარგ მუსიკას უკრავენ, მაგრამ იქ იმ ხალხის გამო არ მივდივარ, რომელიც იკრიბება.

თაკო გაჩეჩილაძე:

— მომწონს კლუბური ცხოვრება, ჩემი ასაკის ადამიანებისთვის ეს დროს ტარების კარგი საშუალებაა, მაგრამ უფრო დახურული ტიპის ფართებს ვანიჭებ უპირატესობას, სადაც ყველა შენი ნაცნობია და კარგი მუსიკა ჟღერს. ისე, ყოველ შაბათ-კვირას კლუბში სიარული დიდად არ მიყვარს.

ის იყო, საუბარი ჩვენს ცნობილ სახეებთან დავასრულე, რომ დარბაზში სადღესასწაულო ტორტი შემოიტანეს, რომელიც დათო გომართელმა გაჭრა, შემდეგ, ბენდთან ერთად, რომელიც ბარში უკრავდა, ამას თავისი სიმღერაც მიაყოლა. გომართელს სიმღერისას ბასა და თამრიკო ფოცხიშვილები აჰყვნენ, რომლებიც იქაურობას ოდნავ მოგვიანებით შემოუერთდნენ...

აი, ასეთი გახლდათ ფართი ერთ თბილისურ საღამოს ერთ თბილისურ კლუბში, სადაც შოუბიზნესის წარმომადგენლები ხალისიანად გაატარეს დრო. ■

BMW-ს ახალი როდსტერი

ბავარიულმა კომპანიამ გაავრცელა ოფიციალური ინფორმაცია ახალი თაობის როდსტერზე — Z4, რომელსაც მისი არსებობის ისტორიაში პირველად, მაგარი დასაკეცი სახურავი აქვს (ადრე ავტომობილი მხოლოდ რბილი სახურავით გამოდიოდა, რომლის გახსნაც 20 წამში იყო შესაძლებელი). ფართო საზოგადოებას მანქანას მომავალი წლის იანვარში, დეტროიტის საერთაშორისო ავტოსალონზე წარუდგენენ. თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, ახალი როდსტერი — BMW Z4 — 14,7 სმ-ით დაგრძელდა, 1 სმ-ით გაფართოვდა და 0,7 სმ-ით დადაბლდა. ამასთან, ბორბლების ბაზა სულ რაღაც 0,25 სმ-ით გაიზარდა. ავტომობილის ელექტრონული მართვის ამორტიზატორების, მასტაბილიზებელი სისტემის, საჭის გამაძლიერებლისა და აქსელერატორის კონტროლს სპეციალური — Dynamic Drive Control-ის სისტემა განახორციელებს. ღილაკების გადართვით მძღოლს შესაძლებლობა ექნება, აირჩიოს სამუშაო რეჟიმი — Normal ან სპორტული — Sport ევროპულ ბაზარზე კლიენტებს სამნაირი ძრავათი აღჭურვილ ავტომობილს შესთავაზებენ; მათ შორის ყველაზე მძლავრი — 3-ლიტრიანი, 306 ცხ.ძ. სიმძლავრის, ორტურბინიანი აგრეგატი იქნება. BMW-ს მესვეურთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასეთი აგრეგატით როდსტერი 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,2 წმ-ში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 208 კმ/სთ-ია (ოპციური სპორტპაკეტის შეკვეთის შემთხვევაში, სიჩქარე 240 კმ/სთ-მდე გაიზრდება). ორი სხვა მოტორი, რომელთა სიმძლავრე შესაბამისად, 204 და 258 ცხ.ძ-ა, 2,5 და 3,0 ლ მოცულობისაა. მოდიფიკაციის მიხედვით, ძრავები ექვსსაფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით ან „ავტომატით" აღიჭურვება. ახალი Z4-ის გამოშვება, ქალაქ რეგენსბურგში მდებარე ქარხანაში გაისად დაიწყება. როდსტერის ფასის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ■

იყიდება ლიმუზინი!

გერმანულ საავტომობილო პორტალზე გასაყიდად გამოიტანეს 1 მეტრით დაგრძელებული ლიმუზინი — Maybach 62. ექვსადგილიან ავტომობილს ჟურნალისტებმა Maybach 72 უწოდეს. მოდელის დასახელებაში ციფრები ლიმუზინის სიგრძის აღმნიშვნელია — სტანდარტული Maybach 62 6,17 მ სიგრძისაა, ხოლო ზემოთ ხსენებული ავტომობილის სიგრძე 7 მ-ს აღემატება. 2004 წელს გამოშვებული დაგრძელებული ლიმუზინის ფასი 599 ათას ევროს აღწევს. მას სულ 800 კმ აქვს გავლილი. მანქანა მაინის ფრანკფურტშია. შეგახსენებთ, რომ მოდელი Maybach 62 12-ცილინდრიანი, 5,5-ლიტრიანი, 550 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორითაა აღჭურვილი. ძვირფასი მასალებისგან დაშზადებულ სალონში მყიდველს დახვდება: დიდი მონიტორები, DVD-პლეიერი და სტაციონარული ტელეფონი. მანქანას ნახევრად გამჭვირვალე სახურავი აქვს. ■

„მერსედესის" 3 ახალი კონცეპტი



2009 წლის იანვარში დეტროიტის ავტოსალონზე კომპანია გერმანული ავტოგიგანტი 3 კონცეპტუალურ ავტომობილს წარმოადგენს. ესენია: E-Cell, F-Cell და E-Plus. ამასთან, პირველი მათგანი მომავალი თაობის კომპაქტური მოდელის — Mercedes B-Class — პროტოტიპად იქცევა. სამი კონცეპტი ეკოლოგიურად სუფთა აგრეგატებითაა აღჭურვილი. Mercedes-Cell სრულფასოვანი ელექტრომობილია, რომელიც მძლავრი ლითიუმ-იონური ბატარეებით იმუშავებს. დატენვის შემდეგ, მანქანა 200 კმ-მდე მანძილს დაფარავს. მეორე კონცეპტი — E-Plus — ელექტრობატარეების იმავე ნაკრებს იყენებს, მაგრამ ამავე დროს, შიგაწვის ტრადიციული ძრავათიცაა აღჭურვილი („სმარტას" 67 ცხ.ძ. სიმძლავრის ტურბომოტორით), რომელიც მხოლოდ ბატარეების დასატენად გამოიყენება. ასეთ ავტომობილს 100 კმ-ის გავლა მხოლოდ ელექტროწევით, ხოლო 600 კმ-ის დაფარვა ჩვეულებრივი აგრეგატის გამოყენებით შეეძლება. მესამე კონცეპტი — F-Cell — ბატარეებისთვის საჭირო ელექტროენერგიას წყალბადის მოწყობილობით გამოიმუშავებს. ასეთი მანქანა 120 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომოტორითაა აღჭურვილი, ხოლო მისი სვლის თადარიგი 640 კმ-ს შეადგენს. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ნოტა; 2. ტონა; 3. ეატიკანი; 4. დომრა; 5. თალგამი; 6. ფოთი; 7. ირმა; 8. ტინი; 9. ლი; 10. ორლი; 11. დოვლათი; 12. ნავიგაცია; 13. დეკადა; 14. ნემო; 15. მანდარინი; 16. ცდა; 17. გველი; 18. ორბი; 19. მაზეპა; 20. ლაინერი; 21. ფოთოლი; 22. ფრისკე; 23. საია; 24. სეატი; 25. უნაგირი; 26. ზიგზაგი; 17. გიტარა; 28. ზადი; 29. მიამიტი; 30. მიმი; 31. ნიადაგი; 32. ტაისონი; 33. ბაზა; 34. გრაცია; 35. ჭაჭა; 36. საბო; 37. ნინია; 38. ილი; 39. სირმა; 40. ნათლია; 41. დებიუტი; 42. ეფა; 43. ირაო.

სურათებზე: ნატალი პორტმანი; სტივენ დორფი.

რა დამოკიდებულება გაქვთ საჩუქართან?

საჩუქრის მიღება ყველას სიამოვნებს. საინტერესოა, ის უფრო გიყვართ, როცა რაღაცას გჩუქნიან თუ ის, როცა სხვებს უძღვნით საჩუქარს. ამის გასარკვევად მოცემულ კითხვებს უნდა უპასუხოთ.

1. რა მნიშვნელობას ანიჭებთ საჩუქარს?
ა) არავითარს — 0;
ბ) გააჩნია, რა ხასიათზე ვიქნები — 2;
გ) დიდ მნიშვნელობას — 4.

2. საჩუქრის შერჩევისას დიდხანს ორჭოფობთ?
ა) ზოგჯერ ასეც ხდება — 2;
ბ) არა — 0;
გ) საკმაოდ დიდხანს — 4.

3) საჩუქარი აუცილებლად ძვირფასი უნდა იყოს?
ა) რა თქმა უნდა — 0;
ბ) ზოგჯერ არც ესაა ურიგო — 2;
გ) ცხადია — არა. ხომ გაგიგონიათ, — კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირებისო — 4.

4. თქვენი აზრით, საჩუქარი ადამიანს რაიმეს ავალდებულებს?
ა) გარკვეულწილად — კი — 2;
ბ) არა მგონია — 4;
გ) რასაკვირველია — 0.

5. როცა შინაურს რაღაცას ჩუქნით, ხომ არ ითვალისწინებთ იმასაც, რომ შეიძლება, ოდესმე ის თქვენც გამოგადგეთ?
ა) ასეთი რამ ნამდვილად არ მახასიათებს — 4;
ბ) ძალიან იშვიათად — 0;
გ) ხანდახან — 2;

6. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საჩუქარი, პირველ რიგში, პრაქტიკული უნდა იყოს?
ა) ნამდვილად — 0;
ბ) როდის — როგორ — 2;
გ) არა — 4.

7. ერთი სოლიდური საჩუქრის მირთმევა გირჩევნიათ თუ რამდენიმე პატარასი?
ა) რამდენიმესი — 0;
ბ) ერთი სოლიდურის — 4;
გ) როდის როგორ — 2.

ტესტის შედეგები

0-8 ქულა: თქვენი აზრით, საჩუქარი თან ძვირფასი უნდა იყოს და თანაც, პრაქტიკული. თქვენ დიდად არ გიყვართ სხვებისთვის საჩუქრის მომზადება, მაგრამ თუ აჩუქებთ, ამით მეორე მხარეს ავალდებულებთ.

10-20 ქულა: ისე იქცევით, თითქოს, სხვებზე ჭკვიანი იყოთ, არადა, ასე ნამდვილად არ არის.

22-28 ქულა: საჩუქარს დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ და ამიტომაც, მისი შერჩევისას დიდხანს ყოყმანობთ. არადა, არც მერკანტილური მიზნები გამოძრავებთ და არც იმას მიიჩნევთ საჭიროდ, რომ საჩუქრის მიმღები თქვენგან სიცოცხლის ბოლომდე დავალებული იყოს.

სრულწმენები

დასაწყისი იხ. გვ. 8

წლის დამდეგს თურმე ნალის პოვნა და ნეხვში ფეხის ჩადგმაც კი ბედნიერების მომტანი ყოფილა. მეტიც, ვისაც ამ ორ საქმეში გაუმართლებს, მთელი წელი ყველა საქმე წარმატებით აეწყობა. გარდა ამისა, ასეთ ადამიანს ციდან იმასაც უკარნახებენ, რომ მისთვის ოჯახის შექმნის ანდა უკვე არსებული ურთიერთობის დაკანონების დროც დადგა. ვინც საახალწლო ლხინის დროს ბევრს აცეკვინებს, მთელ წელს ბედნიერად გალევს, იმიტომ, რომ როგორც ამბობენ, „რამდენჯერაც დააცეკვინებ, იმდენ გოგოს (ბიჭს) უყვარხარ“.

თუ ახალ წელს გამდიდრება მტკიცედ გადაგიწყვეტიათ, ამაში ერთი კარგი რიტუალიც დაგეხმარებათ: ახალწლის ღამეს ცოტა ხნით სადმე განმარტოვდით და აანთეთ 3 მწვანე სანთელი, რომლებსაც მანამდე ბოლოებზე მონეტები უნდა მიამაგროთ. ამის შემდეგ შეეცადეთ წარმოიდგინოთ, თუ როგორ ეცემა ფული თქვენს ჯიბეში. რაც უფრო ცხადად შეძლებთ ამის წარმოდგენას, მით მეტი ფულის შოვნის იმედი გაგიჩნდებათ მომავალ წელს. ისე, ამერიკელი მაგები უფრო პრაგმატულ ხერხსაც გვთავაზობენ: 1-ელ იანვარს, დილით ხელ-პირის დაბანის ნაცვლად, სახე დოლარიანით უნდა გაიწმინდოთ. რა თქმა უნდა, ეს მთლად ჰიგიენური პროცედურა როდია, მაგრამ როგორც ამერიკელები ირწმუნებიან, „ჩიტი ბდღვნად“ ღირს.

თუ ახალი წლის ღამეს ანდა წლის პირველ დღეს კარზე მაწანწალა კატა ან ძაღლი მოგადგებათ, უნდა იცოდეთ, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა. ამიტომ, თუ მისი შინ შეშვება არ შეგიძლიათ, აჭამეთ მაინც და მაშინ ახალ წელს წარმატება გვერდს არაფრით აგივლით.

თუ წლის დამდეგს ვინმეს სახლის კარი ან ტელეფონის ნომერი შეეშლება და თქვენთან მოხვდება, სანამ დაემშვიდობებოდეთ, აუცილებლად მიულოცეთ ახალი წელი.

ადამიანებს, რომლებსაც ახალ წელს გაიცნობთ ანდა ნაცნობებს, რომლებსაც 1-დან 7 იანვრამდე შეხვდებით, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

შინაური ცხოველი და მიწის ენერგიით ნასაზრდოები ცვლილებები

როგორი წელი გველის

მანანა ჭირაქაძე

წინასაახალწლო სამზადისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასტროპროგნოზების გაცნობაა, მაშ, როგორი იქნება, აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ხარის წელიწადი?

მიხეილ ცაგარელი:

— 2008 წელი ვირთხის წელიწადი იყო. ვირთხამ თავისი გონიერებით, მოხერხებულობითა და ინტუიციით დაიმსახურა ის, რომ თორმეტწლიან ზოდიაქურ წრეში მას პირველი ადგილი უკავია. როდესაც ბუდამ დიდი სულიერი ინფორმაცია მიიღო ღვთისგან, მან დაუძახა ცხოველებს, რათა ეს ყველაფერი გადაეცა მათთვის და იმის მიხედვით, თუ რომელი ცხოველი მივიდა პირველი, მეორე, მესამე, — აეწყო თორმეტი ზოდიაქოს ნიშანი და შესაბამისად, ეს ცხოველები წმინდა ცხოველებად შეირაცხნენ და მიიღეს დიდი ღვთიური მადლი და ენერგია. მიჩნეულია, რომ ის წელიწადი, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტული ცხოველის მბრძანებლობის ქვეშაა, მისი თვისებების მატარებელია და ხასიათის შტრიხებიც იმ წელიწადს დაახლოებით მისნაირი აქვს... იცით, როდესაც ბუდამ დაუძახა ცხოველებს, პირველი მას ხარი გამოეხმაურა, ის პირველი გარბოდა...

— მაგრამ პირველობა ხომ მაინც ვირთხას ერგო?!

— (*იცინის*) მოხერხებულმა ვირთხამ აჯობა ხარს: როდესაც ხარი მივიდა ბუდასთან და მის გაშლილ ხელებში თავი ჩარგო, ვირთხა ხარის კუდზე ახტა, ზურგზე გადააცოცდა, მერე — თავზე და იქიდან პირდაპირ ბუდას ხელებში ჩასრიალდა. ამიტომ, ჯერ ვირთხაა და მერე — ხარი.

— მაინც როგორი ხარის წელია 2009?

— ახალი ასტროლოგიური წელი იწყება 26 იანვარს, მე-13 ახალმთვარეობაზე. ესაა ყვითელი ხარის (ჩინურად), კამეჩის (იაპონურად) წელიწადი. წელი დაკავშირებულია მიწის ენერგიებთან და შესაბამისად, კარდინალურ ცვლილებებთან პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში; კანონის გამყარებასთან, ძალაუფლების გამაგრებასთან, იმ პროექტების რეალიზაციასთან, რომელთა განხორციელება ჯერ კიდევ წინა, ვირთხის წელიწადში დაიწყო.

— ჩვენი ქვეყნისთვის როგორი იქნება და რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ?

— 2009 წელს საქართველო იწყებს ახალ — ექვსწლიანი განვითარების ეტაპს. 2008 წელი გლობალური გეგმებისა და პროექტების რეალიზაციის დანყებას ითვალისწინებდა, რაზედაც, ცნობილი მოვლენების გამო, არც ფული და არც ძალა გვეყო. რადგან ხარის წელი ხელს უწყობს მიწის ენერგიის გამოყენებას, ამიტომ ბევრი, ერთი შეხედვით იდეალისტური გეგმა შეიძლება, რეალურად დაინერგოს. საქართველოს ეძლევა საშუალება, ამ უახლოესი 6 წლის განმავლობაში გარკვეულწილად, დაიბრუნოს ის დანაკარგები, მათ შორის — სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის სფეროში. შესაძლებელი იქნება ეთნოკონფლიქტების სფეროშიც მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა, თუმცა ყველა რთული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საკითხის საბოლოოდ მოგვარება მხოლოდ 2018-2020 წლებისთვის უნდა ვივარაუდოთ. 2009-ში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გეოპოლიტიკაში, საქართველოც, მათი მხრიდან, ახალ გეოპოლიტიკურ სტატუსს მიიღებს. ხარის წელიწადში ტრადიციულად, უმჯობესდება მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში, მატულობს ინვესტიციების რაოდენობა, შესაძლებელი იქნება ახალი ტექნოლოგიების დანერგვაც.

— საქართველო ოდინთგანვე აგრარული ქვეყანა იყო და ხარი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი კაცის ცხოვრებაში. დაგვეხმარება თუ არა ეს ცხოველი დამდეგ წელსაც?

— ხარი ბევრ ქვეყანაშია მიჩნეული წმინდა ცხოველად და მასთან ბევრი ლეგენდა და თხზულებაა დაკავშირებული, თუნდაც ის, რომ დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო ძი უკვდავების ძიებისას, მთებში ხარზე ამხედრებული მოგზაურობდა. ბევრ აღმოსავლურ ქვეყანაში ეს ცხოველი ღვთიური ძალისა და სამართლიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. ხარის წელიწადში დაბადებული ადამიანი მნიშვნელოვანი იდეების გამტარებელი ხდება კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას. 2009 წელს ადამიანები მეტად შეიგრძნობენ სიმძიმეს ახალი კარმული ვალდებულებებისა და მორალურ-ეთიკური, ზნეობრივი პასუხისმგებლობისა. ამიტომ, ეს პერიოდი კარგია სახლში ცვლილებებისათვის, რემონტის გასაკეთებლად, ადგილსამყოფლის, სამსახურის გამოსაცვლელად, ნათესავებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან ურთიერთობების მოსაგვარებლად. პოლიტიკასა და ბიზნესში პირველ რიგში, ძალზე დაფასდება კარგად გააზრებული, რეალისტური გადაწყვეტილებები, ტრადიციული ფასეულობების დაცვა.

— როგორ შეხვდეთ ახალ წელს?

— შეხვდით ახალ წელს ოჯახში, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად. არ არის სასურველი ახალი წლის შეხვედრა უცხოეთში ან სადმე სხვაგან, რადგან ხარს ძირითადად, წარმატებები სამშობლოში მოაქვს. სრული წესრიგი და სისუფთავეა აუცილებელი სახლში. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახში ცოცხალი ნაძვის ხე გვქონდეს.

ასოები

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

იაპონური სენსაცია

3	6	2	9	8	5	4	7	1
5	1	7	4	6	3	2	8	9
8	9	4	1	7	2	3	6	5
9	4	6	2	1	8	5	3	7
7	2	8	3	5	6	1	9	4
1	5	3	7	9	4	6	2	8
2	3	9	5	4	7	8	1	6
4	8	1	6	2	9	7	5	3
6	7	5	8	3	1	9	4	2

2	6	5	3	1	8	4	7	9
7	3	4	5	9	6	8	1	2
8	9	1	4	2	7	6	3	5
5	2	9	6	4	3	7	8	1
1	8	3	9	7	2	5	4	6
4	7	6	8	5	1	2	9	3
9	5	7	2	3	4	1	6	8
3	1	8	7	6	5	9	2	4
6	4	2	1	8	9	3	5	7

5	3	6	1	2	4	9	7	8
1	7	9	8	5	6	2	3	4
8	2	4	3	9	7	6	1	5
3	6	1	4	7	5	8	2	9
7	4	8	9	1	2	3	5	6
9	5	2	6	3	8	1	4	7
6	9	5	2	4	1	7	8	3
4	1	3	7	8	9	5	6	2
2	8	7	5	6	3	4	9	1

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

** საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

*** ოსტატური

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკოლაჟები



იყიდეთ ერთხელ, იკითხეთ მთელი წელი!

„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ სხვადასხვა სახის კედლის მოსახევ კალენდრებს